ბ. ჯაჯანიძე, ბ. ბაბუნი

ქუთაისი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში

გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
19 თბილისი 67

9(С41)+33С5 (С41)
9+308](47 · 922)
3269
ბ 135

წინამდებარე ნაშრომი მოგვითხრობს ქუთაისის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ. მასში გადმოცემულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისის ზრდა-განვითარების ძირითადი მომენტები, ქალაქის ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვა; ნაჩვენებია, როგორ გადაიქცა ქუთაისი სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ეკონომიურად ჩამორჩენილი პატარა ქალაქიდან ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, ზოგად ხაზებში გადმოსცეს ქუთაისის ისტორია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ უდიდესი ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი.

ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა კაცობრიობის განთავისუფლებას ექსპლოატატორული წყობილებისაგან. უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველმყოფელობას ნათლად გამოხატავს სოციალიზმის გამარჯვება და კომუნისტური მშენებლობის მიღწევები სსრ კავშირში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებები.

ჩვენი ხალხისათვის მუდამ წმიდათა-წმიდა იქნება სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა ნათელი ხსოვნა. არასოდეს არ იქნებიან დავიწყებულნი პირველი საბჭოთა ხუთწლედების მამაცი მშენებლები, რომლებმაც შექმნეს ახალი ფაბრიკები და ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ყველა ისინი, ვინც თავისი მრომით აშენებდა სოციალიზმს, განამტკიცებდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა საქართველომ. იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკა გახდა. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში წარმოებული საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 62-ჯერ გაიზარდა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, მოგვითხრობს ქუთაისის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ. მასში გადმოცემულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისის ზრდა-განვითარების ძირითადი მომენტები, ქალაქის ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვა; ნაჩვენებია, როგორ გარდაიქმნა ქუთაისი სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ეკონომიურად ჩამორჩენილი პატარა ქალაქიდან რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. „1917 წლის ოქტომბრის დღეებიდან,—ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ

ცენტრალური კომიტეტის თეზისებში,—ჩვენმა ხალხმა გამოიარა ომის მკაცრი განსაცდელი და შემოქმედებითი შრომის წლები, განვლო კომუნიზმისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა, რომელმაც ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი გააერთიანა". ორმოცდაექვს წელზე მეტია, მთელ ქართველ ხალხთან, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ამ გზით მიდიან ქუთაისელი მშრომელებიც.

ნაშრომს არა აქვს პრეტენზია, სრულყოფილად გააშუქოს სოციალისტური ქუთაისის ისტორიის ყველა პერიოდი. იგი წარმოადგენს პირველ ცდას, ზოგად ხაზებში გადმოსცეს ქუთაისის ისტორია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე.

ავტორები მადლობას მოახსენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის, საქართველოს ცენტრალური საისტორიო და ქუთაისის ცენტრალური არქივების, თბილისისა და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკების, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს, ხელის შეწყობისა და საჭირო მასალების მოწოდებისათვის.

ავტორები დიდ მადლობას მოახსენებენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ლევან სანიკიძეს წიგნზე მუშაობის დროს გულისხმიერი დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის.

ნაშრომის მეორე თავი, მესამე თავის პირველი და მეორე პარაგრაფები, მეხუთე თავის პირველი პარაგრაფი, მეექვსე თავი და აგრეთვე საკითხი ძველი ქუთაისის კულტურული ცხოვრების შესახებ დაწერა პეტრე ვაკრიძემ, ხოლო პირველი თავი, მესამე თავის მესამე პარაგრაფი, მეოთხე თავი, მეხუთე თავის მეორე პარაგრაფი და მეექვსე თავის მეხუთე პარაგრაფი — გურამ გაბუნიამ.

თავი პირველი

ქუთაისის ისტორიული წარსულიდან

„საუკუნეს სძინავს მრავალს
შენს ძველ ქვებში მზის ქალაქო,
ქართლის ფუძის ჩამყრელი ხარ,
დღესაც არ ხარ უბარაქოდ“.

გიორგი ლეონიძე

ქალაქი ქუთაისი სოციალისტური საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრია. იგი დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს[1]. ქუთაისი გაშენებულია მდ. რიონის შუა წელზე, მის ორივე მხარეს მდებარე გორაკ-ბორცვებსა და მათთან ჰარმონიულად დაკავშირებულ ვაკე-დაბლობზე. მდინარე ქალაქს ორ—აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ჰყოფს. ქუთაისის ცენტრალური ნაწილი ზღვის დონიდან დაახლოებით 150 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

მრავალფეროვანია ქუთაისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი პირობები. ქალაქი სამხრეთ-დასავლეთით კოლხეთის ვრცელი დაბლობის ნაწილზეა გაშლილი; ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ქალაქის ფარგლებში ნახევარრკალად იჭრება გორაკ-ბორცვიანი, მკვეთრად დანაწევრებული ტერიტორია: საფიჩხია-მუხნარის ტერასი და არქიელ-გაბაშვილის მაღლობი. აღნიშნული გორაკ-ბორცვები რიონის ხეობაში

[1] ქუთაისიდან საქართველოს დედაქალაქამდე რკინიგზით 221, ხოლო უახლოეს სანავსადგურო ქალაქამდე (ქ. ფოთი) 103 კმ-ია. პირდაპირი ხაზით ქუთაისი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან დაშორებულია 85 კმ-ით.

ურთიერთსაპირისპირო მხრიდან კონცხისებურად შემოჭრილ მწვანეყვავილათი და უქიმერიონით უახლოვდებიან ერთმანეთს; სწორედ აქ მთავრდება რიონის საკმაოდ ღრმა და ვიწრო ხეობა.

ქუთაისი და მისი მიმდგომი მხარე წიაღისეულით ერთ-ერთ. შედარებით მდიდარ რაიონად ითვლება საქართველოში. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს. ქალაქის ჰავა შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრითა და საკმაოდ ხშირი და ძლიერი აღმოსავლეთის ქარებით ხასიათდება. ქუთაისის საშუალო წლიური ტემპერატურა + 14,5°-ს შეადგენს.

ქუთაისი და მისი მიდამოები მდიდარია ჰიდროგრაფიულადაც. წყლის მთავარი არტერიაა საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე რ ი ო ნ ი, რომელიც ქალაქის საზღვრებში ძირითადად ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მიედინება. მას ქუთაისის ფარგლებში ერთვის პატარა შენაკადები: რ უ ა (მარჯვენა მხრიდან) და ჯ ვ რ ი ს ღ ე ლ ე (მარცხენა მხრიდან). ქალაქის აღმოსავლეთით ჩაედინება მოზრდილი მდინარე—წ ყ ა ლ წ ი თ ე ლ ა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით—პატარა ო ღ ა ს კ უ რ ა.

ქუთაისის მიდამოები განთქმულია სამკურანლო წყლებით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მსოფლიოში ცნობილი წყალტუბოს მინერალური წყაროები. თვით ქალაქის ფარგლებში, მდ. რუას კალაპოტში, არსებობს სამკურნალო მინერალური წყალი, რომელსაც აბაზანების მისაღებად ძველთაგანვე იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ქუთაისის ნიადაგები, ფლორა და ფაუნა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ადრე ქალაქის მიდამოები მეტწილად ხშირ ტყეებს ეჭირა. ამჟამად მათი უმეტესი ნაწილი გაჩეხილია. არსებულთაგან აღსანიშნავია მ უ ხ ნ ა რ ი ს (საღორიის) ტყე[1], რომელიც განთქმული აჯამეთის ტყის გაგრძელებას წარმოადგენს. მეორადი ტყეებიდან ყურადღებას იპყრობენ ს ა თ ა ფ ლ ი ი ს ტყის საკმაოდ ვრცელი მასივი და კორპის მუხის ტყეები წყალწითელასა და ოღასკურას მიდამოებში. ქუთაისის

[1] ამჟამად მუხნარის ფართობი 480 ჰექტარს შეადგენს.

მახლობლად მდებარეობს სათაფლიის განთქმული ნაკრძალი, რომელიც ბუნების ერთ-ერთ იშვიათ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

მთისა და ბარის გამყოფ ხაზზე, სტრატეგიული თვალსაზრისით შეტად მოხერხებულ ადგილზე, მნიშვნელოვან სახმელეთო და სამდინარო გზების შესაყარში მდებარე ქუთაისი ძველთაგანვე დასავლეთ საქართველოს კუთხეების (იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა) დამაკავშირებელ ცენტრს წარმოადგენდა. სურამისა და რიკოთის გადასასვლელებით ქუთაისი ურთიერთობას ამყარებდა აღმოსავლეთ საქართველოსთან, ზეკარის უღელტეხილით—სამხრეთ საქართველოსთან, ხოლო მამისონის გადასასვლელით — ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან. შაევ ზღვის ნავსადგურებით (განსაკუთრებით ქ. ფოთი)[1] იგი დაკავშირებული იყო გარე სამყაროსთან.

თანამედროვე ქუთაისი ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მისი საზღვრები განფენილია გუმათპესის კაშხალიდან (ჩრდილოეთით) ამიერკავკასიის რკინიგზის ხიდამდე სადგურ რიონთან (სამხრეთით), მდ. წყალწითელას ნაპირებიდან (აღმოსავლეთით) სოფლების—მაღლაკისა და ბანოჯის ბიდამოებამდე (დასავლეთით). ქუთაისის მთელი ტერიტორია 60 კვ კმ ფართობს შეადგენს. ამჟამად საქართველოს მეორე ქალაქში 160 ათასზე მეტი მცხოვრები ითვლება.

* * *

ქუთაისი მსოფლიოს უხუცეს ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. მან თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, კლასობრივ-საზოგადოებრივი განვითარების ყველა წინანდელი საფეხური განვლო. ქუთაისის წარსული მდიდარია საინტერესო მოვლენებით.

ქუთაისი და მისი ბიდამოები საბჭოთა კავშირში ადამიანთა ერთ-ერთ უძველეს საცხოვრისს წარმოადგენს. საქართველოში პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების უცილობელი კვალი პირველად ქუთაისის მახლობლად, მდ. წყალწითელას

[1] ადრე მდ. რიონი ქუთაისამდე სანაოსნო იყო და მნიშვნელოვან სამდინარო გზას წარმოადგენდა.

მარცხენა ნაპირას მდებარე საკაჟიას გამოქვაბულში იქნა მიკვლეული[1].

ირკვევა, რომ ქუთაისის მიდამოებში ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის (წინაგვაროვნული საზოგადოება) უკანასკნელ ეპოქაში, ე. წ. მუსტიეს ხანაში. ~~ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირას მდებარე, ე. წ. „დამარხულ გამოქვაბულში" 1960—1962 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგები~~[2].

დღემდე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ნათლად მოწმობს, რომ ქუთაისსა და მის მიდამოებში (წყალწითელას ხეობის გამოქვაბულები, თეთრამიწა, სათაფლია და სხვ.) ადამიანს შეუწყვეტლივ უცხოვრია საზოგადოებრივი განვითარების ყველა ძირითად ეპოქაში, ქვედა პალეოლითის უკანასკნელი ხანიდან დღემდე[3].

დღეისათვის ყველაზე უძველეს, ძირითად და ვრცელ წყაროს, რომელშიც პირველადაა მოხსენიებული და აღწერილი კოლხეთი და მისი დედაქალაქი, წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ძველი ბერძნული თქმულება არგონაველთა შესახებ. აღნიშნული ლეგენდა ძვ. წ. III საუკუნეში ლიტერატურულად დაამუშავა და პოემის სახით შეთხზა ცნობილმა ბერძენმა პოეტმა და მეცნიერმა აპოლონიოს როდოსელმა (დაახლ. ძვ. წ. 295—215 წწ.). ამ უძველესი, მრა-

---

[1] გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953, 3—88.

[2] ნინო ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964. აღნიშნული გამოქვაბულის შესწავლის პირველი ცდა (1954 წ.) ეკუთვნის უდროოდ გარდაცვლილ მეცნიერ-გეოლოგს ი. საღინაძეს.

[3] გარდა დასახ. ნაშრ. იხ. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, 37, 44—45, 56—58; ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, 237—264; ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960, 9—17; გ. გაბუნია, საყურადღებო მონოგრაფია და საქმიანი დისპუტი, გაზ. „სტალინელი", 1961, № 99; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მესამე სამეცნიერო სესია (თეზისები), ქუთაისი, 1963.

ვალფენიანი მითის პოეტური და მეცნიერული დამუშავება შემდგომ პერიოდებშიც გრძელდებოდა.

ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა უმრავლესობას (ჰეროდოტე, ქსენოფონტი, თუკიდიდე, სტრაბონი, პლუტარქე, აპიანე, არიანე, ხარაქს პერგამონელი) კოლხეთში არგონაველთა ლაშქრობა ისტორიულ ფაქტად მიიჩნდა. ამ თვალსაზრისს განსაკუთრებით თავგამოდებით იცავდა ძველი სამყაროს სახელგანთქმული გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. I—ახ. წ. I სს.).

არგონაველთა თქმულებაში, ფანტასტიკურ ამბებთან ერთად, ჭეშმარიტების ამსახველი მრავალი ძვირფასი ცნობაცაა შემონახული[1]. ამ თქმულების ყველა ფენისა და ვერსიის წამყვანი მოტივი ყოველთვის იყო აია—კოლხეთი[2]. „არგონავტიკისადმი“ უნდობლობის ძირითადი მიზეზი მისი ფანტასტიკურობა კი არაა, არამედ ის მეტად სამწუხარო ფაქტი, რომ ქართულ მიწაში ჩამარხულ კოლხეთის ძველ დელაქალაქს არქეოლოგის ნიჩაბი ჯერ კიდევ არ შეხებია[3]...

პირველი წერილობითი ძეგლები, რომლებშიც გვხვდება არგონაველთა მითთან და კოლხურ გარემოსთან დაკავშირებული ეპიზოდები, არის ძვ. წ. მე-9 საუკუნის გენიალური ბერძენი პოეტის ჰომეროსის პოემები—„ილიადა“ და „ოდისეა“[4]. მათში ლიტერატურულადაა დამუშავებული ცნობილი ლეგენდა ბერძენ-ტროელთა ომის შესახებ. ამ პოემებში მაღალ-

---

[1] არგონაველთა თქმულებისა და ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხებზე იხ. ა. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, 1948; მისივე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964; თ. მიქელაძე. ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. მოამბე, II, 1960; ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966.

[2] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 7.

[3] ჯერ კიდევ 1883 წელს პენრიხ შლიმანი (1822—1890) საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების გათხრის ნებართვას ითხოვდა. თავისი საქმის ეს ფანატიკოსი-ენთუზიასტი თვითონ კისრულობდა გათხრების დაფინანსებას. მაგრამ შლიმანის სურვილი არ განხორციელებულა.

[4] ასეთი ადგილები ორივე პოემაში ოცამდეა. სახელწოდება „კოლხეთი“ წერილობით წყაროებში პირველად ევმელოს კორინთელთან (ძვ. წ. მე-8 ს.) გვხვდება. მდინარე ფასისს პირველად იხსენიებს ჰესიოდე (ძვ. წ. მე-8—მე-7 სს.).

მხატვრული ფორმით ნამდვილი ისტორიული ამბებია გადმოცემული.

როგორც ცნობილია, ჰომეროსის გმირები, რომლებიც ტროას ომში მონაწილეობდნენ, კოლხეთში მოლაშქრე არგონაველთა შვილები ან შვილიშვილები არიან. ტროას ომის დათარიღების საკითხზე მსოფლიო მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ბერძენ-ტროელთა ათწლიანი ომი დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 1240 წელს[1]. თუ ერთი თაობის ასაკს საშუალოდ 30—40 წლით განვსაზღვრავთ, მაშინ გამოდის, რომ არგონაველთა ლაშქრობა კოლხეთში უნდა შემდგარიყო ძვ. წ. მე-14—13 საუკუნეთა მიჯნაზე.

მეტიც: არგონაველ გმირებზე ერთი თაობით უფროსი ფრიქსე კიდევ უფრო ადრე ეწვია იმავე კოლხეთსა და მის დედაქალაქს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არგონაველთა თქმულების მონაცემების სახით ჩვენს ხელთაა პირველი ცნობა კოლხეთისა და მისი დედაქალაქის („მეფის" რეზიდენცია) მოხსენიების შესახებ დაახლ. ძვ. წ. მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში[2].

ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად მდებარეობდა და რა ერქვა არგონაველთადროინდელ კოლხეთის დედაქალაქს?[3]

ისტორიოგრაფიაში იყო ცდები ძველი კოლხეთის დედაქალაქად (მეფე აიეტის რეზიდენციად) დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, რომელიც გნებავთ, ქალაქი გამოეცხადებინათ. ლეგენდის ძირითადი ვარიანტების თანახმად, კოლხეთის დედაქალაქი მდებარეობდა შავი ზღვის აღმოსავლეთით, ქვეყნის სიღრმეში, მდინარე ფასისზე, უფრო სწორად მის მახლობლად, იქ, სადაც მდინარე სანაოსნო იყო. როგორც ცნობილია, ძველ ავტორთა აბსოლუტურ უმრავლე-

---

[1] იხ. Т. В. Блаватская, Ахейская Греция, 107.

[2] ქუთაისის არსებობა 3.500 წლით დათარიღებული აქვს ისტ. მეცნ. დოქტორს ლ. სანიკიძეს. იხ. ქუთაისი და წლები, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1962, № 4; მისივე, ქუთაისის წლოვანების შესახებ, გაზ. „სტალინელი", 1960, № 41.

[3] როდესაც უძველესი კოლხეთის დედაქალაქზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ტომის (ტომების) ბელადის („ბაზილევსი", „მეფე") რეზიდენცია და არა „დედაქალაქი" ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

სობასთან ფასისად იწოდებოდა ახლანდელი მდინარე რიონი და მისი შენაკადი ყვირილა.

ელინისტურ ხანაში ფასისზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სანაოსნო-სავაჭრო გზა, რომელიც ძველ საბერძნეთს ინდოეთთან აკავშირებდა. მაშინ რიონი სანაოსნო იყო ახლანდელ ქუთაისამდე, ყვირილა კი — შორაპნამდე[1].

ძველი კოლხეთის დედაქალაქი სწორედ ამ სანაოსნო-სავაჭრო გზაზე, კერძოდ, ქვემო, ანუ ვაკე იმერეთის ტერიტორიაზე მდებარეობ უნდა ვივულისხმოთ. როგორც ვიცით, ეს მხარე (ყოველ შემთხვევაში, მისი ძირითადი ნაწილი) სხვადასხვა დროს ცნობილი იყო სახელწოდებებით: „მოხირისი“ („მუხირისი“), „სამოქალაქო“, „ქუთათისის ქვეყანა“.

უკანასკნელ დრომდე ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამდა აზრს არქეოპოლისისა (ციხე-გოჯი) და არგონაველთადროინდელი კოლხეთის დედაქალაქის აია—კუტაიას იგივეობის შესახებ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არქეოპოლისის 1930—1931 წლების არქეოლოგიური გათხრების მონაცემებმა არ დაადასტურეს ეს[2].

აშკამად, ვანის ბრწყინვალე არქეოლოგიურ აღმოჩენებთან დაკავშირებით, ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ არგონაველთა თქმულებაში მოხსენიებული კოლხეთის დედაქალაქი (აია—კუტაია), ახლანდელი ვანის ტერიტორიაზე ან მის მი-

---

[1] ძველად, კავკასიონზე მყინვარების მეტი რაოდენობისა და რიონის აუზში ხშირი მცენარეული საფარის არსებობის გამო, მდ. რიონი გაცლებით წყალუხვი, სტაბილურდინიანი და ნაოსნობისათვის გამოსადეგი იყო. მაშინ, მდ. რიონის შესართავში ზღვის ღრმა უბის („პონტოს უკიდურესი ყურე“) არსებობის გამო, ქუთაისი შავ ზღვასთან უფრო ახლოს იმყოფებოდა ტერიტორიულადაც (იხ. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, 1942, ტ. 23; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, 245—246; ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 19, № 3. 1957, 382; მისივე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 52; ვ. ზუბბაია, რას გვეუბნება საქართველოს მიწა. 1959, 127—128).

[2] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1948, 189.

დამოებში მდებარეობდა[1]. ბუნებრივია, ამან კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი ძველი კოლხეთის დედაქალაქის ადგილმდებარეობის ლოკალიზაციის საკითხისადმი. თუმცა, ვფიქრობთ, არც ეს მოსაზრება უნდა იყოს სწორი.

თავი რომ დავანებოთ ძველი კოლხეთის დედაქალაქის სახელწოდებას და არსებულ ტრადიციას, ერთი რამ სავსებით აშკარაა: როგორც აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის ბერძნული ტექსტიდან ჩანს[2], კოლხეთის დედაქალაქი მდინარე ფასისის (რიონის) მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. ხოლო ვანი და მისი მიდამოები როგორც ცნობილია, აღნიშნული მდინარის მარცხენა მხარეზეა მოთავსებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია ღადგენილი, არგონაველთა თქმულების უძველეს და უმრავლეს ვარიანტებში მოხსენიებული „აია“ ქალაქს კი არ გულისხმობს. არამედ მხარეს, ქვეყანას; იგი კოლხეთის უძველეს სახელადაა მიჩნეული[3].

ძვ. წ. III საუკუნიდან დაწყებული ელინისტური ხანის ავტორთა (ლიკოფრონ ქალკიდელი, კალიმაქე კვირენელი. აპოლონიოს როდოსელი და მისი კომენტატორები და სხვ.) ერთხმივი დამოწმებით ძველი კოლხეთის დედაქალაქად მიჩნეულია ქალაქი კუტაია (ქუთაია). არც ანტიკურ და არც ელინისტურ ეპოქაში არგონაველთადროინდელი კოლხეთის დედაქალაქად არსად და არავის მიერ სხვა სახელწოდების ქალაქი არაა მოხსენიებული. სახელთა სრული იდენტურობა კი ეჭვს

---

[1] იხ. ს. კაკაბაძე. უძველესი ქართული ქალაქი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959. № 5, 65—66; Н. Хоштария, Археологические раскопки в Вани. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, ტ. II, 1962. 75; ალ. ბოხოჩაძე, კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობის საკითხისათვის... საქ. მეცნ. აკად. მოამბე. XLV, № 2, 1967, 547—551; დ. კაპანაძე. გ. ლორთქიფანიძე, ანტიკური ხანის მონეტები ვანის ნაქალაქარიდან. ჟურნ. „ცისკარი“, 1967, № 8.

ვანისა და მისი მიდამოების სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა 1947 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება.

[2] იხ. Аполлоний Родосский, Аргонавтика, Перевод, введение и примечания Г. Ф. Церетели, Тб., 1964, 137.

[3] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., 6.

არ იწვევს: კუტაია (ქუთაია)[1] ქუთაისის უძველეს სახელწოდებას გულისხმობს და თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე ან მის ახლო მდებარედ ივარაუდება.

თუმცა არგონაველთა მითის უძველეს ვერსიებში კუტაია არსად არ იხსენიება, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სახელწოდება ძვ. წ. III საუკუნეზე დიდი ხნით ადრეც ყოფილა ცნობილი. „ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტეს (ძვ. წ. მე-5 ს.) მიერ მოხსენიებული კოლხეთის მეფის აიეტის შვილიშვილი (ფრიქსეს და ქალკიოპეს ვაჟი) კვიტისორე (კიტისორე) დაახლოებით იგივეს უნდა ნიშნავდეს, რასაც ქართულად „ქუთათელი"[2]. უფრო მეტიც: გადმოცემით, იგივე კიტისორე ძვ. წ. მე-7—6 საუკუნეების პოეტს ეპიმენიდესაც ჰყოლია მოხსენიებული თავის პოემაში „არგონავტიკა"[3].

აპ. როდოსელის მიხედვით, კოლხეთის მეფის აიეტის რეზიდენცია—„დიდი ქალაქი" კუტაია მდებარეობდა მდ. ფასისის ჭარჯვენა სანაპიროდან ოდნავ დაცილებით მდებარე ველზე. „არგონავტიკაში" კოლხეთის დედაქალაქიდან შედარებით ვრცლადაა აღწერილი „სამეფო" კარი—არქიტექტურულ ნაგებობათა დიდი და რთული კომპლექსი: თავისი სასახლეებით, გალავნით, ფართო ჭიშკრებით, მრავალი სვეტით, მაღალი ქვის კოშკით, ვაზის ტალავრით, მარად დაუშრეტელი შადრევნებით, სახალხო კრების ადგილით და სხვ.[4]. პოემაში უფრო მკრთალადაა ნაჩვენები ქალაქის დანარჩენი ნაწილი და მისი სანახები...

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ არგონაველთადროინდელი (ძვ. წ. მე-14 ს.) კოლხეთის დედაქალაქი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისი უნდა იყოს, ქალაქად

---

[1] ძველი ქუთაისის სახელი ბერძენ-რომაელ ავტორებთან ბევრი სხვა ფორმითაცაა ცნობილი. ზოგიერთ ცნობაში კუტაია მხარესაც აღნიშნავს, ისევე, როგორც აია სახელწოდების ქვეშ ზოგჯერ ქალაქიც იგულისხმება ხოლმე. ზოგიერთი ავტორი კუტაიას ძველ აიასთან აიგივებს; მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები გამონაკლისს შეადგენენ.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, 34—35.

[3] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., 25—26.

[4] იხ. ა. როდოსელი, არგონავტიკა, 82, 109, 116—117.

გამოვაცხადოთ. ამის საშუალებას არ იძლევა არც წერილობითი ძეგლები და არც არქეოლოგია[1].

ზოგი მკვლევარი, მხედველობაში იღებს რა იმას, რომ ძვ. წ. მე-6 საუკუნისათვის კოლხეთის სამეფო უკვე წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით, სამართლიანად ასკვნის, რომ „ქუთაისი, როგორც ქალაქი, ძვ. წ. მე-6 საუკუნიდან მაინც უნდა არსებობდეს"[2].

ქალაქი, როგორც ცნობილია, სოციალურ-ეკონომიური, ისტორიული კატეგორიაა. იგი, პირველ რიგში, ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს. ქალაქი წარმოიშვა მაშინ, როდესაც მოხდა შრომის მეორე დიდი დანაწილება და ხელოსნობა მიწათმოქმედებას გამოეყო. ვონათმფლობელური ქალაქი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ღვიძლი შვილია. უკანასკნელ დროს ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა დებულება იმის შესახებ, რომ ისტორიული საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დასრულებული კლასობრივი საზოგადოება და სრული სახელმწიფოებრივი გაერთიანება—კოლხეთის (ეგრისის) ადრეკლასობრივი სახელმწიფოს სახით, წარმოიშვა ძვ. წ. მე-6 საუკუნის შუა ხანებში. როგორც ფიქრობენ, აღნიშნული სამეფოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრს ქალაქი ქუთაისი წარმოადგენდა. ცხადია, ქუთაისსა და მის მიდამოებში, როგორც კოლხეთის გულში, ქვეყნის სხვა ნაწილებზე გაცილებით ადრე (ძვ. წ. მე-6 ს-ის შუა ხანებ-

---

[1] ქართული კულტურის მესვეურთა არაერთგზის მოწოდებისა და ცალკეული ცდების მიუხედავად, ქუთაისის გეგმაზომიერი და თანმიმდევრული არქეოლოგიური შესწავლა 1963 წლამდე არ დაწყებულა. 1963—1965 წლებში ქ. ქუთაისსა და მის მიდამოებში („ქუთაისის ქვეყანა", ანუ „ქუთაისის სამოქალაქო") საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ისტ. მეცნ. დოქტორი ო. ლორთქიფანიძე) ფართო სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა. მიღწეულ იქნა პირველი წარმატებებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას, უკვე მეორე წელია მუშაობა ადარ განუახლებია

[2] ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, 37.

ზე უწინარეს) მოხდებოდა კლასობრივი საზოგადოების საბოლოო ფორმირება და მისი ქალაქად ჩამოყალიბება.

როგორც გამორკვეულია, კოლხეთის სამეფოზე ადრე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილში არსებობდა ამ სახელმწიფოს წინამორბედი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება კოლხა (კულხა), რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. მე-8 საუკუნის შუა ხანებში თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. კოლხა, აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, გასახელმწიფოებრიობის მიჯნაზე მდგარ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, რომ იგი ამ პერიოდში მდ. რიონის მეტად ნაყოფიერ ხეობასაც (ქუთაისის ქვეყნითურთ) მოიცავდა, სადაც საქალქო ცხოვრების წარმოშობა-განვითარებისათვის საუკეთესო პირობები არსებობდა.

1963 წელს გაბაშვილის გორაზე (ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორია) აღმოჩენილ იქნა ძვ. წ. მე-8—7 საუკუნეების ვრცელი ნამოსახლარისა და სახელოსნოს ნაშთები. ხოლო, ამ უძველესი ნამოსახლარის ბაზაზე აღმოცენებული ადრეანტიკური ხანის დასახლების ნაშთებს ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1964 წელს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მიაკვლია[1].

მართალია, უძველესი ქალაქური დასახლების უტყუარი ნიშნები ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან (ჯერჯერობით, უმთავრესად თეორიული მოსაზრებებიდან) გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქუთაისი, როგორც ქალაქი, წარმოიშვა ძვ. წ. მე-8—6 საუკუნეებს შორის.

რაც შეეხება ქუთაისის ისტორიის ძვ. წ. მე-8 საუკუნის უწინარეს პერიოდს, იგი უნდა მივაკუთვნოთ გვაროვნული საზოგადოების უკანასკნელ საფეხურს, ე. წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ხანას, რომელიც დასავლურ-ქართული ტომების ცხოვრებაში ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან იწ-

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 41—44; ქუთაისის სახელმწიფო ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის მესამე სამეცნიერო სესია (თეზისები), 1963, 5—8; ამავე მუზეუმის 1966 წლის სამეც. სესიის თეზისები, 12—13 და სხვ.

ყება. იგი გვაროვნული საზოგადოების განვითარების უმაღლესი და უკანასკნელი საფეხურია და წარმოადგენს პირველყოფილ-თემური წყობილებიდან კლასობრივ წყობილებაზე გარდამავალ პერიოდს. „სამხედრო დემოკრატიის“ ხანა ქართველური ტომებისათვის ადრემონათმფლობელური საზოგადოების წინადღეა. ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა დასავლურ-ქართული ტომების კონსოლიდაციის პროცესი, რაც ტომთა მსხვილი გაერთიანებებისა და ვრცელ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი, მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურული წრის (ე. წ. „კოლხური კულტურა“) ჩამოყალიბებაში გამოიხატა. სწორედ ამ კულტურის შემქმნელ და მატარებელ კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა უნდა არეკლილიყო აიეტის ქვეყნის შესახებ არსებული ბერძნული თქმულებების თავდაპირველ ვერსიებში[1].

ამ ხანაში ფართო გავრცელებას პოულობს გამაგრებული დასახლებული პუნქტები, სამხედრო-სტრატეგიული ცენტრები, ე. წ. „ციკლოპური ციხე-ქალაქები“ (ქართულად— „გმირთ-ნაკვეთი“). ალბათ, ერთ-ერთ ასეთ ქალაქს, ტომის (თუ ტომების) ბელადის რეზიდენციას წარმოადგენდა იმ ხანებში ქუთაისი.

როგორც ცნობილია, კოლხეთის (ეგრისის) დიდი ადრემონათმფლობელური სახელმწიფო (ძვ. წ. მე-6—2 სს.) თავდადებული ბრძოლების შედეგად სპარსეთის მსოფლიო იმპერიის მხრივ დამონების საფრთხეს გადაურჩა. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისისათვის კოლხეთის უმეტესი ნაწილი ახლადწარმოქმნილი იბერიის (ქართლის) სამეფოს გავლენის არეში მოექცა[2]. ძვ. წ. II—I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთის სამეფო მითრიდატიდების პონტოს ძლიერი სახელმწიფოს ნადავლი გახდა. ძვ. წ. 65 წელს ლიხთ-იმერეთის მხარეს ახალი, მრისხანე დამპყრობლები—რომაელები მოევლინენ.

ცახდია, ასეთი არახელსაყრელი პირობების გამო ძველი კოლხეთის დედაქალაქის, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი ცენტრის, როლი თანდათან დაეცა. დასავლეთ საქართველოს

---

[1] ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., 20—21.

[2] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, 41.

პოლიტიკურმა ცენტრმა ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით —მდ. ტეხურის ხეობაში გადაინაცვლა. ახ. წ. მე-4 საუკუნის დასასრულისათვის ძველი კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე ლაზეთის (ახალ-ეგრისის) ადრეფეოდალური სახელმწიფო აღმოცენდა, რომლის პოლიტიკურ ცენტრს არქეოპოლისი (ციხე-გოჯი) წარმოადგენდა.

* * *

ლაზეთის (ეგრისის) ადრეფეოდალური სახელმწიფო (მე-4—7 სს.), რომლის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქუთაისი[1], თავდაპირველად აღმოსავლეთ რომის იმპერიაზე (ბიზანტია) ვასალურად დამოკიდებულ სამეფოდ ითვლებოდა. მაგრამ მალე ეგრისის აღმოსავლეთ საზღვრებთან მეორე დიდი მტაცებელი— სპარსეთის იმპერია გამოჩნდა. სპარსელებმა, დაიმორჩილეს რა ლიხთ-ამერეთი, ახლა თავიანთი ხარბი თვალი მდიდარ ლიხთ-იმერეთს დაადგეს. მე-6 საუკუნეში მსოფლიო მნიშვნელობის ეს ორი პოლიტიკური ძალა ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს. დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ომის არენად გადაიქცა ქუთაისიც (და მისი მიდამოები), რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ქართველი ხალხი გმირულად იბრძოდა მომხდურთა წინააღმდეგ.

ამ პერიოდის ლაზეთისა და ბერძენ-სპარსელთა ომიანობის შესახებ ვრცელ ცნობებს გვაწვდის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (მე-5—6 სს.). იგი, სრულიად აშკარად, იცავს რა არსებულ ტრადიციას, წერს:

„ამ მხარეს [მოხირისი] ჩამოუდის მდინარე, სახელად რეონი, რომლის [სანაპიროსთან] კოლხებს ძველად აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათვე მეტწილად მიწასთან გაუს-

---

[1] პროფ. შ. მესხია მე-6 საუკუნის ადრეფეოდალური ხანის ქუთაისს ეგრისის სამეფოს უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქად მიიჩნევს. Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.), 1959, 31—32.

წორებიათ. რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და, მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს, ელინთა ენით, კ ო ტ ი ა ი ო ნ ს უწოდებდნენ, ახლა კი ლაზები მას ქუთათისს ეძახიან,... სხვები კი ამბობენ, ძველ ხანებში ეს ადგილი ქალაქი იყო და კოჟტაიონი ეწოდებოდაო. აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კოჟტაიელს, ხოლო კოლხეთის ქვეყანას კი კოჟტაიტისს ეძახდნენ"[1].

პროკოპი კესარიელის სხვა ცნობებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის მახლობლად ლაზებს აგებული ჰქონიათ ერთი „მეტად მაგარი", დიდი ციხე-სიმაგრე—უქიმერიონი, რომელიც კავანეთისა და ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებს იცავდა[2].

ქუთაისის შესახებ თითქმის ასეთსავე ცნობებს გვაწვდის ბიზანტიელი ისტორიკოსი—აგათია სქოლასტიკოსიც (536—582 წწ.)[3].

მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა (ხშირი ომიანობა), ამ პერიოდის ციხე-ქალაქი ქუთაისი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრთაგანი იყო დასავლეთ საქართველოში[4].

მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ახალი, ძლიერი მტრები—არაბები მოევლინენ. ამ საუკუნის დასასრულს ისინი ლიხთ-იმერეთშიაც გადავიდნენ. ეგრისისათვის (და საერთოდ — საქართველოსათვის) განსაკუთრებით მძიმე იყო არაბთა სარდლის მურვან ყრუს 736—738 წლების სისხლიან ლაშქრობათა შედეგები. ქვეყნის დედაქალაქი ციხე-გოჯი ნანგრევებად იქცა. მურვანის ლაშქრობას შეეწირა ქუთაისის მახლობლად მდებარე, ციხე-ქალაქად წოდებული მოწამეთა. აოხრებული იქნა მეზობელი არგვეთის სამთავროს

---

[1] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 474; შდრ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, II შეესებული გამოცემა, 1965, 194—195.

[2] უქიმერიონის ციხე-სიმაგრის ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხზე მკვლევართა შორის დღესაც აზრთა დიდი სხვადასხვაობაა.

[3] იხ. გეორგიკა, ტ. 3, 30, 41, 54, 123, 153.

[4] საქართველოს ისტორია, დამხ. სახელ., ტ. I, 1958, 110.

მიწა-წყალი. როგორც ჩანს, მტერს ამ დროს ხელში ჩაუგ-
დია ქუთაისიც[1].

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ გმირული წინააღმ-
დეგობა გაუწია დამპყრობლებს. მათ მამაცური ბრძოლის იშ-
ვიათი მაგალითები აჩვენეს, მაგრამ მაინც დამარცხდ-
ნენ. ტყვედ ჩავარდნილი ისტორიული არგვეთის ლეგენ-
დარული მთავრების—დავით და კონსტანტინე მხეიძეების სი-
კვდილით დასჯის საჩვენებელი პროცესი არაბებმა ქუთაისში
მოაწყვეს[2].

მე-8 საუკუნის შუა ხანებში არაბთა ბატონობას დასავლეთ
საქართველოში ბოლო მოეღო. ახლა თავი კვლავ ძველმა
„პატრონმა" — ბიზანტიამ წამოყო. ამიერიდან ბიზანტიაზე
პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება და
ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მთავარი ამოცანა
გახდა.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და უცხოელთა
უღლის გადაგდების ისტორიული ამოცანა მე-8 საუკუნის
უკანასკნელ მეოთხედში წარმატებით იქნა გადაჭრილი. აფხა-
ზეთის მთავრის ლეონ II-ის მოთავეობით ახალი, დიდი სა-
ხელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეიქმნა. იგი თავის საზღვ-
რებში მთელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს მოიცავდა.
ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად ქუთაისი იქნა გამოცხა-
დებული[3].

ქალაქი აღორძინებისა და სწრაფი განვითარების ეზას და-
ადგა. მეფე ლეონ II-მ ქუთაისში ააგო ციხე-სიმაგრე, სამ-
ეფო სასახლე, ხიდი, საქალაქო, საკულტო და სტრატეგიულ

---

[1] ქუთაისი („ქუთათისი") ქართულ წყაროში (ჯუანშერი — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა") პირველად დასავლეთ საქართველოში მურვანის ლაშქრობის (736—738 წწ.) ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით არის მოხსენიებული: იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, 236 16

[2] ვ. ჩაკვეტაძე, ~~დასახ. ნაშრომი, 66~~

[3] დასავლეთ ~~საქართველოს~~ ~~ფეოდალური~~ სახელმწიფოს ~~დედაქალაქად~~ ქუთაისის გამოცხადებისა და ლეონ II-ის მეფედ კურთხევის ზუსტი თა-ریღი დადგენილი არ არის. მკვლევართა დიდი ნაწილის (მარი ბროსუ-დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი) აზრით, ეს ისტორიული აქტი 786 წელს უნდა მომხდარიყო.

ნაგებობათა მთელი კომპლექსი. როგორც სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს, მან „აღაშენა ქუთათისი ქალაქი“[1].

ქუთაისის ციხე აგებული იყო მდ. რიონის მარჯვენა ნაპირას, უქიმერიონის კლდოვან მთაზე, იქ, სადაც უფრო ადრე ამავე სახელწოდების დიდი ციხე-სიმაგრე არსებობდა. იგი ქვიტკირის დიდსა და მტკიცე ნაგებობას წარმოადგენდა. რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლიევის (მე-17 საუკუნის შუა ხანები) ცნობით, ქუთაისის ციხის კედლების სიმაღლე ათ, ხოლო სისქე ერთ საჟენს უდრიდა[2]. ციხეს ქვის მრავალი მაღალი კოშკი და ბურჯი ჰქონდა (ერთ-ერთ კოშკში მოთავსებული იყო საშეფო საჭურჭლე). ქალაქის მთავარ ციტადელს თან ახლდა დამხმარე ნაგებობანი. მას გააჩნდა საიდუმლო გზაგვირაბი და წყალგაყვანილობანი, საიდანაც ციხე თითქმის შეუფერხებლად მარაგდებოდა წყლით[3].

ლეონ მეორის დროს უნდა იყოს აგებული ქალაქის გალავანი (ზღუდე) და მეფის სასახლე[4]. ამავე, მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მდ. რიონზე ქვის საფუძვლებზე კაპიტალურად ნაგები ხიდიც მოქმედებდა. როგორც ფიქრობენ, ეს ხიდი ახლანდელი „ჯაჭვის ხიდს“ ზემოთ მდებარეობდა.

ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადებამ, აქ ბიძგი მისცა საეკლესიო ნაგებობათა ფართო მშენებლობას. სულ მალე ვარდციხის (როდოპოლისი) საეპისკოპოსო კათედრა ქუთაისში იქნა გადმოტანილი.

ფეოდალურად განახლებული ქუთაისი კულტურულადაც

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913, 271.

[2] Посольства стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650—1652 гг., Документы издал и введением снабдил М. Полиевктов, Тифлис, 1926, 80—81.

[3] 1770 წელს, თურქ-ოსმალთა ერთსაუკუნოვანი ბატონობისაგან' ახლადგანთავისუფლებული ქუთაისის ციხე და მასთან ერთად ქალაქის გალავანიც, იმის შიშით, რომ ის მტერს კვლავ ხელში არ ჩავარდნოდა, აფეთქებინა იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა.

[4] აღნიშნული სასახლე დანგრეულ იქნა 1770 წელს, მაშინ, როდესაც მეფე სოლომონ პირველი და გენერალი ტოტლებენი მწვანეყვავილადან არტილერიის ცეცხლს უშენდნენ ციხეში მოკალათებულ თურქ დამპყრობლებს (იხ. ვ. ჩაკვეტაძე, დასახ. ნაშრ., 84—85).

დაწინაურდა. ამ სამეფოს არსებობის ხანაში (მე-8—10 სს.) ქუთაისი სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლას.

მე-10 საუკუნიდან საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში შევიდა. აქედან გამომდინარე, ფეოდალურად დაქუცმაცებული საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების დაუძლეველმა ტენდენციამ იჩინა თავი.

დიდია ქუთაისის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული საერთო-ეროვნული ბრძოლის საქმეში. ქუთაისი იყო, აგრეთვე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საქართველოს დაქსაქსული ძალების ერთ-ერთი დამრაზმავი და წარმმართველი ცენტრი.

978 წელს ქართველმა პატრიოტებმა, მეფე დავით კურაპალატის შვილობილი, მცირეწლოვანი ბაგრატ გურგენის ძე ქუთაისში ჩაიყვანეს და „დალოცეს მეფედ"[1]. ქუთაისში ბაგრატ III ბაგრატიონის გამეფებით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებას და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას. ეს იყო რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა.

ფეოდალური ქუთაისის ცხოვრებაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ეს პერიოდი თითქმის საუკუნენახევრის (978 — 1122 წწ.) განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ქუთაისი ღირსეულად მოთავეობდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ხასიათის საერთო-ქართულ ღონისძიებებს.

ბუნებრივია, ამ პერიოდის ქუთაისი ეკონომიურად და კულტურულად თვალსაჩინოდ დაწინაურდა. ქალაქი ტერიტორიულად კიდევ უფრო გაიზარდა და მოსახლეობის რიცხვმაც საგრძნობლად იმატა. შეიცვალა ქალაქის გარეგნული სახე.

მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე ქუთაისში, უქიმერიონის მთაზე, ქალაქის ციხე-სიმაგრის დასავლეთით, აგებულ იქნა ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების სიამაყე — ქუთაისის კათედრალი (ბაგრატის ტაძარი). გაერთიანებული

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 275$_{16-17}$



ბაგრატის ტაძარი (XI ს.)

საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის თაოსნობით აშენებულ ტაძარს თავისი გრანდიოზულობით, არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტითა და ორიგინალური სტილით აღტაცებაში მოჰყავდა მხილველი. იგი, ძირითადად, 1003 წელს იქნა დასრულებული.

ძველი ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მეფე ბაგრატ III-მ „აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხვათა ყოველთა სახელმწიფოთანი"[1].

ქუთაისში, მე-11 საუკუნის დასაწყისშივე (1013 წ.), უქიმერიონის მთის პირისპირ მდებარე ისტორიული მწვანეყვავი-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 181₈-₁₂. ქუთაისის ტაძარი, გელათთან ერთად, 1510 წელს დაწვეს თურქ-ოსმალებმა. 1691 წელს თურქებმა უკვე საბოლოოდ „შემუსრეს" იგი. ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები.

ლას ბუნებრივად დაცული გორაკის დასავლეთ კონცხზე, აგებულ იქნა პატარა უგუმბათო (ბაზილიკური) ტიპის ეკლესია. ცხადია, აქვე, და ქალაქის სხვა ადგილებშიაც, შენდებოდა სხვადასხვა დანიშნულებისა და მასშტაბის ნაგებობანი.

საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი ამ პერიოდში თავისი აღმავლობის გზაზე დროებით შეფერხებებსაც განიცდიდა. ეს, უმთავრესად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების გართულებით იყო გამოწვეული. 1073 წელს დიდგვარიანი აზნაური ნიანია ქვაბულის ძე გადაუდგა მეფე გიორგი II-ს და სამეფო ქალაქი ქუთაისი და სახელმწიფო საჭურჭელეც (ხაზინა) ხელში ჩაიგდო. საშინაო აშლილობას მალე სავარეო საფრთხის მკვეთრი გამწვავება თან მოჰყვა. 1080 წელს საქართველოში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა“: „მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრნი ყოველი“[1]. თურქებით აივსო საქართველოს პროვინციები, მათ შორის სამოქალქოც. სწორედ ამ დროს დაწვეს თურქებმა ქალაქი ქუთაისი.

მიუხედავად ამისა, აღორძინების გზაზე შემდგარი ქვეყნისა და მისი პოლიტიკური ცენტრის საერთო წინსვლა არ შეჩერებულა. დღის წესრიგში ახალი ძალით დადგა საქართველოს გაერთიანების დასრულებისა და სრული დამოუკიდებლობის საბოლოოდ მოპოვების აუცილებლობა.

ამ დიდი ეროვნული ამოცანის წარმატებით დაგვირგვინება წილად ხვდა ძველი საქართველოს ყველაზე დიდ სახელმწიფო და საჰხედრო მოღვაწეს—მეფე დავით აღმაშენებელს (1089—1125 წწ.), რომელიც 16 წლის ასაკში ქუთაისში საქართველოს მეფედ გამოაცხადეს. არ დარჩენილა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელსაც „აღმაშენებელი“ ხელმწიფის მტკიცე ხელი არ შეხებოდა. ქვეყნის დედაქალაქი—ქუთაისი და მეფე დავითი წარმატებით მოთავეობდნენ საერთო-ეროვნულ ღონისძიებებს.

1106 წელს დავით აღმაშენებლის ინიციატივით, ქუთაისის მახლობლად, გელათში, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“[2] დაიწყო დიდი მონასტრის მშენებლობა.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 319₁₈-₂₀.
[2] იქვე, 329



გელათის მონასტერი (XII ს.)

სულ მალე გელათის მონასტერთან დაარსებულ იქნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება — აკადემია[1]. მას თავისი ხელმძღვანელი, მოძღვართ-მოძღვარი, ანუ რექტორი პყავდა, რომელიც სახელმწიფოში უდიდესი გავლენით სარგებლობდა. გელათში მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მოაზროვნეები — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. აქ შეიქმნა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრი შედევრი. გელათის აკადემია საქართველოში რენესანსის (ჰუმანიზმის) იდეოლოგიური ცენტრი გახდა[2]. იგი მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი ქართული ოქროქედური ხელოვნების განვითარების მაღალი დონით. მეფე დავითმა აქვე ააშენებინა სამკურნალო დაწესებულება—ქსენონი (სასნეულო სახლი). ყველა ამ ღონის-

[1] სპეციალისტთა აზრით, გელათის ღვთისმშობლის მთავარი ტაძრის მშენებლობა 1106—1126 წლებში მიმდინარეობდა, ხოლო გელათის აკადემიის დაარსების თარიღად 1106—1110 წლები მიიჩნიათ.

[2] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, 433.

ძიებამ გელათი აქცია „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად“ და „სხუად ათინად“[1].

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, გელათის დიდებული არქიტექტურული ანსამბლის გარდა, ქუთაისსა და მის მიდამოებში აიგო მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც. ამ პერიოდის ქუთაისში ქართული ფულიც იჭრებოდა.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო ქალაქი თბილისი და „დაუმკჳიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად ოჳსად საუკუნოდ“[2]. სამეფო ტახტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა სავსებით შეესაბამებოდა ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს. საქართველოს ეროვნული დედაქალაქი თბილისი, დღიდან დაარსებისა, ქართველ ხალხს ამ საპატიო მოვალეობის (დედაქალაქობა) ერთადერთ შემსრულებლად მიაჩნდა. ამასთან, ძლიერი საქართველო უცხოელ დამპყრობთაგან უკვე კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებლის როლში გამოსვლას აპირებდა და, ცხადია, კავკასიის ცენტრადაც ყველაზე უფრო შესაფერისი თბილისი ჩანდა.

საქართველოს სახელმწიფომ მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში ძირითადად დაასრულა ქართული მიწა-წყლის გაერთიანება და უცხოელთა ყოველგვარი გავლენისაგან განთავისუფლდა. მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში საქართველომ თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი კავკასიის, მცირე აზიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთის მეტად ვრცელი ტერიტორიები. საქართველოს სამეფო წინა აზიის გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალად და მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ქუთაისს არც ამ პერიოდში დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა. იგი საქართველოს მეორე სატახტო ქალაქად რჩებოდა (აქ იყო სამეფო ტახტიც). ქუთაისი, თბილისის

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 330_{16}—331_{1}. გელათის აკადემია, რომელიც ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მოქმედებდა, არსებობას წყვეტს მე-16 საუკუნის ოცდაათ წლებში. გელათი 1510 წელს თურქ-ოსმალებმა, ხოლო 1759 წელს ლეკებმა გადაწვეს. მიუხედავად ამისა, მან ძირითადად მაინც შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 342_{18-20}



სამეფო სასახლე გეგუთში (XII ს.)

შემდეგ, მცხეთასთან ერთად, ერთადერთი ქართული ქალაქი იყო, რომელიც საფეოდალოდ არ გაიცემოდა. იგი მეფის დომენს წარმოადგენდა.

სოციალურ-ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებულ ქუთაისსა და მის მიდამოებში კვლავ წარმოებდა დიდი მშენებლობანი. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი III-ის მეფობის პირველ ხანებში ქუთაისის მახლობლად, გეგუთში, აშენებული დიდი სამეფო სასახლე—„ციხე-დარბაზი"[1]. იგი საქართველოს მეფეთა ზამთრის სასახლეს, დასვენებისა და ნადირობის ადგილს წარმოადგენდა.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებამ აყვავების მწვერვალს მე-13 საუკუნის პირველ ორ ათეულ წელში მიაღწია. აქ სახელმწიფო საქმეების „განსაგებად" და დასასვენებლად ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოს მეფეთ-მეფენი.

---

[1] ვ. ჩაკვეტაძე. გეგუთი (ციხე-დარბაზი), 1958, 44. გეგუთის სასახლე გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში დაინგრა.

მე-13 საუკუნის 20-იანი წლებიდან ფეოდალურად ზრდადასრულებული, შინაგან სიმტკიცეს მოკლებული საქართველო განვითარების კრიზისულ ხანაში შევიდა. ამას თან დაერთო საგარეო საფრთხის უკიდურესად გამწვავება. პოლიტიკურ ასპარეზზე ბარბაროსი დამპყრობლები — მონღოლ-თათრები გამოჩნდნენ.

1225 წელს ჩვენს ქვეყანას მონღოლთა მიერ გზააბნეული ხვარაზმის შაჰი—ჯალალ-ედინი მოადგა. ქართველმა ლაშქარმა საბედისწერო დამარცხება განიცადა. ეტერი თბილისი-საკენ გამოემართა. სამეფო ხელისუფლება ქუთაისში გადავიდა და იქიდან შეეცადა მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზებას.

1235 წელს საქართველოს ახალი დამპყრობლები — მონღოლები შემოესივნენ.

მონღოლ-დამპყრობთა ბატონობას ქართველი ხალხი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში საქართველოს დაქსაქსული ძალები გადამწყვეტ წარმატებებს ვერ აღწევდნენ. 1259 წელს აჯანყებული მეფე დავით მეხუთე (ნარინი) მონღოლებთან სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ იძულებული შეიქმნა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. დავით რუსუდანის ძე სრულიად ლიხთ-იმერეთის მთავრებმა ქუთაისში „მეფედ ყვეს“ „ვიდრე ლიხთამდე“[1].

აქედან მოყოლებული, ერთხანს, დასავლეთ საქართველო, ფაქტიურად, ცალკე დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, რომელსაც დავით რუსუდანის ძე და მისი მემკვიდრეები განაგებდნენ (1260—1329 წწ.)

დავით ნარინის მებრძოლი, ანტიმონღოლური პოლიტიკით განრისხებულმა ყაენმა მის წინააღმდეგ 30-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა. მტრის ჯარს მეგზურობდა სამშობლოს მოღალატე კახაბერ კახაბერის ძე—რაჟის ერისთავთ-ერისთავი. მონღოლებმა მოულოდნელად „გარდავლეს მთა

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, 229₁₀₋₁₁. დავით რუსუდანის ძე ჯერ კიდევ სრულიად მცირეწლოვანი იყო, როდესაც ქუთაისში შეხიზნულმა რუსუდანმა 1230 წლის ახლო ხანებში საქართველოს მეფედ (უფრო სწორად—თანამოსაყდრედ) აკურთხებინა.

ლიხისა, და ზედა დაესხნეს ქუთათისს აბანოსა შინა მყოფსა მეფესა". დავით რუსუდანის ძე მათ ვერ შეიპყრეს, ის „ძლით შეესწრა ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო იელტოდა". მაგრამ „თათართა მოაოჯრეს ეკლესიანი, და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა და ტყუე იქმნა"[1].

ამ ლაშქრობიდან მესამე წელს მტერი დასავლეთ საქართველოში კვლავ გადავიდა, მაგრამ ამჯერად მეფე დავითი მხნედ დაუხვდა მომხდურებს. მონღოლები კვლავ ხელცარიელნი უკან გაბრუნდნენ.

აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, მონღოლთა ეს ლაშქრობა 1270—1277 წლებს შორის უნდა მომხდარიყო[2].

„დიდი თურქობის" (1080 წ.) შემდეგ, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, ქუთაისმა არ იცოდა, რა იყო მტრის შემოსევა. მე-13 საუკუნის 70-იანი წლებიდან, მონღოლთა მიერ ქალაქის აოხრებისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების შედეგად, ქალაქის ისტორიაში დაცემის ხანგრძლივი პერიოდი დადგა.

1329 წელს მეფე გიორგი მეხუთე ბრწყინვალე (1314—1346 წწ.), ლიხთ-იმერეთის მეფის მიქელის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისში გადავიდა, დასავლეთ საქართველოში მეფობა გააუქმა და საქართველოს ერთიანობა კვლავ აღადგინა[3]. მაგრამ საქართველოს ერთიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-14—15 სს. მიჯნაზე ჩვენს სამშობლოს თემურ-ლენგი მოევლინა. სამარყანდელი ხეიბრის სისხლიან ლაშქრობებს საქართველოსათვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა

1403 წელს თემურის მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოს მერვედ შემოესია. მტერი ამჯერად ლიხთ-იმერეთშიაც შეიჭრა. დამპყრობლებმა ქუთაისამდე ყველაფერი ნაცარტუტად აქციეს და მოსახლეობა მასობრივად გაჟლიტეს. ეცხოელ მწერალთა ცნობებით, ამ დროს დასავლეთ საქართველოში 700-ზე მეტი სოფელი იქნა მოსპობილი. მიუხედავად

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 269₇₋₈

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე. 1966, 204; იხ. აგრეთვე დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (მე-13—14 სს.), 1962, 290—292.

[3] გაერთიანებული საქართველოს მეფეები ხშირად იმყოფებოდნენ ქუთაისში. ზოგი მათგანი მეფედაც აქ აკურთხეს.

ასეთი „დიდი წარმატებისა", კონკრეტულად ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ქალაქ ქუთაისს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობელი ვერ დაუფლებია.

თემურის ჩვიდმეტწლიანმა თარეშმა საქართველოს აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა. ეკონომიურად და კულტურულად განადგურებულმა ქვეყანამ მძიმე პოლიტიკური მარცხიც განიცადა. კავკასიის მოძმე ქვეყნები საქართველომ საბოლოოდ დაკარგა და მოზღვავებული მომთაბარული ოკეანის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მალე ახალმა საფრთხემ იჩინა თავი.

1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა—ბიზანტია დედამიწის პირისაგან აღგავეს. აზიის, ევროპისა და აფრიკის თვალუწვდენელ სივრცეებზე გადაჭიმულმა ოსმალეთის ძლიერმა იმპერიამ საქართველო გარე კულტურულ სამყაროს მოსწყვიტა. საქართველოს დაუძლურებული სახელმწიფოს სასოწარკვეთილი ცდა—გაერღვია მაჰმადიანური გარემოცვა, მარცხით დამთავრდა. ამას თან დაერთო შინაური რეაქციის ახალი შემოტევა. დიდგვარიანი აზნაურები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაებნენ. „ქართული ფეოდალური საზოგადოება ჩიხში მოემწყვრა... მოიშალა ის ეკონომიური საფუძველი, რომელზედაც ფეოდალური საქართველოს ერთიანობა იყო დამყარებული"[1].

მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ყოველმხრივ ალყაშემორტყმული, აღმოსავლეთის ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოს—საქართველოს მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება მუდმივ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეს.

მე-15 საუკუნის დასასრულისათვის ერთიანი საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად („საქართველოებად") დაიშალა.

იმერეთის გვიანფეოდალური სამეფო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად მე-15 საუკუნის 80-იან წლებში (საბოლოოდ—1489 წ.) ჩამოყალიბდა. მის სატახტო ქალაქს ქუთა-

[1] საქართველოს ისტორია, სახელმძ., 1960, 151.

ისი წარმოადგენდა. „ამნაირად, საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა"[1].

იმერეთის სამეფო თავდაპირველად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს ჩამოსცილდნენ და ფაქტიურად დამოუკიდებლობა მოიპოვეს სამეგრელოს (მასთან დაკავშირებული აფხაზეთით) და გურიის (ქვემო აჭარით) სამთავროებმა. ამის შემდეგ იმერეთის ბაგრატიონების ძალაუფლება, საკუთრივ იმერეთს გარდა, ვრცელდებოდა რაჭასა, ლეჩხუმსა და სვანეთზე. მალე ეს ორი უკანასკნელიც ჩამოშორდა მას. იმერეთის სამეფო (იმერეთი-რაჭა) თავის მხრივ ცალკეულ, ნახევრადდამოკიდებულ ერთეულებად—სათავადოებად იყოფოდა.

პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად ქვეყნის დაცემამ გამოიწვია ის, რომ ქუთაისის საქალაქო ცხოვრება სწრაფი დაქვეითების გზას დაადგა. იტალიელი მოგზაური ამბროზიო კონტარინი, რომელმაც ქუთაისი 1474 წელს მოინახულა, მას „პატარა ქალაქს" უწოდებს.

ქუთაისის სწრაფი დაცემა-დაქვეითება, მნიშვნელოვანწილად, ქალაქის ხშირი გადაწვა-აოხრებით იყო გამოწვეული.

1510 წელს თურქ-ოსმალთა დიდი ლაშქარი სულტანის მემკვიდრე სელიმის მეთაურობით იმერეთში შემოიჭრა. ეს იყო ოსმალთა პირველი გამოჩენა დასავლეთ საქართველოში[2]. თურქებმა მოულოდნელი თავდასხმის წყალობით, ქუთაისის დიდი ნაწილი აიღეს და გადაწვეს (მათ შორის ბაგრატის ტაძარი და გელათიც). მტერმა ქუთაისის ციხე-სიმაგრის აღება ვერ შეძლო და აურაცხელი ტყვითა და ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ამასიის ზავის პირობების თანახმად, დასავლეთ საქართველო ოსმალთა გავლენის სფეროში მოექცა. მე-17 საუკუნის დამდეგს ყოველმხრივ შეეიწროებულმა იმერეთის მეფემ საოსმალო ხარკიც იკისრა.

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხ. სახელმძ., I, 1958, 263.

[2] დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (მე-15—17 სს.), 1965, 219.

იმერეთის მრავალტანჯულ დედაქალაქს რაც საგარეო მტრებმა „დააკლეს“, ის ბოლომოუღებელმა შინაფეოდალურმა ომებმა „მოუთავეს“.

ერთმანეთის მტრობით დაბრმავებულ მეფე-მთავრებს შორის დაუნდობელი, ძმათამკვლელი ომი მძვინვარებდა. ქუთაისი იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელი ბატონიშვილების, ქართლ-კახეთის მეფეებისა და სამეგრელო-გურიის მთავრების სათარეშო ობიექტი გახდა; იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. სულ საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ქალაქი სამხედრო ბანაკს მოგვაგონებდა. საომარი ოპერაციების დროს ქუთაისი რამდენჯერმე ნაწილობრივ ან მთლიანად დანგრეულ-გადამწვარ იქნა.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისისათვის შედარებით მშვიდობიანი ხანა დადგა. ამ დროს ქალაქში ისეთი დიდი მშენებლობანი იქნა განხორციელებული, რომელთა მსგავსი იმერეთის სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე სხვა დროს არ ჩატარებულა. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენციის ე. წ. „ოქროს ჩარდახისა“ და მისი არქიტექტურული ანსამბლის, მწვანეყვავილას ციხე-კოშკისა და მთავარანგელოსის ბაზილიკური ეკლესიის, კათოლიკური ეკლესიისა და სხვათა მშენებლობანი.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრება რამდენადმე გამოცოცხლდა. განახლდა ხელოსნობა და ვაჭრობა. რიონისპირა ქალაქი დასავლეთ ევროპის კათოლიკე-მისიონერთა მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად იქცა ახლო აღმოსავლეთში[1]. ქუთაისი ქართლ-კახეთ-მესხეთში დამარცხებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფარს წარმოადენდა, სადაც საქართველოს „კელავ აღდგომის“ გეგმები მუშავდებოდა.

ფეოდალური შინაომები განსაკუთრებით გაძლიერდა სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის დროს. იგი რამდენჯერმე

---

[1] მე-17 საუკუნის ქუთაისზე ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მისიონერები და მოგზაურები: პიეტრო დელა-ვალე, არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, ჟან შარდენი, ტავერნიე და სხვ.

დაესხა თავს იმერეთის დედაქალაქს; ქალაქი ქუთაისი „დავსწვით და ავაოხრეთო“,—ხშირად იკვეხნიდა დადიანი.

სამეგრელოს მთავრის მიერ დიდად შეავიწროებულმა იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ (1639—1660 წწ.) სატახტო ქალაქს ყოველი მხრიდან დიდი თხრილი შემოავლო და დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. 1651 წლის ივნისში ქუთაისს ესტუმრა რუსეთის ელჩობა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იეველიევის მეთაურობით. მათ ქალაქის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერა დაგვიტოვეს. მეგობარი ქვეყნის ელჩების ცნობით, მე-17 საუკუნის შუა წლების ქუთაისში, სამეფო ჯარის ნაწილებს გარდა, 1000 კომლი (დაახლოებით 5000 სული) ცხოვრობდა.

მე-17 საუკუნის შუა წლებიდან იმერეთი კვლავ ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. სამეფო ხელისუფლებამ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. მთავრები და თავადები დაუსჯელად პარპაშობდნენ. იმერეთის მეფის ტახტზე ვინმეს აყვანა ან დამხობა მათ „შინაურ საქმეს“ წარმოადგენდა. ქვეყნის გამანადგურებელი—ტყეეთა სყიდვის მძვინვარებამ და თურქთა ბოლომოუღებელმა თარეშმა იმერეთის სამეფო სრული კატასტროფის პირას მიიყვანეს.

1669 წელს სამეფოსა და მის სატახტო ქალაქს კიდევ უფრო საბედისწერო მომენტი დაუდგა. ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილის მიერ ჩადენილი ღალატის წყალობით თურქ-ოსმალებმა შესძლეს ქუთაისის ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება და ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნეს. ქუთაისის ციხის დაკარგვა ფაქტიურად თურქთა მიერ ქალაქის დაპყრობას უდრიდა. თურქთა ბატონობა ქუთაისში ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (1669—1770 წწ.) გრძელდებოდა. ეს პერიოდი მრავალ განსაცდელს გამოვლილი ქალაქის ისტორიაში ყველაზე უფრო მძიმე იყო. სწორედ ამ დროს, 1691 წელს, „იქმნა საქმე საგლოველი“—ახალი საუკუნეების ვანდალებმა ბაგრატის დიდებული ტაძარი საბოლოოდ „შემუსრეს“.

თურქებმა—„ყველაზე სასტიკმა ასიმილატორებმა“ ქუთაისის გამაჰმადიანება-გათურქება დაიწყეს. ქართველი მოსახლეობა ქალაქიდან თანდათან გაიხიზნა. შეწყდა კულტუ-

რული კავშირი გარე სამყაროსთან, დაქვეითდა ხელოსნობა, შეიზღუდა ვაჭრობა, ჩაკვდა ქალაქის მთელი სამეურნეო ცხოვრება[1].

მკითხველი აუღელვებლად ვერ გაეცნობა თურქთა საუკუნოვანი ბატონობისაგან ახლადგანთავისუფლებული ქუთაისის სავალალო სურათს, რომელსაც გაუზვიადებლად გვიხატავს გერმანელი მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1772 წ.). ქუთაისი ნანგრევებად იყო ქცეული... „საერთოდ, ქუთაისის შიგნით და გარეთ, მდინარის ორივე ნაპირას,—წერს გიულდენშტედტი,—ცხოვრობს 50-მდე.. ოჯახი"[2]. კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია!

იმერეთში გამეფებულ ანარქიას ენერგიულად შეებრძოლა მეფე სოლომონ პირველი (1752--1784 წწ.). მის დროს დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული მაჰმადიანობის გავრცელების, ტყვეთა სყიდვის, თავადური რეაქციისა და თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იმერეთის სამეფომ კვლავ აღადგინა თავისი ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, 1758 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირი იქნა დადებული. სოლომონ I მიზნად ისახავდა ძლიერი სამეფო ხელისუფლების შექმნას და თურქთა ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებას.

ისარგებლა რა რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომით, სოლომონ პირველმა შეძლო ქუთაისის ქალაქის განთავისუფლება და ქუთაისის ციხეში თავშეფარებულ ოსმალთა გარნიზონის ალყაში მოქცევა. 1770 წლის 6 აგვისტოს იმერეთის ლაშქარმა, რუსეთის ჯარის დახმარებით, ქუთაისის ციხე აიღო.

თურქთა საუკუნოვანი ბატონობისაგან განთავისუფლებული ქუთაისი აღმავლობის გზას დაადგა. ქალაქმა შენება იწყო, მოსახლეობამ იმატა, გაცხოველდა აფეხ-მიცემობა, კვლავ გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება.

---

[1] ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება), თბ., 1962, 84.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ბ. გელაშვილმა, 1962, 143.

ძრაკალი ცდის მიუხედავად, ამერეთ-იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ვერ მოხერხდა. მაგრამ ქვეყნის პატრიოტულმა ძალებმა იმას მაინც მიაღწიეს, რომ 1790 წელს, სოლომონ II-ის მეფობის დროს, ქართველ მეფეებსა და მთავრებს, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეთაურობით საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო კავშირი შეეკრათ.

ცხადია, ეს პროგრესულ ძალთა მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მაგრამ ასეთ კავშირს მაინც არ შეეძლო ქვეყნის შძიმე შინა წინააღმდეგობების დაძლევა და მტრული მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევა. საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებით უკიდურესად დაუძლურებული „საქართველოები" პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგნენ. ასეთ რთულ ვითარებაში, ერთადერთ გამოსავლად ერთმორწმუნე, ძლიერ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება, მისი მფარველობის ქვეშ შესვლა ჩანდა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულ იქნა და იგი რუსეთს შეუერთდა. ახლა რიგი სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებზე იდგა.

1804 წელს იმერეთის სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. ხოლო 1810 წელს, დიდი სახალხო აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმერეთის სამეფო საბოლოოდ იქნა გაუქმებული და ისიც რუსეთს შეუერთდა. აქ რუსული მმართველობა დამყარდა. 1811 წლიდან ქუთაისი ახლადშექმნილი იმერეთის ოლქის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა[1].

---

[1] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801—1840 წწ.), ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 8, 1940, 44—51.

ფეოდალურ ხანაში, სხვადასხვა დროს, ქუთაისის მიდამოებს („ქუთათისის ქვეყანა" ანუ „სამოქალაქო") ერისთავთ-ერისთავი, ხოლო თვით ქალაქს მეფის მოხელე—ამირა განაგებდა. მე-18 საუკუნეში ამირა „მოურავმა" შეცვალა (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკ. 30,144; დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, 206—207, 217, 220—221).

რუსეთთან შეერთებას, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. უკვე საბოლოოდ დაედო ზღვარი ქვეყნის გაშაჩანაგებელ შინა და საგარეო ომებს. იმერეთისა და ქუთაისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი, მშვიდობიანი განვითარების ხანა დაიწყო.

• • •

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან, ქუთაისი შესამჩნევად გამოცოცხლდა. ამ დროს ქალაქში დაახლოებით 1.600 მცხოვრები ითვლებოდა. ისინი ძირითადად (უმთავრესად—ქართველები) რიონის მარჯვენა ნაპირას, უქიმერიონის მაღლობზე (ძველი ციხისა და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მიდამოებში) ცხოვრობდნენ. მდინარის მარცხენა ნაპირას, მწვანეყვავილას ძირში, ესახლნენ ებრაელები, უფრო ქვეით, რიონის ნაპირზე — კათოლიკები, მათგან მოშორებით, ტყის პირას — სომხები[1]. მაშინ ყველაზე მსხვილი ვაჭრები ქუთაისში სომხები იყვნენ.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყანა ბატონყმური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის პერიოდში შევიდა. ამ ხანის ქუთაისზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ფრანგი მოგზაური და არქეოლოგი დიუბუა დე მონპრე (1833 წ.)[2].

1811—1841 წლებში ქუთაისი იმერეთის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. 1841—1846 წლებში, ქვეყნის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან დაკავშირებით, ქუთაისი „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიაში შემავალი ერთ-ერთი მაზრის ცენტრად გადაიქცა.

1846 წლის დეკემბერში კვლავ ჩატარდა ახალი ადმინის-

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე), 1954, 219.

[2] საერთოდ მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის I ნახევრის ქუთაისის ისტორიის ესა თუ ის საკითხი მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახულია აგრეთვე სხვა რუს და ევროპელ მოგზაურთა და მეცნიერთა (იოჰან გიულდენშტედტი, იაკობ რეინეგსი, იაზიკოვი, გამბა, მურავიოვი, მარი ბროსე და სხვ.) ნაშრომებშიც.

ტრაციული დაყოფა,—მთელი საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაიყო. ქუთაისის გუბერნია დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილს მოიცავდა. მე-19 საუკუნის ბოლოს ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა: ქუთაისის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები, სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგები.

ქუთაისის საგუბერნიო ქალაქად გამოცხადების შემდეგ ქალაქის სწრაფი ზრდა დაიწყო. 1847 წელს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაშენდა განთქმული „ბულვარი", რომელსაც საფუძველი უფრო ადრე ჩაეყარა. 1848 წელს მოეწყო აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა. 1851 წელს მდ. რიონზე აიგო მეორე ხიდი (ახლანდელი თეთრი ხიდი). დაიწყო ქალაქის ახალი უბნების სწრაფი განაშენიანება. აშენდა ბევრი კაპიტალური ნაგებობა, გაჩნდა ახალი ქუჩები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობა, თვალსაჩინოდ იმატა მოსახლეობის რიცხვმა.

მე-19 საუკუნის შუა წლების ქუთაისის დასახლება რიონის გასწვრივ დაახლოებით 3 კმ-ზე გრძელდებოდა, ხოლო მდინარის პერპენდიკულარულად ქალაქის სიგანე 2,5 კმ-ს აღემატებოდა. მთელი მისი ტერიტორია შეადგენდა თითქმის 700 ჰექტარს[1].

1850 წელს ქუთაისში გაიხსნა საგუბერნიო გიმნაზია, ხოლო 1852 წელს საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო სკოლას („ფერმას").

ასე რომ 50-იანი წლების დასაწყისიდან ქუთაისმა ერთბაშად იცვალა სახე. იგი თანდათნობით თანამედროვე ქალაქს დაემსგავსა. 1863 წლისათვის ქუთაისის მოსახლეობამ 11,8 ათას კაცს გადააჭარბა.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლები უდიდესი გარდატეხის ხანაა საქართველოს ისტორიაში. 1864 წელს საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარება დაიწყო. 1865 წლის ნოემბერში ბატონყმობა ბოლოს გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიაშიც (იმერეთი, რაჭა, გურია).

---

[1] ვ. ყაოშვილი, ქუთაისი, 94, 275—276.

60—70-იანი წლების ბურჟუაზიულ რეფორმებს, შეზღუდული ხასიათის მიუხედავად, საქართველოსათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ფეოდალიზმის ეპოქა დასრულდა. ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური განვითარების პერიოდში შევიდა.

* * *

სწრაფი ტემპით დაიწყო საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარება. კიდევ უფრო გაიზარდა და დამშვენდა საგუბერნიო ქალაქი ქუთაისი.

1877 წელს ქუთაისი რკინიგზის ხაზით შეუერთდა ამიერკავკასიის მაგისტრალს. ამით იგი, ახალი სახის, მეტად მოხერხებული სატრანსპორტო საშუალებით დაუკავშირდა, ერთი მხრივ — თბილისს, ხოლო მეორე მხრივ — შავი ზღვის სანაპიროებს. 1886 წელს გაყვანილ იქნა ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზიც.

1875 წელს ქუთაისში განხორციელდა საქალაქო მმართველობის რეფორმა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქალაქის ბურჟუაზიულად გარდაქმნას.

80-იან წლებში პრინცმა ოლდენბურგმა ბალახვნის (ახლანდელი წერეთლის) ქუჩაზე კონიაკისა და შამპანიური ღვინოების ქარხანა ააგო. 90-იან წლებში მიტროფანე ლაღიძემ ქუთაისში გახსნა ხილეული წყლების დამამზადებელი ქარხანა. ამავე პერიოდში ქართველ კათოლიკეთა უბანში პატარა საფეიქრო ქარხანა დაარსდა. ქუთაისში არსებობდა აგრეთვე სხვა საწარმოებიც, რომელთა დიდ უმრავლესობას აგურ-კრამიტის პატარა „ქარხნები“ წარმოადგენდნენ. 1893 წელს მწყობრში ჩადგა ქალაქის პირველი მცირეძალოვანი ელექტროსადგური. მიუხედავად საფაბრიკო-საქარხნო წარმოების თვალსაჩინო ზრდისა, ქალაქის მრეწველობაში დიდი ადგილი კვლავ ხელოსნობას ეჭირა. რეფორმისშემდგომ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა ქუთაისის ვაჭრობაც. 1897 წელს ქალაქის მოსახლეობამ 32,5 ათასს მიაღწია. მიუხედავად ზემოთქმულისა, ქუთაისი, სამრეწველო განვითარების მხრივ, მაინც თვალსაჩინოდ ჩამორჩებოდა ამიერკავკასიის დიდ სამრეწველო ცენტრებს (ბაქო, თბილისი, ბათუმი).

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში „ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის დაშლას და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებას შედეგად მოჰყვა ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება და ქართული კულტურის უმაგალითო აღორძინება, — მისი ნამდვილი რენესანსი"[1].

ამ დროისათვის ძირითადად დასრულდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მეფის რუსეთის მხრივ სასტიკ კოლონიურ ჩაგვრას ქართველმა ხალხმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მძლავრი აღმავლობით უპასუხა. ამ მოძრაობას, დიდი ილიას მეთაურობით, ქართველი 60-იანელები, ანუ თერგდალეულები ედგნენ სათავეში.

ქუთაისი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. თუ რეოლუციამდელი ქუთაისის სამეურნეო განვითარება ნელა მიიწევდა წინ, იგივე არ ითქმის მისი კულტურული ცხოვრების შესახებ[2]. დასავლეთ საქართველოს მთავარ ქალაქში თავი მოიყარა ქართველი ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა. ქუთაისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხშირი ქსელით დაიფარა.

* * *

ქუთაისი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. საყოველთაოდ ცნობილია მისი კულტურული ტრადიციები. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტს: როგორც უკვე ვთქვით, ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი და გეგუთის სასახლე მიმართულებას აძლევდნენ შუა საუკუნეების ქართული კულტურის განვითარებას.

ძლიერი იყო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-ლიტერატურული ინტერესები ქუთაისში საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგაც[3].

---

[1] საქართველოს ისტორია, I, 1958, 523.

[2] ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ., 104.

[3] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. 2, თბ., 1962, 516—517.

იმერეთის მეფე-დიდებულთა სასახლეებში და ეკლესია-მონასტრებში დაიწერა და გადაიწერა მრავალი საყურადღებო ნაშრომი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად. ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში ხშირად მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით დევნილი პოლიტიკური მოღვაწენი, პოეტები და მწერლები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი. იგი მე-17 საუკუნის ათიან და ორმოცდაათიან წლებში ქუთაისში ცხოვრობდა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. ამავე დროს გადმოსულა იმერეთში ცნობილი პოეტი ფეშანგი, რომელიც შემდეგში იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის (1639—1660 წწ.) „მდივან-მწიგნობარი" გახდა.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო ტახტზე ხუთჯერ ავიდა გამოჩენილი ქართველი პოეტი არჩილი, რომელიც მიუხედავად მეტად რთული საგარეო და საშინაო ვითარებისა, მაინც ახერხებდა ყურადღება მიექცია კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში ქუთაისში, მეფე ალექსანდრე მეხუთის კარზე მოღვაწეობდა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი — რუსთველი. მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა პოეტი ბესარიონ გაბაშვილი. ქუთაისში დაიწერა ბესიკის მრავალი შესანიშნავი ლექსი („ცრემლთა ისხარნი", პოემა „რუხის ბრძოლა" და სხვ.). ზაქარია გაბაშვილის ოჯახის სხვა წევრებიც კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ[1]. იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ ქუთაისში სოლომონ პირველის სიძე, პოეტი ლირიკოსი ელიზბარ ერისთავი, პოეტი და მოაზროვნე ალექსანდრე ამილახვარი. საყურადღებოა გარდამავალი ხანის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის შემოქმედება, რომელიც ქუთაისთანაა დაკავშირებული (მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის დასაწყისი).

მე-18 საუკუნის მოღვაწეთა შორის თავისი მრავალმხრივი

---

[1] ა. ბარამიძე, ბესარიონ გაბაშვილი, თბ., 1962, 4—28.

სახელმწიფო-დიპლომატიური და მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობით გამოირჩეოდა ქუთაისის მთავარეპისკოპოსი, მწერალი ტიმოთე გაბაშვილი.

მე-19 საუკუნის ათიან წლებში სოლომონ მეორის კარზე ცხოვრობდა ერეკლე მეორის სახელმოხვეჭილი მსაჯული და განთქმული მუეერმეტყველი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე.

სოლომონ მეორის მიერ გატარებული კულტურული ღონისძიებებიდან ყველაზე ღირსშესანიშნაია სტამბის დაარსება ქუთაისში. მეფის დავალებით მესტამბე გიორგი პაიჭაძეს მოსკოვიდან ჩამოუტანია საჭირო მოწყობილობა და ქუთაისში სტამბა გაუმართავს[1]. ამ სტამბაში 1800 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი „ფსალმუნი მეფისა დავითისი". ქუთაისის სტამბამ სულ რამდენიმე წელი იარსება. შემდეგ იგი დაბა საჩხერეში გადაიტანეს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქუთაისის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია (1850 წ.), წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1847 წ.), პროგიმნაზიები და სხვადასხვა სახის კერძო თუ სახელმწიფო სკოლები. ცოტა მოგვიანებით მათ შეემატათ სასოფლო-სამეურნეო, სასულიერო და რეალური სასწავლებლები. ამის გამო ქუთაისში ყოველთვის თავს იყრიდა ქართველი ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან. მართალია, რუსული სკოლები მიზნად არ ისახავდნენ მოსწავლეთა ნამდვილ აღზრდასა და მეცნიერების საფუძვლების ცოდნით შეიარაღებას, მაგრამ მათ გარკვეული როლი შეასრულეს ინტელიგენციის ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში. მეფის თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას განათლების დარგში სასწავლებელშივე უპირისპირდებოდა მოსწავლეთა მებრძოლი სულისკვეთება. ქუთაისში სწავლადამთავრებული ახალგაზრდების ერთი ნაწილი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებში მიემგზავრებოდა უმაღლესი განათლების მისაღებად. სამშობლოში დაბრუნებულთ თან ჩამოჰქონდათ არა მარტო ღრმა სპე-

[1] ქ. შარაბიძე, იმერეთის სტამბების ისტორიისათვის, კ. მარქსის სახ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. 3. ტფ. 1937.



ქუთაისის კლასიკური გიმნაზია (ამჟამად ვ. მაიაკოვსკის სახ. პირველი საშუალო სკოლა)

ციალური განათლება, არამედ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი მოაზროვნეების პროგრესული და დემოკრატიული იდეებიც.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან თერგდალეულების ხელმძღვანელობით საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თბილისთან ერთად, ქუთაისი იყო ამ მოძრაობის ერთ-ერთი დედაბოძი და ტონის მიმცემი. ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის იდგა ქართველი საზოგადოებრიობის წინა რიგებში და თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

როდესაც ვლაპარაკობთ ქუთაისის როლზე ქართული კულტურის ისტორიაში, უნებლიედ გვაგონდება ცნობილი რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის სიტყვები კავკასიის შესახებ. თუ მოვახდენთ ამ სიტყვების პერეფრაზირებას, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ქუთაისს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზების შთამაგონებელი და გა-

მომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო. ქუთაისთან არის დაკავშირებული დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის, გამოჩენილი მწერლების, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების: გიორგი წერეთლის, გ. ჭალადიდელის, მამია გურიელის, გრ. აბაშიძის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება. ქუთაისში დაიწერა გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი (1907 წ.) და ქუთაისშივე გამოვიდა მისი ლექსების პირველი წიგნი (1914 წ.). ქუთაისში განიცადეს „ლექსით პირველი დაბარბაცება" ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ, ს. კლდიაშვილმა, შ. აფხაიძემ, ს. ცირეკიძემ, შ. კარმელმა, ტ. გრანელმა და სხვებმა. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლ. მაიაკოვსკი. ქართულ გიმნაზიაში აღიზარდნენ კონსტანტინე გამსახურდია და აკაკი ბელიაშვილი. ქუთაისში დაიწერა ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას პოეტური ქმნილებანი „ტყის სიმღერა" და „ქვის ბატონი".

1864 წელს ქუთაისში იმყოფებოდა დიდი ილია, ხოლო 50-იან წლებში გუბერნატორის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ მსახურობდა რაფიელ ერისთავი.

ქუთაისი არის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის, უდიდესი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის და ქართული ქანდაკების ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის სამშობლო.

ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 60-იანი წლების თერგდალეულთა ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კირილე ლორთქიფანიძე, რევოლუციონერი — ხალხოსანი და მოაზროვნე გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), მუსიკოსები ფ. ქორიძე, ფ. მიზანდარი და ა. მიზანდარი, კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე, რომლის ინიციატივით 1918 წელს დაარსდა ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი.

ქუთაისის სასწავლებლებში აღიზარდა ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ქუთაისის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ქართულმა სათავადაზანურო სკოლამ, რომელიც 80-იან წლებში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით. იგი 900-იან წლებში გიმნაზიად გადაკეთდა. მას სათავეში ედგა დიდი ქართველი პედაგოგი იოსებ ოცხელი. ქართულ სკოლაში (ხოლო შემდეგ გიმნაზიაში) ასწავლიდნენ: ა. ჭიჭინაძე, გ. ცაგარეიშვილი, ა. გარსევანიშვილი, ს. ხუნდაძე, ია ეკალაძე, ს. ყიფიანი, ს. ქვარიანი, ვ. ყიფიანი, თ. მთავრიშვილი, ს. რობაქიძე, დ. უზნაძე, ი. ნიკოლაიშვილი, გ. ახელედიანი, დ. ოყრეშიძე, ა. ჯანელიძე და მრავალი სხვა. ქართული გიმნაზია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა იყო დასავლეთ საქართველოში. მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში.

ქუთაისი ყოველთვის ამაყობდა თავისი თეატრით. პირველი წარმოდგენა ჩვენს ქალაქში 1861 წელს გაუმართავთ ისტორიკოს დ. ბაქრაძის თაოსნობით. შემდეგში სათეატრო საქმეს სათავეში ჩაუდგნენ: აკაკი წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ანტ. ლორთქიფანიძე, ეფრ. კლდიაშვილი და სხვ. 1880 წელს კ. მესხის ინიციატივით აიგო თეატრის შენობა და ჩამოყალიბდა მუდმივი პროფესიული დასი, რომელშიაც შედიოდნენ ნ. ჩხეიძე, ეფ. კლდიაშვილი, ეფ. მესხი, ვ. ბალანჩივაძე, მ. ჯანოევი, დ. მესხი და სხვ. კოტე მესხი ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა 1895 წლამდე. იგი შესცვალა სახელოვანმა ლადო მესხიშვილმა. ამით დაიწყო ქუთაისის თეატრის და, საერთოდ, ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი. ქუთაისის თეატრი — ეს იყო ჰეროიკული თეატრი, ეს იყო რეალისტური თეატრი, თეატრი რომანტიკული განხრით, ეს იყო ნათლად გამოკვეთილი არტისტული ინდივიდუალობის თეატრი. ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მსახიობები; ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ვ. ბალანჩივაძე, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, გ. თუთბერიძე, მ. მდივანი და სხვ.

თეატრს მეტად კვალიფიციური მაყურებელი ჰყავდა. წარმოდგენებს ესწრებოდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: გიორგი ზდანოვიჩი, დავით მი-

ქელაძე (მეველე), იოსებ ბაქრაძე, გიორგი შერვაშიძე, იოსებ ოცხელი, ილიასა და აკაკის მეგობარი კირილე ლორთქიფანიძე და სხვ. ხშირად თეატრის პარტერში აკაკი წერეთელი და გ. წერეთელიც გამოჩნდებოდნენ. „არა მგონია, — სამართლიანად წერს გ. ქიქოძე, — იმ დროს რომელიმე თეატრს რუსეთში ან უცხოეთში უფრო მაღალკეალიფიციური აუდიტორია ჰყოლოდეს“[1].

ქუთაისის თეატრთან არის დაკავშირებული ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას, არანელ-იშხნელის და სხვა ბევრი გამოჩენილი ქართველი მსახიობის სახელები.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში აღდგენილ იქნა ქალაქის სტამბა. შემდეგში კიდევ რამდენიმე კერძო სტამბა მოეწყო (ნ. გამრეკელის, დ. ღამბაშიძის, ი. კილაძის, პ. წულუკიძის, ივ. ხელაძის და სხვ.). დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, რაც განსაკუთრებით გაფართოვდა მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ქუთაისში ორჯერ დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (1883 წ., გამომცემელი — პ. წულუკიძე და 1918 წ., გამომცემელი — თ. მთავრიშვილის ამხანაგობა). გაიხსნა წიგნის მაღაზიები, დაარსდა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი კანტორა და ა. შ.

1881 წელს ქუთაისში გამოსვლა დაიწყო პირველმა ქართულმა გაზეთმა „შრომამ“. გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი ნაზარიშვილი და დიმიტრი დადიანი. „შრომის“ გარშემო შემოკრებილი იყო ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფი. 1883 წელა მთავრობამ გაზეთი დახურა.

1883 წელს ქუთაისელი ქალები სცემდნენ ლიტერატურულ ჟურნალს „ქართული ბიბლიოთეკა“. 1889-1891 წლებში გამოვიდა ჟურნალ „ცდა“-ს რამდენიმე ნომერი. 1897—1900 წლებში ქუთაისში გამოდიოდა „აკაკის თვიური კრებული“. 900-იანი წლებიდან ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა კიდევ უფრო გამრავლდა.

1894 წელს ანტონ ლორთქიფანიძის და მისი მეგობრების

---

[1] გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958, 298—299.

თაოსნობით გაიხსნა მოზრდილი წიგნთსაცავი (ამჟამად ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა).

1909 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაკრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ გ. მაიაშვილი იქნა არჩეული. ამავე წელს გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. მისი დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი.

1912 წელს ჩამოყალიბდა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის ძირითად მიზანს ქართული მუზეუმის გახსნა შეადგენდა. საზოგადოების მიერ შეგროვებული კოლექციები დაედო საფუძვლად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ქუთაისში არსებობდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი: ღარიბ სტუდენტთა და ღარიბ ბავშვთა დამხმარე საზოგადოებათა სახით და სხვ.

ქუთაისში ჩამოდიოდნენ სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტები, მწერლები და მსახიობები. იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოები, გამოჩენილ პირთა იუბილეები.

1903 წელს ქუთაისში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი, რომელსაც ადგილობრივმა ინტელიგენციამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

ქუთაისში ყოფილან რუსი და უცხოელი მოგზაურები, ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მეგობრები. ისინი აღტაცებაში მოუყვანია ქუთაისის ბუნების განუმეორებელ სილამაზეს, მის მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებს და, რაც მთავარია, მის შრომისმოყვარე მოსახლეობას და ინტელიგენციას.

ქუთაისზე მრავალი ლექსი დაწერილა. მათ შორის გამოირჩევა აკაკი წერეთლის „ქუთაისი". უკვდავმა ვაჟამ ქუთაისში ყოფნისას იმერეთს „ლიხსიქეთური დედა" უწოდა და ასე მიმართა მას:

„შაერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს ვხედავო.
ფარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს, ნეტავო!"

პეფის ხელისუფლებისა და ადგილობრივ მოხელეთა რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, ქართული კულტურის ჯანსაღი ყლორტები მაინც ვითარდებოდა და მკვიდრ საფუძველს ამზადებდა ქართული კულტურის ახალ საფეხურზე ასვლისათვის.

თავი მეორე

ქუთაისის მუშათა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

§ 1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ქუთაისში

ქუთაისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. აქ მშრომელები საქართველოს, ამიერკავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ, ათეული წლების მანძილზე შეუპოვრად იბრძოდნენ თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პროცესში შეიქმნა და გამოიწრთო ქუთაისის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი.

ქუთაისი, რუსეთის პირველი რევოლუციის წინ, პატარა საგუბერნიო ქალაქს წარმოადგენდა სუსტად განვითარებული მრეწველობით. ქუთაისში მოქმედებდა კაპიტალისტური ტიპის სამოცამდე წვრილი საწარმო, რომლებშიც რამდენიმე ასეული მუშა იყო დასაქმებული. ქალაქის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ კუსტარული სახელოსნოები.

ქუთაისში თავმოყრილი იყო გუბერნიის, მაზრის და ქალაქის ადმინისტრაციული დაწესებულებები, სასწავლებლები, საავაჭროები, ბანკები, კერძო სტამბები და ა. შ. აქვე იყო განლაგებული ჯარის ნაწილები. ამის გამო მოხელე-ჩინოვნიკები მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ. საზოგადოების ჩაგრული ფენების: მუშების, ხელოსნების, ქარგალ-შეგირდების, ნოქრების და გლეხების მდგომარეობა უნუგეშო იყო.

ულმობელი ექსპლოატაცია, უუფლებობა და ეროვნული



რევოლუციამდელი ქუთაისი, რიონის მარჯვენა სანაპირო

ჩაგვრა მშრომელ მასებში სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში იწყება სტიქიური საპროტესტო გაფიცვები, რომლებიც ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ სასოწარკვეთილების და შურისგების გამოხატულებას წარმოადგენდა. მაშინ მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ, შეგნება მათი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობისა არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებასთან[1]. ამ პერიოდში მშრომელთა შორის რევოლუციურ მუშაობას ხალხოსნები ხელმძღვანელობდნენ.

კაპიტალიზმის სუსტად განვითარების გამო, ხალხოსნები პროლეტარიატში ვერ ხედავდნენ საზოგადოების მოწინავე კლასს, არ ცნობდნენ პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს. მათ მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობა მიაჩნდათ. მაგრამ ისინი არც გლეხობას იცნობდნენ კარგად. ხალხოსნებს არ გააჩნდათ სწორი, რევოლუციური თეორია და, თუმცა მათ შო-

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5, გვ. 3ე-4, 468.

რის იყვნენ გამოჩენილი რევოლუციონერები, ხალხისათვის თავდადებული გმირები, ხალხი მაინც არ გაჰყვა მათ[1]. ეს ასე იყო ქუთაისის სინამდვილეშიც.

ხალხოსანთა ქუთაისის ორგანიზაცია მე-19 საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოსა და რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებთან. მასში შედიოდნენ: მ. ყიფიანი, ე. იოსელიანი, პლ. გაბიჩვაძე, ვ. გაბიჩვაძე, ო. ყიფიანი, ი. ბახტაძე, ალ. ნანეიშვილი, ანტ. ლორთქიფანიძე და სხვ. სულ 30 წევრი. ქუთაისელი ხალხოსნები დასავლეთ საქართველოს გლეხობაში საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მიღებულ არალეგარულ ლიტერატურას ავრცელებდნენ, მოუწოდებდნენ მას არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია რომ უფრო ქმედითი ყოფილიყო, ისინი ქართულად თარგმნიდნენ პოლიტიკური შინაარსის წიგნებს, წერდნენ პროკლამაციებს და ემზადებოდნენ საიდუმლო სტამბის დასაარსებლად. 1876 წლის 23 მაისს ქუთაისში, ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე, ჩატარდა ქართველ ხალხოსანთა თათბირი. მან განიხილა საკითხი ორგანიზაციის პროგრამისა და წესდების შედგენის შესახებ. იმავე წლის ზაფხულში სტუდენტმა ვლადიმერ გლუხოვსკიმ პეტერბურგიდან ქუთაისში ჩამოიტანა დიდძალი აკრძალული ლიტერატურა, რომელიც შემდეგ მთელს საქართველოში უნდა გავრცელებულიყო. მაგრამ ქუთაისელმა ხალხოსნებმა ვერ მოასწრეს ფართოდ გაეშალათ მუშაობა. 1876 წლის ოქტომბერში ჟანდარმერიამ ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციები აღმოაჩინა და მათი ხელმძღვანელები დააპატიმრა[2].

იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ქუთაისელ ხალხოსანთა წრეს უსწორდებოდა, პეტერბურგში, მეფის სასამართლოს წინაშე, მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა „რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა" პარტიის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, გამოჩენილმა ხალხოსანმა, რევოლუციონერმა, ქუთაისის მკვიდრმა გ. ფ. მაიაშვილმა (ზდანოვიჩი), რომელ-

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო. ტ. 2, თბ., 1962, 139.

[2] საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, (შემდეგში შემოკლებით ს ც ი ა), ფ. 7, აღწ. 3. ს. 2505, ფ. 69.

მაც თავისი გამოსელა ასე დაამთავრა: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული ხალხის გამარჯვებაში, სოციალური რევოლუციის ზეიმში“[1].

გადასახლებაში მყოფმა გ. მაიაშვილმა 1882 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა თავისი დროისათვის მეტად საინტერესო ტრაქტატი „წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელმაც ქართულ პუბლიცისტიკაში დიდი კამათი გამოიწვია. გ. მაიაშვილის სტატიას ფართოდ გამოეხმაურნენ გაზეთ „შრომის“ ირგვლივ შემოკრებილი პუბლიცისტები: გრ. ვოლსკი (უმწიფაროძე), ე. მჭედლიძე (ბოსლეველი) და სხვ.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებიდან, ისე როგორც მთელ საქართველოში, ქუთაისშიც იწყება მარქსისტული წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აღმოცენება. მალე ქუთაისი მარქსიზმის პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად გადაიქცა. ამაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ რევოლუციონერს მიხა ცხაკაიას. იგი 1894—1897 წლებში ცხოვრობდა რა ქუთაისში, მუშაობდა ჯერ გაბაშვილის პანსიონში რეპეტიტორ-დამრიგებლად, შემდეგ კი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში (ე. წ. ფერმის სკოლაში) — ეკონომად. ქუთაისში მყოფი მ. ცხაკაია დიდ ორგანიზაციულ და თეორიულ მუშაობას ეწეოდა მარქსისტული წრეების შესაქმნელად და სოციალისტური ლიტერატურის გასავრცელებლად. მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა „მესამე დასის“ ქუთაისის ორგანიზაცია. როგორც ცნობილია, „მესამე დასი“ პირველი მარქსისტული ორგანიზაცია იყო, რომელმაც დასაბამი მისცა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში. ეს ორგანიზაცია თავისი იდეური შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც უხეშად ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას. ნ. ჟორდანიას ჯგუფის ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდა „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობა.

---

[1] გ. მაიაშვილი, რჩეული ნაწერები, 1967, ტ. I, 12—13.

ქუთაისში მ. ცხაკაიამ მოაწყო და ამეცადინებდა ასოთამწყობთა, ხელოსანთა, ქალთა და მოსწავლეთა მარქსისტულ წრეებს, სადაც გულდასმით სწავლობდნენ კ. მარქსის, ფ. ენგელსის და გ. პლეხანოვის შრომებს. მისივე ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ქუთაისში შეიქმნა მარქსისტული ლიტერატურის იმდროისათვის მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა. ქუთაისელმა ახალგაზრდებმა ხელით გადაწერეს „კაპიტალის“ 1872 წლის რუსული გამოცემა, რომელიც მაშინ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა[1].

1894 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ჩვენი ქალაქის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ წელს, მ. ცხაკაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, პირველად აღინიშნა საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღე — 1 მაისი.

საპირველმაისო დღესასწაულზე, რომელიც ჩატარდა ქალაქგარეთ ე. წ. ოღასკურას სასაფლაოსთან, არალეგარულად შეიკრიბნენ სტამბის, ფირბლოვის ფაბრიკის და სხვა საწარმოების რევოლუციურად განწყობილი მუშები, ხელოსნები და მოსწავლე ახალგაზრდობა[2]. შეკრებილთ მ. ცხაკაიამ, გააცნო რა მუშათა საერთაშორისო დღის — პირველი მაისის წარმოშობის ისტორია, მოუწოდა მათ შემჭიდროებისა და ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ, ცარიზმის, მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მ. ცხაკაიამ განაცხადა: „საპირველმაისო დღესასწაული არის მუშათა კლასის ნებისყოფის მთლიანობის დღესასწაული,.. პირველი მაისის დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა მოიგონონ, რომ ისინი არიან ერთი ოჯახის, ერთი კლასის შვილები და, მაშასადამე, მათ აქვთ ერთი მიზანი — მოსპობა ყოველგვარი მონობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის, კაპიტალისტური წყობილების და შექმნა მშრომელთა საერთო ძმობის — კომუნიზმის განხორციელება“[3].

ამ პერიოდში შემდეგში გამოჩენილი რევოლუციონერი

---

[1] მ. ცხაკაიას ქუთაისში მოღვაწეობის შესახებ იხ. ს. ბერიძე, მიხა ცხაკაია, თბ., 1959; ტ. გელენავა, მიხა ცხაკაია, თბ., 1964; გ. ზაქარიაძე, მიხა ცხაკაია — პუბლიცისტი, თბ., 1966.

[2] გაზ. „იზვესტია“, 1938, №101.

[3] ჟურნ. „დროშა“, 1929, № 8.

ალ. წულუკიძე ის-ის იყო უკავშირდებოდა მარქსისტულ ახალგაზრდობას. მ. ცხაკაიას რეკომენდაციით ალ. წულუკიძე მიღებულ იქნა „მესამე დასის“ ქუთაისის ორგანიზაციაში[1]. მ. ცხაკაიას ინიციატივით ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში აგრეთვე: ნ. ბუაჩიძე, ვ. ნანეიშვილი, ვ. ჯაფარიძე და სხვ., რომლებიც მარქსიზმის მგზნებარე პროპაგანდისტები გახდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

მარქსისტული წრეების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა რუსი სოციალ-დემოკრატი ნ. კ. კოზარენკო. სწორედ მან გააცნო პირველად ქუთაისელ მარქსისტებს ვ. ი. ლენინის ზოგიერთი შრომის შინაარსი.

1896—1897 წლებში ქუთაისში არსებობდა წიგნების საწყობი, საიდანაც არალეგარული ლიტერატურა ვრცელდებოდა მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ქუთაისის, ისევე, როგორც მთელი საქართველოს მარქსისტული ორგანიზაციების მუშაობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“.

1901 წლის შემოდგომაზე ქუთაისში საცხოვრებლად გადმოვიდა ალ. წულუკიძე, ჩოლო ცოტა უფრო მოგვიანებით პრ. ჯაფარიძე, 1902 წელს თბილისიდან ქუთაისში გადმოასახლეს ფ. მახარაძე. იმავე წლის შემოდგომაზე ქუთაისში ცხოვრების ნება დართეს მ. ცხაკაიას, რომელიც დროებით წასული იყო ქალაქიდან. აქ ცხოვრობდა აგრეთვე (1900 წლის მიწურულიდან) რუსი სოციალ-დემოკრატი ვ. როძევიჩ-ბელევიჩი. ამგვარად, ქუთაისში თავი მოიყარეს რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა.

900-იან წლებში რუსეთში სამრეწველო კრიზისმა იფეთქა. იგი მალე საქართველოშიც გავრცელდა. კრიზისმა მშრომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა, რამაც რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები საწრეო-პროპაგანდისტული მუშაობიდან აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადავიდნენ. 1901 წლის სექტემბერში გამოვიდა ლენინურ-ისკრული მიმართუ-

---

[1] ლ. ებანოიძე, ალექსანდრე წულუკიძე, თბ., 1966.

ლების ქართული გაზეთი „ბრძოლა“, შეიქმნა რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები. 1902 წელს რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტი ჩამოყალიბდა ქუთაისში[1]. ქუთაისის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა აგრეთვე მოსწავლეთა და „სოფლის მუშათა“ (გლეხთა) კომიტეტები.

აღნიშნულმა კომიტეტებმა ფართო მუშაობა გაშალეს. მშრომელთა კლასობრივი შეგნების ვაღვიძებას და მათ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას დიდად უწყობდა ხელს მარქსისტული ლიტერატურის, გაზეთების „ისკრის“, „ბრძოლის“ და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება. ვიდრე რსდმპ ქუთაისის კომიტეტს თავისი საკუთარი სტამბა არ ჰქონდა, პროკლამაციებს ბეჭდავდნენ ივ. კილაძისა და ი. ხელაძის კერძო სტამბებში. ივ. კილაძის სტამბაში დაიბეჭდა, მაგალითად, ალ. წულუკიძის შესანიშნავი მარქსისტული შრომა „ოცნება და სინამდვილე“. მასში მკაცრადაა გაკრიტიკებული „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორია, რომელსაც ქადაგებდნენ ნ. ჟორდანია, არჩ. ჯორჯაძე და სხვ. ამავე წელს ქუთაისში არალეგარულად გამოსცეს ვ. ი. ლენინის შრომა „სოფლის ღარიბებს“, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის დავალებით ფ. მახარაძემ თარგმნა ქართულად.

აქტიურად მუშაობდნენ მოსწავლე ახალგაზრდებიც. ქუთაისის მოსწავლეთა კომიტეტი სცემდა პოლიტიკური შინაარსის არალეგარულ ჟურნალს, რომელიც ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა. მას კავშირი ჰქონდა დამყარებული სამხრეთ რუსეთის, თბილისის, ბათუმის და სხვა ქალაქების მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. ისინი ერთმანეთს უგზავნიდნენ საკუთარ გამოცემებს, პროკლამაციებს და არალეგალურ ლიტერატურას.

900-იან წლების დასაწყისში საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკური გამოსვლებიდან აღსანიშნავია ბათუმის მუშათა 1902 წლის 9 მარტის დემონსტრა-

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1957. 76—77.

ცია და საპირველმაისო გაფიცვები 1903 წელს. ქუთაისშიც ჩატარდა გაფიცვები და ხალხმრავალი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ მუშები, ხელოსნები და მოსწავლეები. ქუთაისის ამბებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მაგალითად, ლენინურმა „ისკრამ“ 1903 წლის 15 მაისს მოათავსა ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი, რომლითაც ავტორი ამხანაგს აცნობებდა: „შენ არ შეგიძლია წარმოიდგინო რა ხდება ახლა კავკასიაში. გეტყვი იმაზე თუ რას ვხედავ და მესმის ქუთაისში... ყველანი ემზადებიან პირველი მაისისათვის, — ამბობენ ბუნტი იქნებაო. ამბობენ, რომ პირველ მაისს უნდა ჩატარდეს დიდი მანიფესტაციები კავკასიის ყველა ცენტრში. 18 აპრილს მოეწყო მანიფესტაცია და პოლიციასთან შეტაკება სოფ. კულაშსა და გუბში“.

რევოლუციური მოძრაობის მზარდმა აღმავლობამ დღის წესრიგში დააყენა ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების აუცილებლობა. რსდმპ კავკასიის კავშირმა ამ მიზნით 1903 წლის მაისის პირველ რიცხვებში ქუთაისში ჩაატარა დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც განიხილა ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხები. კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების ახალი კომიტეტები. რომლებიც მალე გაერთიანდნენ და ეწოდა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. ამ კომიტეტში, სხვადასხვა დროს შედიოდნენ: მ. ცხაკაია, ალ. წულუკიძე, ი. სტალინი, პრ. ჯაფარიძე, ს. ქავთარაძე, ბ. ბიბინეიშვილი და სხვ.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი გადაიქცა რევოლუციური მოძრაობის საბრძოლო შტაბად დასავლეთ საქართველოში. კომიტეტთან არსებობდა პროპაგანდისტთა ჯგუფი, რომელიც აქტიურ სააგიტაციო და პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდა მშრომელთა მასებში.

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ფართოდ გაშლამ საკუთარი სტამბის დაარსების აუცილებლობა გამოიწვია. 1903 წლის ზაფხულში პრ. ჯაფარიძის და ბ. ბიბინეიშვილის ხელმძღვანელობით საფიჩხიაზე (ახლანდელი თომაშვილის ქ. № 16)

დურგალ ჩირაძის სახლში მოეწყო სახელდახელო პატარა არალეგალური სტამბა. შემდეგ იგი მწვანეყვავილაზე გადაიტანეს.

დაბეჭდილი პროკლამაციები, ქაღალდი, შრიფტი, აგრეთვე იარაღი და პარტიული არქივი მოთავსებული იყო აფთიაქის ქუჩაზე (ახლა — ლერმონტოვის ქ. №16) მდებარე ბინაში. ეს ბინა ჩაბარებული ჰქონდათ კოკოჩაშვილების ლიმონათის ქარხნის ბოლშევიკ მუშებს—ერემია ლომთათიძეს და გიორგი ქვანიას[1].

1903 წლის შემოდგომაზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქუთაისში ჩამოვიდა ბ. კრასინი. მან იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის სხდომაზე გააკეთა საინფორმაციო მოხსენება პარტიის მეორე ყრილობისა და მისი შედეგების შესახებ[2]. ი. სტალინი (რომელიც ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა), ალ. წულუკიძე, მ. ცხაკაია, პრ. ჯაფარიძე, ს. ქავთარაძე და სხვ. უყოყმანოდ დადგნენ ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების მხარეზე. ქუთაისელმა ბოლშევიკებმა ფართო საagიტაციო მუშაობა გაშალეს. ისინი დამაჯერებლად განუმარტავდნენ მშრომელ მასებს პარტიაში წარმოშობილი უთანხმოების ნამდვილ არსს, თანმიმდევრულად იცავდნენ ლენინურ იდეებს, შეურიგებლად ებრძოდნენ მენშევიკების ოპორტუნისტულ შეხედულებებს.

რუსეთ-იაპონიის ომმა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია. 1904 წლის თებერვალში ქუთაისში მოეწყო ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ახალგაზრდობის საყოველთაო გაფიცვა და ჩატარდა პოლიტიკური დემონსტრაცია. ეს იყო საქართველოს ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ახალგაზრდობის პირველი ორგანიზებული გამოსვლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მოსწავლეთა გამოსვლები შეიარაღებული ძალის გამოყენებით ჩაახშვეს; სასულიერო სასწავლებელი დახურეს.

ქუთაისის მოსწავლეთა 3 თებერვლის დემონსტრაციამ მთელი იმპერიის ყურადღება მიიპყრო და ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

მეფის თვითმპყრობელობა რეპრესიებით ცდილობდა კარზე მომდგარი რევოლუციის შეჩერებას. მეტეხის ციხეში ვერაგუ-

[1] ზ. გეგეშიძე, „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგარული სტამბები", თბ., 1965, 132, 136.

[2] „ზარია ვოსტოკა", 1926, 3 დეკემბერი.

ლად მოკლეს ლადო კეცხოველი, დააპატიმრეს კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტის წევრები, ი. ბ. სტალინი ქუთაისის ციხიდან აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს, დეენიდნენ ალ. წულუკიძეს, ფ. მახარაძეს და სხვ. ამით ისარგებლეს ქუთაისელმა მენშევიკებმა. მათ გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. ამ დროს რსდმპ კავკასიის კავშირი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მესამე ყრილობის მოსაწვევად, რადგან ეს იყო ერთადერთი გამოსავალი იმ კრიზისიდან, რომელშიაც პარტია მოექცა მენშევიკთა გამთიშველი საქმიანობის გამო, მეორე ყრილობის შემდეგ. მენშევიკების გავლენით ქუთაისის კომიტეტმა ამ საკითხში ორეროფობა დაიწყო. მაშინ მდგომარეობის გამოსასწორებლად ქუთაისში ჩამოვიდა გადასახლებიდან ახლადდაბრუნებული ი. სტალინი. ი. სტალინმა, ალ. წულუკიძემ და სხვა ბოლშევიკებმა ამხილეს მენშევიკების ოპორტუნიზმი და მტკიცედ დაიცვეს ლენინური ხაზი.

1904 წლის ბოლოს შედგა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შემადგენლობიდან გააძევეს მენშევიკები და ახალი ისკრელები. იგი შეივსო მტკიცე ბოლშევიკებით. გადახალისდა პროპაგანდისტთა ჯგუფიც. მნიშვნელოვნად გაფართოვდა არალეგალური სტამბა, რომელიც მიწისმზომელ ვ. გოგილაძის ბინაზე გადაიტანეს (ამჟამად თავისუფლების ქ. №41). სტამბისათვის ახალი საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა“ ჩამოიტანა გამოჩენილმა რევოლუციონერმა და ბრწყინვალე კონსპირატორმა კამომ[1].

1904 წლის შემოდგომაზე, ხონში ჩატარდა ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც რევოლუციის მოახლოებასთან დაკავშირებით განიხილა კონკრეტული საკითხები და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

1904 წლის ნოემბერში თბილისში შედგა რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენცია. კონფერენციამ ამხილა მენშევიკების გამთიშველი საქმიანობა და მხარი დაუჭირა პარტიის მესამე ყრილობის მოწვევის ლენინურ ხაზს.

---

[1] ბ. ბიბინეიშვილი, „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“, თბ., 1932, 79.

§ 2. ქუთაისი რუსეთის პირველი რევოლუციიდან ოქტომბრის რევოლუციამდე

1905 წლის 9 იანვარს, მეფის ბრძანებით, მშრომელთა მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა დახვრეტამ უდიდესი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია მთელი რუსეთის იმპერიაში. ეს გახდა საბაბი დიდი სახალხო რევოლუციისა, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებიც.

19 იანვარს მეფის სისხლიანი ბოროტმოქმედებისადმი პროტესტის ნიშნად, ქუთაისის „ბულვარის" მახლობლად მოეწყო ხალხმრავალი მანიფესტაცია. მანიფესტანტებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. მეორე დღეს ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით ტყვია დაუშინეს ახალგაზრდებს, რომლებიც მოავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის ჩატარებას ცდილობდნენ. 24 იანვარს გაიფიცნენ მუშები, ხელოსნები, შეგირდები და ნოქრები. გაფიცულები წითელი დროშებით და რევოლუციური სიმღერებით ვორონცოვის ქუჩის (ახლანდელი 1905 წ. რევოლუციის ქუჩა) გაელით საგუბერნიო სტამბისაკენ გაემართნენ. მათ გზა გადაუღობეს პოლიციის ცხენოსანმა რაზმებმა. 25 იანვარს კვლავ განმეორდა შეტაკება პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის. გაფიცვა გაფართოვდა. გაიფიცნენ მეეტლეები, წყლის მზიდავები და მეფორნეები, 26 იანვარს — ფარმაცევტები, სტამბის მუშები და სასტუმროს მოსამსახურეები, 27 იანვარს — კერძო პირთა მოსამსახურეებიც. „ქუთაისში გაფიცვა დაიწყო დემონსტრაციით, — წერდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი",—გაფიცვა მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. არც ვაჭრობა, არც ეტლები, არც ელექტრონი. ყველა სასწავლებელი, მაღაზია, აფთიაქი, სახელოსნო დაიკეტა... გაფიცვა სრული გამარჯვებით დამთავრდა"[1].

25 იანვარს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში მოსწავლეთა მღელვარება დაიწყო. მალე იგი ქალაქის ყველა სასწავლებელს მოედო. მშრომელთა საგრძნობი ნაწილი საესებით იზიარებდა გაფიცულ მოსწავლეთა მიერ წა-

[1] გაზ. „პროლეტარი", 1905, № 5, 13 (26) ივნისი.

მოყენებულ მოთხოვნებს. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი. მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. მოსწავლეები თავის პოზიციებს არ თმობდნენ. 14 თებერვალს მთავრობა იძულებული გახდა სასწავლებლები დაეხურა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობამ დემონსტრაცია მოაწყო. მოსწავლეებს შეუერთდნენ აღშფოთებული მშობლები. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკლეს 5 და დაჭრეს რამდენიმე დემონსტრანტი.

14 თებერვალს მოკლულთა დასაფლავება გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. მასში 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. წარმოითქვა სიტყვები მოწოდებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“

მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმნენ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებიც.

რევოლუციურ ბრძოლაში ჩაებნენ ქუთაისში დაბანაკებული ჯარის ნაწილები, სადაც ენერგიულ მუშაობას აწარმოებდნენ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროპაგანდისტები.

მ. ცხაკაიას სრული საფუძველი ჰქონდა 1905 წლის აპრილში პარტიის მესამე ყრილობაზე განეცხადებინა: მართალია, ქუთაისი არასამრეწველო ქალაქია, მაგრამ ბოლშევიკებმა იგი გადააქციეს რევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად საქართველოში[1].

მასებში სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაფართოების მიზნით, 1905 წ. აპრილის მეორე ნახევარში ქუთაისში მოწვეულ იქნა იმერეთ-სამეგრელოს პროპაგანდისტთა კონფერენცია, რომელსაც ალ. წულუკიძე ხელმძღვანელობდა. კონფერენციის გადაწყვეტილებით 30 აპრილი და 1 მაისი საყოველთაო დღესასწაულის დღეებად გამოცხადდა.

ქუთაისში საპირველმაისო დემონსტრაციას წინ უსწრებდა გაფიცვა. დაიკეტა სავაჭრო დაწესებულებები და სახელოსნოები. დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოიყვანეს კაზაკთა პოლკი. მოკლეს ორი დემონსტრანტი.

---

[1] Третий съезд РСДРП, протоколы, под ред. Н. К. Крупской, М., 1937, 246.

31 მაისიდან პოლიტიკურ პატიმართა თანაგრძნობის ნიშნად ქუთაისში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც 2 ივნისამდე გაგრძელდა.

რევოლუცია თანდათან ღრმავდებოდა. მშრომელი ხალხი თავდადებით იბრძოდა თავისუფლებისათვის, ადამიანური ცხოვრებისათის. ასეთ რთულ ვითარებაში, 1905 წლის 8 ივნისს ბოლშევიკების რიგებს გამოაკლდა მგზნებარე ლენინელი ა. გ. წულუკიძე.

მ. ცხაკაია ვ. ი. ლენინს წერდა: „ჩვენ გამოგვაკლდა ერთი ამხანაგი ლიტერატორი, — ალექსანდრე წულუკიძე, — სანდრო — გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისში, მშობლებთან, 27—28 წლის ასაკში,... დაკრძალვა მოხდა დ. ხონში, 12 ივნისს, ქ. ქუთაისიდან 25—26 ვერსის მანძილზე. დაკრძალვა ზღაპრული იყო. მთელი კავკასიის პროლეტარიატსა და გლეხობას ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები — 80-ზე მეტი გვირგვინი წითელი ლენტებით (P. S. ცენტრალური კომიტეტის სახელითაც გავაკეთეთ გვირგვინი. თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო) და რევოლუციური წარწერებით. ჰექა-ქუხილისა და კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ქალაქ ქუთაისის ფარგლებში ცხედარს მიაცილებდა 30—40 ათასამდე კაცი, ხოლო ქალაქ გარეთ, დ. ხონამდე 7-8 ათასამდე. მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი ორი გუნდი, რომლებიც განუწყვეტლივ გალობდნენ რევოლუციურ სიმღერებს, უთვალავი სიტყვები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე"[1].

ალ. წულუკიძის დაკრძალვამ და მასთან დაკავშირებულმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. პოლიციის ერთ-ერთი საიდუმლო აგენტი თავის მოხსენებაში წერდა: „ყველა ლაპარაკობს ამ დაკრძალვაზე, როგორც გრანდიოზულ და დიდებულ მოვლენაზე. პირადად მე არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმ გარემოებას, რომ ქუთაისი პირდაპირ მაოცებს თავისი რევოლუციურობით... მთელი ატმოსფერო მით არის გაჟღენთილი. მე ამას ლამაზი და მოსწრებული სიტყვის გამო კი არ ვამბობ, არამედ ეს ნამდვი-

---

[1] „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", სტატიების კრებული, თბ., 1955, 197.



ალ. წულუკიძის სახლ-მუზეუმი

ლი ფაქტია"[1]. მართლაც, აქ გადაჭარბებული არაფერი არ იყო. ქუთაისში გუბერნატორი ვ. სტაროსელსკიც კი რევოლუციონერი აღმოჩნდა, რაც შეიძლება ითქვას, ერთადერთი შემთხვევაა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

ალ. წულუკიძის დასაფლავების შემდეგ 12-13 ივნისს ხონში ჩატარდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრება, რომელზედაც მ. ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება პარტიის მესამე ყრილობის შეღეგების შესახებ. კრებამ ბოლშევიკური რეზოლუცია მიიღო.

1905 წლის იელისში იმპერატორის ბრძანებულებით ქუთაისის გუბერნატორად დანიშნეს საქარის საცდელი სადგურის მთავარი აგრონომი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი, ხოლო ვიცე-გუბერნატორად—ქართველი მწერალი და პუბლი-

[1] ი. ზელქაძე, „რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წწ. რევოლუცია დასავლეთ საქართველოში", თბ., 1960, 322.

ცისტი ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი). გუბერნიის მმართველებად ხალხისათვის კარგად ცნობილი და ავტორიტეტიანი პიროვნების დანიშვნით მეფის მთავრობა ცდილობდა რევოლუციური მოძრაობისაგან მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორებას. გამოვიდა კი სრულიად საწინააღმდეგო. ვ. ა. სტაროსელსკიმ თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელ. რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებას ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ იყო, რომ ახალი გუბერნატორის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ ჟანდარმერია-პოლიციის აგენტები და ცენტრალური ხელისუფლების წინაშე აბეზღებდნენ მას. რევოლუციის ამ ბობოქარ დღეებში ქუთაისის თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ქართველი მსახიობი და მოქალაქე ლადო მესხიშვილი, რევოლუციური იდეების პროპაგანდის ნამდვილ ტრიბუნად გადაიქცა. რეპერტუარში შედიოდა ისეთი პიესები, როგორიცაა: შილერის „ყაჩაღები", დ. ერისთავის „სამშობლო", გორკის „ფსკერზე", მონტინის „კაი გრაკხი", მირბოს „ჟან და მადლენა", ჰაუპტმანის „ფეიქრები", სუმბათაშვილის „ღალატი" და სხვ. ისინი მაყურებლებს უღვიძებდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას, ხელს უწყობდნენ მათ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. ხშირად მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები თეატრში ეწყობოდა.

ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით, 1905 წლის 25 აგვისტოს, თეატრში წარმოდგენის მიმდინარეობის დროს მსახიობმა ალექსეევ-მესხიევმა სცენიდან ქართულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც ხალხს მთავრობასთან საბრძოლველად მოუწოდებდა. როდესაც მესამე აქტი დასრულდა კონსტანტინ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მსახიობთა გუნდმა სამჯერ შეასრულა „მარსელიოზა" და „Подымайся наш русский рабочий народ"[1].

1905 წლის 30 აგვისტოს ქუთაისის მახლობლად, სოფ. ჯიმასტაროში, ჩატარდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში შემავალი ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენლეთა კონფერენცია. პარტიის მესამე ყრილობის შესახებ მოხსენებით გა-

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии, сб., документов, Тб., 1956. 269.

მოვიდა მ. ცხაკაია. კონფერენციამ მოისმინა ინფორმაციები ადგილებიდან და მიიღო პრაქტიკული ღონისძიება მესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ვ. ი. ლენინის მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, მშრომელ მასებს ამზადებდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. პარტიის მესამე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „კავკასიის ამბების გამო“ ნათქვამი იყო: „...კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას... რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში, როგორც ქალაქად ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე“[1]. მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის მიმდინარეობდა მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში. საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, და მათ შორის ქუთაისშიც, ჩატარდა დისკუსიები, რომლებზედაც ბოლშევიკებმა ამხილეს მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკა.

1905 წლის 29 აგვისტოს მეფის ჯალათებმა ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს—თბილისის ქალაქის თვითმმართველობის შენობის კედლებში დახვრიტეს უიარაღო მუშები. 1 სექტემბერს, თბილისში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად, ქუთაისის მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა გაიფიცა. მუშაობა ყველგან შეწყდა. ქუჩებს ნამდვილი სამგლოვიარო ფერი ედო. ბოძებზე და შენობებზე გაკრული იყო პლაკატები წარწერით „სამარადისო ხსოვნა დახოცილთ! სიკვდილი ჯალათებს!“[2].

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა დიდი რაოდენობით გაავრცელა ქუთაისის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაცია, რომელშიც მშრომელებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

მთელი რუსეთის იმპერია რევოლუციის ალში იყო გახვე-

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954, 101.

[2] გაზ. „იბერია“, 1905, 4 სექტემბერი.

ული. რევოლუციის აღმავლობით შეშინებულმა მეფემ 1905 წლის 17 ოქტომბერს მანიფესტი გამოსცა. ქუთაისის მშრომელებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, გაილაშქრეს მეფის მანიფესტის წინააღმდეგ. 19-20 ოქტომბერს ქალაქის ბაღში გამართულ მიტინგზე, ბოლშევიკმა ორატორებმა ამხილეს 17 ოქტომბრის მანიფესტის ნამდვილი არსი და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდეს. მიტინგის შემდეგ ჩატარდა დემონსტრაციები. ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით საკათედრო ტაძარში ჩაშალეს ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. მიტინგს ესწრებოდა გუბერნატორი ვ. ა. სტაროსელსკი, რომელსაც ტაშისა და ვაშას ძახილით ხვდებოდნენ. მიტინგის დროს ვ. ა. სტაროსელსკის გვერდით იდგა ახალგაზრდა ხელში წითელი დროშით, რომელზედაც იმპერატორი თავდაყირა იყო გამოხატული. გუბერნატორის წასვლის შემდეგ ახალგაზრდამ მაღლა ასწია წითელი დროშა. გაისმა „მარსელიოზა". ყველამ ქუდი მოიხადა და მუხლი მოიყარა. პოლიციელებიც, რომლებიც მიტინგის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ, იძულებული გახდნენ ასევე მოქცეულიყვნენ[1]. ჟანდარმთა სამმართველოს ამ ცნობაში მეტად საინტერესო და ორიგინალური მოვლენაა აღწერილი: გუბერნატორი დგას წითელ დროშასთან, რომელზედაც მეფე თავდაყირაა დახატული , ხოლო პოლიციელები ქუდმოხდილი ისმენენ „მარსელიოზას!"

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით 1905 წლის ნოემბერში თბილისში შედგა რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენცია. მას ესწრებოდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წარმომადგენელიც. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების, სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადების და სხვ. საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს მშრომელებში, ხალხმრავალ მიტინგზე ქუთაისში მიღებულ იქნა რეზოლუციები სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადების, შეიარღებული აჯანყების აუცილებ-

[1] Революция 1905—1907 гг. в Грузии, 434—435; так же журн. «Новый мир», 1966, № 2, 222—223.

ლობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის შესახებ.

1905 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში ქუთაისში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. გამწვავდა ურთიერთობა მოსახლეობასა და კაზაკებს შორის. 27 ნოემბერს, ღამით, კაზაკებმა უმიზეზოდ სცემეს რამდენიმე მოქალაქეს, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ქუთაისში დაიწყო ბარიკადების აგება. 28 ნოემბერს კაზაკებმა მძიმედ დასჭრეს რევოლუციონერი სტუდენტი იური პეტრენკო, რომელიც სამკურნალოდ იყო ჩამოსული საქართველოში. ყოველივე ეს გუბერნატორს აცნობეს. ისიც შემთხვევის ადგილისაკენ გაეშურა. როგორც ვ. ა. სტაროსელსკი იგონებდა შემდეგში, მის წინაშე ასეთი სურათი გადაიშალა: „ქალაქის ყველა ქუჩაზე ბარიკადებს აკეთებდნენ — დიდრონი და ყმაწვილები, მამაკაცნი და დედაკაცნი, მოხელეები, იაჭრები, მუშები... ბარიკადებისათვის მასალად ძელები, თიკრები, ცარიელი კასრები, ტელეფონის ბოძები და მავთულები იყო"[1].

დეკემბერში მოსკოვში იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ. ამან რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია საქართველოში. 10 დეკემბერს აქაც დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ქუთაისი კვლავ ბარიკადებით დაიფარა. ბარიკადების აგებაში მონაწილეობდა თვით გუბერნატორი, რომელმაც ერთ-ერთ მათგანზე, რევოლუციონერებთან ერთად, სურათიც კი გადაიღო.

1905 წლის დეკემბერში, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით, ძალაუფლება დასავლეთ საქართველოში თითქმის მთლიანად მშრომელთა ხელში აღმოჩნდა. ამ ამბებთან დაკავშირებით კავკასიის პოლიციის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს აცნობებდა: „...ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებული მდგომარეობაა... გარდა გუბერნატორისა არაფის ხელისუფლებას არ ცნობენ, ჟანდარმები განაიარაღეს, დაეუფლნენ გზის დასავლეთ უბანს, თვითონ ყიდიან ბილეთებს და თვალყურს ადევნებენ წესრიგის დაცვას... ქუთაისიდან ცნობებს არ ვღებულობთ... ჟანდარმები ხაზიდან მოხსნილი

[1] ვ. სტაროსელსკი, „დღენი თავისუფლებისა" ქუთაისის გუბერნიაში, ტფ., 1928, 74.

არიან. რევოლუციონერები შიკრიკებს ჩხრეკენ და საბუთებს ართმევენ. იქ აუტანელი მდგომარეობაა"[1].

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა თბილისის პროლეტარიატის დასახმარებლად წითელი რაზმები გაგზავნა. მათ სურამის უღელტეხილზე მეფის ჯარებთან შეტაკება მოუხდათ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში დამარცხდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში რევოლუციის მსვლელობაზე. ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ თვითმპყრობელობაზე გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იყო რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ამიტომ მოსკოვის აჯანყების დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვების შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა განაპირა მხარეებში უმიზნო გახდა. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება ბარიკადების აღების შესახებ[2].

მართლაც, მოსკოვში შეიარღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, ქუთაისში ბარიკადები აღებულ იქნა. დაიწყო უპანიკო უკანდახევა. ქუთაისის გუბერნატორი ვ. ა. სტაროსელსკი გადააყენეს, გაიცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ვ. ა. სტაროსელსკიმ მოასწრო საზღვარგარეთ გაქცევა, რამაც საიმპერატორო კარის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა ცნობილი ჯალათი ალიხანოვ-ავარსკი, რომელმაც ცეცხლის ალში გაახვია დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი სოფლები და ქალაქები.

გაძლიერდა რეპრესიები. რევოლუციური გამოსვლები მაინც გრძელდებოდა. 1906 წლის 9 იანვარს ქუთაისელმა მშრომელებმა ერთდღიანი გაფიცვით აღნიშნეს „სისხლიანი კვირის" წლისთავი. მარტის დასაწყისში ქუთაისის და მისი ახლო-მახლო სოფლების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. აპრილში ქუთაისში ჩატარდა რსდმპ რაიონული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც უარყო კადეტების წინადადება სათათბიროს არჩევნებში ერთად გამოსვლის შესახებ.

---

[1] ჟურნ. «Новый мир», 1966, № 2, 224.

[2] ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამჟამად დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ფონდი № 5944/1.

16 მაისს ქუთაისის სადგურის მახლობლად ყუმბარა ესროლეს და მძიმედ დაჭრეს ალიხანოვ-ავარსკი.

ამრიგად, 1905—1907 წლების რევოლუცია დამარცხდა, მიუხედავად ამისა, მან უდიდესი როლი შეასრულა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ვ. ი. ლენინის შეფასებით იგი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია გამეფდა. რეაქციის სუსხიანმა რეჟიმმა მაინც ვერ შეძლო ხალხის ნებისყოფის გატეხა. ბოლშევიკური პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და ახალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. განხორციელდა რამდენიმე გაბედული რევოლუციური აქტი, რომელთა შორის აღსანიშნავია 1907 წლის სექტემბერში პოლიტიკურ პატიმართა გაქცევა ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან.

ქუთაისის ციხიდან პოლიტიკურ პატიმართა გაქცევა, თავისი მასშტაბით და კონსპირაციულობით, კარგად ორგანიზებული და ოსტატურად ჩატარებული ღონისძიება იყო, რომელმაც მთელი რუსეთის იმპერიის ყურადღება მიიპყრო[1]. მასში მონაწილეობდნენ: ბ. ბიბინეიშვილი, მ. ბოჭორიძე, ნ. კალანდაძე, ერ. ლომთათიძე, ბ. კუპრაშვილი, ა. დალაქიშვილი და სხვ.

საიდუმლო გვირაბის გაყვანა ციხეში და პოლიტიკურ პატიმართა გაქცევის ორგანიზაცია ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქუთაისელი მშრომელების ბრძოლის ისტორიაში. ამ ამბებმა მხატვრული ასახვა ჰპოვეს ლეო ქიაჩელის რომანში „სისხლი".

1907 წლის ბოლოს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა მოაწყო პატარა არალეგალური სტამბა, რომელშიც პროკლამაციები და რევოლუციური ხასიათის ფურცლები იბეჭდებოდა. ამავე სტამბაში დაიბეჭდა გიმნაზიელთა არალეგალური მარქსისტული ჟურნალი „შკოლნაია ჟიზნ", რომლის პირველი ნომერი 1908 წლის 13 (26) იანვარს გამოვიდა. ჟანდარმერიამ რედაქციას მიაგნო,

---

[1] იხ. ბიბინეიშვილი, „საიდუმლო გვირაბი", მისივე, „ჩემი წარსულის ფურცლები". ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", 1925, № 2 (1), 30—54.

შაგრამ სტამბა გადარჩა. მოსწავლეებმა მოასწრეს მისი რსდმპ ქუთაისის კომიტეტისათვის გადაცემა[1].

1908 წლის მარტში პოლიციამ ფერმის ქუჩაზე (ახლანდელი ლესელიძის ქუჩა) ხაზინის მოხელეს ლაზარე ასათიანის ბინაზე აღმოაჩინა არალეგალური სტამბა და პოლიტიკური ლიტერატურის მთელი საწყობი[2].

1909 წლის ზაფხულში ქუთაისში ჩამოვიდა ბაქოდან იმხანად დროებით დაბრუნებული პრ. ჯაფარიძე, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეაქციის წლებში ქუთაისელ ბოლშევიკებს შორის დიდ ორგანიზაციულ მუშაობას აწარმოებდა ციმბირიდან გამოქცეული სამუელ (ნოე) ბუაჩიძე. მას დავალებული ჰქონდა დაერაზმა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციისათვის მხარდასაჭერად.

სრულიად რუსეთის მე-6 პარტიულ კონფერენციაზე პრაღაში (1912 წლის აპრილში) ვ. ი. ლენინმა საჭიროდ სცნო ჩაეწერა საინტერესო ფაქტები ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კავკასიელი დელეგატების ნაამბობის მიხედვით, ვ. ი. ლენინმა, სხვა ქალაქებთან ერთად, ჩაიწერა მონაცემები ქუთაისში რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის შესახებ[3].

პირველი იმპერიალისტური ომის წინ ქუთაისში არსებობდა საკმაოდ ძლიერი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ: მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბ. ბიბინეიშვილი, რ. კალაძე, დ. ლორთქიფანიძე, გ. კუჭაიძე, თ. ყღენტი, ნ. სოკოლოვსკი, ს. ლომიძე და სხვ. პირველი მსოფლიო ომის დროს მას სათავეში ჩაუდგა ფილიპე მახარაძე.

ქუთაისის ბოლშევიკების ჯგუფთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1913 წელს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები-

---

[1] ს ცდ ა, ფ. 66, ს. 63, ფ. 3; ფ. 450, აღწ. I, ს. 4279, ფ. 173, 174.

[2] ს ცდ ა, ფ. 66, ს. 66, ფ. 2—3.

[3] ნარკვევები საქართველოს კომპარტიის ისტორიიდან, ნაწ. I, თბ., 1957, რუს. გამ. 227.

დან მხოლოდ ქუთაისის ბოლშევიკების ჯგუფმა შეძლო გამოეცა პროკლამაციები და ფურცლები.

1913 წელს, პირველი მაისის მოახლოებასთან დაკავშირებით, მენშევიკების ამიერკავკასიის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც მუშებს რეკომენდაცია ეძლეოდათ აღენიშნათ ეს დღე ისე, „როგორც მათ შეეძლოთ". ამ ორპირული პროკლამაციის საპირისპიროდ ქუთაისის ბოლშევიკების ჯგუფმა დაბეჭდა სახელდახელო ფურცლები და პროკლამაციები, რომლებშიც გადაჭრით იყო დაყენებული საპირველმაისო პოლიტიკური გაფიცვის ჩატარების აუცილებლობის საკითხი[1].

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ქუთაისში მართლაც ჩატარდა საპირველმაისო გაფიცვა.

ქუთაისელ ბოლშევიკებს სერიოზული დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდათ მასებისათვის ბრძოლაში. მათ წინააღმდეგ ორგანიზაციულ და თეორიულ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკები და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. ისინი ლეგალურად მოქმედებდნენ, ჰქონდათ საკუთარი ორგანოები, თავიანთი შეხედულებების ფართო პროპაგანდის საშუალება. ასე მაგალითად, 1907—1917 წლებში ქუთაისში სხვადასხვა დროს ლეგალურად გამოდიოდა: სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების შემდეგი გაზეთები — „ცისკარი", „ფონი", „მნათობი", „ცხოვრება", „ჩვენი ცხოვრება", „მერცხალი", „თანამედროვე ქვეყანა", „სიმართლის ხმა", „განთიადი", „სიტყვა", „აზრი", „ტალღა", „ახალი აზრი", „ჩვენი აზრი", „ახალი კვალი" და სხვ. სოციალ-ფედერალისტების — „ფარი", „შრომა", „მეგობარი", „ჩვენი მეგობარი" და სხვ. ეროვნულ-დემოკრატების — „კოლხიდა", „იმერეთი", „ერი", „ახალი იერია", „სამშობლო" და სხვ. ბოლშევიკებს წვრილბურჟუაზიული პრესის ამ ნიაღვარისათვის შეეძლოთ დაეპირისპირებინათ მხოლოდ არალეგალური ფურცლები, ცალკეული გამოცემები და პროკლამაციები.

ხალხის მატერიალური მდგომარეობის შემდგომმა გაუარესებამ, რაც პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია, კიდევ უფრო გააძლიერა კლასობრივი ბრძოლა, დააჩქარა რევოლუციის მო-

---

[1] ზ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., 204, „ნარკვევები", ნაწ. I, 238.

ახლოება. სწრაფად იზრდებოდა დემონსტრაციების და გაფიცვების რაოდენობა. მათი უმრავლესობა აშკარა პოლიტიკური ხასიათისა იყო და ტარდებოდა ლოზუნგით „ძირს ომი", „ძირს თვითმპყრობელობა!" ასეთ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ქუთაისშიც.

1917 წლის თებერვალში რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის მძლავრი რევოლუციური იერიშით დამხობილ იქნა მეფის თვითმპყრობელობა. გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

1917 წლის 3 მარტს ქუთაისის ქალაქის თავმა დროებითი მთავრობის თავჯდომარისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„მეფის მთავრობა დაეცა, გთხოვთ მოახდინოთ ძველი საახელმწიფო დაწესებულებათა ლიკვიდაცია და მოაწყოთ ახლები, ყველა თქვენი პოლიტიკური პარტიის მონაწილეობით"[1]. მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაში შემოიარა მთელი ქალაქი, ეცნობა ყველას. „სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიჟინი, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი, აღელვებული, ხმაურიანი ლაპარაკი.

— მოვესწარით, მოვესწარით! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაშა! ვაშა!

მარსელიოზა, ინტერნაციონალი, ბაირაღები.

ბულვარი აივსო ხალხით. ესტრადაზე გროვა აღელვებული ორატორებისა; მხურვალე სიტყვები — პასუხად მძლავრი ტაში.

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! — ისმის შეუწყვეტლივ ყველგან, ყოველი ფეხის გადგმაზე" ასე შეხვდა ქუთაისი ცნობას თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შესახებ[2].

მეფის თვითმპყრობელობის დამხობით აღფრთოვანებულმა მშრომელებმა მანიფესტაცია მოაწყვეს.

5 (18) მარტს ქალაქის ბაღში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. სიტყვებით გამოსული ორატორები მიესალმებოდნენ რომანოვების სისხლიანი მონარქიის დამხობას და მოითხოვდ-

---

[1] ი. ჩიქოვანი (პონტელი), „მოგონებები". თბ., 1958, 84.

[2] დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე", თბ., 1961, 237.

ნენ დროებით მთავრობას რევოლუციური ღონისძიებები გა-ეტარებინა. მიტინგმა მისალმება გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. საბჭოების ჩამოყალიბება დაიწყო ქუთაისშიც.

7(20) მარტს ჩატარდა ჯარისკაცთა დემონსტრაცია, მოსწავლეთა მანიფესტაცია და დიდი სახალხო მიტინგი. 8(21) მარტს შედგა მუშათა დეპუტატების პირველი თათბირი, ხოლო 15(23) მარტს არჩეულ იქნა მუშათა დეპუტატების საბჭო. შეიქმნა აგრეთვე ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ჯარისკაცთა საბჭომ დროებით მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვდა დემოკრატიული რესპუბლიკის დაუყოვნებლივ შემოღებას და დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარებას[1]. ჯარისკაცთა საბჭო სცემდა საკუთარ გაზეთს „გოლოს სოლდატა“, რომელსაც ცნობილი ქართველი პოეტი ნიკოლო მიწიშვილი რედაქტორობდა. რეაქციის წლებში განადგურებული ბოლშევიკური ორგანიზაციები ძალების მოკრებას და ლეგალურ მოღვაწეობაზე გადასვლას იწყებდნენ. მენშევიკური და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები კი, რომლებიც რეაქციის პერიოდში ლეგალობის ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ.

მენშევიკები მუშათა კლასს და გლეხობას „წესრიგისაკენ“ მოუწოდებდნენ. მხარი უნდა დავუჭიროთ დროებით მთავრობას, ქუჩაში გამოსვლას და ბრძოლას არ უნდა ვაწარმოებდეთო — არიგებდა ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ევგ. გეგეჭკორი ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრებს[2]. მენშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რევოლუცია არ გაღრმავებულიყო და ძალაუფლება საბჭოების ხელში არ ყოფილიყო თავმოყრილი. თბილისის მსგავსად, ქუთაისშიც მუშათა საბჭოსა და ქალაქის თვითმპყრობელობის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლება. მ ა ს ქ უ თ ა ი ს ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი უ წ ო დ ე ს.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს ყოფილი ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი. მშრომელი მასების

[1] იხ. გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, № 13.

[2] იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1917, №296.

რევოლუციური განწყობილების გაელენით 'აღმასკომი შეუდგა ძველი სახელმწიფო დაწესებულებების ლიკვიდაციას. მაგრამ ეს კეთდებოდა ძალიან ფრთხილად, ისე, რომ მეფისდროინდელ თანამდებობის პირებს რაიმე შეურაცხყოფა არ ეგრძნოთ.

გაუქმდა ჟანდარმთა სამმართველო, აგრეთვე საოლქო სასამართლო, ძველი პოლიცია და სხვ. აღმასკომი განსაკუთრებით გაუბედავად მოქმედებდა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების საკითხში, რითაც სერიოზულად შეაფერხა ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა. ამით მან დიდი სამსახური გაუწია კონტრრევოლუციურ ძალებს.

1917 წლის 18 მარტს ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი"), რომელმაც მთელი მხარის მმართველობა აიღო ხელში. „ოზაკომის" შემადგენლობა კონტრრევოლუციური იყო. „ოზაკომის" შექმნით საბჭოების გვერდით გაჩნდა მეორე ხელისუფლება — ბურჟუაზიის დიქტატურის ორგანო, დროებითი მთავრობის ფილიალი ამიერკავკასიაში.

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი ყოველნაირად ცდილობდა განუხრელად გაეტარებინა დროებითი მთავრობისა და მისი ადგილობრივი ორგანოს „ოზაკომის" მითითებანი. იგიც მხარს უჭერდა იმპერიალისტური ომის გაგრძელებას.

ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს ასეთი საქმიანობით არ შეეძლო ნდობა და ავტორიტეტი მოეპოვებინა მშრომელთა ფართო მასებში. ქუთაისელმა ბოლშევიკებმა თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე გაშალეს მუშაობა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკის გამოსააშკარავებლად, ამხელდნენ მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობას და იბრძოდნენ რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისათვის.

მშრომელები თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისაგან ფართო პოლიტიკურ თავისუფლებას და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდნენ. ბურჟუაზიულ-მემამულურმა დროებითმა მთავრობამ კი მათ იმედები გაუცრუვა. ომი გრძელდებოდა. ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტების, ხოლო მიწა ბერამულეების განკარგულებაში დარჩა. იზღუდებოდა

მშრომელთა პოლიტიკური უფლებები. „ოზაკომს“ არ გაუტარებია არც ერთი ისეთი ღონისძიება, რომელიც ოდნავ შეუმსუბუქებდა მშრომელებს ცხოვრების პირობებს. ამ უკანასკნელთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა საესებით უცვლელი დარჩა.

ქართველი ბოლშევიკები ამხელდნენ და განუმარტავდნენ მასებს „ოზაკომის“ ამ აშკარა კონტრრევოლუციურ და ანტიხალხურ ბუნებას.

საქართველოს ბოლშევიკების მიერ რევოლუციური მუშაობის შემდგომ გაშლასა და გაღრმავებას დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებშიაც დასახული იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კონკრეტული გზები.

1917 წლის 5 სექტემბერს შედგა ქუთაისის ბოლშევიკთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება მენშევიკებისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 11 კაცი. სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკების გავლენა მშრომელებში, ახალგაზრდობაში და ჯარისკაცებში. 1917 წლის 25 სექტემბერს ე. წ. ღულაძის მინდორზე (ამჟამად ძმათა სასაფლაო) ჩატარდა ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგმა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამხელდა დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ხასიათს და შეიცავდა კონკრეტულ რევოლუციურ მოთხოვნებს[1].

პარტიის მე-6 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1917 წლის სექტემბრიდან, ბოლშევიკების უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოში ჩამოყალიბება დაიწყო ახალგაზრდობის რევოლუციურმა კავშირებმა. 3 სექტემბერს შეიქმნა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა“ თბილისის ორგანიზაცია — „სპარტაკის“ სახელწოდებით. 1917 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში შედგა ახალგაზრდა მუშებისა და მოსწავლეების გა-

---

[1] იხ. «Борьба за победу Советской власти в Грузии». Тб., 1958, 90; აგრეთვე, მ. ბინიაშვილი, „ქუთაისის მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“, თბ., 1961, 31—33.

ფართოებული კრება, რომელზედაც შეიქმნა ქუთაისის ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი"[1]. ქუთაისში სპარტაკის ორგანიზაციების შექმნასა და მის შემდგომ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ დ. ლომთაძე, მ. ბახტაძე, ვ. იმედაძე, ბ. ადამაძე, შ. ოკუჯავა. ი. მონიავა, გ. გვახარია და სხვ. „სპარტაკის" ქუთაისის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების საგუბერნიო კომიტეტი. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერებს მამია და მარიამ ორახელაშვილები.

მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის რუსეთში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით იმპერიალისტური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ირაზმებოდა ქართველი ხალხიც. „რევოლუციური ბრძოლის უკვე მიღწეულ პოზიციებზე გაჩერება შეუძლებელია და რევოლუციის ინტერესები დაჟინებით მოითხოვს რევოლუციის შემდგომ განვითარებას, რომელიც შეიძლება მოხდეს ამჟამად და ანდა არასოდეს.

დრო არ ითმენს. ქვეყანაში დაიწყო კონტრრევოლუციის თარეში. იგი მობილიზაციას უკეთებს თავის ძალებს გადამწყვეტ ბრძოლისათვის და ამ მრისხანე საათში კიდევ უფრო მაღლა უნდა გვეჭიროს წითელი დროშა და კიდევ უფრო მაღლა უნდა გაისმოდეს მოწოდების ძახილი: „საკმარისია ადგილზე ტკეპნა! დროა ხელი მოვკიდოთ საქმეს". — წერდა ქუთაისელი ბოლშევიკების მიერ 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერი) გამოცემული „ბიულეტენის" პირველი ნომერი.

ცხადია, ქუთაისელმა ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა მოხდა პეტროგრადში სწორედ იმ დღეს, როდესაც მათ ბიულეტენის პირველი ნომერი გამოსცეს.

---

[1] ვ. იმედაძე. „იმ დღეების გახსენება", თბ., 1958, 8.

§ 8. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ქუთაისის მშრომელთა ბრძოლა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ქუთაისში

დროებითი მთავრობის არსებობა მეტად ხანმოკლე გამოდგა. პირველი მსოფლიო ომით განაწამებმა და მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკით აღშფოთებულმა რუსეთის მუშათა კლასმა, უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დაამხო დროებითი მთავრობის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა — საბჭოთა ხელისუფლება. რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ.

მსოფლიო ისტორიაში დაიწყო ახალი ერა.

ცნობა პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შესახებ საქართველოში 26 ოქტომბერს მიიღეს, რამაც მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ხალხმრავალ მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებითაც საქართველოს მშრომელები მიესალმებოდნენ სოციალისტურ რევოლუციას და მის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ცალკე ფურცლებად გადაბეჭდა და მთელ დასავლეთ საქართველოში გაავრცელა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. ამ დეკრეტებს ფართოდ გამოეხმაურნენ მუშები, ჯარისკაცები და გლეხები. ისინი განიმსჭვალენ უდიდესი ნდობითა და სიმპათიით იმ მთავრობისადმი, რომელმაც თავისი არსებობის პირველ საათებშივე მიიღო მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი საკანონმდებლო აქტები.

9 ნოემბერს გაზეთმა „ბრძოლამ" გამოაქვეყნა ცნობა ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. ბოლშევიკები შეიკრიბნენ იმ ამოცანების განსახილველად, რაც მათ წინაშე დააყენა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში. საგუბერნიო კონფერენციას დაესწრნენ ქუთაისის, ლანჩხუთის, კუხის, ხონის და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა პეტ-

როგორადისა და მთელი რუსეთის პროლეტარიატს. აირჩია დროებითი საგუბერნიო ბიურო.

12 ნოემბერს გამოსვლა დაიწყო „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „მესამე ინტერნაციონალმა“. იგი ქართველ ახალგაზრდობაში ავრცელებდა ოქტომბრის რევოლუციის დიად იდეებს. სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჟურნალი გადაკეთდა იმავე სახელწოდების გაზეთად, რომლის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მთავრობამ იგი აკრძალა. გაზეთმა „მესამე ინტერნაციონალმა“, მართალია, მცირე ხანს იარსება, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და სახელოვანი ტრადიციები დაუტოვა საქართველოს კომკავშირულ პრესას[1].

„სპარტაკის“ ქუთაისის ორგანიზაციამ გამოსცა აგრეთვე ვ. ი. ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“, ი. ბ. სტალინის ნაშრომის „ანარქიზმი და სოციალიზმის“ პირველი ნაწილი — „დიალექტიკური მატერიალიზმი“ და სხვ.

მენშევიკური და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები მტრულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას რუსეთში. ქუთაისელ მენშევიკთა ორგანო, გაზეთი „სოციალდემოკრატი“ ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას ახასიათებდა როგორც „ბოლშევიკთა შეთქმულებას“ და „ბოლშევიკთა ავანტიურას“. ამ გაზეთმა რამდენჯერმე ცნობაც კი გამოაქვეყნა საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ახალი ეპოქა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში — მენშევიკების კონტრრევოლუციური ბუნების მხილებისა და მათი ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქა.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ და მისმა წარმატებებმა ქართველ მენშევიკებზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა, რათა თავიდან აეცილებინათ ამ რევოლუციის „მეტად მავნე“ გავლენა, მათ გადაწყვიტეს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოეშორებინათ.

---

[1] ვ. იმედაძე, დასახ. წიგნი, 10.

ვიდრე რუსეთში არსებობდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, ქართველი მენშევიკები არ აყენებდნენ საკითხს რუსეთისაგან გამოყოფის შესახებ. პირიქით, ისინი თავიანთ უწმიდეს მოვალეობად თვლიდნენ ამ მთავრობისადმი უსიტყვო მორჩილებას და ყველაფერს აკეთებდნენ ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ საკმარისი გახდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, რომ ქართველ „სოციალისტებს" პირი ებრუნებინათ მისგან. ისინი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის პატრიოტებიდან იქცნენ ჯერ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს პატრიოტებად.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები გაერთიანდნენ სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ და 1917 წლის 15 ნოემბერს შექმნეს სამხარეო ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი. ამავე დროს ქვეყნის შიგნით რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა ქართული ბურჟუაზიულ-მემამულური ეროვნული საბჭოები და ეროვნული პოლკები, რომლებსაც მენშევიკები სელმძღვანელობდნენ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა თავისი რეაქციული პოლიტიკით კიდევ უფრო გააუარესა ამიერკავკასიის მშრომელთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. მას არ გადაუწყვეტია არც ერთი სოციალური პრობლემა, არ გაუტარებია არც ერთი ღონისძიება ხალხის ინტერესების დასაცავად. იგი ძირითადად მიზნად ისახავდა რევოლუციური მოძრაობის ლიკვიდაციას ამიერკავკასიაში და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას. კლასთა ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა. 1918 წლის 20 იანვრიდან ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებს შორის მღელვარება დაიწყო, რაც 6 თებერვალს შეიარაღებულ გამოსვლაში გადაიზარდა. ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს სახელმწიფო დაწესებულებებს, შეკრეს ხიდები და გზები, მათ ცეცხლი წაუკიდეს მესხეთის ქუჩაზე (ახლა ნინოშვილის ქუჩა) მდებარე ფეთქებად ნივთიერებათა საწყობს. გადასწვეს 110-ე ლეგიონის ცეიხჰაუზი და მესანგრეთა ლეგიონის ყაზარმა. აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო 6—8 თებერვალს, როდესაც ადგილობრივ გარნიზონს ფრონტიდან ჩამოსული ჯა-

რისკაცებიც შეუერთდნენ, მათ გატეხეს საბჭოს საწყობი და დაიბრუნეს ჩამორთმეული თოფები. ქალაქი რამდენიმე დღე აჯანყებულთა ხელში იყო. ქუთაისის მენშევიკურმა მუშათა საბჭომ დიდი სამსახური გაუწია ადგილობრივ ხელისუფლებას გასწორებოდა რევოლუციურ ჯარისკაცებს. 1918 წლის 8 თებერვალს საბჭომ მიიღო დადგენილება ქუთაისში განლაგებული ჯარის ნაწილების განიარაღების და მათი დაშლის შესახებ. შეიქმნა „რევოლუციური" ტრიბუნალი, რევოლუციური გამოსელების წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოსთან ჩამოყალიბდა „თავდაცვის მუდმივი კომიტეტი"[1]. აჯანყების ჩასაქრობად გამოიწვიეს ჯავშნიანი მატარებელი და ჯარის ნაწილები.

ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი დაძაბულ მუშაობას ატარებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის. გლეხობაში აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. ხდებოდა აგრეთვე კონტრრევოლუციური ძალების კონსოლიდაციაც. 8 თებერვალს დახურეს კომუნისტური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბრძოლა". 1918 წლის 10 თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი მიტინგი. ამ ბოროტმოქმედებით მენშევიკებმა საბოლოოდ ამხილეს თავისი თავი ქართველი ხალხის თვალში.

10 თებერვლის ტრაგედიამ ქუთაისის მშრომელების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. რსდმპ (ბ) ქუთაისის კომიტეტმა გამოსცა ბროშურა „სისხლით შეღებილი შაბათი, 10 თებერვალი თბილისში (ტყვიით გაფანტული მიტინგის მონაწილის ნაამბობი)", რომელშიც გამოთქმული იყო მკაცრი პროტესტი უიარაღო მუშების დახვრეტის გამო.

1918 წლის 20—23 თებერვალს, ლეჩხუმში და დასავლეთ საქართველოში გლეხთა აჯანყების მომზადების დღეებში, ქუთაისში მიმდინარეობდა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწვია. მან განიხილა მიმდინარე მომენტის, ხელისუფლების. მიწის, გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციის და სხვ. საკითხები.

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი ქუთაისში (შემდეგში შემოკლებით სცაქ), ფ. 14, ს. 119, ფ. 5.

კონფერენციამ ხელსაყრელად ცნო საქართველოში შექმნილი ვითარება და მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების მომზადების შესახებ. შეიქმნა აჯანყების შტაბი ალ. გეგეჭკორის მეთაურობით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი, მ. ორახელაშვილი და სხვ.

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები ცალკე ბროშურად დაიბეჭდა ივ. კილაძის სტამბაში და გავრცელდა მთელ საქართველოში.

23 თებერვალს, კონფერენციის დახურვის დღეს, შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ლეჩხუმის მაზრაში. ქუთაისელმა ბოლშევიკებმა დიდი როლი შეასრულეს აჯანყების მომზადების და გატარების საქმეში. მენშევიკების სრული მბარდობერით, ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლებამ ლეჩხუმი „კანონგარეშე" გამოაცხადა.

თბილისში, ბოლშევიკური გაზეთების დახურვის შემდეგ, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები საკუთარი ორგანოს გარეშე დარჩა. ამიტომ კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება გაზეთის გამოცემის აუცილებლობის შესახებ.

1918 წლის 8(21) მარტს ქუთაისში გამოსვლა დაიწყო რსდმპ (ბ) დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციების ყოველდღიურმა გაზეთმა „ჩვენი ბრძოლა". ქუთაისელი მუშები მხურვალედ მიესალმნენ ბოლშევიკური გაზეთის გამოსვლას. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ გაზეთისათვის სახსრების შეგროვებასა და გავრცელებაში. ამ პერიოდში ქუთაისში რამდენიმე წვრილბურჟუაზიული მიმართულების გაზეთი გამოდიოდა: „სოციალ-დემოკრატი" (მენშევიკური), „ახალი მეგობარი" (ფედერალისტური), „სოციალისტ-რევოლუციური" (ესერული), „ჩვენი ქვეყანა" (ეროვნულ-დემოკრატების) და სხვ. ეს გაზეთები ჭორებითა და ცილისწამებით სავსე სტატიებს ბეჭდავდნენ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ მშრომელთა მასებში. „ჩვენი ბრძოლა" თავის მკითხველებს მოუთხრობდა სიმართლეს საბჭოთა რუსეთზე, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებაზე საქართველოში და რაზმავდა მათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. გაზეთმა გამოაქვეყნა საპროტესტო მასალები ამიერკავკასიის სეიმის

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ჩამოეშორებინათ ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთისაგან. 16 (29) მარტს მთავრობის განკარგულებით გაზეთი „ჩვენი ბრძოლა" დახურეს. სტამბის მეპატრონე ი. კილაძე გააფრთხილეს ხელი აეღო ბოლშევიკური ლიტერატურის ბეჭდვაზე. საჭირო გახდა არალეგალური სტამბის მოწყობა. ამ საქმის ორგანიზაცია დაეკალა მ. მეძმარიაშვილს და შ. ცაგარეიშვილს. არალეგალური სტამბა შეიქმნა.

რკპ (ბ) ქუთაისის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა გაზეთი „მუშის სიმართლე", რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 8 აპრილით. ამ სტამბაში (აღმოაჩინეს 1919 წლის ივნისში) იბეჭდებოდა აგრეთვე ბოლშევიკური პროკლამაციები და ფურცლები.

გაზეთებმა „ჩვენი ბრძოლა" და „მუშის სიმართლე", ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, დიდი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ამიერკავკასიის კომისარიატი, მისი ანტიხალხური ბუნების გამო, მასებში არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობდა. ამიტომ მენშევიკები პარალელურად ქმნიან ეროვნულ საბჭოს. მენშევიკები, რომლებიც ხალხს გულმოდგინედ უმალავდნენ ეროვნული საბჭოს შექმნის ნამდვილ მიზეზებს, ფარულად ამზადებდნენ ამ ორგანოს საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობისათვის.

1918 წლის 10 თებერვალს, იმ დელეგატებისაგან, რომლებიც ამიერკავკასიის მასშტაბით აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელ კრებაში[1], მენშევიკებმა და სხვა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა მოიწვიეს ამიერკავკასიის სეიმი. მან შეცვალა ამიერკავკასიის კომისარიატი.

სეიმმა დაუყოვნებლივ აიღო გეზი საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გასაწყვეტად. 1918 წლის მარტში ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ამით იურიდიულად დაადასტურეს მისი საბჭოთა რუ-

---

[1] როგორც ცნობილია, 1918 წლის იანვარში საბჭოთა ხელისუფლებამ დაითხოვა ეს დამფუძნებელი კრება, რომელმაც არ ცნო საბჭოთა ხელისუფლება და კვლავ ბურჟუაზიული დიქტატურის აღდგენა მოითხოვა.

სეთისაგან ჩამოშორება. ამ ფაქტმა უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია მასებში. საქართველოს ყველა რაიონში ეწყობოდა საპროტესტო დემონსტრაციები ამ გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი" ფედერაციული რესპუბლიკა უდღეური აღმოჩნდა. მან მხოლოდ 35 დღე იარსება და შინაგან ნაციონალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო დაიშალა.

1918 წლის 26 მაისს მენშევიკებმა საქართველო „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" გაძოაცხადეს. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა მენშევიკების ხელმძღვანელობით.

მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სასწრაფო წესით ხდებოდა მასების მიერ თებერვლის რევოლუციის დღეებში ბრძოლით მოპოვებული უფლებების ლიკვიდაცია.

ქართველი მენშევიკები უძლური აღმოჩნდნენ თავი გაერთვათ ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და რთული საერთაშორისო ვითარებისათვის. ჩამოაშორეს რა საბჭოთა რუსეთს, მათ საქართველო გადააქციეს ანტისაბჭოთა პლაცდარმად, სადაც თავს იყრიდნენ იმპერიალიზმის ბნელი ძალები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. მენშევიკები სერიოზულად არც დაინტერესებულან ეროვნული, სოციალური და ეკონომიური პრობლემების გადაჭრით. სამაგიეროდ, თავიანთი ხანმოკლე ბატონობის პერიოდში, ისინი აქტიურად ებრძოდნენ ქართველ მუშებსა და გლეხებს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. ატუსაღებდნენ და საპყრობილეებში ყრიდნენ ბოლშევიკებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სიმართლეს ამბობდნენ „დემოკრატიული საქართველოს" მესვეურთა შესახებ, ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ქართველმა მენშევიკებმა მოღვაწეობა დაიწყეს იმით, რომ თურქეთს გადასცეს სამხრეთ საქართველოს ერთი ნაწილი და საქართველოში მოიწვიეს გერმანელთა ჯარები. 1918 წლის 31 ივლისს, როგორც გაზეთი „ბორბა" იუწყებოდა, გერმანელთა

ჯარის ნაწილები, ტყვიამფრქვევებითა და თვითმფრინავებით, ქუთაისშიც ჩამოვიდნენ. გერმანელები საქართველოში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ ქვეყანაში. ქუთაისის მენშევიკური მუშათა საბჭო იძულებული იყო ელიარებია: აქ მოდიან გერმანელები და თათრები და დღეს უფრო ზედმეტი წესრიგია საჭირო, რადგან ცოტა მიზეზია გერმანელებისათვის საჭირო, რათა ჩვენ შინაურ მართვა-გამგეობის საქმეში ჩაერიონო[1].

მალე გერმანელები ინგლისელებმა შეცვალეს. ინგლისელ ჯარისკაცთა თავხედობამ და თავგასულობამ მოსახლეობის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის.

ვ. ი. ლენინი ამომწურავად ახასიათებდა საქართველოში შექმნილ სიტუაციას, როდესაც წერდა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა აშკარად მოტყუებად იქცა. სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია, სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[2].

1918 წლის მეორე ნახევარში მთელი საქართველო რევოლუციური ბრძოლის ალში იყო გახვეული. ტარდებოდა გაფიცვები თბილისში, ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში და სხვ. მიწისა და თავისუფლებისათვის იარაღით ხელში გამოვიდნენ სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის, დუშეთის, გორის, ბორჩალოს და სხვ. მაზრების გლეხები. ამ მეტად საპასუხისმგებლო მომენტში ენერგიულ მუშაობას ეწეოდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასული ბოლშევიკების ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი. 1918 წლის მაისში ქუთაისში მოწვეულ იქნა თათბირი, რომელსაც რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები ხელმძღვანელობდნენ. თათბირმა აღნიშნა მენშევიკებისაგან მშრომელთა ფართო მასების ჩამოშორების ფაქტი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღშფოთებული გლეხობა, ცალკეულ რაიონებში, არსე-

---

[1] ს ცა ჭ. ფ. 14, ს. 131, ფ. 4.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, 7—8.

ბული წყობილების დასამხობად აჯანყებებს ახდენდა სტიქიურად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით, საერთო ცენტრის მითითების გარეშე, რაც ამ აჯანყებათა წარუმატებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა. ამიტომ სამხარეო კომიტეტმა მოუწოდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩადგომოდნენ მასების რევოლუციურ მოძრაობას და არ დაეშვათ სტიქიური, მოუმზადებელი გამოსვლები.

ბოლშევიკების მხარდამხარ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ ქუთაისელი კომკავშირლებიც. კომკავშირის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის[1] დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1918 წლის 23 დეკემბრის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ გამოშვება.

ქუთაისელი ახალგაზრდები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ დღეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ გაზეთს ჰქვია ის სახელი, რომელიც 1918 წელს თავიანთ გაზეთს უწოდეს ქუთაისელმა „სპარტაკელებმა“.

იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების უნიათო, უსუსურმა პოლიტიკამ საქართველო ეკონომიური კატასტროფის წინაშე დააყენა. გაჩერდა ფაბრიკა-ქარხნები, მოიშალა ტრანსპორტი, შეფერხდა ვაჭრობა, გაპარტახდა სოფლის მეურნეობა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობდა. ფართო ხასიათი მიიღო სპეკულაციამ, გაყფასურდა ცული, ხმარებაში შემოვიდა ბონები.

სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქუთაისიც. ეკონომიურად ისედაც ჩამორჩენილი ქუთაისი კიდევ უფრო დაკნინდა. დაიხურა, ან სანახევროდ მოქმედებდნენ იქ არსებული კუსტარული საწარმოები, გამოიკეტა სავაჭროები, გაჩნდა რიგები პირველი მოთხოვნილების საგნებზე, მოიშალა საფინანსო სისტემა, მკვეთრად დაეცა მუშათა რეალური ხელფასი, სწრაფად მატულობდა უმუშევართა რიცხვი. სიღატაკე და შიმშილი პირველ რიგში თავს დაატყდა მშრომელებს. გაიზარდა მუშათა შორის სიკვდილიანობა. ასევე მძიმე იყო მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის მდგომარეობა. 1919 წლის აპრილში ქუთაისის ხაზინის უფროსი დეპეშით ატყობინებდა

---

[1] აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა ახალგაზრდობის ორგანიზაცია „სპარტაკის“ რეორგანიზაციის ბაზაზე.

მენშევიკურ მთავრობას, რომ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ნიადაგზე ხაზინის მოსამსახურენი გაიფიცებიან, თუ ზომები არ იქნა მიღებული. 1920 წლის 17 მარტს გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები, 19 აგვისტოს — ფეხსაცმლის მკერავი მუშები და ა. შ. მარტო 1918 წელს ქუთაისში აღრიცხულ იქნა 684 კონფლიქტი მუშებსა და მეწარმეებს შორის. 1920 წლის 20 ნოემბერს მასწავლებელთა პროფკავშირმა დაადგინა: „...ეცნობოს მთავრობას მასწავლებელთა უკიდურესი ეკონომიური დაცემა და გაღატაკება. მასწავლებლები, რომლებიც სჭედენ ერის აწმყოსა და მომავალ ცხოვრებას და რომელნიც დაუზოგავად მუშაობენ ათ-თორმეტ საათს დღეში, ამჟამად ფიზიკურად და გონებრივად ნადგურდებიან, განიცდიან ნამდვილ შიმშილს, სიტიტვლეს და სიცივეს“.[1]

მასები საქმით რწმუნდებოდნენ, თუ საით მიყავდათ მენშევიკებს საქმე და პირს იბრუნებდნენ მათგან.

საქართველოს ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო. დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. 1919 წლის სექტემბერში ქუთაისში ჩატარდა ბოლშევიკების საგუბერნიო კონფერენცია. მან აირჩია პარტიის საგუბერნიო კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებისათვის მზადების საქმეს. აჯანყება უნდა დაწყებულიყო ოქტომბერში.

მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო ცნობები აჯანყებისათვის მზადების შესახებ. დაიწყო ბოლშევიკთა მასობრივი დაპატიმრება.

შინაგან საქმეთა მინისტრი ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას წინადადებას აძლევდა „...ყველა აგიტატორი და პროპაგანდისტი ბოლშევიკი გაჩხრიკეთ, დაატუსაღეთ და მოათავსეთ ციხეში... დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები, რომ იქნეს დაკეტილი კიოსკი ესერების ბიუროს ქვეშ და საერთოდ აკრძალული და დაკავებული სადაც არ უნდა იყოს ბოლშევიკური ლიტერატურა. დააკავეთ ყველა აქტიური და არა აქტიური მომუშავე ბოლშევიკები...“[2]

---

[1] „საისტორიო მოამბე“, 1953, ტ. 7, 143.

[2] ს ც ი ა, ფ. II, ს. 311, ფ. 40, 41.

ქუთაისელი მენშევიკები პირნათლად ასრულებდნენ მთავრობის განკარგულებას. დააპატიმრეს ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი. ციხეში ჩასვეს შ. ცხაკაია, შ. ორახელაშვილი, იპ. ბახტაძე, ვ. სტურუა და სხვ. 1919 წლის ბოლოსათვის ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 628 ბოლშევიკი იმყოფებოდა. ბოლშევიკების დევნა-დატუსაღებამ მშრომელთა გულისწყრომა გამოიწვია. როგორც ქუთაისის მაზრის კომისარი იტყობინებოდა, სამტრედიასა და კულაშში ვრცელდებოდა პროკლამაციები, რომლებშიც სასტიკი პროტესტი იყო გამოთქმული მენშევიკური მთავრობისადმი ბოლშევიკების დაპატიმრების გამო. პროკლამაციები შეიცავდა მოთხოვნას მათი დაუყოვნებლივი განთავისუფლების შესახებ.

მართალია, 1919 წლის ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ გრძელდებოდა.

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. სამოქალაქო ომში თავი ისახელა ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, მე-16 დივიზიის მეთაურმა ვასილ ისიდორეს ძე კიკვიძემ (1895—1919). საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში. ყოველივე ამისა და მასების მზარდი ზემოქმედების გამო, მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულება დაედო საბჭოთა რუსეთთან. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვეს. 1920 წლის მაისში ისინი გაერთიანდნენ და შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია. ივნისიდან გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კომუნისტმა". მაგრამ მენშევიკური მთავრობა სისტემატურად არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. ბოლშევიკთა დევნა გრძელდებოდა. განსაკუთრებული რაზმის სამმართველო თაკის ანგარიშში მთავრობას მოახსენებდა, რომ „1920 წლის განმავლობაში დაპატიმრებული იქნა 513 ბოლშევიკი — კომუნისტი"[1].

რეპრესიების მიუხედავად, ბრძოლა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს

---

[1] ს ცა ა, ფ. II, ს. 527. ფ. 11—19.

იღებდა. 1920 წელს მამია ორახელაშვილის ინიციატივით თბილისიდან ქუთაისში გადმოიტანეს გამომცემლობა „წითელი ვარსკვლავი“. მოკლე ხანში ქართულ ენაზე დაიბეჭდა ბროშურები: კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.“, კ. მარქსი, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—1871 წწ.“, ვ. ი. ლენინი, „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში“, „პროგრამა რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების)“, „ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები)?“, ნ. კასპიელის (მ. ორახელაშვილის), „ინტერნაციონალი და ომის საკითხები“, „ვინ სტყუის?“ და სხვ.

1920 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდნენ მეორე ინტერნაციონალის ლიდერები. ისინი ქუთაისსაც ესტუმრნენ. ქალაქის საბჭოს სხდომაზე სიტყვებით გამოსული ვანდერველდე, მაკდონალდი, დე-ბრიუკე, ტ. შოუ და სხვ. ქება-დიდებას ასხამდნენ მენშევიკურ მთავრობას და მის მოღვაწეობას. მაგრამ ასე არ ფიქრობდა ქართველი ხალხი. იგი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ქართველმა მენშევიკებმა ქვეყანა სამეურნეო ნგრევის, ეროვნული შუღლისა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა ომების ასპარეზად აქციეს. 1920 წლის ბოლოსათვის მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო მდგომარეობა უიმედო იყო. საქართველოს თითქმის არ გააჩნდა საკუთარი მრეწველობა, გამოიფიტა და ამოიწურა მთელი მისი მარაგი, მოიშალა საგაჭრო ბალანსი, საბოლოოდ დაირღვა ქალაქსა და სოფელს შორის ნორმალური ურთიერთობა, ზღაპრულად გაიზარდა ფასები ფართო მოხმარების საგნებზე.

ასეთ მძიმე საშინაო ვითარებას ემატებოდა მენშევიკებისათვის ისეთი არასასურველი საგარეო ხასიათის ფაქტორები, როგორიც იყო წითელი არმიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გაწმენდა დენიკინელებისაგან, 1920 წლის ბოლოსათვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში. მენშევიკური საქართველო გარსშემორტყმული აღმოჩნდა რევოლუციური ძალებით. ამ პერიოდში საქართველოს კომპარტიას მიჰყვებოდა და მხარს უჭერდა, რაც კი პატიოსანი და პროგრესული იყო საქართველოს პროლეტა-

რიატში და მშრომელ გლეხობაში. ე. ი. საქართველოს მთელი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

ამრიგად, საქართველოში 1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დასაწყისში საბეზე იყო ყველა პირობა მასების რევოლუციური გამოსვლებისათვის, სოციალისტური რევოლუციის წარმატებით განხორციელებისათვის. მართალია, მენშევიკურმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა მრისხანე სახალხო აჯანყება, ფეხზე დააყენა ძალმომრეობისა და დარბევის მთელი აპარატი — საგანგებო რაზმები, „სახალხო“ გვარდია, ჯარის ნაწილები და ა. შ., მაგრამ ისტორიის მიერ სამართლიანად განწირულ რეჟიმს ვერაფერმა უშველა.

საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გატარების შესახებ რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს 1920 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა და თბილისის კომიტეტებმა მოწოდებით მიმართეს მშრომელებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რათა მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

შეიარაღებული აჯანყება საქართველოში დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში, იგი სწრაფად გავრცელდა ბორჩალოს, დუშეთის, გორის, რაჭა-ლეჩხუმის, ქუთაისის, სენაკის და სხვ. მაზრებში.

აჯანყების ხელმძღვანელობისათვის 16 თებერვალს ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების დასაჩქარებლად რევკომმა, საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით, დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს, პირადად ვ. ი. ლენინს. რკპ(ბ) ცკ გადაწყვეტილებით საქართველოში გამოიგზავნა მეთერთმეტე წითელი არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით.

1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულები და წითელი არმიის ნაწილები თბილისში შეავიდნენ. ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს აცნობებდა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

მენშევიკური მთავრობა დასავლეთ საქართველოში, ქუ-

თაისში გადმოვიდა. მათ თან ჩამოიყვანეს დაპატიმრებული კომუნისტები. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის საქმე წაგებული იყო და მათი მხრივ ომის განგრძობა უაზრობას წარმოადგენდა, ისინი წინააღმდეგობას მაინც არ სწყვეტდნენ.

ზედმეტი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით ხაქართველოს რევკომმა 1921 წ. 8 მარტს მენშევიკურ მთავრობას წინადადებით მიმართა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება და ჩაებარებინათ მთელი სამხედრო საქურველი. სანაცვლოდ მათ პირდებოდნენ გარანტირებულ ხელშეუხებლობასა და წარსულის დავიწყებას[1].

ეს იყო უაღრესად ჰუმანიური აქტი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ. მენშევიკები არ ჩქარობდნენ პასუხის გაცემას და თავს უყრიდნენ უკანასკნელ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მენშევიკური მთავრობის ოფიციოზი „ერთობა“, რომლის რედაქცია ქუთაისში გადმოიტანეს, გესლს ანთხევდა საბჭოთა რუსეთისა და წითელი არმიის მიმართ. ჭორებისა და ცილისწამების კამპანიამ ყოველგვარი საზღვრები გადალახა. მენშევიკები ცდილობდნენ პანიკა გამოეწვიათ მშრომელებში.

1921 წლის 10 მარტს მამისონის უღელტეხილით გადმოსული წითელი არმიის ნაწილები და აჯანყებულები ქუთაისში შემოვიდნენ. მენშევიკებმა დაიხიეს სადგურ რიონისკენ, ააფეთქეს რკინიგზის ხიდი და ბათუმის მიმართულებით გაიქცნენ. ქუთაისში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. თერთმეტ მარტს ს. ორჯონიკიძე ი. ბ. სტალინს აცნობებდა: „ჟორდანიას მთავრობა განდევნილია ქუთაისიდან, გუშინ დილიდან ქუთაისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა“[2].

ქუთაისიდან გაქცევის წინ მენშევიკებმა ახალი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. 8 მარტს ციხიდან გამოიყვანეს დაპატიმრებული კომუნისტები ნ. ვ. ივანოვი და პ. მარდალეიშვილი და საშინელი წამების შემდეგ დახვრიტეს, გვამები კი დაწვეს.

---

[1] ს ც ი ა, ფ. 261, ს. 168, ფ. 1.

[2] Ревкома Грузии, сб. материалов. сост. И. Ахалая, Тб., 1963, 49.

თავი მესამე

ქუთაისი სოციალიზმის მშენებლობის, გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში (1921—1941 წწ.)

§ 1. ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში

1921 წლის 11 მარტს მთელი ძალაუფლება ქუთაისის გუბერნიაში ხელში აიღო რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა). რევკომმა თავის პირველსავე სხდომაზე განიხილა საკითხები, რომლებიც ქალაქში სრული წესრიგის აღდგენასა და მშრომელთა ინტერესების დაცვას შეეხებოდა. ქუთაისის რევკომის დადგენილებით ციხიდან გაანთავისუფლეს ყველა დაპატიმრებული კომუნისტი.

ქუთაისიდან ბათუმში გაქცეული მენშევიკური მთავრობა წინააღმდეგობას არ წყვეტდა. შემდგომი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს რევკომმა წინადადებით მიმართა დამარცხებულ მენშევიკურ მთავრობას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ქუთაისში 1921 წლის 17—18 მარტს. მასში მონაწილეობდნენ მენშევიკური მთავრობის რწმუნებული გრ. ლორთქიფანიძე, საქართველოს რევკომის წევრი მამია ორახელაშვილი, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები — აბელ ენუქიძე და ალექსანდრე სვანიძე. მოლაპარაკების შედეგად დაიდო შეთანხმება. 18 მარტს კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს და საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს ქუთაისიდან დეპეშით ეცნობა ხელშეკრულების სრული ტექსტი[1]. მიუხედავად ამისა, მენშევიკებმა დაარღვიეს ქუ-

[1] ს ც ა ქ, ფ. 305, 64, ფ. 11—13.

თაისში დადებული ხელშეკრულება, ბათუმის ოლქში შემოუშვეს თურქეთის ჯარები და თვითონ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებს შეაფარეს თავი.

მენშევიკების განდევნამ და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ქუთაისის მშრომელების დიდი პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია. ყველგან იმართებოდა მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა და ტელეფონის ჭსელის მუშა-მოსამსახურეები საერთო კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში მიესალმებოდნენ საქართველოს საბჭოთა მთავრობას და წითელ არმიას, რომლებმაც იხსნეს საქართველოს მშრომელი მუშათა კლასი მენშევიკების მძიმე უღლისაგან. ისინი ფიცს სდებდნენ, რომ ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებს კომუნისტური წესწყობილების განმტკიცებაში[1]. ანალოგიური რეზოლუციები მიიღეს სხვა წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებმა, ქუთაისის გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში ჩატარებულმა მიტინგებმა. საგუბერნიო რევკომი ღებულობდა მრავალრიცხოვან მისალმებებს, რომლებშიც მშრომელები მკაცრად აკრიტიკებდნენ მენშევიკების საქმიანობას და ფიცს სდებდნენ იარაღით ხელში ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ქუთაისელმა მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობას. მათ დიდი დაბრკოლებები უნდა გადაელახათ. პირველ რიგში საჭირო იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, დაშხობილი კლასების და მათი ინტერესების გამომხატველი წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგობის დაძლევა, ომითა და მენშევიკების ბატონობით მოშლილი სახალხო მეურნეობის აღდგენა, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აქ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის ფასდაუდებელი დახმარება, რომელიც ვ. ი. ლენინმა გაუწია ქართველ კომუნისტებს. ვ. ი. ლენინმა დასახა ის ნათელი პროგრამა, რომელმაც საქართველოს კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფ-

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1921, № 2, 7.

.ლებას შესაძლებლობა მისცა ამ რთულ სიტუაციაში გამოენახათ სწორი პოლიტიკური კურსი და წარმატებით შედგომოდნენ საბჭოთა ალმშენებლობისა და ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს.

ვ. ი. ლენინი ქართველ კომუნისტებს მიუთითებდა და ასწავლიდა, რომ რუსეთისაგან განსხვავებით, საჭირო იყო უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე, რომ ქართველ კომუნისტებს მოქმედება უხდებათ თავისებურ სოციალურსა და საერთაშორისო ვითარებაში, რომ ეს მოითხოვს თავისებურსა და მოქნილ პოლიტიკას, მოითხოვს არა უბრალოდ „რუსულ შაბლონს", არამედ ცხოვრებისა და ჩვეულებების ადგილობრივ პირობებთან შეგუებას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „...ეკონომიური მხრივ ყოველნაირად გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი, კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები). სპილენძი ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია... ამასთან ეს ყოველნაირად უნდა გამოიყენოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც, მეურნეობის მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბმელად. მთელი ძალღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის დიდი სამუშაოები"[1].

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მტკიცედ დარაზმვასა და მათი რიგების შემდგომ შემჭიდროებას. 1921 წლის 14 მარტს შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ მ. გახოკია, კ. ქაცარავა, ვ. ბახტაძე, დ. ლორთქიფანიძე, ს. ადამსკი, სპ. კიკაჩეიშვილი და სხვ.[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, 399—400.

[2] 1921 წლის აპრილიდან, გუბერნიების გაუქმების გამო, მას სამაზრო კომიტეტი ეწოდა. იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი (შემდეგში მოკლედ: მლისფპა), ფ. 29, აღწ. 1, ს. 37, ფ. 1—5.

პარტიის სამაზრო და რევოლუციურმა კომიტეტებმა თავიანთი საქმიანობით ქუთაისის მშრომელებს მალე დაუმტკიცეს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ჭეშმარიტად იცავდნენ ხალხის ინტერესებს.

ქუთაისის რევკომს პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა საქართველოს რევკომის საგანგებო რწმუნებული ქუთაისის გუბერნიაში ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი. ქუთაისის რევკომის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: შ. ლეჟავა, დ. ლორთქიფანიძე, ი. მაჭავარიანი. ს. ადამსკი, თ. გორგასლიძე, ა. პაპავა და სხვ[1].

ქუთაისის რევკომმა თავისი მოღვაწეობა საბელმწიფო აპარატის ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებით დაიწყო. რევკომის შემადგენლობაში შეიქმნა საბინაო, მიწის, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიური, კომუნალური, საფინანსო, ჯანმრთელობის დაცვისა და საბალხო განათლების განყოფილებანი, სახალხო მეურნეობის საბჭო, სასურსათო კომიტეტი და მუშურ-გლეხური ინსპექცია. კონტრრევოლუციის, ჯაშუშობის, საბოტაჟის, ბანდიტიზმის, სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა აგრეთვე საგანგებო კომისია და რევოლუციური ტრიბუნალი.

რევკომმა მოახდინა შედარებით მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაცია. სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცა ძმ. ქავთარაძეების და ა. კაკაბაძის თამბაქოს ორი ფაბრიკა, მ. ლაღიძისა და ძმ. ბეგოვების ორი ელექტროსადგური, ორი სახერხი ქარხანა, ოთხი წისქვილი (მათ შორის სამი მექანიკური ძრავით, ერთი კი წყლის), ტყავის სამი ქარხანა, საქსოვი სახელოსნო, გრეხილავეჯის ფაბრიკა, ზეთის, აგურის და ყინულის დამამზადებელი ქარხნები, ხუთი სტამბა, წყალსაქაჩი „შრომა", ფეხსაცმელების, სამკერვალო და სადურგლო სახელოსნოები. მათი უმრავლესობის ტექნიკურ მოწყობილობას შეადგენდა 3—4 პრიმიტიული დაზგა, რომელსაც რამდენიმე მუშა ემსახურებოდა. საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვდნენ ელექტროსადგურები. პირველ ელექტროსადგურში სამი ძრავიდან არ მოქმედებდა ყველაზე დიდი (200 ცხ. ძალიანი), ხოლო ორი დანარჩენი (80 და 30 ცხ. ძალიანი) ნახევარი და-

[1] ს ც ა ქ, ფ. 305, ს. 48, ფ. 2; ს. 58, ფ. 8, 10, 62, 66. ს. 4, ფ. 8.

ტვირთვით ჟუშაობდნენ. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა მეორე ელექტროსადგურიც. არასანუგეშო სურათს წარმოადგენდა მათთან ორგანულად დაკავშირებული წისქვილები და ყინულის დამამზადებელი ქარხანა. პარტიის სამაზრო კომიტეტისა და რევკომის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად 1921 წლის ბოლოსათვის ზოგიერთი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია 75—120%-ით გაიზარდა[1].

საფუძვლიანად გადაკეთდა პირველი ელექტროსადგურის შენობა. ორივე ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 485 ცხენის ძალას არ აღემატებოდა და დღე-ღამეში 1300 კილოვატ ენერგიას იძლეოდნენ. მაშინ ეს ქუთაისის სუსტადგანვითარებული მრეწველობისათვის სრულიად საკმარისი იყო. მალე ამუშავდა წისქვილები და ყინულის დამამზადებელი ქარხანა. საგრძნობლად გაფართოვდა თამბაქოს ფაბრიკების, საპნის ქარხნისა და საღეჭრო სახელოსნოს მიერ გამომუშავებული პროდუქციის ოდენობა. ქუთაისში არსებული სტამბების გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა პირველი საბჭოთა სტამბა[2].

თავდაპირველად ქუთაისის რევკომმა მოახდინა ყველა საწარმოთა, მათ შორის კუსტარული სახელოსნოების, ნაციონალიზაცია. 1921 წლის 31 ივნისს საქართველოს რევკომმა გამოსცა № 42 დეკრეტი, რომლის თანახმადაც ნაციონალიზაცია არ უნდა შეხებოდა ე. წ. არაცენზიან წვრილ საწარმოთა უმრავლესობას. ასეთი საწარმოები უნდა ჩარიცხულიყო საიჯარო ფონდში. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სპეციალური ინსტრუქცია სამრეწველო საწარმოთა იჯარით გაცემის წესის შესახებ. იჯარით უნდა გაცემულიყო უმოქმედო და სუსტად მოქმედი საწარმოები. ეს ღონისძიება სახელმწიფოს განტვირთავდა ზედმეტი ვალდებულებებისაგან და საშუალებას მისცემდა ხელი შეეწყო მსხვილი მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, წვრილ საწარმოთა იჯარით გაცემა გამოავლენდა ახალ ძალებსა და საშუალე-

---

[1] ს ცა ქ, ფ. 38, ს. 208, ფ. 74—81.

[2] იხ. გაზ. „ჟუშა და გლეხი", 1922, № 23, 24.

ბებს... ხელს შეუწყობდა ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებას[1]. ამ დეკრეტის საფუძველზე ქუთაისის რევკომმა მოახდინა ზოგიერთი საწარმოს დენაციონალიზაცია. დამკვიდრდა წვრილ საწარმოთა იჯარით გაცემის პრაქტიკა. რევკომთან არსებულმა სახალხო მეურნეობის საბჭომ იჯარით გასცა ა. კაკაბაძისეული თამბაქოს ფაბრიკა, წყლის წისქვილი, საპნის, ტყავის და აგურის ქარხნები. წვრილ საწარმოთა და ცალკეულ სამუშაოთა (გზების მოკირწყვლა, ხიდების შეკეთება და ა.შ.) იჯარით გაცემამ რევკომს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გამოეცოცხლებინა ქალაქის ეკონომიკა და შეემცირებინა უმუშევართა რიცხვი. რევკომი კონტროლს უწევდა საბჭოთა შრომის კანონების მტკიცედ დაცვას, ზღუდავდა კაპიტალისტური ელემენტების ექსპლოატატორულ მისწრაფებებს. ქუთაისის რევკომის შრომის განყოფილებამ მიიღო სავალდებულო დადგენილება, რომლითაც სასტიკად იკრძალებოდა პროფესიული კავშირების თანხმობის გარეშე წარმოება-დაწესებულებების დახურვა და მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვა. იკრძალებოდა მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე ქალთა შრომის გამოყენება. სავალდებულო დადგენილება ითვალისწინებდა მშრომელებისათვის შვებულების მიცემის, დასვენების და სხვ. საკითხებს. შრომის განყოფილებამ განსაკუთრებული კონტროლი დააწესა 8 საათიანი სამუშაო დღის განხორციელებაზე.

1921 წლის 14 მარტის დადგენილებით რევკომმა ქუთაისში არსებული ბანკები ერთ სახალხო ბანკად გააერთიანა და საბანკო ოპერაციებზე თავისი მეთვალყურეობა დააწესა. რევკომს კარგად ესმოდა საფინანსო საკითხის მოგვარების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. ამიტომ მან გაერთიანებულ ბანკში დანიშნა თავისი სპეციალური კომისარი[2]. სახალხო ბანკის შექმნამ საშუალება მისცა რევკომს გეგმაზომიერად გამოეყენებინა ფულადი სახსრები მშრომელთა საკეთილდღეოდ და ზეგავლენა მოეხდინა არაორგანიზებულ ბაზარზე.

---

[1] ი. კაკარავა, „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში", თბ., 1958, 198.

[2] ს ცა ქ, ფ. 305, ს. II, ფ. 288, ს. 117, ფ. 3.

1921 წლის 15 მარტს რევკომმა განიხილა მილიციისა და ახალი სასამართლო ორგანოების შექმნის საკითხი. ძველი სასამართლო, ცხადია, ვერ შეძლებდა სამსახური გაეწია სოციალისტური სახელმწიფოსათვის, დაეცვა მშრომელთა ინტერესები. ქუთაისი გაიყო ორ სამოსამართლო და საგამომძიებლო უბნად. თითოეულ მათგანში დაინიშნა სახალხო მოსამართლე და გამომძიებელი. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება-გარჩევაში მონაწილეობდნენ პროფკავშირების მიერ არჩეული სახალხო მსაჯულები. აღმოიფხვრა სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვისას ძველი, ბიუროკრატიული დამოკიდებულება. სასამართლოში შემოსული საქმე აუცილებლად ერთი თვის განმავლობაში უნდა გარჩეულიყო. რევკომი, იუსტიციის განყოფილების საშუალებით, სისტემატურად ადევნებდა თვალყურს რევოლუციური კანონიერების მტკიცედ დაცვასა და ცხოვრებაში განუხრელად გატარებას[1].

მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან დაარსდა „საჩივართა ბიურო", რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. მშრომელთა ინტერესებისადმი მეტი გულისხმიერების გამოჩენას.

მენშევიკების მიერ მიტოვებული და გადამალული ქონების აღსარიცხავად შეიქმნა სპეციალური კომისია.

ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების — დაქორწინების, განქორწინების, დაბადების, გარდაცვალების, გვარის გამოცვლის და ა. შ. რეგისტრაციის უფლება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხანებში განსაკუთრებით მწვავედ იდგა სასურსათო საკითხი. სურსათით მომარაგების საქმე გართულდა არა მარტო იმით, რომ მენშევიკებმა თავიანთი აგრარული პოლიტიკით ჩიხში მოამწყვდიეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს რევკომი საერთოდ კრძალავდა ვაჭრობას და პრო-

---

[1] სცაქ, ფ. 305, ს. 69, ფ. 73—76.

დუქტების ყიდვა-გაყიდვას. ამით მათ სურდათ გამოეწვიათ სასურსათო კრიზისი, დაესუსტებინათ და ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ქალაქისა და მაზრის მშრომელი მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით ძომარაგების უზრუნველსაყოფად რევკომთან არსებობდა სასურსათო განყოფილება, რომელმაც თავისი რწმუნებულებისა და აგენტების მეშვეობით შეძლო სურსათ-სანოვაგის გარკვეული მარაგის შექმნა. შემოღებულ იქნა საბარათო სისტემა[1]. მოგვარდა აგრეთვე ქუთაისის ახლო-მახლო სოფლებიდან სურსათ-სანოვაგის ბაზარზე შემოტანის საკითხიც. პროფკავშირების ინიციატივით გაიხსნა სასადილოები, სადაც მუშა-მოსამსახურეებს სადილი უფასოდ და დაკლებულ ფასებში ეძლეოდათ. პარტიის სამაზრო კომიტეტისა და. რევკომის მოქნილი მუშაობის შედეგად თავიდან იქნა აცილებული სასურსათო კრიზისი. დიდი ყურადღება ექცეოდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად ჩატარებას, რადგანაც ამაზე დიდად იყო დამოკიდებული მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხი. პარტიის სამაზრო კომიტეტმა და რევკომმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს აგრეთვე სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

1921 წლის 6 აპრილს შეიკრიბა ქუთაისის მაზრის კომუნისტური ორგანიზაციის წარმომადგენელთა პირველი თათბირი, რომელმაც განიხილა პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის პრაქტიკული საკითხები.

10 აპრილს, საქართველოს რევკომის დადგენილებით, ქუთაისში ჩატარდა ქუთაისის გუბერნიის სამაზრო და საქალაქო რევკომების თავმჯდომარეთა თათბირი. მას ხელმძღვანელობდა საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. თათბირმა განიხილა ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოების მუშაობის საკითხი, სათანადო შეფასება მისცა მას და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. თათბირმა მიიღო დადგენილება ქუთაისის საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტის სამაზრო რევოლუციურ კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

---

[1] ს ც ა ქ, ფ. 305, ს. II, ფ. 205.

12 აპრილს გაიმართა წითელი არმიის ნაწილების პარადი, რომელშიაც მონაწილეობდა ახლადჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ასეულიც.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს პარტიის სამაზრო კომიტეტმა და რევკომმა მშრომელთა ფართო მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ქუთაისელმა მშრომელებმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებთან, ფართოდ აღნიშნეს საფრანგეთის რევოლუციის 132 წლისთავი, ძმური დახმარება აღმოუჩინეს ვოლგის მხარის დამშეულ მოსახლეობას და ა. შ.

მშრომელთა ერთიანობის ნამდვილ დემონსტრაციას წარმოადგენდა პირველი შაბათობა ქუთაისში, რომელიც 1921 წლის 17 აპრილს ჩატარდა[1]. მასობრივი შაბათობები ეწყობოდა შემდეგშიაც. მასში მონაწილეობდნენ კომუნისტები, კომკავშირლები და უპარტიო მშრომელები, ყველა ის, ვისაც ახარებდა ჩვენი ქალაქის აღორძინება და განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველმა წარმატებებმა დამარცხებული კლასების და მათი პოლიტიკური პარტიების გაბოროტება გამოიწვია. თავი წამოყო შინაგანმა კონტრრევოლუციამ. საზღვარგარეთ გაქცეულმა მენშევიკმა ლიდერებმა ფართო ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს წითელი არმიისა და რევკომის წინააღმდეგ. 1921 წლის 29 აპრილს, მათგან წაქეზებულმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა, ყუმბარა ესროლეს მანქანას, რომელშიაც ქუთაისის რევკომის და პარტიის სამაზრო კომიტეტის წევრები: ა. გეგეჭკორი, ვ. ბახტაძე, ა. დალაქიშვილი და სხვები ისხდნენ. საპირველმაისო დღესასწაულის წინ ამ მუხანათურმა თავდასხმამ ქუთაისის მშრომელების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც პირველი მაისის აღსანიშნავად იმართებოდა, მშრომელები გულისწყრომას გამოთქვამდნენ მენშევიკების მიმართ, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უშლიდნენ ხალხის მშვიდობიან, შემოქმედებით შრომას.

ქუთაისის სამაზრო რევკომის ისტორიაში მნიშვნელოვან

---

[1] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1921, № 6, 21.

მოვლენას წარმოადგენდა სარაიონო და სათემო რევკომების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა, რომელიც 1921 წლის 29 მაისს გაიხსნა. ყრილობამ შეაჯამა სარაიონო და სათემო რევკომების მიერ ორი თვის მასძილზე ჩატარებული მუშაობა და მოისმინა სამაზრო რევკომის ანგარიში[1].

1921 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო და სარაიონო ორგანიზაციების პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელმაც განიხილა სამაზრო კომიტეტის მუშაობის საკითხი.

საანგარიშო მოხსენება სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა კ. ქაცარავამ. კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო სამაზრო კომიტეტის მუშაობა და აირჩია პირველ სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები[2].

კონფერენციის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში ახალი ამოცანები დააყენა პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ისტორიამ ბოლშევიკებს დააკისრა მეტად საპასუხისმგებლო მისია — სათავეში ჩადგომოდნენ ძველი წესწყობილების ნგრევისა და ახლის მშენებლობის საპატიო საქმეს. კონფერენციამ მოიწონა 14 მარტს შექმნილი სამაზრო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა და აირჩია სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა კ. ქაცარავას ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში ქუთაისის მშრომელების უფროს თაობას მხარში ედგა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე ახალგაზრდობა, რომლის მოწინავე რაზმს კომკავშირული ორგანიზაცია წარმოადგენდა. კომკავშირული და უპარტიო ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

1921 წლის 7 აპრილს გაიმართა ქუთაისის ახალგაზრდობის კრება, რომელმაც, სხვა საკითხთა შორის, განიხილა აგრეთვე სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა ფართოდ ჩაბმის

---

[1] ს ცა ქ, ფ. 305, ს. 20, ფ. 387—391.

[2] მლისფპა, ფ 29, აღწ. 1, ს. 37, ფ. 1—5.

აუცილებლობის საკითხიც. გამოითქვა აზრი ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლის და საყვარელი ბელადის კ. ლიბკნეხტის სახელი.[1] ქუთაისის სამაზრო რევკომმა დააკმაყოფილა ახალგაზრდობის სურვილი და ქარავან-სარაის (ქარვასლის) ქუჩას კ. ლიბკნეხტის სახელი უწოდა.

14 აპრილს ჩატარდა ქუთაისის ახალგაზრდა მუშა-ქალთა პირველი მასობრივი მიტინგი. მოხსენებით ქალთა საკითხის შესახებ გამოვიდა ჯ. იმედაძე მოხსენების დამთავრების შემდეგ მიტინგის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ კომკავშირულ ორგანიზაციაში მუშაობის სურვილი გამოთქვა.

1921 წლის 3 ივლისს გაიხსნა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია[2].

კონფერენციამ განსაზღვრა მაზრის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე დააყენა ახალმა ვითარებამ.

პარტიის სამაზრო კომიტეტი და ქუთაისის რევკომი შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად, ახალი ამოცანების შესაბამისად მოწყობას. გაზეთი „მუშა და გლეხი" კომკავშირულ ცხოვრებას უთმობდა სპეციალურ გვერდებს, რომლებიც „წითელი ახალგაზრდობის ფურცლის" სახელწოდებით იბეჭდებოდა.

1921 წლის დეკემბრიდან საქართველოში დაიწყო საბჭოების არჩევნები. საბჭოები პირველად აირჩიეს თბილისისა და ბათუმის მშრომელებმა, არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა. 1921 წლის 31 დეკემბერს შეიქმნა ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საარჩევნო კომისია[3].

პარტიის სამაზრო კომიტეტმა და რევკომმა დიდი მუშაობა გასწიეს არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის. გაზეთი „მუშა და გლეხი" სისტემატურად

[1] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1921, № 3, 10.

[2] იქვე. № 29.

[3] ს ცაქ, ფ. 305, ს. II, ფ. 451.

ბეჭდავდა მასალებს საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ, განუმარტავდა მშრომელთა ფართო მასებს საბჭოების როლსა და მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ამხელდა მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების დემაგოგიას და ცილისწამებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1922 წლის იანვარში ქუთაისში რამდენჯერმე ჩატარდა საბჭოთა არჩევნებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. მენშევიკები, ფედერალისტები და სხვ. ცდილობდნენ თავისი კანდიდატები გაეყვანათ საბჭოებში და ამით ზეგავლენა მოეხდინათ მათ მუშაობაზე.

ქალაქის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის მეორე კონფერენციას. კონფერენციის მსჯელობის საგანი იყო სამაზრო პარტკომის და სამაზრო რევკომის მუშაობა, საერთაშორისო ვითარება და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა, სოციალისტური მშენებლობის საკითხები და სხვ. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასა და აგრარულ საკითხს.

კონფერენციამ აირჩია სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის დელეგატები და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობის დელეგატები[1].

1922 წლის იანვარ-თებერვალში ქუთაისის მაზრაში საბჭოების არჩევნები დამთავრდა. არჩევნები მთელ მაზრაში მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. სავსებით ჩაიფუშა კონტრრევოლუციური პარტიების ყოველგვარი ცდა შეეჩერებინათ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელება. საბჭოებში აირჩიეს კომუნისტები, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშები, გლეხები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. 16 თებერვალს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნა საბჭოების პირველი ყრილობა.

---

[1] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1922, № 5.

ქუთაისის მახრის საბჭოების პირველ ყრილობას ესწრებოდა 230 დეპუტატი. მათ შორის კომუნისტი — 159 (ე. ი. 69%-მდე), თანამგრძნობი — 32, უპარტიო — 25, მემარცხენე ფედერალისტი — 10. დეპუტატთა სოციალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლეოდა: მუშა—58, გლეხი—70, ინტელიგენტი—77. ყრილობის დეპუტატთა ასეთი შემადგენლობა ნათლად მეტყველებდა იმაზე, რომ საბჭოები ნამდვილად მუშურ-გლეხური იყო. „მართლაც, ეს არ არის ლიტონი სიტყვები,—წერდა ერთ-ერთი დეპუტატი,—ყრილობის შემადგენლობა ამას ნათელყოფს. გლეხები ნახევრადშემოხეულ ჩოხა-ახალუხში, თავზე ყაბალახებით, ეს მიწის ღვიძლი შვილები. მუშები დაკოერებული ხელებით, წარსულში ტანჯვა-ვაებას ჩვეულნი თავისი დაღარული სახეებით, მაგრამ ცეცხლით და ცხოვრების სურვილით აღსავსე თვალებით... არ შეიძლება ყრილობის ამისთანა შემადგენლობამ სხვანაირად იმსჯელოს და იმოქმედოს, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ"[1].

ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებად აირჩია: ვ. ი. ლენინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და მამია ორახელაშვილი. მისალმება გაეგზავნა მესამე ინტერნაციონალის აღმასკომს, რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სხვ.

ყრილობის დღის წესრიგში ძირითადად სამი საკითხი იდგა. 1. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა. 2. ქუთაისის სამაზრო რევკომის ანგარიში და 3. სამაზრო აღმასკომის და სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობის დელეგატების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ვ. ბახტაძე. მან დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე, დაასაბუთა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის აუცილებლობა და ყრილობას მოუწოდა მხარი დაეჭირა საქართველოს კომპარტიის გენერალური ხაზისათვის, რომელიც ითვალისწინებდა

---

[1] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1922, № 11.

ამიერკავკასიის სამ მოძმე ხალხს შორის მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირის შექმნას. აღნიშნულ საკითხზე ყრილობამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „...ითვალისწინებს რა იმ რთულ, სერიოზულ საგარეო და შინაურ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს იმყოფებიან საბჭოთა რესპუბლიკები და აუცილებელ საჭიროებას საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ძმური, მაგარი, მჭიდრო კავშირისა საერთო ბრძოლის მოსაგებათ და ერთა შორის სოლიდარობის განსამტკიცებლად, ყრილობა აღტაცებით ეგებება იდეას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციისა, რომელსაც ხორცს შეასხამს სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ, განუყრელ კავშირს"[1].

ქუთაისის სამაზრო რევკომის მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კ. ქაცარავა. იგი ვრცლად შეჩერდა რევკომის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებას, მაზრის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, რევოლუციური კანონიერების განმტკიცებას და სხვ. ყრილობამ აღნიშნა, რომ ქუთაისის სამაზრო რევკომმა, უაღრესად რთული ვითარების მიუხედავად, მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მან შეძლო მშრომელთა ფართო მასებამდე მიეტანა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საბრძოლო ლოზუნგები, დაერაზმა ისინი მათ განსახორციელებლად, ნიღაბი ჩამოეხადა მენშევიკური და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების აგენტებისათვის, რომლებიც ჭორებითა და ცილისწამებით ცდილობდნენ შეერყიათ პროლეტარიატის დიქტატურა, სახელი გაეტეხათ მისთვის. ქუთაისის რევოლუციურმა კომიტეტმა პირნათლად შეასრულა ის დიდი ისტორიული მისია, რაც საერთოდ დაეკისრათ რევოლუციურ კომიტეტებს საქართველოში.

ყრილობამ აირჩია ქუთაისის პირველი აღმასკომი. პირველი აღმასკომის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. სტურუა, კ. ქა-

---

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1922, № 11.

ცარაია, ი. ხარაბაძე, ვ. ბახტაძე, შ. ლეჟავა, კ. ბულავა მ. მეძმარიაშვილი, ნ. ვაშაყმაძე, ი. ფანცხავა და სხვ. კანდიდატები: კ. კალანდაძე, ვ. გურულიშვილი და ი. ვაშაყმაძე. არჩეულ იქნა აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატები.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა 18 თებერვალს. ერთი კვირის შემდეგ, 25 თებერვალს, სოციალისტური რევოლუციის წლისთავზე, თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ქუთაისის მაზრის მშრომელთა 33 წარმომადგენელი. ყრილობამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუცია და აირჩია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

1922 წლის 11 მარტს, ქუთაისის რევკომის შექმნიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ჩატარდა ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი პლენარული სხდომა, რომელშაც შექმნა აღმასკომის პრეზიდიუმი. პლენუმმა შექმნა აგრეთვე აღმასკომის განყოფილებები და დაამტკიცა მათი გამგეები.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი, ეყრდნობოდა რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც საქართველოში შემოღებულ იქნა 1921 წლის ივლის-აგვისტოში, ენერგიულ ღონისძიებებს ატარებდა ქალაქის ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად. გრძელდებოდა ცალკეულ საწარმოთა და სამუშაოთა იჯარით გაცემის პრაქტიკა. 1922 წლის განმავლობაში აღმასკომმა იჯარით გასცა კოკოჩაშვილის ყოფილი აბანო, ლაღიძის ყოფილი ელექტროწისქვილი, სასტუმრო „გრანდ-ოტელი", უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, ბორანი, ვაჟა-ფშაველასა და ზდანოვიჩის ქუჩების, აგრეთვე ქუთაისი-ხონის გზატკეცილის შესაკეთებელი სამუშაოები და სხვ.[1]. აღმასკომის ეკონომიურ განყოფილებასთან დაარსდა საბჭოთა აუქციონისტების ბიურო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა

---

[1] ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 5945/6, 7, 13, 31, 71, 80, 91, 97.

ამ საქმეს. 1922 წლის 17 ივლისს აღმასკომის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით ქუთაისში ახლადაგებული ყოველი ქვიტკირის საცხოვრებელი ბინა ათი წლის განმავლობაში თავისუფლდებოდა ჩამახლების, რეკვიზიციის ან მუნიციპალიზაციისაგან, ხოლო სავაჭროს ქვიტკირის შენობა — საიჯარო ქირისაგან. შეიქმნა ვაჭართა წევრთიური მდგომარეობის გამომრკვევი კომისია. ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე აღმასკომი სავაჭროებს უბრუნებდა წვრილ ვაჭრებს, რომლებიც დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე მოსაქმეობდნენ. მათ არც საიჯარო ქირას ახდევინებდნენ[1].

გაიხსნა საბითუმო და საცალო სავაჭრო—„ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს ქუთაისის განყოფილების" სახელწოდებით. მის სამოქმედო რაიონს შეადგენდა მთელი დასავლეთ საქართველო. ეს დაწესებულება სახელმწიფო სავაჭროების, კოოპერაციული ორგანიზაციების და აგრეთვე კერძო კაპიტალის საშუალებით აწვდიდა ბაზარს უმაღლესი სამეურნეო საბჭოს საწარმოთა პროდუქციას.

სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამრეწველო საწარმოთა ერთი ნაწილის ტრესტებში გაერთიანებას და მათ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას. ქუთაისში 1922 წლის პირველი კვარტლიდან სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა თამბაქოს ქარხანა და სხვ.

ამ ღონისძიებების გატარების შედეგად პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტს საფუძველი ჰქონდა თავის ანგარიშში ჩაეწერა: „მაზრის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია. აგრეთვე დამაკმაყოფილებელია პოლიტიკური მდგომარეობაც. მშრომელი ხალხი იმედით და ნდობის თვალით უყურებს მთავრობას"[2].

ქალაქის ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეებს, კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო ქუთაისის გამოყვანა სამრეწველო განვითარების ფართო გზაზე. წინაალმდეგ შემთხვევაში ქალაქი, რომელიც ისტორიულად ყოველთვის ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ

---

[1] ს ცა ქ, ფ. 296, ანაწ. 1, ს. 12, ფ. 52—53.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1922, № 239.

ცხოვრებაში, ჩამორჩენილობას თავს ვერ დააღწევდა. ერთ-ერთ პირველ სერიოზულ ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ქუთაისში გაეხსნათ მაუდის საქსოვი ფაბრიკა, რომლის სრული მოწყობილობა, ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით, საბჭოთა რუსეთმა საჩუქრად გადასცა ქართველ ხალხს. 1922 წლის სექტემბერში ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისია ინჟინერ დავიდოვის ხელმძღვანელობით. კომისიამ, აღმასკომის და სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად, ფაბრიკის გასამართავად შეარჩია ის შენობები, რომლებშიც რევოლუციამდე ქუთაისის გუბერნატორის საინტენდანტო სამსახურის ყაზარმები იყო მოთავსებული[1].

დაიწყო ინტენსიური მუშაობა ფაბრიკის მოსაწყობად.

1922 წელს მაუდის ფაბრიკისათვის საფუძვლის ჩაყრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის მშრომელთათვის. ამასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მაუდის ფაბრიკის მოწყობას ექნება „არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა, არამედ პოლიტიკურიც, რადგან ყველას აშკარად აგრძნობინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უაღრესად არის დაინტერესებული აღმშენებლობითი საქმიანობით და უკანასკნელ საშუალებას თავისას არ ზოგავს მშრომელთა მასის და საზოგადოების პროგრესული ნაწილის საკეთილდღეოდ“[2]. ყოველი პატიოსანი ქართველი სიხარულით მოელოდა პირველი სოციალისტური ფაბრიკის დაზგათა აგუგუნებას.

1922 წელი საბჭოთა ხელისუფლების შემდგომში განმტკიცების წელი იყო. წარმატებით დაგვირგვინდა საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლა ამიერკავკასიის სამი მრავალ რესპუბლიკის გაერთიანებისათვის. ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობამდე ერთი თვით ადრე, 1922 წლის 16 ნოემბერს, ქუთაისში ჩამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. მან მშრომელთა მიტინგზე წაიკითხა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა სოციალისტური

---

[1] ს ცა ქ, ფ. 296, ს. 12, ფ. 137—138.

[2] ს ცა ქ, ფ. 296. ს. 48, ფ. 8—10.

რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ: „მივესალმებით კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირის შექმნის შესახებ და მზად ვართ მხარი დავუჭიროთ აღნიშნული კავშირის ცხოვრებაში გატარებას და მის ეკონომიურ და პოლიტიკურ განმტკიცებას"[1].

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით, საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში ახალი,—ძმური ურთიერთდახმარებით სოციალიზმის მშენებლობის ხანა დაიწყო.

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, 1923—1924 წლებში წარმატებით ხორციელდებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენითი სამუშაოები.

1924 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირში ჩატარდა ფულის რეფორმა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის მაზრაში დაარსდა ფასების მომწესრიგებელი კომისია. 16 აპრილს ალმასკომმა გამოსცა საკანონმდებლო დადგენილება სამრეწველო და სასურსათო საქონელზე უმაღლესი საცალო ფასების დაწესების შესახებ. 1924 წლის მეორე ნახევარში ქუთაისში გაიხსნა სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულება „სახვაჭრობის" სახელწოდებით. „სახვაჭრობა" სხვადასხვა საქონლით შეღებულ ფასებში ამარაგებდა კოოპერატივებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს. მის ფუნქციებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე გლეხობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, რითაც საგრძნობლად ზღუდავდა კერძო ვაჭრებს, რომლებიც, სარგებლობდნენ რა ქვეყნის შიგნით შექმნილი სამეურნეო სიძნელეებით, ხშირად სპეკულაციას ეწეოდნენ.

1923 წლის შემოდგომაზე ქუთაისის მაზრაში ჩამოყალიბდა გლეხთა კომიტეტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განსამტკიცებლად. 1923 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა ქუთაისის მაზრის გლეხთა კომიტეტების პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა გლეხთა სამაზრო კომიტეტი. მის თავმჯდომარედ

---

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1922, № 44.

აირჩიეს, საქართველოში კარგად ცნობილი რევოლუციონერი, იოსებ ხარაბაძე. ქუთაისში გაიხსნა „გლეხთა სასახლე". „სასახლესთან" მოეწყო ღამის გასათევი, სასადილო, სამკითხველო, კლუბი და საინფორმაციო მაგიდა. ქალაქში ჩამოსულ გლეხს აქ შეეძლო მიეღო საჭირო ახსნა-განმარტება მისთვის საინტერესო საკითხებზე, მოესმინა ლექცია-საუბრები და გაცნობოდა ახალ ჟურნალ-გაზეთებს. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის მე-5 კონფერენციის (1923 წლის 18 ოქტომბერი) დადგენილების შესაბამისად პროფკავშირებმა გააძლიერეს საშეფო მუშაობა სოფლად. პროფკავშირებმა ქუთაისის მაზრის მთელ რიგ სოფლებსა და თემებს დაუქირავეს ექიმები, გამოუწერეს ჟურნალ-გაზეთები, გაუხსნეს სამკითხველოები, კლუბები და სახალხო სახლები.

1923 წელი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ჩვენი ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ეს იყო პირველ რიგში რელიგიაზე შეტევის წელი. მთელ მაზრაში ფართოდ გაიშალა ათეისტური პროპაგანდა. დაიხურა ეკლესიებისა და მონასტრების უმრავლესობა, იქ დაცული ხელოვნებისა და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები გადაეცა ქუთაისისა და თბილისის მუზეუმებს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი — გელათის მონასტერი — ძეგლ-მუზეუმად გამოცხადდა, გაუქმდა მოწამეთის მონასტერი.

1924 წლის 5 აპრილს აღმასკომის შრომის განყოფილების გაფართოებულმა პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ პროფკავშირების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების, ადგილკომების, კომკავშირის და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მიიღო დადგენილება რელიგიური სადღესასწაულო დღეების სამუშაო დღეებად გამოცხადების შესახებ.

ქუთაისელი კომუნისტები და კომკავშირლები ფართოდ იყენებდნენ ათეისტური პროპაგანდის ისეთ ეფექტურ ფორმას, როგორიცაა რელიგიის გასამართლება. ერთ-ერთი ასეთი გასამართლების შესახებ გაზეთი „მუშა და გლეხი" წერდა: „ა/წ 23 იანვარს სახელმწიფო თეატრში გაიმართა რელიგიის საჯარო გასამართლება... შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ საკითხს, არც ერთ საჯარო დისკუსიას და გასამართლებას არ გამოუწვევია ისეთი ინტერესი ქუთაისის საზოგადოებაში.

რამდენიც რელიგიის გასამართლებამ... ამ დღეს თეატრს მოაწყდა ზღვა ხალხი. ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის ,ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. თვით თეატრში ტევა არ იყო"[1].

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტირელიგიური კამპანიის პირველ ეტაპზე დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომებიც. იგი გამოიხატა ეკლესიების მასიურ დახურვაში, მორწმუნეების დაცინვაში და ა. შ., რაც სრულიად არ უწყობდა ხელს რელიგიის გავლენის შესუსტებას მასებში[2]. ამ შეცდომების შესახებ იმსჯელა მეცხრე სამაზრო პარტკონფერენციამ და სათანადო ზომები მიიღო მათ გამოსასწორებლად.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქუთაისის მაზრის მშრომელებზე წვრილბურჟუაზიული პარტიების დაშლამ. მაგალითი სხვა პარტიებს მენშევიკებმა მისცეს. 1923 წლის 8 ივლისს გაიხსნა საქართველოს მენშევიკების პარტიის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა მენშევიკების ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი ა. მარტინოვი[3].

კონფერენციამ მიიღო მიმართვა საქართველოს მშრომელი ხალხის, საქართველოდან გაქცეული მენშევიკების, პოლიტიკური პატიმრების, არალეგალურად მომუშავე წევრებისა და ახალგაზრდა მარქსისტებისადმი. ამ მიმართვაში კონფერენცია მენშევიკთა ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციას დაშლილად აცხადებდა და მოუწოდებდა მენშევიკური პარტიის ყველა წევრს ჩამდგარიყო ქართველი ხალხის სამსახურში. კონფერენციამ აირჩია აგრეთვე სრულიად საქართველოს მენშევიკური პარტიის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები.

1923 წლის დეკემბრამდე დაიშალა აგრეთვე „ახალგაზრდა მარქსისტთა", ფედერალისტების და ეროვნული დემოკრატების პარტიათა სამაზრო ორგანიზაციები. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა ორგანიზაციამ წინადადებით მიმართა კომპარტიის სამაზრო კომიტეტს გაერთიანების შესახებ. მართალია, წინადადება უარყოფილ იქნა, მაგრამ სამაზრო კომიტეტი დიდ აღმზრდელობით მუშაობას ატარებდა წვრილბურ-

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1923, № 5.
[2] მლისფპა, ფ. 29, აღწ. I, ს. 787, ფ. 19.
[3] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1923, № 28.

ჟუაზიული პარტიების ყოფილ წევრთა შორის და მათგან ლირსეულთ კომუნისტურ პარტიაში მისაღებად ამზადებდა[1].

ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციამ თავისი რიგების მტკიცე ერთიანობა და პარტიის გენერალური ხაზისადმი ერთგულება გამოამჟღავნა ტროცკისტების მიერ წამოწყებული პარტიული დისკუსიის დროს. დისკუსია ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო 1923 წლის დეკემბერში. 27 დეკემბერს შედგა ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება. კრებამ ერთსულოვნად დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და მხარი დაუჭირა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს[2].

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის შემქმნელი და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი. ეს სამწუხარო ცნობა ქუთაისის მშრომელებმა 22 იანვარს მიიღეს. გლოვამ მოიცვა მთელი ქალაქი. წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, იმართებოდა სამგლოვიარო კრებები და მიტინგები. შეიქმნა სამგლოვიარო დემონსტრაციის მომწყობი სამაზრო კომისია. გამოვიდა გაზეთი „მუშა და გლეხის" სპეციალური ნომერი. 27 იანვარს, კვირას, ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს, ჩატარდა დემონსტრაცია, რომლის მსგავსი ქუთაისს ჯერ არ ენახა. პარიზის კომუნის სახ. მოედანზე (ახლა ცენტრალური მოედანი) და ბაღში გაიმართა საქალაქო სამგლოვიარო მიტინგები.

საყოველთაო გლოვის დღეებში დაიწყო ლენინური გაწევა პარტიაში. ქუთაისის სამაზრო კომიტეტში შემოტანილ იქნა მრავალი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. პარტიაში მიღებულ იქნა 214 მუშა და გლეხი[3]. ეს სამაზრო ორგანიზაციის სერიოზული შევსება იყო.

1924 წლის 28—29 აპრილს ჩატარდა მე-6 სამაზრო პარტკონფერენცია. რომელმაც ლენინიზმის პროპაგანდა სამაზრო კომიტეტის ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად გამოაცხადა.

---

[1] მლისფპა, ფ. 29, აღწ. 199, ს. 271, ფ. 13.
[2] გაზ. „მუშა და გლეხი", 1923, № 53.
[3] იხ. მლისფპა, ფ. 29, აღწ. I, ს. 199, ფ.

„ლენინის დაკარგვამ — ნათქვამი იყო ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში — ჩვენი პარტიის წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობით წამოაყენა საკითხი ლენინიზმის იდეების რაც შეიძლება ფართოდ და ღრმად გავრცელების შესახებ პარტიულ და უპარტიო მასებს შორის"[1].

1924 წლის აგვისტოში არალეგალურად მოქმედი მენშევიკური და სხვა კონტრრევოლუციური პარტიები გაერთიანდნენ და უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით საქართველოში ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლები მოაწყვეს. ქუთაისში არავითარ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია. ქუთაისის მაზრიდან, მხოლოდ ვანში მოახერხეს მენშევიკებმა გლეხობის უმნიშვნელო ნაწილის მიმხრობა. აგვისტოს მენშევიკური ავანტიურა ჩაიფუშა. ამასთან დაკავშირებით 5 სექტემბერს ქუთაისში ჩატარებულმა მშრომელთა მიტინგმა საპროტესტო რეზოლუცია მიიღო[2].

მენშევიკური ავანტიურის პასუხად ქუთაისელმა მშრომელებმა სამეურნეო ფრონტზე მოპოვებული ახალი მიღწევებით დაამტკიცეს თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. 1924 წლის 16 ივლისს მწყობრში ჩადგა მაშველის სარწყავი სისტემა, რომელიც საკმაოდ რთულ ტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს. 12 ოქტომბერს ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი მსხვილი სოციალისტური საწარმო — მაუდის ფაბრიკა. ეს მართლაც დაუვიწყარი დღეა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. 12 საათზე გაისმა ფაბრიკის საყვირის ხმა, რომელმაც ქუთაისელ მშრომელებს ქალაქის სამრეწველო განვითარების ერის დაწყება ამცნო, ფაბრიკის დამონტაჟებაზე სამი წლის განმავლობაში თავდადებულად მუშაობდნენ რუსი და ქართველი სპეციალისტები. მას ეწოდა „ქუთაისის პირველი სახელმწიფო მაუდის საქსოვი ფაბრიკა".

1924 წლის მეორე ნახევარში ქუთაისის წარმოება-დაწესებულებებში ეკონომიური და ადმინისტრაციული საკითხების გადასაჭრელად შეიქმნა საწარმოო თათბირები, რომ-

---

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1924, № 18.
[2] იქვე, № 35.

ლენინის სახ. მაუდის ფაბრიკა

ლებშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ მუშა-მოსამსახურეები. 1924 წელს ამუშავდა ქუთაისის № 1 და № 3 საგრენაჟო ქარხნები, რომლებიც აბრეშუმის თესლით მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ.

1925 წლის 7 მარტს ქუთაისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე მ. კალინინი. ვაგზლის წინ სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგზე მ. კალინინმა განაცხადა „ჩვენი მიზანია მშრომელი ხალხის არა მარტო პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლება, არამედ მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ამ მხრივ ხელისუფლება განსაკუთრებულ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს და თამამად შემიძლია ვთქვა ამ ხუთი წლის შემდეგ, თუ გასამებული არა, გაორებული მაინც იქნება ჩვენი გლეხის ეკონომიურ-კულტურული კეთილდღეობა. ჩემი სურვილია, თუ ვიცოცხლე და ხუთი წლის შემდეგ გეწვიეთ, ვნახო ქართველი გლეხი, რომელსაც ყოველმხრივ ისეთი გაუმჯობესებული მდგომარეობა ექნება, როგორიც მის მშობლებს არც

დაესიზმრებოდათ. სალამი ქუთაისის მაზრის მუშებსა და გლეხებს"[1].

მ. ი. კალინინმა იმოგზაურა ქუთაისის მაზრაში, გაეცნო მაზრის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

1925 წლის 14 ივლისს ქუთაისს ეწვია მუშათა და გლეხთა საკავშირო ინსპექციის კომისარი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ვ. ვ. კუიბიშევი.

1921—1925 წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქუთაისელმა მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ძირითადად აღდგენილ იქნა ქალაქის მოშლილი ეკონომიკა და საფუძველი ჩაეყარა მის სამრეწველო განვითარებას, ამაღლდა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობა.

§ 2. ქუთაისი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანა იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ ლენინური იდეის საფუძველზე, პარტიის მე-14 ყრილობამ აღნიშნა. რომ „გეზი უნდა გვქონდეს აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებისაკენ"[2].

„სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა კაპიტალისტური გარემოცვისა და იმპერიალიზმის აგრესიული ძალების მხრივ თავდასხმის მუდმივი საფრთხის ვითარებაში. ამან განაპირობა გარდაქმნის მეტად შემჭიდროებული ვადები, მოითხოვა მთელი ძალებისა და საშუალებების დიდი დაძაბვა. ინდუსტრიალიზაცია სსრ კავშირში ხორციელდებოდა გარედან დაუხმარებლად, შინაგანი დაგროვების, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის საშუალებით"[3]. ინდუსტრი-

[1] გაზ. „წითელი ვარსკვლავი", 1925, № 54.

[2] „სკკპ რეზოლუციებში"... ნაწ. II, 225.

[3] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1967, 16.

ალიზაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებული საქართველოსათვის.

სახალხო მეურნეობის აღდგენა ქუთაისის მაზრაში ძირითადად 1925 წელს დამთავრდა. ძველ საწარმოთა აღდგენისას ხშირად ხდებოდა მათი რეკონსტრუქცია და ახალი მანქანა-იარაღებით აღჭურვა, აიგო მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი დიდი ობიექტი — მაუდის ფაბრიკა. 1926 წელს მწყობრში ჩადგა № 4 სამკერვალო ფაბრიკა. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იყო ქალაქის სერიოზული ზრდისათვის. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები შესაძლებელს ხდიდა ქუთაისი გადაქცეულიყო საქართველოს მსხვილ სამრეწველო ცენტრად. საჭირო იყო მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნა, რომელიც ქალაქის სწრაფი ინდუსტრიული განვითარების საფუძველი გახდებოდა. 1926 წლის 25 ივნისს საქართველოს საგეგმო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ახალი ვარიანტი (ადრე პროექტი შეადგინა პროფესორმა ლიუდინმა) შემუშავებული ინჟინერ ოვანეს მელიქ-ფაშაევის მიერ[1].

1927 წლის 18 მაისს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა რიონის ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებელი ადგილის გამომრკვევი სპეციალური კომისიის ინფორმაცია პროფ. ლიუდინისა და ინჟინერ მელიქ-ფაშაევის მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ. მოხსენებით გამოვიდნენ პროფ. კუკოლ კრაევსკი და პროფ. ვასილიევი. მიიღეს შემდეგი დადგენილება: „აღმასრულებელი კომიტეტი გამოდის რა იმ თეორიული მოსაზრებიდან, რომ ერთი და იმავე ხარჯების გაღებით ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით აშენებული ელექტროსადგური უფრო მძლავრი იქნება, სასურველად სცნობს ჰიდროელექტროსადგურის ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით აშენებას"[2]. გადაწყდა, რიონჰესი აეგოთ მელიქ-ფაშაევის პროექტის მიხედვით.

1927 წლის 28 ივნისს ქუთაისის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა — საფუძველი ჩაეყარა რი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1926, № 145.

[2] ს ცა ქ, ფ. 149, აღწ. I, ს. 2, ფ. 2.

ონჰესის მშენებლობას. საერთო-სახალხო ზეიმით აღნიშნეს ქუთაისლებმა ეს დღე. ქალაქი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ყველგან წითელი დროშები, ყვავილები და რევოლუციის ბელადთა სურათები მოჩანდა. ტრანსპარანტებზე ეწერა: „ზაჰესი ამუშავდა, გაუმარჯოს მის მოძმეს რიონჰესს“...

ქუთაისიდან ჭომამდე, სადაც უნდა მომხდარიყო რიონჰესისათვის საფუძვლის ჩაყრა, ვიწრო გზა მოფენილი იყო უამრავი მოზეიმე ხალხით. ურიცხვი დროშები და პლაკატები სასიამოვნო იერს აძლევდა ამ გრანდიოზულ დემონსტრაციას. ქუთაისში ჩამოვიდა მ. ი. კალინინი, აგრეთვე ამიერკავკასიისა და საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ტრიბუნაზე მ. კალინინის გამოჩენას ზღვა ხალხი მხურვალე ტაშისცემით შეხვდა. ამით ქუთაისის მოსახლეობამ საბჭოთა მთავრობას მადლობა გადაუხადა ძმური დახმარებისათვის.

„ჩვენ საძირკველი ჩავუყარეთ დიად საქმეს, რომელმაც უნდა მოგვცეს უშრეტი ენერგია ჩვენი მხარის მრეწველობის განვითარებისათვის — თქვა მ. ი. კალინინმა, — ერთი ორი წლის შემდეგ შებოჭილი იქნება მხოლოდ უბედურების მომტანი რიონი, ის ამუშავებული იქნება მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ. რიონჰესი თავის გარშემო გააერთიანებს ყველა ცოცხალ ძალას, რომ მთლიანი ნებისყოფით წავიდეთ სოციალიზმისაკენ. ყველა ის ვინც შეეცდება ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის ჩაფუშვას აღგვილი იქნება მუშურ-გლეხური ძლიერი მარჯვენით“[1].

ზეიმის დასასრულს ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც ვკითხულობთ: „1927 წ. 28 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის, ამიერკავკასიის სფსრ და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობის წევრების და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების, პარტიულ და პროფორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრებით დაწყებულია 60.000 ცხენისძალიანი რიონის ჰიდროელექტროსადგურის. („რიონჰესის“) ასაგები სამუშაოები, რომლის დანიშნულებაა მიაწო-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1927, № 146.

დოს ელექტროენერგია ქუთაისის სამთო-სამრეწველო რაიონს, ჭიათურის შაევ ქვის მრეწველობას, ამიერკავკასიის სურამის უღელტეხილს, ქალაქ ქუთაისს და მის რაიონს"[1].

მ. ი. კალინინმა გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩემი ჩამოსვლა ამიერკავკასიაში უშუალოდ დაკავშირებული იყო ზაჰესის გახსნასა და რიონჰესის ასაგებ სამუშაოთა დაწყებასთან. მიღებული შთაბეჭდილებებიდან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც შეუგნია, რომ ელექტროფიკაციაში არის ახალი ცხოვრების ბაზა, ძლიერ დაინტერესებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების აგებით. ეს დაინტერესება განსაკუთრებით თვალსაჩინოთ სჩანდა რიონჰესის საფუძვლის ჩაყრაზე.

უეჭველია, რომ რიონჰესს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქუთაისისათვის, ვიდრე ზაჰესს თბილისისათვის. ამით აიხსნება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენთუზიაზმი რიონჰესის სამუშაოთა საფუძვლის ჩაყრაზე"[2].

რიონჰესმა სავსებით გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ამყარებდნენ საქართველოს მშრომელები, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწენი. იგი გადაიქცა ქუთაისის სამრეწველო განვითარების მძლავრ ბერკეტად. 1927 წლიდან დაწყებული ქუთაისი წარმოადგენს ვრცელ სამშენებლო მოედანს, რომელიც ყოველწლიურად ფართოვდება.

1927 წელს, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავზე, ბახიანოურის უბანში, დაიწყო ბარიტის ახალი წისქვილის მშენებლობა, რომელიც ამუშავდა 1928 წელს. ახალი წისქვილი ერთ ცვლაში ფქვავდა ოთხჯერ მეტს, ვიდრე ძველი წისქვილი. გარდა ამისა, მასთან მოეწყო სპეციალური განყოფილება, სადაც, გოგირდმჟავას საშუალებით, ბარიტი რკინის ეანგისაგან იწმინდებოდა.

ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხანას, რომელიც ექსპლოატაციაში შეევიდა 1929 წელს.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1927, № 146.
[2] იქვე, № 148.

1929 წელს მოწამეთაში ამუშავდა კირის ახალი ქარხანა, რომლის სიმძლავრეც 100.000 ფუთ კირს შეადგენდა[1].

პროდუქციის გამომუშავება დაიწყო ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელმა მექანიკურმა სახელოსნომ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა უკვე არსებული საწარმოები: თამბაქოს, ბამბის საწმენდი ქარხანა, მაუდის ფაბრიკა და ა. შ. მაგალითად, მაუდის ფაბრიკამ 1926/27 სამეურნეო წელს მოქსოვა 104.273 მეტრი მაუდი, ნაცვლად 24.652 მეტრისა 1924/25 წლებში[2].

ახალ საწარმოთა ამუშავებას და ძველ საწარმოთა გაფართოებას თან მოჰყვა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საკმაოდ სწრაფი ზრდა. 1926/27 წლებში ცენზიანი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია შეადგენდა 1813,1 ათას მანეთს[3], ხოლო 1928/29 სამეურნეო წელს კი იგი გაიზარდა 5169,2 ათას მანეთამდე[4].

1928 წლის 19 ივლისს ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მოისმინა პროფ. ალ. თვალჭრელიძის მოხსენება ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფ. გუმბრაში ბეტონიტური თიხის აღმოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. თანამომხსენებლად გამოვიდნენ გეოლოგი კანუშევსკი და ინჟინერი ფილატოვი. ისინი ასაბუთებდნენ ბეტონიტური თიხის — გუმბრინის (ასე უწოდეს მას საბჭოთა სპეციალისტებმა) დამამუშავებელი ქარხნის აგების უდიდეს ეკონომიურ ეფექტიანობას[5]. ბეტონიტური თიხა აუცილებელ მასალას წარმოადგენს ნავთობის მრეწველობისათვის. საბჭოთა კავშირს ამერიკის შეერთებული შტატებიდან უხდებოდა მისი შემოტანა. სოფ. გუმბრას ბეტონიტური თიხის ამოღებისა და დამუშავების მოწყობის შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდებოდა ამ მეტად დეფიციტური საქონლის ექსპორტისაგან. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები გუმბრინის

---

1 ს ც ა ქ, ფ. 296. აღწ. I, ს. 1412, ფ. 207—226.

2 იქვე.

3 ქუთაისის ოლქი ციფრებში, ქუთ. 1930, 76—77.

4 ქუთაისი და მისი რაიონის მეურნეობა დინამიკაში, ქუთ. 1932. 29. აგრეთვე ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, „ქუთაისი", 1962, 140.

5 ს ც ა ქ, ფ. 296, აღწ. I, ს. 1147, ფ. 182.

დასამუშავებელი ქარხნის ასაგებად. ქარხნის აგება 1930 წლიდან დაიწყო.

1928 წლის აგვისტოში სამაზრო აღმასკომმა განიხილა საკითხი ქუთაისში საკონსერვო ქარხნის აგების და № 4 სამკერვალო ფაბრიკის გაფართოების შესახებ. აღმასკომმა თხოვნით მიმართა საზოგადოება „მკერავის“ გამგეობას, თავის თავზე აეღო ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკისათვის ახალი შენობის აგების საქმე[1].

1928 წლის ბოლოსა და 1929 წლის დასაწყისში დაისვა საკითხი ქუთაის-წყალტუბოს ელექტრორკინიგზის მშენებლობის შესახებ. 1929 წლის 8 თებერვალს ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა სათანადო ხარჯთაღრიცხვა[2]. 19 ივლისს ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ ქალაქის საბჭოს სხდომაზე გააკეთა მოხსენება ქუთაის-წყალტუბოს რკინიგზის გაყვანის შესახებ; შეიქმნა ქუთაის-წყალტუბოს ელექტრორკინიგზის მშენებლობის კომიტეტი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. კახიანი, გ. მგალობლიშვილი, გ. ყურულაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ი. ჭელიძე, ერ. ღვამიჩავა და სხვ[3].

1928 წლის 10 მაისს ქუთაისში გაჩნდა ხანძარი. ცეცხლმა გაანადგურა მისი ერთ-ერთი დიდი უბანი, რომელიც ძირითადად ებრაელებით იყო დასახლებული. ხანძრის ჩასაქრობად და პანიკის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარი ზომები მიიღეს. ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ფოთის, ბათუმის, სამტრედიის, ჭიათურის და ხაშურის სახანძრო რაზმები. 12 მაისს ქუთაისში ჩამოვიდა მთავრობის სპეციალური კომისია ს. ჯუღელის ხელმძღვანელობით, რომელმაც, სამაზრო პარტკომთან და აღმასკომთან ერთად, ხანძრის შედეგების სალიკვიდაციოდ, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

მთავრობამ მოწოდებით მიმართა მშრომელებს დახმარებოდნენ დაზარალებულ ქუთაისს. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

---

[1] ს ც ა ქ, ფ. 296, აღწ. I, ს. 1151, ფ. 97.

[2] იქვე, ს. 1954, ფ. 29.

[3] იქვე, ს. 1543, ფ. 56—57.

ძთავრობის განკარგულებით ქუთაისს გამოეყო 5 ვაგონი პური და 100 ათასი მანეთი ფული. „წითელი ჯვრის“ კომიტეტმა გახსნა სამედიცინო დახმარების სპეციალური პუნქტი და უფასო სასადილო[1].

მთავრობის მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მშრომელებში. ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტი საქართველოსა და ამიერკავკასიის ყოველი კუთხიდან ღებულობდა თანაგრძნობის დეპეშებს და შემოწირულებას. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სახელზე ერევნიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო: „ერევნის ქალაქის საბჭოს პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოისმინა რა ინფორმაცია იმის შესახებ, რაც თავს გადახდათ ქუთაისელ მშრომელებს, თავის თანაგრძნობას უცხადებს მათ და ღრმათ სჯერა, რომ ხანძრის შედეგები ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთიანი ძალით, სწრაფად იქნება ლიკვიდირებული. ამასთან ერთად გიგზავნით 5 ათას მანეთს და გთხოვთ მიიღოთ ის როგორც ჩვენი მონაწილეობა ქუთაისელ მშრომელებისადმი ძმური დახმარების საქმეში“[2].

ხანძარს ქუთაისში ფართოდ გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენცია. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა შექმნა ქუთაისის დამხმარე კომიტეტი პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა შემადგენლობით.

დიდ გალაკტიონს ღრმად სწამდა, რომ ხანძრის გამანადგურებელი ძალა უძლური იყო მშრომელთა თავდადებული შრომის წინაშე. იგი ასე მიმართავდა მშობლიურ ქუთაისს:

„ჩვენ მივაშურებთ დამწვარ სადგურებს.
გულს არ ჩაიდო შიში და კრთომა
რასაც დღეს ცეცხლი გაანადურებს,
ხვალ გულდაგული აღადგენს შრომა“[3].

მართლაც, ქუთაისელი მშრომელების ენერგიული შრომით,

---

[1] სცაჭ, ფ. 296, აღწ. I, ს. 1148, ფ. 138—144.
[2] იქვე, ს. 1158, ფ. 20.
[3] გ. ტაბიძე. თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1966, 78.

მთელი ქართველი ხალხის, ამიერკავკასიის და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური დახმარებით ქუთაისის გადამწვარი უბანი მალე აშენდა. გელათის ყოფილ ქუჩაზე, ქოხმახებისა და ერთმანეთზე უგეგმოდ მიჯრილი შენობების ნაცვლად, ორსართულიანი სახლები აღიმართა. 14 ახლადაგებულ ორსართულიან სახლში მოთავსებულ იქნა 125 ებრაელის ოჯახი (625 სული). კერძო ბინებში ჩაასახლეს 49 ოჯახი (196 სული). სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ 17 ებრაელს მუდმივი პენსია დაუნიშნა, ხოლო ერთდროული დახმარება მიეცა 30 ოჯახს. წითელმა ჯვარმა დაზარალებულთა მკურნალობაზე დახარჯა 12 828 მან. უფასოდ გაიცა 1292 მანეთის წამალი, წყალტუბოში სახელმწიფოს ხარჯზე გაიგზავნა 47 ებრაელი. ფინგანმა დაზარალებულთ ჩამოაწერა 8 504 მანეთის გადასახადი და სხვადასხვა ხარჯები. განათლების განყოფილებამ თბილისის ბავშვთა კოლექტორში გაგზავნა 55 ებრაელი ბავშვი. აღმასკომთან არსებულმა ღარიბ ებრაელთა ბიურომ სამუშაოზე გაგზავნა 186 ებრაელი. მათ შორის 62 ქალი.

სოციალისტურ მშენებლობაში ღარიბ ებრაელთა ჩაბმის მიზნით, აღმასკომთან ჩამოყალიბდა ღარიბ ებრაელთა დამხმარე ბიურო, რომელიც 1930 წელს გადაკეთებულ იქნა ღარიბ ებრაელთა კომიტეტად („ღარებკომი"). ღარებკომმა გახსნა საწარმოო არტელები — ტრიკოტაჟის, ფეხსაცმელების სამკერვალო, ქიმიური და ა. შ. სულ თერთმეტი არტელი. 1930 წლისათვის მათში გაერთიანებული იყო 500-მდე ებრაელი. ღარებკომის ინიციატივით აიგო კლუბი, შეიქმნა დრამატული და ლიტერატურული წრეები, იმართებოდა საღამო-წარმოდგენები, კინო-სეანსები, ანტირელიგიური ხასიათის ლექციები და სხვ. მრავალფეროვანი გახდა ებრაელთა უბანში 1925 წელს გახსნილი იცკა რიჟინაშვილის სახ. ბიბლიოთეკის მუშაობა. ებრაელი ახალგაზრდობის სპორტში ჩაბმის მიზნით ღარებკომმა მოიწვია ფიზკულტურის ინსპექტორი, გამოდიოდა კედლის გაზეთი „ილიჩოვკა" და სხვ. მძიმე დღეებში ქუთაისისათვის ასეთი დახმარება ქართველი ხალხის ერთიანობის და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ძმური სოლიდარობის მკაფიო გამოხატულება იყო. ამან განა-

პირობა ის, რომ ხანძრით გამოწვეულ ზარალს გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია ქალაქის ეკონომიკის განვითარებაზე.

1929 წელს საქართველოს სსრ ცაკის და სახკომსაბჭოს 23 აგვისტოს დადგენილების თანახმად, ქუთაისის, რაჭა-ლეჩხუმის და შორაპნის მაზრების გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა ქუთაისის ოლქი. ოლქის ცენტრად დამტკიცდა ქ. ქუთაისი[1].

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობამ, აგრეთვე იმან, რომ ქუთაისი გახდა საკმაოდ მოზრდილი ოლქის ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენტრი, ჩვენი ქალაქის მოსახლეობის საგრძნობი ზრდა გამოიწვია. 1922 წელს ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 45 290-ს, ხოლო 1930 წელს—53 328. შეიცვალა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა. 1925 წელს ქუთაისში იყო 3 870 მუშა და 3 500 მოსამსახურე. 1929 წელს კი 8 160 მუშა და 4 965 მოსამსახურე[2]. ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ანხორციელებდა ფასების დაკლებას სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, რაც მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასს ზრდიდა. მარტო 1927 წლის იანვრიდან აპრილის თვემდე განხორციელდა ფასების დაკლება შემდეგ საქონელზე:

1. მანუფაქტურაზე—7,04%.
2. საბაკალეიო საქონელზე—23%.
3. შაქარზე—6%.
4. ლითონის ნაწარმზე—10%.
5. საპონზე — 10% და ა. შ.[3]

ქალაქის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მოსახლეობის კულტურულ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე იხარჯებოდა. დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე საქალაქო მეურნეობის განვითარებას. 1924/1925 სამეურნეო წელს კომუნალურ მეურნეობაზე დაიხარჯა 171,2 ათასი მანეთი, ხოლო 1929—1930 წლებში ეს ხარჯები შეადგენდა 1. 766 ათას მანეთს, ანუ ხუ-

---

[1] ს ცა ქ, ფ. 149, აღწ. I, საქ. ფ. 1—2.
[2] ქუთაისის და მისი რაიონის მეურნეობა დინამიკაში, ქუთ. 1932, 16.
[3] ყოველთვიური სტატისტ. ეკ. კრებული, 1927, № 5—6, 23.

თი წლის მანძილზე გაიზარდა ათჯერ და კიდევ უფრო მეტად[1]. მიუხედავად ამისა, კომუნალური მეურნეობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქალაქის სამრეწველო განვითარების ტემპებს. განსაკუთრებით მწვავედ იდგა წყალსადენის აგების საკითხი. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქალაქის მოსახლეობა ძირითადად სარგებლობდა ადგილობრივი წყაროებით, ჭებით და რიონის წყლით. ქუთაისში მუშაობდნენ წყლის მზიდავები — მეთულუხჩენი, რომლებიც ცხენის ორთვალა საზიდრებზე დადგმული კასრებით რიონის წყალს ყიდდნენ ქუთაისის ქუჩებში. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წყლის გასაფილტრავი სპეციალური, სპორებიანი ჭურჭლები ჰქონდათ, რაც აადვილებდა რიონის წყლის გამოყენებას. ქუთაისში იყვნენ აგრეთვე წყლის მზიდავები, რომლებიც ზურგზე მოკიდებული ჭურჭლებით ე. წ. „ცივიას კასრებით" კიბულას წყაროს ცივ წყალს დაატარებდნენ. ამიტომ წყალსადენის მოწყობის საკითხი ქუთაისის საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან მრავალი წინადადება და პროექტი იქნა წამოყენებული ქუთაისში წყალსადენის მოსაწყობად, მაგრამ უშედეგოდ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ქალაქის ხელმძღვანელობა შეუდგა ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას. 1923 წელს შეიქმნა ქუთაისის წყალსადენის მომწყობი კომიტეტი, რომელმაც სერიოზული მუშაობა ჩაატარა სახსრების შეგროვებისა და სათანადო პროექტის შესადგენად. საჭირო გახდა საკავშირო მთაურობის დახმარება. 1928 წლის 19 იანვარს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ს. ორჯონიკიძეს, როგორც ქუთაისის საქალაქო საბჭოს წევრს, და სსრ კავშირის ცაკის მდივანს ა. ენუქიძეს. „საქართველოს რესპუბლიკის მეორე ქალაქს, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცენტრს — ქუთაისს,— ნათქვამი იყო დეპეშაში, — წყალსადენი და კანალიზაცია არა აქვს.

---

[1] ქ. ქუთაისი და მისი რაიონის მეურნეობა დინამიკაში, 77.

ამჟამად საკითხის მდგომარეობა ასეთია: წყალსადენის პროექტი შედგენილია ნ. ბ. თუმანიშვილის მიერ. ხარჯთალრიცხვა ნაანგარიშებია 1.850.000 მან.

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი და ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ ყურადღების მოქცევას ქუთაისში წყალსადენის საკითხისათვის"[1].

ს. ორჯონიკიძის უშუალო დახმარებით, 1928 წელს ქალაქის ხელმძღვანელობამ შეძლო წნევის აუზის მშენებლობის დაწყება, რითაც დასაბამი მიეცა წყალსადენის გაყვანას ქუთაისში. ქუთაისლების საუკუნოვანი ოცნება მკვიდრ ნიადაგზე დადგა.

რიონჰესის დამთავრებამდე მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები აბჰესქუთაისის ელექტროგადაცემი ხაზის გასაყვანად, რომელიც 1930 წელს დამთავრდა. თუ 1924—25 წლებში ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მცხოვრებზე უდრიდა 8,7 კილ. საათს, 1929—1930 წლებში მან შეადგინა—24,6 კილ. საათი, ე. ი. თითქმის სამჯერ გაიზარდა.

ქალაქში გაშლილმა გაცხოველებულმა სოციალისტურმა მშენებლობამ მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია. საგრძნობლად გამოცოცხლდა და მრავალფეროვანი გახდა საქალაქო საბჭოს მუშაობა, რომელშიც, დეპუტატების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე მოწინავე მუშები, კომკავშირლები და პროფკავშირის წევრები. საბჭოსა და მშრომელ მასებს შორის კავშირის განმტკიცების მიზნით მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა და მშენებლობებზე ჩამოყალიბდა საკონსულტაციო მაგიდები. საკონსულტაციო მაგიდების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ საქალაქო საბჭოს წევრები.

საქართველოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო საბჭოებს შორის. მაგალითად, 1929 წელს ქუთაისის აღმასკომმა შეჯიბრებაში გამოიწვია ბათუმის აღმასკომი. მათ იკისრეს ვალდებულება რათა უზრუნველეყოთ: საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებების ცხოვ-

[1] ს ცა ქ. ფ. 296, აღწ. 1, საქ. 1146, ფ. 1, 2.

რებაში. გატარების შემოწმება; ბრძოლა სამუშაოს გაცდენის, უყაირათობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ; მჭიდრო კავშირი მშრომელ მასებთან; ბრძოლა ბიუროკრატიზმის და პროტექციონიზმის წინააღმდეგ; საღი და საქმიანი თვითკრიტიკის გაშლა და სხვ.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათში ფართო მასების ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქუთაისში 1927 და 1929 წწ. ჩატარებულმა სამაზრო საბჭოების მე-5 და მე-6 ყრილობების გადაწყვეტილებებმა. სხვადასხვა დროს ქუთაისის საქალაქო საბჭოს შემადგენლობაში დეპუტატებად არჩეულნი იყვნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები — სერგო ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, მ. კახიანი და სხვ.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ სულ უფრო მტკიცედ ირაზმებოდნენ უპარტიო მუშები და მუშა-ქალები. პარტიის სამაზრო კომიტეტთან არსებობდა ქალთა განყოფილება, ხოლო სამაზრო აღმასკომთან — ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ატარებდნენ სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა ჩასაბმელად. 1927 წელს პარტიის სამაზრო ორგანიზაციაში 110 ქალი ირიცხებოდა, ხოლო კომკავშირულ ორგანიზაციაში — 1 129 ქალიშვილი, საბჭოებში არჩეული იყო 268 ქალი და სხვ.[1]

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის ერთგული იყო კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზისა. მან აქტიურად დაუჭირა მხარი ცენტრალური კომიტეტის გენერალურ ხაზს ტროცკისტული „ახალი ოპოზიციის" წინააღმდეგ და ენერგიულად იბრძოდა მის ცხოვრებაში გატარებისათვის.

1929 წლის 22 მარტს ქუთაისელმა მშრომელებმა ქუთაისის საბჭოების მე-6 სამაზრო ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს პარტიიდან გარიცხული ტროცკის ანტისაბჭოთა საქმიანობა.[2]

---

[1] ჟურნ. „გრდემლი", ქუთაისი, 1927, 97—98.

[2] ს ც ა ქ, ფ. 149, აღწ. I, ს. 8, ფ. 96.

ეს მიღწევები, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ქუთაისის მშრომელებმა მოიპოვეს ინდუსტრიალიზაციის კურსის წარმატებით განხორციელების ბაზაზე.

„ინდუსტრიალიზაციამ, — ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — შექმნა საჭირო მატერიალური ბაზა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის, სოფლის მეურნეობის ახალ, სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანისათვის... მან განამტკიცა საზოგადოებრივი საკუთრება ეკონომიკის გადამწყვეტ დარგში, უზრუნველყო კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა ქალაქში, სოციალისტური წყობის გამარჯვება მრეწველობაში, მუშათა კლასის ზრდა, ხელი შეუწყო... სსრ კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას[1].

• • •

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის წარმატებით განხორციელებამ, ქალაქად სოციალისტურ ურთიერთობათა განუყოფელმა ბატონობამ, აუცილებლობით გამოიწვია სოფლად სოციალისტურ გარდაქმნათა გატარება.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საწყისებზე ყველაზე რთული და ძნელი ამოცანა იყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ. საჭირო იყო დაძლევა წვრილი მესაკუთრის საუკუნეობრივი ჩვეულების ძალისა, მისი ფსიქოლოგიის შეცვლა, გლეხის დარწმუნება ახალი ცხოვრების უპირატესობაში. პარტიის მე-15 ყრილობამ დასახა პოლიტიკური კურსი დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ სოციალისტურ წარმოების რელსებზე თანდათან გადასვლისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას საფუძვლად დაედო ლენინური კოოპერაციული გეგმა. პარტიას წლობით დაძაბული ორგანიზატორული და აღმზრდელობითი

[1] „თეზისები",... 17.

მუშაობის გაწევა მოუხდა, რომ გადაეწყვიტა ეს ისტორიული ამოცანა. სოფლის კოლექტივიზაციის შედეგად წვრილი სასაქონლო წარმოების წესმა ადგილი დაუთმო სოციალისტურს; სოფლის მეურნეობა, წარსულში ეკონომიკის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი, გადაყვანილ იქნა სოციალისტურ რელსებზე. მილიონობით წვრილი ერთპიროვნული მწარმოებელი გლეხი გაერთიანდა კოლმეურნეობებში, დაადგა სოციალიზმის გზას. კოლმეურნეობა აღმოჩნდა ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა, რომელიც წარმატებით ახამებს გლეხობის საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს. კოლმეურნეობების შექმნა მიმდინარეობდა კულაკების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში. ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა სოფლად დაძლეულ იქნა მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის ძალებით. მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში მოისპო უკანასკნელი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასი. სოციალისტური საკუთრება სოფლად ეკონომიური ურთიერთობის საფუძველი გახდა. საბოლოოდ აღმოიფხვრა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წარმომშობი ყველა სოციალური მიზეზი. კოლექტივიზაციამ, ახალ, სოციალისტურ გზაზე დააყენა სოფელი, კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი.

ქუთაისელმა მშრომელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებით განხორციელების საქმეში. პირველი კოლექტიური მეურნეობა ქუთაისის მაზრაში შეიქმნა 1928 წელს სოფ. პატრიკეთში[1]. 1929 წლიდან კი საკოლმეურნეო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა, სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, შექმნა აგიტ-კოლონები (ბრიგადები) და გაგზავნა ისინი ოლქის სოფლებში. აგიტ-კოლონის წევრები სოფლის მშრომელ მოსახლეობას განუმარტავდნენ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა

---

[1] ქუთაისის ქალაქის საბჭოს მუშაობის ძირითადი მომენტები, ქუთაისი. 1930, 86.

ორგანოებს კოლმეურნეობების მოწყობისა და განმტკიცების საქმეში. აგიტ-კოლონებს თან ახლდნენ ტექნიკოსები, ვეტექიმები, აგრონომები, კულტურის დარგის მუშაკები, რომლებიც სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ გლეხებს, ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში, აწყობდნენ მხატვრულ საღამოებს, კინო-ფილმების ჩვენებას და სხვა. აგიტ-კოლონები ენერგიულად უჭერდნენ მხარს კოლმეურნეობებს და ღარიბ გლეხობას კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგალითისათვის მოვიყვანთ № 2 აგიტ-კოლონის სოფლად მუშაობის გამოცდილებას. აგიტ-კოლონა ქუთაისიდან გავიდა 1929 წლის 15 სექტემბერს, თან წაიღო სამჭედლო და საზეინკლო იარაღები, პატარა მოძრავი სტამბა, კოლონა პირველად დაბა ბაღდადში ჩავიდა. სახელდახელოდ დაიბეჭდა გაზეთის „ჩვენი სოფელი“ პირველი ნომერი. ამან აღფრთოვანება გამოიწვია გლეხობაში. სამჭედლო სახელოსნომ შეაკეთა 83 სასოფლო-სამეურნეო იარაღი. № 2 აგიტკოლონამ ასევე წარმატებით იმუშავა სოფ. სვირში, ობჩაში და სხვ.

1930 წლის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, 70 ქუთაისელი კომუნისტი გაიგზავნა სოფლად საშუშაოდ. კომკავშირულმა ორგანიზაციამ სოფლებზე მიამაგრა 17 აქტიური კომკავშირელი. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად გაიგზავნა ხელოსანთა ბრიგადები, აგიტკოლონები და სხვ. 1930 წლის 4 აპრილს გაზეთი „ლენინის გზით“ იუწყებოდა: „ოლქის სხვადასხვა რაიონში საგაზაფხულო თესვის და კოლექტივიზაციის ჩასატარებლად მიელინებულია მუშათა მრავალრიცხოვანი ბრიგადები. ამ უკანასკნელებში შედიან ზეინკლები, დურგლები, მოანგარიშეები, საქონლის ექიმები.

კერძოდ მე-8 ბრიგადამ მუშაობა ჩაატარა ჩხარში, თერჯოლაში და მუხურაში. აღნიშნული ბრიგადა, გარდა იმისა, რომ ეხმარებოდა გლეხობას ყოველმხრივ, ადგილებზე სცემდა კედლის გაზეთებსაც. რომლებიც აშუქებდნენ სასოფლო-სამეურნეო კომპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ შეაკეთეს 800 ცალი მანქანა-იარაღი“. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქუთაისელი მშრომელები მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში. მაგალითად, 1929 წლის 3 ნოემ-

ბერს გამოიცა ამ დღისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი „კომუნა“. კიდევ უფრო ფართოდ აღინიშნა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე 1930 წელს. ქუთაისში მოეწყო პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ქუთაისის რაიონში კოლექტიური შრომით დაიხნა და დაითესა 160 ჰექტარი მიწა, ქუთაისელი მშრომელების, კომუნისტების და კომკავშირლების აქტიური მონაწილეობით ტარდებოდა შეხვედრები კოლმეურნეებთან, ღარიბ გლეხობასთან და მოჯამაგირეებთან. სპეციალურად გამოყოფილმა ბრიგადებმა შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, დაეხმარნენ ქვრივ-ობლებსა და წითელარმიელთა ოჯახებს კარმიდამოს დამუშავებაში. ტარდებოდა ლექცია-მოხსენებები, კინოფილმების უფასო ჩვენება, კონცერტები, ექსკურსიები, საზეიმოდ გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები და ა. შ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლისათვის მოსავლისა და კოლექტივიზაციის ამ ტრადიციულ დღეს. იგი ხელს უწყობდა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებას, ქალაქისა და სოფლის დაახლოებას.

1931 წლის 20 ივლისს სოფელ პატრიკეთში ჩატარდა ქუთაისის საქალაქო საბჭოს პლენარული სხდომა, რომელმაც მოისმინა ანგარიში საბჭოს მუშაობის შესახებ. ინფორმაციებით გამოვიდნენ სასოფლო-საბჭოს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, კოლმეურნეები. სხდომის მიერ მიღებულ რეზოლუციებში, წარმატებებთან ერთად, აღნიშნული იყო ის შეცდომები, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. კერძოდ, მოსავლის განაწილება ხდებოდა არა შრომის, არამედ სულადობის მიხედვით. ამის გამო საშუალო გლეხობის ერთმა ნაწილმა კოლმეურნეობებიდან გასვლა დაიწყო. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში გაიპარნენ ანტისაბჭოთა და მშრომელებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, საშუალო გლეხობა გათანაბრებული იყო კულაკობასთან და სხვ.[1] ეს შეცდომები გამოსწორებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე.

---

[1] სცაქ, ფ. 149, აღწ. I, ს. 66, ფ. 24—39.

1933 წლის 8 სექტემბერს გაიხსნა ქუთაისის რაიონის დამ-ყვრელ კოლმეურნე ქალთა პირველი კონფერენცია. მან შეაჯამა საკოლმეურნეო მოძრაობაში ქალთა მონაწილეობის შედეგები და მაღალი შეფასება მისცა მას.

ქუთაისელი მშრომელები ყოველთვის დიდ გულისხმიერებას იჩენდნენ სოფლისადმი და თავიანთი ქმედითი, კონკრეტული დახმარებით ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსთან ერთად, პარტიის მე-15 ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1928—1932 წწ.), რომლის ძირითადი ამოცანა იყო სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის აგება. გეგმა განიხილა და დაამტკიცა საკ. კპ (ბ) მე-16 პარტკონფერენციამ 1929 წლის აპრილში.

საბჭოთა კავშირის პირველი ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე დამუშავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიიღო საქართველოს კომპარტიის მე-16 ყრილობამ 1929 წლის იელისში.

სსრ კავშირის პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შედგენილი იყო ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად, ითვალისწინებდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებს, უზრუნველყოფდა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის გაშლას.

საბჭოთა ხალხი ახალი ენერგიით შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის აგება მიმდინარეობდა სოფლად კაპიტალისტური ელემენტების — კულაკობის და მათი იდეოლოგების — მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგობის დაძლევის ვითარებაში.

პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ განვითარების ახალი პერსპექტივები შეუქმნა ქუთაისს. იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს ქუთაისის, როგორც სოციალისტური ქალაქის, განვითარების გზაზე. გაფართოვდა და ახალი ტექნიკით აღიჭურვა უკვე არსებული ფაბრიკა-ქარხნები. წარმოიშვა მრეწველო-

ბის ახალი დარგები. 1930 წლის 3 ივლისს, მაშინ როდესაც მოსკოვში პარტიის მე-16 ყრილობა მიმდინარეობდა, ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს ობიექტს — ლითოფონის ქარხანას, ამის გამო, მას მე-16 პარტიული ყრილობის სახელი მიეკუთვნა[1].

1930 წლის პირველ კვარტალში მუშაობას შეუდგა ქუთაისის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული გუმბრინის ქარხნის საალმშენებლო კომისია. ქარხნის მშენებლობის დაწყებასთან ერთად დაისვა საკითხი ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის გაყვანის შესახებ.

1930—1931 სამეურნეო წელს დაიწყო კვების მრეწველობის ისეთი მსხვილი ობიექტების მშენებლობა, როგორიცაა საკონსერვო ქარხანა. 1932 წელს შეიქმნა ხორცკომბინატი.

1931 წელს დამტკიცდა ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი ობიექტის — აბრეშუმის კომბინატის მშენებლობის გეგმა და ქუთაისის მშრომელებიც წარმატებით შეუდგნენ მის განხორციელებას.

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა რიონჰესის მშენებლობა. რიონჰესის მშენებლობაზე მხარდამხარ მუშაობდნენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები და სხვ. ისინი, ერთ მტკიცე ინტერნაციონალურ ოჯახად გაერთიანებული, წარმატებით აგებდნენ საქართველოს ელექტრომრეწველობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს.

ჩვენი ქალაქი ხარაჩოების ტყით დაიფარა. გაცხოველებულმა მშენებლობებმა საბოლოოდ გადაჭრეს ისეთი მტკივნეული სოციალური პრობლემა, როგორიც უმუშევრობაა. ახლა მთავარ საკითხად გადაიქცა არა უმუშევართა სამუშაოზე მოწყობა, არამედ მშენებლობათა უზრუნველყოფა მუშახელით.

პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ ქუთაისელი მშრომელების დიდი შრომით აღმავლობა გამოიწვია. კომუნისტების ხელმძღვანელობით ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე კეთილსინდისიერად შრომობდნენ ჩვენი ქალაქის მუშები და

[1] „გაზ. „ლენინის გზით", 1930, № 5.

მუშა-ქალები, კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდობა.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის ყალიბდებოდა დამკვრელი ბრიგადები. ფართოდ ინერგებოდა შემხვედრი გეგმების შედგენისა და საზოგადოებრივი ბუქსირის პრაქტიკა. ხუთწლედის მეორე წელს, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების საფუძველზე, საბჭოთა ხალხმა წამოაყენა ლოზუნგი „ხუთწლედი ოთხ წელიწადში". ამ ლოზუნგმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქუთაისელ მშრომელებშიც. მუშა-ახალგაზრდობის პირველმა საოლქო კონფერენციამ, რომელიც 1930 წლის აპრილში გაიმართა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და ქუთაისის საოლქო კომიტეტს უპატაკა, რომ მუშა-ახალგაზრდობა კომკავშირლებთან ერთად მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას სოციალისტური აღმშენებლობისათვის, რომ ქუთაისის ოლქის ახალგაზრდობას უკვე აქვს ამ დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები და სხვ.[1]

1930 წლის 21 აპრილს რიონჰესის მშენებლობის ოთხიათასიანმა კოლექტივმა მოწოდებით მიმართა ქუთაისის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზების და წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რათა 2 მაისი — სოციალისტური შეჯიბრების წლისთავი — გამოეცხადებინათ სამუშაო დღედ და ამ დღის ხელფასი შეეტანათ საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის ფონდში.

რიონჰესის მშენებელთა ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ქუთაისის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებისა და წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

1930 წლის 20 მაისს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. მოხსენებით — „საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ" გამოვიდა ფ. მახარაძე.

კონფერენციამ აღნიშნა განვლილ პერიოდში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოპოვებული წარმატებები. „მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება — ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დამთავრება და ახალი წამო-

[1] გაზ. „ლენინის გზით", 1930, № 11.

წყებანი, აქედან მუშათა კლასის ზრდა... ასეთია ის სურათი, რომელიც გვაქვს ქალაქად" — ნათქვამია კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში[1].

დიდმა სოციალურმა გარდაქმნებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო დარაზმა არა მარტო მშრომელთა ფართო მასები, არამედ ჩვენი ინტელიგენციაც. ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენდა ქუთაისელ ინჟინერ-ტექნიკოსთა და ექიმთა ერთი ჯგუფის მიმართვა საოლქო კონფერენციისადმი პარტიის რიგებში მიღების შესახებ. განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდა 31 ინჟინერი და ტექნიკოსი, ნათქვამი იყო: „ვიღებთ რა მხედველობაში იმ დიად მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) აღმშენებლობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში, ვითვალისწინებთ რა აგრეთვე იმ საპასუხისმგებლო როლს, რომელიც დაკისრებული აქვს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებს, ვთხოვთ ქუთაისის საოლქო პარტკონფერენციას მიგვიღოს ჩვენ ქვემოთ ჩამოთვლილი ინჟინერ-ტექნიკოსები კომუნისტური (ბ) პარტიის რიგებში"[2]. ანალოგიური განცხადებით მიმართა პარტკონფერენციას 13 ექიმმა.

1930 წლის 25 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა რიონჰესის № 1 გვირაბი. ეს იყო ქუთაისელი მშრომელების კარგი შრომითი ნობათი. ამ საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ქუთაისელმა კომკავშირლებმაც. კომკავშირის ქალაქის უჯრედების ინიციატივით რიონჰესის მშენებლობაზე მოეწყო 10 შაბათობა 500 კაცის მონაწილეობით. მშენებლობაზე მოეწყო აგრეთვე გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდოი რაბოჩის" და „კომსომოლსკაია პრავდას" საგუშაგოები.

მშენებლობის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით მოიწვიეს დამკვრელების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების თათბირი. შეიქმნა ახალგაზრდა გამომგონებელთა ბიურო. კომკავშირელთა ამგვარმა თაოსნობამ მნიშვნელო-

---

[1] გაზ. „ლენინის გზით", 1930, № 18.

[2] ი ქ ვ ე, № 19.

ვანი როლი შეასრულა რიონჰესის წარმატებით მშენებლობის საქმეში[1].

1930 წელს, საქართველოს დარაიონებასთან დაკავშირებით, ქუთაისის ოლქი გაუქმდა. შეიქმნა ქუთაისის რაიონი, სარაიონო აღმასკომით. იმავე წლის ოქტომბერში, საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებით, რაიაღმასკომიც გაუქმდა და 15 სასოფლო-საბჭო ქუთაისის საქალაქო საბჭოს დაექვემდებარა[2]. შესაბამისად, პარტიის საოლქო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა საქალაქო კომიტეტი.

1930 წლის სექტემბერში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მშრომელებს უფრო ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე ჩამოყალიბდა 253 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც 2500-ზე მეტი მუშა იყო გაერთიანებული. 1 ოქტომბერს ჩატარდა დამკვრელის დღე. ამ დღეს ქუთაისის საწარმოთა უმრავლესობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმები. მაგალითად, მაუდის ფაბრიკაში 809 მეტრი მაუდის ნაცვლად მოიქსოვა 913 მეტრი, ბარიტის წისქვილმა დაფქვა 50 ტ. ბარიტი, ნაცვლად 36 ტ. და ა. შ.[3].

1930 წლის 22 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. მოხსენება პარტიის მე-16 ყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა მამია ორახელაშვილმა. კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ქალაქის საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 106,3%, თვითღირებულება შემცირდა 103%. შრომის ნაყოფიერება გაი-

---

[1] გ. ჟვანია, „საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები", თბ., 1964, 201.

[2] ქუთაისის ქალაქის საბჭოს მუშაობის ძირითადი მომენტები (1929—1930 წწ.), ქუთაისი, 1930, 5.

[3] გაზ. „ლენინის გზით", 1930, № 49.

ზარდა 41,8%, ხოლო მუშათა რეალური ხელფასი 16%. ამასთანავე, კონფერენციამ მიუთითა მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი ჰქონდა სოციალისტური მშენებლობის ცალკეულ უბანზე.

1931 წლის იანვარში, ქუთაისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით, ჩატარდა დამკვრელთა საზეიმო შეკრება, რომელმაც განიხილა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისა და ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების საკითხები.

1932 წლის დამლევისათვის ქუთაისის მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, წარმატებით შეასრულეს პირველი ხუთწლიანი გეგმა. „პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულება იმ დროს, როცა კაპიტალიზმის ქვეყნებში ჰძვინვარებდა ყველაზე დამანგრეველი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, — ნათლად ადასტურებს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით. ამ გამარჯვებამ აამაღლა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი"[1].

§ 8. ქუთაისი სოციალიზმის გაფართოებისა და მისი შემდგომი განმტკიცების პერიოდში

პირველი ხუთწლიანი გეგმის (1928—1932 წწ.) წარმატებით განხორციელებამ მოამზადა პირობები საქართველოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ქუთაისელმა მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კიდევ მეტი წარმატებები მოიპოვეს მეორე ხუთწლედში (1933—1937 წწ.). ამ პერიოდის ქუთაისის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი ქართველი ხალხის, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების თავდადებულ ბრძოლასთან სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

1933 წლის 20 აგვისტოს გაზეთმა „მუშა და კოლმეურნემ" გამოაქვეყნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწონებული და დამტკიცებული ქუთაისის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტი. „უპირველეს ყოვლისა, — ნათქვამი იყო მოწინავე წერილ-

---

[1] დასახ. თეზისები, 17.

ში, — მეორე ხუთწლედში ქუთაისი კარგავს წერილ-ხელოს-ნურ-სავაჭრო ქალაქის ხასიათს. ამ პერიოდში (1933—1937 წწ.) უნდა ძირითადად დამთავრდეს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია. გეგმით გათვალისწინებული ახალი მშენებლობანი და უკვე დაწყებულ მშენებლობათა დამთავრება ქუთაისს გადააქცევს ერთ-ერთ ინდუსტრიულ ქალაქად"[1].

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ტექნიკის დაუფლებამ და შრომისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ. პარტიამ მოუწოდა მასებს ახალი ტექნიკის დაუფლებისაკენ. მუშათა კლასმა აიტაცა ეს ლოზუნგი და დაიწყო საყოველთაო ლაშქრობა ტექნიკის დასაუფლებლად. გაზეთ „მუშა და კოლმეურნის" ინიციატივით 1933 წლის ივნისიდან ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებსა და მშენებლობებზე ეწყობოდა „ტექნიკის დღე". წინასწარ ტარდებოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, გამოდიოდა ტექნიკისადმი მიძღვნილი სპეციალური კედლის გაზეთები, გროვდებოდა და წინასწარ მუშავდებოდა საკითხები წარმოებაში ტექნიკის ათვისების მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ტექდღეზე საკონსერვო ქარხანაში შემოტანილ იქნა 60-ზე მეტი წერილობითი და ზეპირი წინადადება კონსერვის დამზადების, ნედლეულის მოვლა-პატრონობის, დამუშავებისა და სხვათა შესახებ.

სოციალისტური შრომისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გააფართოვა დამკვრელთა და მოწინავეთა რიგები, გზა გაუხსნა რაციონალიზატორულ აზრსა და გამომგონებლობას. ახალ ტექნიკას დაუფლებულ მუშას ყველა საფუძველი ჰქონდა გამხდარიყო დამკვრელი, რაციონალიზატორი, გამომგონებელი. პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდნენ საუკეთესო ხარატები, მშენებლები, მქსოველები, ტექნიკოსები, ინჟინრები, ყველა ისინი, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს. 1932 წელს ქუთაისის მრეწველობაში მუშაობდა 2013 დამკვრელი, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 4242 კაცი.

1933 წელს ქუთაისის მრეწველობას უკვე ჰყავდა 4038

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1933, № 5.

დამკვრელი, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიცხვი 10915-მდე გაიზარდა[1]. ეს მოწმობდა ქუთაისის მუშათა კლასის საწარმოო აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის შემდგომ ზრდას. საქვეყნოდ ცნობილი გახდა ბარიტის მაღაროების ოსტატის იაგორ ჯილესაშვილის, გუმბრინის კარიერის მუშების — ვლადიმერ ხაკიმოვისა და ვლადიმერ ღლონტის, მაუდის ფაბრიკის მქსოველის ქრისტინე ნაფეტვარიძის, ძაფსაღები ქარხნის მუშის მ. ნანიკაშვილის, ფაბრიკა „მკერავის" მუშის ამბროსი ლექვთაძის, ასოთამწყობ ვიქტორ მახვილაძისა და სხვა დამკვრელების სახელები.

1932 წელს ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა 260 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. აქედან წარმოებაში დაინერგა 107 წინადადება, რითაც მიღებულ იქნა 83 385 მანეთის ეკონომია.

რიონჰესის მშენებლობაზე შექმნილი იყო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიურო, რომელიც მომსახურებას უწევდა სამტრედიის, ტყიბულისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციებს. ბიურომ 1930—1933 წლებში 380-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება მიიღო. აქედან წარმოებაში დაინერგა 205 წინადადება, რის გამოც დაიზოგა 295—367 ათასი მანეთი. რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა ჯილდოს სახით მიიღეს 23.145 მანეთი[2]. ქუთაისელ მუშა-გამომგონებლებს დავით თევდორაძეს (მაუდის ფაბრიკა), ნოე თევზაძეს (საგრენაჟო ქარხანა), აკაკი მიქელაძესა და სხვებს კარგად იცნობდნენ საქართველოში. მარტო ნოე თევზაძის რაციონალიზატორული წინადადების საქართველოს საგრენაჟო ქარხნებში დანერგვამ ჩვენს ქვეყანას 1.112.074 მანეთის ეკონომია მისცა[3].

1933 წლის 7 აგვისტოს მოიწვიეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელზეც შეიქმნა გამომგონებელთა საზოგადოება.

1933 წლის 20 სექტემბერს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (ამჟამად ქალაქის კულტურის სახლი) გაიხსნა დამკ-

[1] გაზ. „შუშა და კოლმეურნე", 1933, № 217.

[2] იქ ე ე, № 184.

[3] გაზ. „ლენინის გზით", 1931, № 56.

ვრელთა პირველი საქალაქო კონფერენცია. „კონფერენციაზე მოვიდა ქუთაისის პროლეტარიატის სიამაყე. მისი საუკეთესო ნაწილი, — წერდა გაზეთი „მუშა და კოლმეურნე", — მოდიან მოწინავე დამკვრელები, შრომის გმირები, სოციალიზმის მშენებელი ენთუზიაზისტები... კონფერენციაზე მათ თან მოიტანეს გმირული და დამკვრელური მუშაობის მდიდარი გამოცდილება"[1].

პროფსაბჭოს დარბაზში მოწყობილი იყო გამოფენა, რომელიც ასახავდა ჩვენი ქალაქის ზრდა-განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ქუთაისის მშრომელების დიდმა შრომითმა ენთუზიაზმმა გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე ახალ მშენებლობებზე მასიური შაბათობების მოწყობაში. განსაკუთრებით ეს ითქმის რიონჰესისა და ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზის მშენებლობებზე. შაბათობების ორგანიზატორთა და მონაწილეთა პირველ რიგებში იყვნენ კომკავშირლები.

1934 წლის 18 მარტს რიონჰესის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზის გაყვანას აქვს უდიდესი ეკონომიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაშლისა და ამაღლების საქმეში, რიონჰესის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები ვღებულობთ ვალდებულებას სისტემატურად გავუწიოთ აქტიური საზოგადოებრივი დახმარება ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის ხაზის მშენებლობას. ამ მიზნით 18 მარტს პირველად ვაწყობთ აღნიშნულ სამუშაოებზე მასობრივ გამოსვლას 200 კაცის შემადგენლობით. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ რკინიგზის ქუთაისის დეპოს, ლითოფონის მშენებლობის და საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალს. მოვუწოდებთ აგრეთვე ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებს და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხობას აქტიური საზოგადოებრივი დახმარება გაუწიონ ბროწეულა-გუმბრინის გზის მშენებლობას"[2].

---

[1] გაზ. „მუშა და კოლმეურნე", 1933. № 220

[2] იქვე, 1934, № 63.

რიონჰესელთა გარდა, რკინიგზის მშენებლობაზე აქტიური მონაწილეობის ინიციატივა აიღეს აგრეთვე მაუდისა და ძაფსაღები ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეებმა.

1934 წლის 18 მარტს ჩატარდა პირველი დიდი შაბათობა, რომელშიაც 3000 კაცი მონაწილეობდა. სამუშაოდ გამოვიდნენ ახლად დაარსებული პედინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ინდუსტრიული ტექნიკუმისა და სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები, ძველი ბოლშევიკები — მუშკოპის თანამშრომლები, ფაბრიკა „მკერავის“ მუშები და სხვ.

1934 წლის მარტში საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის მშენებლობაზე შეფობა აიღო კომკავშირმა. კომკავშირელთა ინიციატივით ეწყობოდა შაბათობები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გზის მშენებლობის დროულად დამთავრებას.

თავდადებით შრომობდნენ კომკავშირლები რიონჰესის მშენებლობაზეც. იყო შემთხვევები, როცა მშენებლობა განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. ამასთან დაკავშირებით კომკავშირმა გამოაცხადა ახალგაზრდობის მასობრივი მობილიზაცია და მშენებლობაზე მუდმივ სამუშაოდ გაგზავნა 2500 ახალგაზრდა; ჩამოყალიბდა 14 კომკავშირული ბრიგადა, შაბათობების საშუალებით კომკავშირლებმა შეასრულეს 46.755 შრომადღე.

კომკავშირლები საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ წარმოების რაციონალიზაციის, საქმიანი წინადადებების შეგროვებისა და გამომგონებლობის დარგში. ამ გზით მათ წარმოებას მისცეს 145 476 მანეთი ეკონომია. საუკეთესოდ იყო დაყენებული ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე და ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა, რისთვისაც რიონჰესის მშენებლობის კომკავშირული ორგანიზაცია საკ. ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ იქნა კონკურსით გათვალისწინებული პირველი ჯილდოთი.

ასეთი თავდადებული შრომის შედეგი იყო დიდი წარმატებები, რომლებიც ჩვენი ქალაქის მშრომელებმა 1933—1934 წლებში მოიპოვეს.

1933 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა საკონსერვო ქარხანა, რომლის საწარმოო სიმძლავრე 30 მილიონ ქილა კონსერვს უდრიდა. ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით მას კვების მრეწველობის საწარმოთა შორის მეორე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში. ამუშავდა სააფთიაქო მინისტარის ქარხანა. საცდელი ექსპლოატაცია დაიწყო წყალსადენმა (ნორმალურ ექსპლოატაციაში შევიდა 1934 წელს). 1933 წლის 30 სექტემბერს ამუშავდა რიონჰესის პირველი აგრეგატი, 30 ოქტომბერს — მეორე, 1934 წლის 25 თებერვალს — მესამე, 24 აპრილს კი მეოთხე. რიონჰესის ოფიციალური გახსნის დღედ გამოცხადდა 30 ივლისი.

რიონჰესის გახსნაზე ჩამოვიდნენ ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავრობის წევრები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ზეიმზე დასასწრებლად თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს საქართველოს ყველა კუთხის, აგრეთვე სომხეთის. აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების მშრომელებმა.

რიონჰესის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ფ. მახარაძე, ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი, აკადემიკოსი ვინტერი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ს. ჯუღელი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ის წარმომადგენელი ი. იზრაილოვი და სხვ.

რიონჰესის ამუშავება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ეს იყო ჩვენი ინდუსტრიის ზეიმი, რადგან რიონჰესი ერთადერთი პირველი სადგურია საბჭოთა კავშირში, რომელიც მთლიანად საბჭოთა ტურბინებით არის აღჭურვილი. ტურბინები დაამზადა ლენინგრადის ლითონის ქარხანამ, გენერატორები — ლენინგრადის „ელექტროსილამ", ტრანსფორმატორები — მოსკოვის ელექტროქარხანამ, ზეთის ამომრთველები — ლენინგრადის „ელექტროაპარატმა", სადგურის დაცვის აპარატურა—ხარკოვის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ და ა. შ.[1]

---

[1] იხ. გაზ. „მუშა და კოლმეურნე", 1934, №№ 17, 174; აგრეთვე გაზ. „რიონჰესის დამკვრელი", 1937, № 60.

ასე რომ, რიონჰესის აგება იყო სერიოზული გამოცდა არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა ტექნიკური კადრებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ელექტრო-მანქანათმშენებელი მრეწველობისთვისაც. რიონჰესის გამართულმა მუშაობამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ საბჭოთა ინდუსტრიის პროდუქცია ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში დამზადებულ მანქანა-დანადგარებს.

რიონჰესის მშენებლობის პროცესში მომზადდა 1070-ზე მეტი კვალიფიციური მუშა: ამფეთქებლები, ორთქლმავლის მემანქანეები და ა. შ., რომლებიც შემდეგ წარმატებით განაგრძობდნენ შრომას ქუთაისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ახალ მშენებლობებზე.

რამდენიმე სიტყვა ქუთაისის საქალაქო მეურნეობის შესახებ. ამ საკითხზე არსებობს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ეკონომიური საბჭოს 1931 წლის 13 აგვისტოს ერთობლივი დადგენილება „ქუთაისის საქალაქო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივების შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია: „ქუთაისის საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპებს, რის გამოც კატეგორიულად უნდა დაისვას საკითხი მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა გაუმჯობესების და გაძლიერების შესახებ.

ქ. ქუთაისს, რომელიც იძლევა მოსახლეობის ზრდის მეტად მაღალ ტემპებს (4,8%), უმთავრესად მშრომელი მოსახლეობის ზრდის ხარჯზე (მუშა-მოსამსახურენი შეადგენენ მთელი მოსახლეობის 84,3%), სადაც ვითარდება საკავშირო, ფედერაციული, რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობა მდიდარი სამრეწველო ნედლეულის ბაზაზე, — არ აქვს წყალსადენი, კანალიზაცია, მექანიზირებული ტრანსპორტი. კეთილმოწყობილი ქუჩები და ხიდები, ჩოლო საშუალო საცხოვრებელი სულადობრივი ნორმა მინიმალურია (4,5 m^2 სულზე)...

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ქალაქ ქუთაისში დაიწყო კომუნალური მშენებლობა (წყალსადენი, საბინაო მშე-

ნებლობა და სხვ.). მაგრამ ამ მშენებლობათა ტემპები ვერ უზრუნველყოფს და აკმაყოფილებს მუშათა კლასის გადიდებულ მოთხოვნებს"[1]. შემდეგ დადგენილებაში მოცემული იყო კომუნალური მეურნეობის გარდაქმნის კონკრეტული გეგმა.

ამ დადგენილებამ გარდატეხა შეიტანა ქუთაისის კომუნალური მეურნეობის განვითარებაში. ქალაქის კეთილმოწყობის საქმე პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭომ სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ დამკვრელ უბნად გამოაცხადეს. ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები. 1934 წელს ქალაქმა მიიღო სასმელი წყალი. დაიწყო კანალიზაციისა და სატელეფონო სადგურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. რიონჰესის ამუშავებამ მთლიანად გადაჭრა მოსახლეობის ელექტროენერგიით მოშარაგების საკითხი. ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა, დიდი ყურადღება მიექცა ქუჩების შეკეთებასა და კეთილმოწყობას.

1934 წლიდან გაიხსნა საჰაერო მიმოსვლა ქუთაისსა და თბილისს, ქუთაისსა და ბათუმს, ქუთაისსა და სოხუმს შორის.

1934 წლის 20 აგვისტოს ქალაქში დაიწყო საავტობუსო მიმოსვლა. მაშინ სულ მუშაობდა 4 ავტობუსი[2]. ამით დაიწყო ახალი ეტაპი საქალაქო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების საქმეში.

პარტიისა და ხელისუფლების დიდ ზრუნვას კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე კარგად გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

თუ 1924—1925 სამეურნეო წელს კომუნალურ მეურნეობაზე დაიხარჯა 171.2 ათასი მანეთი, 1929—1930 წელს ეს ხარჯები შეადგენდა 1766 ათას მანეთს; ე. ი. ხუთი წლის მანძილზე გაიზარდა ხუთჯერ და უფრო მეტად[3]. მეორე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი ქუთაისის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში შეადგენდა 4689,7 ათას მანეთს[4].

---

[1] გაზ. „ლენინის გზით", 1931, № 43.

[2] ქუთაისის ქალაქის საბჭოს მუშაობის ანგარიში (1931—1934 წწ.), მასალები მოხსენებისათვის, ქუთაისი, 1934, 33.

[3] ჭ. ქუთაისი და მისი რაიონის მეურნეობა დინამიკაში, ქუთ. 1932, 77.

[4] В. Орджоникидзе, К. Кипиани, Коммунальное хозяйство Груз. ССР, Тб., 1936, таб. 4.

1934 წლის 1-ლი იანვრისათვის ქ. ქუთაისის ტერიტორია 26 კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 62 227 სულს შეადგენდა. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ქუთაისი, მაშინ რაიონულ ცენტრსაც წარმოადგენდა. ქუთაისის რაიონის ტერიტორია 800 კვ. კმ-ს. ხოლო მოსახლეობა 68 969 სულს უდრიდა[1]. ქუთაისის რაიონში შედიოდა 59 სოფელი, რომლებიც 18 სასოფლო საბჭოში ერთიანდებოდნენ[2].

1934 წლის დასაწყისში ქუთაისის მრეწველობის საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოთა რიცხვში შედიოდნენ: ბარიტის მაღარო, ბარიტის ქარხანა, გუმბრინის კარიერი, გუმბრინის ქარხანა, მოწამეთის კირის ქარხანა, ხეტყის ქარხანა, აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, საგრენაჟო ქარხანა[3], მაუდის ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, № 4 სამკერვალო ფაბრიკა, ღვინის მარანი. ქუთაისის ადგილობრივი (საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებული) მრეწველობის საწარმოთა რიცხვს ეკუთვნოდნენ: ელსადგური, ქუთაისის კირის ქარხანა, ქვასატეხი კარიერები, მექანიკური სახელოსნო, ფეხსაცმელების ფაბრიკა, სტამბა, შუშის ქარხანა და აგრეთვე ქალაქში არსებული 82 წვრილი საწარმო[4].

ქალაქის საწარმო-დაწესებულებები დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს და სამშობლოს დამატებით დიდძალ პროდუქციას აძლევდნენ: საკონსერვო ქარხანამ 1934 წელს დაამზადა 8 406 ათასზე მეტი ქილა კონსერვი[5], ამავე წელს ძაფსაღებმა ფაბრიკამ სამშობლოს 32 834 კგ გრენა მისცა, ხოლო აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ 175,4 ათასი

---

[1] ქუთაისი ციფრებში, ქუთაისი. 1934, 3.

[2] 1934 წელს ქუთაისის რაიონში შედიოდა მექვენის, ნამოხვანის, ოფურჩხეთის, რიონის, გოდოგნის, ჭოგნარის, წყალტუბოს, გუმბრის, ქვიტირის, მაღლაკის, ფარცხანაყანეების, შუხიანის, პატრიკეთის, საყულიის, ოფშკვითის, ნახშირღელეს, ქვედა სიმონეთისა და ცხუნკურის სასოფლო საბჭოები. შემდგომში სასოფლო საბჭოების რაოდენობა რამდენადმე გაიზარდა.

[3] ქუთაისის აბრეშუმის საგრენაჟო ქარხანა ერთ-ერთი უდიდესია საბჭოთა კავშირში.

[4] ქუთაისი ციფრებში, 8—10, 14.

[5] სიმძლავრის მიხედვით ქუთაისის საკონსერვო ქარხანას მაშინ მეორე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირში.

მეტრი ქსოვილი გამოუშვა. გარდა ამისა, ამავე 1934 წელს ქუთაისმა და მისმა რაიონმა სამშობლოს მისცა 36 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 164 ტონა შუშეულის ნაწარმი, 413,3 ათასზე მეტი ლიტრი ხილეულის წყალი, 5 ათას ტონაზე მეტი კირი, 87,5 ათასი ტონა გუმბრინი, 36 ათასი ტონა ბარიტი, 216 ტონა მარმარილოს ბუტი ქვა, 20 კუბური მეტრი მარმარილოს ზოდები, 1 353 კუბმეტრი საშენი ბუტი ქვა. 272 კვ მ ეკლარის ქვა და სხვ.[1]

მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებათა შედეგად, 1934 წლის ივლისში ექსპლოატაციაში გაშვებულმა რიონჰესმა, ამავე წელს 104,6 მლნ კილოვატსაათი ელენერგია გამოიმუშავა. ბარიტის საბადოს ბაზაზე ქუთაისში დაიწყო საკავშირო მნიშვნელობის მსხვილი საწარმოს — ლითოფონის ქარხნის აგება. გრძელდებოდა შუშის დიდი ქარხნის მშენებლობა. უკვე დასასრულს უახლოვდებოდა სამკერვალო ფაბრიკის, ქიმიური და აბრეშუმის კომბინატების აგების სამუშაოები[2]. რეკონსტრუირებულ იქნა რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის პირმშო — ქუთაისის მაუდის ფაბრიკა. 1934 წელს ფაბრიკამ ქვეყანას 295 ათასზე მეტი მეტრი მაუდი მისცა.

ამ პერიოდში ქუთაისმა თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქის სახე მიიღო. ქუთაისის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებში დაახლოებით 30 ათასამდე მუშა ითვლებოდა.

1934 წლის დასაწყისისათვის ქუთაისის ქუჩების საერთო სიგრძე 202 კმ-ს აღწევდა; აქედან მოკირწყლული (რიყის ქვით, ძელაკებით, ასფალტით) იყო 112 კმ. ქვაფენილების სიგრძე შეადგენდა 71 კმ-ს, ელექტროქსელის სიგრძე—111 კმ-ს. ქალაქში არსებობდა: 2 სასტუმრო — 168 საწოლით, ერთი აბანო — 68 ადგილით, ქალაქში მუშაობდა 13 მსუბუქი ავტომანქანა და ავტობუსი (265 ადგილით), 35 სატვირთო ავტომანქანა (124 ტონა ტვირთტევადობით).

---

[1] გაზ. „სტალინელი", 1935, № 46.

[2] 1935 წელს, მანამდე ცალ-ცალკე არსებული, აბრეშუმის ძაფსაღები და საქსოვი ფაბრიკები გაერთიანდა ერთ მთლიან საწარმოდ—აბრეშუმის კომბინატად.

1934 წლის დასაწყისისათვის ქალაქში იყო 7 სტაციონარული საავადმყოფო (345 საწოლით), სადაც 31 ექიმი და 57 საშუალო სამედიცინო მუშაკი მუშაობდა. საავადმყოფოების გამტარუნარიანობა უდრიდა 8 292 ავადმყოფს წელიწადში. გარდა ამისა, ქუთაისში არსებობდა ჯანმრთელობის 11 არასტაციონარული დაწესებულება (2 პოლიკლინიკა, 4 ამბულატორია, 2 დისპანსერი, ქალთა ორი კონსულტაცია და ა. შ.), სადაც მსახურობდა 51 ექიმი და 52 საშუალო სამედიცინო მუშაკი. ამ პერიოდის ქუთაისელ მშრომელებს მომსახურებას უწევდა 39 სასადილო და 400 სავაჭრო წერტი[1].

1934 წლიდან ქუთაისის საქალაქო მეურნეობაში თვალსაჩინო გარდატეხა დაიწყო. დასასრულს უახლოვდებოდა წყალსადენის მშენებლობა; დამთავრების პროცესში იყო ქალაქის ახალი ავტომატური ტელეფონების სადგური; ქალაქში დაიწყო ფართო საელექტროფიკაციო სამუშაოები; საფუძველი ჩაეყარა კანალიზაციის ქსელის მშენებლობას; ფართოდ გაჩაღდა ქალაქის ვამწვანების, ქუჩებისა და მოედნების მოასფალტების სამუშაოები. გაძლიერდა ახალი დიდი თეატრის (თავდაპირველად იგი 2 000-მდე მაყურებელზე იყო გათვალისწინებული) მშენებლობის ტემპი.

ქუთაისში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სახალხო განათლების საქმე. 1934 წლის დასაწყისისათვის ქალაქში იყო 22 სკოლა (9 616 მოსწავლით), 14 საბავშვო ბაღი და ბაგა (1 262 ბავშვით), 8 ტექნიკუმი (2 206 მოსწავლით)[2]. 1933 წლის თებერვლიდან ქუთაისში მოქმედებდა უმაღლესი სასწავლებელი — სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. აქ, 1936 წლის დასაწყისში, 1 800-ზე მეტი სტუდენტი ეუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს. ქალაქში დღითი დღე იზრდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

ძველი ქუთაისი, იმერეთის თავადაზნაურობის „მექა", თანამედროვე სოციალისტური ქალაქის სახეს იღებდა.

კურორტ წყალტუბოში საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერის გაშლილ მშენებლობასთან დაკავშირებით,

---

[1] ქუთაისი ციფრებში, 1934, 42—45, 47, 49—50, 56, 58, 60.

[2] იქვე, 59.

1934 წლის ბოლოს დამთავრდა ბროწეულა-წყალტუბოს რკინიგზის ხაზის მშენებლობა. მომდევნო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სადგური — ქუთაისი II. 1935 წლის აგვისტოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ახალი აეროპორტი, რომელმაც ქუთაისის სატრანსპორტო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

ამ პერიოდში, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, ახალი ტექნიკის დაუფლების საქმეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭა. ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლამ სტახანოვური მოძრაობა წარმოშვა (1935 წ.). შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ამ საერთო-სახალხო მოძრაობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა საქართველოში, მათ შორის ქალაქ ქუთაისში. 1935 წლის ბოლოს ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში 385 სტახანოველი ითვლებოდა. აი ზოგი მათგანი: ნადია გაბედავა, ნინა ლანჩავა (მაუდის ფაბრიკიდან), სონია ხობუა, შალვა ჩიკვაშვილი (აბრეშუმის კომბინატიდან), სერგო სვანიძე (სამკერვალო ფაბრიკიდან) და მრავალი სხვა.

ამავე პერიოდში ახალი სისტემის ავტომატური მუხრუჭი გამოიგონა ყოფილმა მემანქანემ, ქუთაისის დეპოს მუშამ ე. ა. შავგულიძემ. მაშინ ამ გამოგონებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მეორე ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე — ოთხ წელსა და სამ თვეში იქნა შესრულებული.

ჩვენი საზოგადოების ისტორიის დაუვიწყარი ფურცლებია მშრომელთა მასობრივი გმირობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და პირველი ხუთწლედების წლებში. საბჭოთა ადამიანები არ იშურებდნენ ძალებს, შეგნებულად იკლებდნენ ყველაფერს, გვიჩვენებდნენ მამაცობისა და თავდადების მაგალითებს შრომაში, რათა დაეძლიათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა და გადაექციათ იგი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ამ გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმაც.

საქართველოს მშრომელთა დიდი წარმატებები ჯეროვნად შეაფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

1935 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-ლიკა დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

დიდ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა 1936 წლის 5 დეკემბერი, როდესაც საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობამ მიიღო გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია — საბ-ჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი. საბჭოთა კონსტიტუ-ციამ დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივ და სახელ-მწიფოებრივ ორგანიზაციათა სოციალისტური საფუძვლები, მოქალაქეთა ფართო სოციალური თავისუფლებები და უფ-ლებანი, შემოიღო ფარული კენჭისყრით ხელისუფლების ორ-განოების დემოკრატიული არჩევნების სისტემა.

თავისი დიდი ისტორიული მისიის შესრულების შემდეგ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია დაი-შალა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-კა უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში, რო-გორც მისი სრულუფლებიანი წევრი — მოკავშირე რესპუბ-ლიკა.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, 1937 წლის 12 დე-კემბერს, ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები, რამაც ჩვენი ქვეყნის ხალხთა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. არჩევნები საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა.

რევოლუციური გარდაქმნების, ხალხის შრომითი და პო-ლიტიკური ენთუზიაზმის შედეგად საბჭოთა კავშირში, მსოფ-ლიოში პირველად, აშენდა სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყანა სოცია-ლიზმის შემდგომი განმტკიცების ისტორიულ პერიოდში შე-ვიდა.

საბჭოთა ხალხების ყველა წარმატებაში თავისი ღირსე-ული წვლილი შეჰქონდა საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურულ ცენტრს — განახლებულ ქუთაისს.

1939 წლის მარტში საკ. კპ (ბ) მე-18 ყრილობამ სსრ კავ-შირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთ-წლიანი გეგმა დაამტკიცა. მისი ძირითადი ეკონომიური ამო-ცანა იყო დავწეოდით და გაგვესწრო მოწინავე კაპიტალის-ტური ქვეყნებისათვის ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის

წარმოების სფეროში. მის განსახორციელებლად დიდი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა.

ინდუსტრიული ქუთაისის საწარმოების მუშა-მოსამსახურეები თავდადებით შრომობდნენ ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის. 1939 წელს ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვს კიდევ ერთი გიგანტი, საკავშირო მნიშვნელობის საწარმო — ლითოფონის ქარხანა შეემატა. ამავე პერიოდში აშენდა და ექსპლოატაციაში გაიშვა ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის რამდენიმე ახალი საწარმო. 1939 წელს ქალაქის ადგილობრივ მრეწველობაში შედიოდა: მექანიკური ქარხანა, მარმარილოს წარმოება, მინერალური საღებავების ქარხანა, შუშის ქარხანა, კირის ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ხე-ტყის ქარხანა, ფოლაქების, რეზინებისა და ჩაის წარმოება, ლიმონათის ქარხანა და საგრავიურო სახელოსნო. მათში დასაქმებული იყო 900-ზე მეტი მუშა, ხოლო ამ საწარმოთა საერთო პროდუქციის ღირებულება, უნიფიცირებულ ფასებში, 7 371 389 მანეთს შეადგენდა[1].

1940 წლისათვის ქალაქის საწარმოებში 32 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო, რაც ბევრად აღემატებოდა რევოლუციამდელ საქართველოს მთელ მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვს.

1939—1940 წწ. მოსკოვში მოეწყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქუთაისის ბევრი საწარმო-დაწესებულება და მისი მოწინავე ადამიანი[2].

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ქუთაისის საქალაქო მეურნეობა და ქალაქის გარეგნული სახე. ქუთაისმა თანამედროვე სოციალისტური ქალაქის ელფერი მიიღო.

დაიწყო ქუთაისის ახალი წყალსადენის მშენებლობა, ვინაიდან არსებული წყალსადენი მინიმუმამდეც კი ვერ უზრუნველყოფდა ქალაქის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ქალაქი სასმელი წყლით ფარცხანაყანევის წყლით უნდა

---

[1] ს ც ა ქ. ფ. 149, ს. 99, ფ. 76—83.

[2] იქვე, ს. 173, ფ. 17—20; ს. 179, ფ. 30—32.

შომარაგებულიყო[1]. დღითი დღე იზრდებოდა ქალაქის კანალიზაციის ქსელის სიგრძე. 1940 წელს ექსპლოატაციაში გაუშვეს კომფორტაბელური სასტუმრო „ქუთაისი“. მდინარე რიონზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ახალი, რიგით მეოთხე, ხიდის აგების სამუშაოები. გრძელდებოდა ქუთაისის თეატრის მშენებლობა. იგეგმებოდა ტროლეიბუსის, ტრამვაის, ბესიკის მთაზე ფუნიკულიორის, მდ. რიონის სანაპიროსა და სხვა მშენებლობათა პროექტები. ააგეს ბევრი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა და საცხოვრებელი სახლი; გაყვანილ იქნა ახალი, კეთილმოწყობილი ქუჩები; გაძლიერდა ქალაქის გამწვანების სამუშაოები. დიდი ყურადღება ექცეოდა ქუთაისსა და მის მიდამოებში არსებული მატერიალური კულტურის, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა (გელათი, მოწამეთა, უქიმერიონი, მწვანეყვავილა, ოქროს ჩარდახი, სათაფლია, მუხნარისა და აჯამეთის აგარაკები და სხვ.) დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

მრეწველობის, საქალაქო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის ტერიტორია და მოსახლეობა. 1939 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის ტერიტორია — 56 კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობა — 77 515 სულს შეადგენდა. ქუთაისის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (76,9%) ქართველები იყვნენ. ქალაქში მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე რუსები (9,5%) და ქართველი ებრაელები (8,9%).

1941 წლის 25 თებერვალს ქ. ქუთაისმა ღირსეულად აღნიშნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 20 წლისთავი.

ორი ათეული წლის მანძილზე ძველი, ჩამორჩენილი ქუთაისი თანამედროვე ინდუსტრიულ ქალაქად — საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურულ ცენტრად გარდაიქმნა.

ქუთაისი დაიფარა ფაბრიკებისა და ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლის, ტექნიკუმების, სპეციალური სასწავლებლებისა და სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური

[1] სეაქ, ფ. 149, ს. 39, ფ. 41—43; ს. 69, ფ. 123—124.

კულტურისა და სპორტულ დაწესებულებათა ხშირი ქსელით[1].

ქუთაისის საქალაქო მეურნეობას უკვე გააჩნდა: წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური, საზოგადოებრივ დაწესებულებათა ახალი შენობები, კეთილმოწყობილი ქუჩები და მოედნები, საცხოვრებელი სახლები, გამწვანებული უბნები, თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებანი და სხვ.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ქუთაისის მშრომელებმა მესამე ხუთწლიანი გეგმის პირველი ორი წლის დავალებები წარმატებით შეასრულეს. მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა მშრომელების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა დიდხანს არ გაგრძელებულა.

დასავლეთის მმართველი წრეების ხელისშეწყობით, საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელმა ძალამ — გერმანიის ფაშიზმმა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი კონტინენტური ევროპა და 1941 წლის ივნისში სსრ კავშირის წინააღმდეგ დაიძრა.

---

[1] უფრო ვრცლად იხ. წინამდებარე ნაშრომის VI თავი.

თავი მეოთხე

ქუთაისი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.)

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა ქვეყანას.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა შეწყდა. კომუნისტური პარტიის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის ხალხები ჰიტლერულ ურდოებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებნენ. „დაწყებული ომი, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს მოახვია გერმანიის ფაშიზმმა, — ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — იყო სოციალიზმის ყველაზე დიდი საომარი შეჯახება იმპერიალიზმის დამკვრელ ძალებთან... დიდი სამამულო ომი იყო ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი იმ ომებიდან, რომლებიც კი ოდესმე გადაუტანია ჩვენს სამშობლოს"[1].

მთელი საბჭოთა ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა უზარმაზარ საბრძოლო ბანაკად, რომელიც გამსჭვალული იყო ერთიანი მისწრაფებით — დაემარცხებინა მტერი, განედევნა იგი საბჭოთა მიწა-წყლიდან, მოესპო ფაშიზმი. პარტიის ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის!" საბჭოთა ხალხის ცხოვრების უცილობელი კანონი გახდა. პარტიამ გაატარა ენერგიული ღონისძიებანი ფრონტისა და ზურგის ერთიანობისათვის, მტრის განადგურების ორგანიზაციისათვის. ამ ისტორიული ამოცანის განსახორციელებლად 1941

[1] დასახ. თეზისები, 23.

წლის 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით. დაიწყო სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა. მთელი ძალები გერმანელ დამპყრობთა განადგურებისა და საბჭოთა ხალხების თავისუფლების დასაცავად იქნა მობილიზებული. ყველაფერი ფრონტის ინტერესებს დაუქვემდებარდა.

უმოკლეს ვადაში მთელი ცხოვრების საომარ ყაიდაზე გარდაქმნა განხორციელდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც. საქართველომ სამამულო ომის პერიოდში ფრონტზე გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები— 600 ათასზე მეტი მებრძოლი. რესპუბლიკის ყოველი 100 მცხოვრებიდან დაახლოებით 18 კაცმა თოფ-იარაღი აიხსა.

საბჭოთა საქართველო, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელსაც თავისი ტერიტორიული მდებარეობით, სტრატეგიულ-ეკონომიური მნიშვნელობით, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტით, განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი ეკისრებოდა დიდ სამამულო ომში[1].

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა ქალაქი ქუთაისიც. ქალაქში შეიქმნა თავდაცვის ადგილობრივი კომიტეტი. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე დიდი პატრიოტული აღმავლობით დაიწყო მობილიზაცია. გასაწვევ პუნქტებში ასობით ცხადდებოდნენ მოხალისენი, უმთავრესად ახალგაზრდები და უშუალოდ ფრონტზე გაგზავნას ითხოვდნენ.

ქალაქსა და მის მიდამოებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დივერსანტებთან და მტრის სადესანტო ნაწილებთან საბრძოლველად შეიქმნა ე. წ. „გამანადგურებელი ბატალიონები“, გაძლიერდა ქალაქის საჰაერო თავდაცვა, აშენდა თავშესაფარი მიწურები, სათვალთვალო კოშკები, წყლის აუზები, ჩატარდა ქალაქის უმნიშვნელოვანეს ობიექტთა შენიღბვა, გაძლიერდა მათი დაცვა. დაიწყო დიდი თავდაცვითი სამუშაოები: ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში

---

[1] ა. იოსელიანი, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წწ.), თბ., 1958, 9.

გათხარეს ტანკსაწინააღმდეგო თხრილები, რომელშიც ათასობით მშრომელი იღებდა მონაწილეობას. მოეწყო მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლება, ჩამოყალიბდა ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ჯგუფები. 1943 წლისათვის ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის 59 ჯგუფში 5 626 კაცი იყო გაერთიანებული[1].

უმძიმეს პირობებში თავდადებით შრომობდნენ მუშამოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქალებმა და მოზარდებმა შრომით ვახტზე შეცვალეს ფრონტზე წასული მამები, ქმრები, ძმები და შვილები. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილმა ქალაქის საწარმოებმა ომისათვის საჭირო პროდუქციის მასიური წარმოება დაიწყეს[2]. საწარმო-დაწესებულებებში ომში წასული კადრის მუშები ახალგაზრდობამ, უმთავრესად ქალებმა შეცვალა. ომის პირველ წლებში ქალაქის საწარმოებში 10.300-მდე ახალგაზრდა მოვიდა, რაც ქალაქის ყველა საწარმოს მუშათა რაოდენობის ნახევარს აღემატებოდა. ფაბრიკა-ქარხნებში ახლად მოსული მუშებისათვის ჩამოყალიბდა ტექსწავლების 205 წრე, სადაც ისინი არჩეულ პროფესიას უმოკლეს ვადებში ეუფლებოდნენ[3].

ომის წლებში ქუთაისის მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გამოავლინეს ახალი თვისობრივი მხარეები; მათი საწარმოო, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ძირითად მიზანს მტრის საბოლოოდ განადგურება წარმოადგენდა.

ქუთაისის მშრომელთა ენთუზიაზმმა თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ომის პერიოდის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ მონაწილეობის ფაქტში, რომელიც 1942 წლის მაისიდან დაიწყო. ომის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რომლის ხარჯზე ნაწილობრივ ხდებოდა მუშახელის დანაკლისის კომპენსირება. ომის პერიოდში მწყობრში ჩადგნენ რძისა და შუშისტარის ქარხნები. საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. III, 1960, 203.

[2] ომამდელ ქუთაისში სამხედრო წარმოება არ არსებობდა.

[3] ო. აბუთიძე, ქალაქი ქუთაისი სამამულო ომის წლებში, საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. „მოამბე", № 1, 1962, 142.

ყველა საწარმო გადაჭარბებით ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს. ფრონტის საჭიროებისათვის წარმატებით მუშაობდნენ აგრეთვე ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, ინვალიდთა არტელები და სხვ. თავიანთ პასუხსაგებ უბნებზე თავდადებით იღწვოდნენ და საძულველ მტერზე გამარჯვებას ჰედდნენ ქუთაისის სახალხო განათლებისა და კულტურის მუშაკებიც.

სამშობლოს დაცვის საყოველთაო-სახალხო საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქუთაისში მომუშავე მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა შექმნეს ნაწარმოებები, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა ადამიანებს მაღალ პატრიოტიზმს, მათ გმირულ ბრძოლას სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი საუკეთესო ძალები (პარტიის წევრთა დაახლოებით ნახევარი) ფრონტზე გაგზავნა. იგი სათავეში ედგა ქუთაისელთა შრომით საქმიანობას. მშრომელთა შორის დიდი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა გაჩაღდა. ქალაქის მოსახლეობაში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სამხედრო ცოდნის პროპაგანდა. ქალაქის ცხოვრებაში ჯანსაღი, პატრიოტული სულისკვეთება ბატონობდა.

სამშობლოსათვის ამ მრისხანე ჟამს, სოციალისტურმა ქუთაისმა, თავისი 80-ათასიანი მოსახლეობით, მშრომელიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულობისა და ორგანიზებულობის მაგალითი აჩვენა.

ქუთაისის მრეწველობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნასთან ერთად, ქალაქის მშრომელთა წინაშე იდგა აგრეთვე ფრონტისადმი დახმარების ამოცანა, რაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა.

როგორც ცნობილია, მტრის მიერ დროებით ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებულ იქნა მოსახლეობისა და საწარმოთა დიდი ნაწილი. მათი, შედარებით მცირე, ნაწილი ქუთაისშიც დარჩა. ასე, მაგალითად, 1941—1944 წლებში ევაკუირებულთა რიცხვი 3.211 კაცს შეადგენდა[1]. ისინი დიდი გუ-

[1] ა. ოსელიანი, დასახ. ნაშრ., 430.

ლისხმიერებითა და მზრუნველობით შეიკედლა ქუთაისმა; მათი ნაწილი საკუთარ ბინებში შეისახლა ქალაქის სტუმართმოყვარე მოსახლეობამ.

ომის დასაწყისშივე ქუთაისში ევაკუირებულ ჰოსპიტლებს გადაეცა ქალაქის 7 საუკეთესო შენობა. აქ ომის პერიოდში უმკურნალეს წითელი არმიისა და ფლოტის 62 ათასზე მეტ მეომარს[1].

სამამულო ომის მრისხანე წლებში ქალაქის საწარმოები ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს. ქუთაისელი მშრომელები პირნათლად ასრულებდნენ საწარმოო გეგმის ზევით ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებსაც. მაგალითად, საკონსერვო ქარხანამ 1944 წელს 3 მილიონ ქილაზე მეტი კონსერვი მისცა ჩვენს ქვეყანას.

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა მოკლე დროში აითვისეს მრავალგვარი საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის წარმოება. ისინი ფრონტისათვის ამზადებდნენ თვითმფრინავების, ტანკების, ნაღმსატყორცნების ნაწილებს, ავტომატებს, ხელყუმბარებს და სხვა საომარ იარაღებსა თუ მასალებს.

ომის მრისხანე დღეებში დაიწყო ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის „მაღაროელის“ მშენებლობა, რომელიც სამთო-მომპოვებელი მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის ყველაზე დიდი მიმწოდებელია საქართველოში.

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ ინერგებოდა წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც საგრძნობლად ავსებდა მუშა ძალის ნაკლებობით გამოწვეულ სიძნელეებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ბრძოლას ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმისათვის. პროდუქციის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართო დანერგვა და მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება.

ომის წლებში ქუთაისის საწარმოებში განხორციელებული

---

[1] М. Цанава. Трудящиеся г. Кутаиси в Великой Октябрьской войне 1941—1945 гг. (Автореферат), 1964, 17.

რაციონალიზატორული წინადადებებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვით მიღწეულ იქნა 4.450.200 მანეთის ეკონომია. ინდუსტრიული ქალაქის ყველაზე ძველი საწარმოს — მაუდის ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა ე. ფანცულაიამ რეკონსტრუქცია გაუკეთა სელფაქტორებს, რითაც ფაბრიკამ 250 ათასი მანეთი დაზოგა[1].

შრომის ვახტზე განსაკუთრებული თავდადების მაგალითებს კომკავშირული ახალგაზრდული ბრიგადები იძლეოდნენ. შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის თვალსაჩინო მიღწევების გამო ფრონტული ბრიგადის სახელწოდება მიენიჭათ აბრეშუმკომბინატის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო ქარხნისა და სხვა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს (ბრიგადების ხელმძღვანელები: პ. რობაქიძე, ლ. კიკვიძე, დ. ბაბუნაშვილი, ბ. ჩხობაძე). ტყავფეხსაცმლის კომბინატის ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი დ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობდა, 1944 წლის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა მოიპოვა[2].

სამამულო ომის წლებში შრომითი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვეს 100-ზე მეტი ქუთაისელი მშრომელი, ხოლო 11 260 — მედალით „შრომითი მამაცობისათვის 1941—1945 წწ. დიდ სამამულო ომში"[3].

ქუთაისელი მშრომელები ნებაყოფლობით კრებდნენ სახსრებს არმიის შესაიარაღებლად, აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელსა და საჩუქრებს მეომრებისათვის, იძენდნენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებს და სხვ. მარტო „საქართველოს კომკავშირის" სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებ ფონდში ქუთაისის ახალგაზრდობამ 6.291.415 მანეთი შეიტანა[4].

---

[1] ო. აბუთიძე, დასახ. ნაშრ., 143.

[2] გაზ. „სტალინელი", 1958, № 185.

[3] მ. ცანავა, დასახ. ნაშრ., 16.

[4] იხ. „მოამბე", № 1, 1962, 143—144.

ქალაქის მოსახლეობამ საბჭოთა არმიისათვის დახმარება განსაკუთრებით გააძლიერა კავკასიისათვის ბრძოლის მძიმე დღეებში. ქუთაისელმა მშრომელებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა დახმარებოდნენ კავკასიის ფრონტზე მოქმედ საბჭოთა არმიის ნაწილებს. ქუთაისის საწარმოები ამზადებდნენ ფრონტისათვის იარაღს, ხოლო ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სამშობლოს დამცველებს უგზავნიდნენ პურს, ხორცს, ხილს და სხვა სურსათ-სანოვაგეს. საბჭოთა მეომრებისადმი მორალური დახმარების ერთ-ერთ ფორმას ფრონტისა და ზურგის რეგულარული წერილობითი კავშირიც წარმოადგენდა.

ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობა აახლოებდა მტერზე გამარჯვებას.

ქუთაისელმა მშრომელებმა მატერიალური და შრომითი დახმარება გაუწიეს გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს. გაძლიერდა ზრუნვა დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებზე, სამამულო ომის ინვალიდებსა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე. დიდი ყურადღება მიექცა დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს.

სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე ზრუნვა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იყო. მეომრები დიდად აფასებდნენ მათი ოჯახებისადმი ასეთ ზრუნვას. 1943 წლის მაისში ლეიტენანტი ახვლედიანი და შებრძოლი კობახიძე ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ფრონტიდან წერდნენ: „ჩვენი ნაწილის ზოგმა მებრძოლმა თავისიანთა წერილები მიიღეს ქუთაისიდან. ისინი წერდნენ, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილება დიდ დახმარებას უწევს მათ. ამ წერილებმა აღაფრთოვანეს ჩვენი ნაწილის მებრძოლები. დიდი მადლობა ქუთაისელ მშრომელებს და თქვენ ჩვენ ოჯახებზე ზრუნვისათვის. ჩვენი მხრივ ვფიცავთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მათი საბოლოო განადგურებისათვის"[1].

[1] საქართველოს ისტორია, ტ. III, 1960, 206.

სამამულო ომის წლებში ქუთაისელი მშრომელები აქტიურად ეხმარებოდნენ სოციალისტურ სოფელს.

ქუთაისელ მშრომელთა პატრიოტული თავდადება გამოვლინდა სახალხო განათლებისა და კულტურის ფრონტზე გაჩაღებულ დიდ შემოქმედებით შრომაშიც.

სწავლა-აღზრდის ახალ მოთხოვნებს სათანადოდ უპასუხებდა ქალაქის სახალხო განათლების სისტემა. მაშინ ქალაქში 23 სკოლა იყო, სადაც 10,8 ათასამდე მოსწავლე სწავლობდა. ქუთაისელი პედაგოგები თავდადებით ემსახურებოდნენ მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ომის წლებში სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დიდძალი შავი და ფერადი ლითონის ჯართი შეაგროვეს. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო შრომაში.

დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოსათვის მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა კადრების აღზრდის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ომის დაწყებისთანავე ინსტიტუტის 50-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი და 600-მდე სტუდენტი ფრონტზე წავიდა. მათგან ორი, ისტორიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები კონსტანტინე ტყაბლაძე და გრიგოლ ბახტაძე საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები დიდ შრომით საქმიანობას ეწეოდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. აქტიურად შრომობდნენ ტანკსაწინააღმდეგო თხრილების ამოღებაზე, აგროვებდნენ ფრონტზე გასაგზავნ საჩუქრებს, მონაწილეობდნენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გავრცელებასა და საბჭოთა არმიის შესაიარაღებლად სახსრების შეგროვებაში.

ომის პერიოდში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. გამოიცა კრებული — „სამშობლოს ვიცავთ გმირულად“, სადაც დაიბეჭდა ომის თემებზე მიძღვნილი ქუთაისელი მწერლების ანტიფაშისტური ნაწარმოებები. გამოცემულ იქნა ერთდროული გაზეთები: „სამშობლოსათვის“ და „გამარჯვებისათვის“. სამ-

შობლოს დაცვის სადარაჯოზე დადგნენ და ვმირის სიკვდილით დაეცნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი პოეტები: სეევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, დავით პატატიშვილი. მათ თან წაიღეს ბევრი უთქმელი ლექსი და აუხდენელი ოცნება.

ქალაქის პრესის მუშაკთა თავდადებული შრომის აღსანიშნავად, 1944 წლის ოქტომბერში, უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" პასუხისმგებელ რედაქტორს წერდა: „გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" თანამშრომლებს, კორესპონდენტებსა და მკითხველთა აქტივს, რომლებმაც სატანკო კოლონის „პრესის მუშაკის" ასაგებად შეაგროვეს 33.222 მანეთი ფულად, 86.187 მანეთი გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციებით და 159.000 მანეთი სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებით"[1].

სასახელოდ იშრომა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელსაც მიღწეული წარმატებების აღსანიშნავად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური გარდამავალი დროშა მიეკუთვნა.

ქალაქის მოსახლეობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა.

სამამულო ომის წლებში დიდი მუშაობა გასწიეს ქუთაისის სამკურნალო დაწესებულებებმა. მედიცინის მუშაკებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ომის პერიოდში წარმატებებით თავი ისახელეს ქუთაისის ფიზკულტურულმა და სპორტულმა კოლექტივებმა. ქუთაისელ კალათბურთელთა გუნდმა 1943—1944 წლებში საქართველოს ჩემპიონობა, ხოლო საკავშირო ასპარეზობაზე მეოთხე ადგილი (1943 წ.) მოიპოვა. ქუთაისის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გერმანელ ფაშისტთა მიერ დახვრეტილ კიეველ ფეხბურთელთა სახელის უკვდავსაყოფად ძეგლისა და ესკადრილიის ასაგებ ფონდში 47.117 მანეთი შეიტანეს.

---

[1] გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი", 1944, № 213.

• • •

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ქართველ მეომართა გმირობა და მამაცობა საქვეყნოდაა ცნობილი. მათ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის მდიდარ მატიანეში ახალი, ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს. ქართველ მეომართა შემადგენლობაში, სამამულო ომის ყველა გადამწყვეტ უბანზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის წარგზავნილებიც. მათ თავიანთი თავდადებული ბრძოლით ასახელეს სამშობლო, ქართველი ხალხი, მშობლიური ქალაქი.

1941 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ჰიტლერული არმიების დამკვრელი დაჯგუფება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მიმართულებით გამოიჭრა. პირველი წარმატებებისაგან თავბრუდახვეული ფაშისტური დივიზიები საბჭოთა ქვეყნის გულისაკენ დაბეჯითებით მოიწევდნენ. სოციალისტურ სამშობლოს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. 1941 წლის შემოდგომისა და 1941—1942 წლის ზამთრის განმავლობაში მოსკოვის მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მოსკოვთან ბრძოლა თავისი ხანგრძლიობით, მასშტაბით და, განსაკუთრებით შედეგებით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლაა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. მოსკოვთან გერმანელთა არმიამ უდიდესი დამარცხება განიცადა. საბოლოოდ დასამარდა ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმა; მთელი მსოფლიოს წინაშე გაქარწყლდა ყალბი ლეგენდა ჰიტლერელთა არმიის „უძლეველობის“ შესახებ.

მოსკოვისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა მრავალი ქართველი მეომარი, რომელთა შორის ბევრი ქუთაისის მკვიდრი იყო. მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელეს პოდპოლკოვნიკ პ. ი. ჩხობაძის[1] მეომრებმა. პოლკის ქართველი მეთაური მოსკოვთან ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა. მშობლიური ქალაქი ასახე-

[1] შემდეგში პ. ი. ჩხობაძე გენერალ-მაიორი გახდა.

ლეს მოსკოვის დაცვის მონაწილე სხვა ქუთაისელმა მეომრებმაც: შ. ს. კობახიძემ, ე. ნ. ბურდილაძემ, ი. ნ. მაჩალაძემ, ვ. ნ. ადეიშვილმა, მ. პ. ნინუამ, შ. დიდიამ, ზ. კიკატუნიძემ, ა. დადუნაშვილმა და სხვ.

მოსკოვთან გაწბილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი მტერი მაინც არ ცხრებოდა. ახლა მან შემოვლითი გზით სცადა საბჭოთა ქვეყნის ქედაქალაქის დაპყრობა. გერმანელთა სარდლობამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო სტალინგრადი და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოეევლო მოსკოვისათვის. ჰიტლერელთა ძირითად გეგმებში შედიოდა აგრეთვე კავკასიის დაპყრობა.

1942 წლის ივლისის ბოლოს, გერმანელებმა. უდიდესი დანაკლისის ფასად, გაარღვიეს ფრონტი როსტოვთან და ახალი დიდი შემოტევა დაიწყეს. გერმანელთა მთავარი ძალები აღმოსავლეთით — სტალინგრადისაკენ გაიჭრა, ხოლო მეორე დაჯგუფება (დაახლოებით 30 რჩეული დივიზია) კავკასიისაკენ გამოეშართა. კავკასიისაკენ გამოჭრილ ჰიტლერელთა ჯარებს სარდლობდა ფელდმარშალი ლისტი. გერმანელები ისწრაფვოდნენ ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, დაეპყროთ ამიერკავკასია, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პლაცდარმი, დაემონებინათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხები.

1942 წლის ივლისიდან გაჩაღდა დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა — ბრძოლა კავკასიისათვის, რომელიც 14 თვეს გრძელდებოდა. აგვისტოს პირველ ნახევარში ფაშისტთა სარდლობამ მოახდინა თავისი ჯარების გადაჯგუფება კავკასიაში. გერმანელები გეგმავდნენ განეხორციელებინათ ახალი შეტევა სამი მიმართულებით: 1. გროზნო-კასპიის ზღვის სანაპიროები — ბაქო, 2. ნოვოროსიისკი—შავი ზღვის სანაპიროები—ბათუმი და 3. მთავარი კავკასიონის უღელტეხილებით — სოხუმი-ქუთაისი-თბილისი. გერმანელთა სარდლობა, ე. წ. „ედელვაისის“ გეგმის შესაბამისად, ვარაუდობდა შემოდგომამდე მთელი კავკასიის, მათ შორის საქართველოს, დაპყრობაა.

1942 წლის აგვისტო-სექტემბერში მტრის ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად, ცოცხალი ძალისა და ტექნი-

კის მხრივ უდიდესი დანაკლისის ფასად, შეძლეს გამოჭრილიყვნენ სვანეთის, მამისონის გადასასვლელისა და დარიალის ხეობის მისადგომების სიახლოვეს. ფაშისტთა სვასტიკიანი დროშა აღმართულ იქნა ევროპისა და წინა აზიის ყველაზე მაღალ მწვერვალზე — იალბუზზე. უფრო მეტიც: ამავე პერიოდში გერმანელებმა დაიპყრეს ქლუხორის, მარუხის, სანჭაროს უღელტეხილები. ამ უკანასკნელით ისინი აფხაზეთში შემოიჭრნენ. გერმანელები მოუახლოვდნენ გუდაუთას და სოხუმს. ამავე დროს მტერმა დაბომბა სოხუმი, ფოთი და შავი ზღვისპირა სხვა დასახლებული პუნქტები... მამა-პაპათა სისხლით მორწყული ყოველი მტკაველი ქართული მიწისათვის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. საქართველოს მთელი რიგი ქალაქები, მათ შორის ქუთაისი, ფრონტისპირა ქალაქად გადაიქცა.

ჩრდილოეთ კავკასიაში საომარი მოქმედების გამო საქართველო და ამიერკავკასია საბჭოთა კავშირის დანარჩენი ნაწილისაგან სარკინიგზო ხაზით მოწყვეტილი აღმოჩნდა. 1942 წლის შემოდგომაზე და 1942—1943 წლის ზამთარში თითქმის მთლიანად შეწყდა ნედლეულის, სათბობისა და სათადარიგო ნაწილების შემოზიდვა საქართველოში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება სერიოზულად შეფერხდა.

საშიშროება გაიზარდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზეც, სადაც საბრძოლოდ გამზადებული თურქეთის 26-ზე მეტი დივიზია იყო განლაგებული. აშკარად ჩანდა, რომ მეზობელი თურქეთი ხელსაყრელ მომენტს ელოდა ამიერკავკასიაში შემოსაჭრელად. თურქეთის მთავრობის თანხმობით, გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო-საზღვაო ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდა.

საქართველოს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. სამშობლოსათვის ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, ქართველი ხალხი კიდევ უფრო შემჭიდროვდა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და კავკასიის სხვა ხალხების მხარდამხარ, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ძლიერ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. დაიწყო კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა. „უკან დასახევი გზა არა გვაქვს, ჩვენს უკან საქართველოა, არ გაუშვათ მტერი ამიერკავკასიისა-

კენ!“ — აი რა ასულდგმულებდათ მაშინ კავკასიის გმირ დამცველებს. სამშობლოსათვის ბრძოლაში საქართველოს წარგზავნილებმა პატრიოტიზმისა და მასობრივი გმირობის ჯერ არნახული მაგალითები აჩვენეს. ამიერკავკასიის ფრონტმა სამშობლოს 53 საბჭოთა კავშირის გმირი მისცა; მათგან 27 კაცს ეს საპატიო წოდება სიკვდილის შემდეგ მიენიჭა.

1942 წლის 24 აგვისტოს საბჭოთა სარდლობის დადგენილებით სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა: თბილისში, ქუთაისში, გორში, ხაშურში, შავი ზღვის მთელ სანაპიროსა და საქართველოს მთელ რიგ სხვა ადგილებში. სექტემბერში, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი. სულ მალე, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ იქნა ახალი, ლეგენდარული 46-ე არმია, ცნობილი ქართველი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის სარდლობით. მოკლე დროში გაფორმდა 224-ე, 338-ე, 392-ე და 414-ე ქართული დივიზიები, რომელთაც კავკასიის დაცვაში უდიდესი როლი შეასრულეს[1]. შემდეგში ქართული დივიზიები მამაცურად იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმისა და უკრაინის განთავისუფლებისათვის.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ქუთაისმა. ქალაქი, დროებით შექმნილ, მეტად მძიმე ვითარებას, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. ქუთაისის გამანადგურებელი ბატალიონები მონაწილეობას იღებდნენ სამომარ ოპერაციებში კავკასიის უღელტეხილებთან. ამიერკავკასიის ფრონტს თვალსაჩინო დახმარებას უწევდნენ ქუთაისელი ალპინისტებიც.

აქტიური თავდაცვითი ბრძოლები კავკასიის უღელტეხილებსა და მთებში 4 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მტერი დამარცხებულ და განდევნილ იქნა საქართველოს მისადგომებიდან.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლის შემდეგ, 1942 წლის დეკემბრიდან, შეტევაზე გადავიდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებიც, გაანადგურეს გერმანე-

---

[1] იხ. „ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“, თბ., 1965.

ლი ოკუპანტები და იხსნეს კავკასია. სტალინგრადთან გერმანელთა არმიის განადგურებამ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში დასაბამი მისცა ძირეული გარდატეხის პერიოდს. საქართველო ფრონტისპირა უბნიდან. თანდათანობით, ღრმა ზურგი გახდა.

კავკასიის ბრძოლებში მრავალმა ქუთაისელმა მეომარმა გამოიჩინა თავი. ბევრი მათგანი გმირის სიკვდილით დაეცა. საბჭოთა კავშირის სხვა ორდენებსა და მედლებს გარდა, 2.037 ქუთაისელს, მათ შორის 358 კომკავშირელ-ახალგაზრდას, გადაეცა მედალი — „კავკასიის დაცვისათვის“.

განსაკუთრებით ბევრი ქუთაისელი, ცნობილი 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომარი, მონაწილეობდა ყირიმში, ქერჩის ნახევარკუნძულისათვის წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში. მათი უდიდესი უმრავლესობა. ქართულ დივიზიასთან ერთად, 1942 წლის მაისში გერმანელთა და მათ მოკავშირეთა მოზღვავებულ ძალებთან უთანასწორო. ტრაგიკულ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

მოსკოვის, კავკასიისა. და ქერჩისათვის წარმოებული ბრძოლების გარდა, ათასობით ქუთაისელი პატრიოტი თავდადებით იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტის სხვა უბნებზე — შავი ზღვიდან ვიდრე ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე. ქუთაისის წარგზავნილები სამშობლოს იცავდნენ ბრესტთან, სმოლენსკთან, ლენინგრადთან, ოდესასთან, სევასტოპოლთან, სტალინგრადთან, კურსკთან, კიევთან წარმოებულ ბრძოლებში. ისინი მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლებაში, ბერლინის აღებაში. ქუთაისელი მეომრები მედგრად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, აგრეთვე, იტალიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანულ რაზმებში. ბევრი ქუთაისში აღზრდილი მონაწილეობდა მილიტარისტული იაპონიის განადგურებისათვის წარმოებულ ომში.

არასრული მონაცემებით, დიდი სამამულო ომის მონაწილე 1.520 ქუთაისელი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ათასობით მეომარს გადაეცა მედლები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“,

„იაპონიაზე გამარჯვებისათვის“, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესისა და იმიერ-პოლარეთის დაცვისათვის, ვარშავის, პრაღის, ბუქარესტის, სოფიის, ბუდაპეშტისა და ბელგრადის განთავისუფლებისათვის, ბერლინის, ვენისა და კენიგსბერგის აღებისათვის[1].

დიდ სამამულო ომში ბევრმა ქუთაისელმა ისახელა თავი. მადლიერი სამშობლო მათ სახელებს არასოდეს დაივიწყებს. ომის მონაწილე ქუთაისელთა საბრძოლო საქმეებს დაწვრილებით, ცხადია, აქ ვერ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სამამულო ომის ფრონტებზე მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის ქუთაისისა და მისი რაიონიდან წარგზავნილ შვიდ მებრძოლს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ესენია: ლავრენტი ივანეს ძე ავალიანი (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ), ოთარ გრიგოლის ძე ჩეჩელაშვილი, გიორგი გიორგის ძე ბახტაძე, კონსტანტინე ევსტაფის ძე ტყაბლაძე, ივანე მინას ძე დუპლი, კირილე ნიკიფორეს ძე უკლება და ვლადიმერ ვასილის ძე გვანცელაძე.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მე-10 კლასის მოსწავლე იყო ლავრენტი ავალიანი, როდესაც მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში. მამაცმა კომკავშირელმა მეავტომატემ თავი გამოიჩინა სამამულო ომის ფრონტებზე. მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს მისი საბრძოლო ცხოვრებიდან:

...ერთ-ერთ საბჭოთა ასეულს იერიში მიჰქონდა გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებულ ხაზზე ქალაქ მელიტოპოლის (უკრაინა) ჩრდილოეთით. გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. მტერმა იერიშზე გადმოსული ასეულის წინააღმდეგ თავისი უკანასკნელი ძალები გამოიყვანა. გერმანელთა ათამდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხები ჩვენი პოზიციების „გასატარნავად“ წამოვიდა. ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ ჟამს ოცეულის მეთაური დაიღუპა. — ოცეულს მე ვმეთაურობ, ვიბრძოლოთ უკანასკნელ ვაზნამდე! — გასცა ბრძანება სერჟანტმა ლ. ავალიანმა. ავალიანი თავის მეომრებთან ერთად

[1] მ. ცანავა, დასახ. ნაშრ., 20.

გააფთრებით ეკვეთა მტერს და წინწამოწევის შესაძლებლობა მოუსპო მათ. გერმანელთა ტანკებთან უთანასწორო ბრძოლაში ლავრენტი მამაცობისა და გმირობის მაგალითს აჩვენებდა. მან დააზიანა ფაშისტების სამი მძიმე ტანკი და ხელყუმბარებით 150-მდე ჰიტლერელი მოსპო. როცა ვაზნები და ხელყუმბარები გაუთავდა, ლავრენტი ფინური დანით ეკვეთა მტერს. უთანასწორო ბრძოლაში იგი არ შემკრთალა და დაეცა როგორც უშიშარი მებრძოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 1-ლი ნოემბრის ბრძანებულებით, უდროოდ დაღუპულ 20 წლის ქართველ ვაჟკაცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[1].

ქუთაისის მკვიდრია მამაცი საბჭოთა მფრინავი ალექსანდრე მიხეილის ძე სირაძე. სამამულო ომის პერიოდში ამ უშიშარმა მებრძოლმა 186 საბრძოლო გაფრენა მოახდინა; 49-ჯერ უშუალოდ ჩაება საჰაერო ბრძოლაში. მან ამ ბრძოლებში მტრის 17 თვითმფრინავი ჩამოაგდო. სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცობისა და გმირობისათვის, სარდლობის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ალექსანდრე სირაძე დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი საბრძოლო ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენითა და ორი მედლით.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის ზეიმის დღეებში საქართველოს რადიომ, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ცნობებში, კიევის ოლქის, მირონოვკის რაიონის, სოფელ ოლხოვეცის მშრომელთა შემდეგი თხოვნა გადმოსცა: მაიორმა არსენიძემ, რომლის სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი არ ვიცით, — ჰიტლერელ-დამპყრობთაგან გაანთავისუფლა ჩვენი სოფელი. კოლმეურნეები თხოვენ არსენიძის ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, თუ ცოცხალია ის, აუცილებლად ჩამოვიდეს ჩვენთან, სოფ. ოლხოვეცში, 9 მაისს, გამარჯვების დღესასწაულზე[2].

ამ უკრაინული სოფლის განმათავისუფლებელი აღმოჩნდა ქუთაისის მცხოვრები ირაკლი თეოფილეს ძე არსენიძე. მან

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1966, № 105.

2 ქუთ. ისტ. მუზეუმი, საბჭოთა პერიოდის ფონდი, № 118, ფ. 120.

სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში ცალი ფეხი დაჰკარგა, მაგრამ ომის დამთავრებამდე ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ი. არსენიძე სამამულო ომში გამოჩენილი შამაცობისა და გმირობისათვის დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის ორდენებითა და აგრეთვე მედლებით.

ლეგენდარული ბატალიონის მეთაური მიხეილ ისიდორეს ძე ბუხაიძე და მის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩადენილი გმირობის ამბავი, შემდეგში სიმღერად იქცა. უდროოდ დაღუპულმა გმირმა უკვდავების სახელი დაიმკვიდრა ხალხის გულში[1]. ცნობილმა ქართველმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ მას უძღვნა ლექსი — „კაპიტანი ბუხაიძე", რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ერთხელ, ჩრდილოეთ კავკასიაში, მალგობეკის დასავლეთით, თერგის ქედის ერთ-ერთ გორაკზე მენავთობეები ძველ მილებს იღებდნენ. მუშაობის დროს უეცრად მიწაში რაღაცამ გაიელვა. მუშებმა ორი ათეული წლის წინათ მიწაში ჩამარხული ჯოხ-მედალიონი იპოვნეს. მასში ქაღალდი აღმოჩნდა წარწერით: „ალექსანდრე ბიქტორის ძე ტყეშელაშვილი, ქალაქი ქუთაისი..."

ბევრ რამეზე მეტყველებდა უბრალო ჯარისკაცული მედალიონი და მის გვერდით აღმოჩენილი საბრძოლო ნივთები: ავტომატის ცარიელი დისკოები — ჯარისკაცს უბრძოლია უკანასკნელ შესაძლებლობამდე; ნაგანის სავაზნეში შეტრიალებული ვაზნა, რომელმაც უმტყუნა — მას თავისთვის იტოვებდა; ქარქაშიდან ამოღებული ჯარისკაცული დანა — ხელჩართული ბრძოლისათვის მომზადებულა; ხელყუმბარა — უკანასკნელი დაცვა, რომლის ხმარება არ დასცალდა[2].

ალექსანდრე ტყეშელაშვილი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მოხალისედ წავიდა არმიაში. 19 წლის ჭაბუკი მალგობეკის მახლობლად გერმანელთა ტანკებთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა.

ქუთაისელ ი. სეფიაშვილს დიდ სამამულო ომში გამოჩე-

---

[1] იხ. პ. შამათავა, კაპიტანი ბუხაიძე, 1960.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1962, № 152.

ნილი მამაცობისა და სარდლობის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის დიდების I, II და III ხარისხის ორდენები მიეკუთვნა, რაც მეორე შემთხვევაა ჩვენს რესპუბლიკაში.

მამაცმა ქუთაისელმა პარტიზანმა თენგიზ შავგულიძემ, ფაშისტურ გერმანიასთან ომის მრისხანე დღეებში, გამოიგონა რამდენიმე მძლავრი პარტიზანული საბრძოლო იარაღი, რომელიც სიკვდილს თესდა მტრის ბანაკში[1].

დიდი სამამულო ომის ისტორიაში მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქუთაისმა და ქუთაისის რაიონის ბევრმა სხვა სახელოვანმა მკვიდრმა. მათ შორის გვინდა დავასახელოთ: ი. გირგვილიანი, კ. მანაგაძე, ვ. გიორგობიანი, ლ. ელერია, ვ. გურეშიძე, ვ. ბარაბაძე, ი. კოჩლაძე, ვ. კაჭკაჭიშვილი, გ. კობეშავიძე, ს. ჯამბაზიშვილი, ნ. აფრიდონიძე, გ. ბაზაძე, პ. ჯაჯანიძე, ა. ბანძელაძე, გ. ცინცაძე, ს. გოშხეთელიანი, მ. მუმლაძე, ს. ქაჯაია, გ. ჩიქოვანი, ლ. ჭელიძე, ნ. ჯოლოგუა, ვ. სვანაძე, დ. ტორაძე, ი. შუბლაძე, გ. ფარულავა, გ. სვანიძე, რ. დარსაძე, მ. ბაშელეიშვილი, ა. ალფაიძე, ე. ბარკალაია, ა. ჭანკოტაძე, მ. ბეალავა, ა. ბარაბაძე, ა. ბერაძე, შ. ჯაშიაშვილი, პ. მოსელიანი, ა. ნიჟარაძე, გ. ფასეიშვილი, ბ. ოსეფაიშვილი, გ. შალამბერიძე, ვ. გიორგაძე, ვ. ბურჯანაძე, ა. ძოწენიძე, ნ. რურუა, ვ. ივანეიშვილი, გ. გრიგოლავა და მრავალი სხვა; პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი: პ. ჭკუასელი, დ. კვიცარიძე, გ. სეხნიაშვილი, გ. ვახტანგაძე, დ. ჩირაძე, ი. სიმსიეე, გ. ტურაბელიძე (საფრანგეთში) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში ერთ-ერთი გმირული ეპოპეა — აჯანყება ტექსელზე და აჯანყებულ ქართულ ათასეულში შემავალი ქუთაისლები: მ. პაჭკორია, გ. ჯიმშელეიშვილი, ს. ქარქაშიძე, შ. ასათიანი, დ. ალაფიძე, შ. მაღლაფერიძე, ა. ჩიქვილაძე, ა. შარაშენიძე, ტ. იმედაძე, წილოსანი და სხვ.

გერმანელთა ტყვეობით გადაწამები ქართული ბატალიონი, რომელიც ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე იყო განლაგებული, საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა. აჯანყებულმა ქართველებმა, ჰოლანდიელთა დახმარებით, რჩე-

---

[1] ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1949, № 3, 43—44.

ულ ფაშისტთა გარნიზონი გაყლიტეს და თითქმის მთელი კუნძული გაანთავისუფლეს. ბატალიონის ერთ-ერთ ასეულს მეთაურობდა ქუთაისელი შამია პაჭკორია. გერმანელთა სარდლობამ კონტინენტიდან კუნძულზე მრავალრიცხოვანი საბრძოლო შენაერთები გადმოსხა. გაჩაღდა გააფთრებული, უთანასწორო ბრძოლა. ქართველთა რიგებმა შეთხელება იწყო. საბჭოთა მეომრებმა გმირობისა და მამაცობის საარაკო მაგალითები აჩვენეს. ბევრი იყო შემთხვევა, როდესაც ჰიტლერელები დაჭრილ აჯანყებულებს ხელფეხით ხეზე ცოცხლად აქედებდნენ. გამძვინვარებული მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნას დაჭრილი ქართველი, რომელიც ბრძოლის უნარს დაჰკარგავდა, თავის მოკვლას ამჯობინებდა[1]. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ეპიზოდს:

...ერთ-ერთ პატარა ბუჩქოვან ტყეში, — იგონებს ამ ამბების მონაწილე გ. ჯიმშელეიშვილი, — უთანასწორო ბრძოლის დროს 35 ქართველმა ბრძოლით გადმოიადგილა. ტყეს ფაშისტთა ასეული გარს შემოერტყა. მათ ჯერ ტყეს ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო შემდეგ იქ თავშეფარებულთ ყოველი მხრიდან ტყვია წვიმასავით დაუშინეს. აუტანელი პირობები შეიქმნა. ტყეში ჩასაფრებულთა შორის იყვნენ ქუთაისლებიც: მ. პაჭკორია, ა. შარაშენიძე, დ. ალავიძე. — „ვაი დედასა, ქართველებმა ვერ გაუძლონო?!“ — შესძახეს მათ და ვეფხვებივით ტყიდან გადმოცვივდნენ. ახალი ძალით განახლდა ბრძოლა; გერმანელთა რკალი გაირღვა და ქართველებმა მოხერხებული საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. ამ ბრძოლაში 15 ქართველი დაეცა. ალყიდან გამოსვლის დროს მძიმედ დაჭრილი კუპრაშვილი ისტერიული ყვირილით შარაშენიძეს თხოვდა: ფაშისტების ხელში საწამებლად ნუ დამტოვებ, მომკალიო. ა. შარაშენიძე მას არ კლავს და ცდილობს მეგობარი ბრძოლის ველიდან გამოიყვანოს, მაგრამ ამაოდ. ასეთ ვითარებაში, დაჭრილი კუპრაშვილი მაინც ახერხებს პისტოლეტის კბილებით მომართვას და თავის მოკვლას[2].

ტექსელის გმირული ეპოპეა ფაშიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. იგი 1945 წლის 19 მაისს და-

---

[1] ქუთ. ისტ. მუზეუმი, ფონდი 14, ფ. 1—9.

[2] ი ქ ვ ე.

მთავრდა. 600-მდე ქართველის სიცოცხლე შეიწირა ამ უთანასწორო ბრძოლამ. მაგრამ ისინი მტერს ვალში არ დარჩენიან: 2500-მა ჰიტლერელმა სამუდამო სამარე ჰპოვა სისხლით განბანილი კუნძულ ტექსელის განაწამებ მიწაში.

საქართველომ და მისმა მეორე ქალაქმა ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უშუალოდ არ განუცდია მტრის ოკუპაცია და ომის მთელი საშინელება, მან მაინც სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში 300 ათასზე მეტი თავის საუკეთესო შვილი დაჰკარგა, რაც რესპუბლიკის იმდროინდელი მოსახლეობის 8,7 პროცენტს შეადგენს[1].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმებაში ნათქვამია: „სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი ვალდებულება სამშობლოს წინაშე".

---

[1] სსრ კავშირის მასშტაბით ბრძოლის ველზე დაცემულთა საშუალო პროცენტი საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის 5,2%-ს უდრის. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ისეთმა დიდმა სახელმწიფომ, როგორიც იგულისხმება, მეორე მსოფლიო ომში მხოლოდ 375 ათასი კაცი დაკარგა — თავისი მოსახლეობის 0,75% (იხ. დ. ჯაბიძე, სამშობლოს არ დაიეწყებს მათ მეხსიერებას, 1966, 49—50).

თავი მეხუთე

ქუთაისი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენის, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში (1945—1967 წწ.)

§ 1 ქუთაისი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენის, განვითარებისა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პერიოდში.

დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვების მოპოვების შემდეგ საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას შეუდგა. პარტიამ და მთავრობამ ენერგიული ღონისძიებანი განახორციელეს ომის წლებში დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების სწრაფად აღდგენისათვის. 1946 წლის მარტში სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო „კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ". ეს იყო მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმა. მას საფუძვლად დაედო ის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ დასახა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1946 წლის აგვისტოში დაამტკიცა. ამ გეგმის მიხედვით საქართველოს მრეწველობის აღმავლობა უნდა მომხდარიყო ძირითადად მძიმე მრეწველობის განვითარების ხარჯზე.

ახალ ხუთწლიან გეგმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისისათვის. სწორედ მეოთხე ხუთწლედში შეიქ-

მნა ჩვენს ქალაქში მანქანათმშენებლობა, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია საკავშირო მნიშვნელობის სამი საწარმოთი — საავტომობილო, ელექტრომექანიკური და მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნებით. მართალია, მანქანათმშენებლობა ქუთაისის მრეწველობის სავსებით ახალგაზრდა დარგია, მაგრამ მას ამჟამად წამყვანი ადგილი უჭირავს ქალაქის ეკონომიკაში.

ქუთაისის ყველაზე მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტს და რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის უმძლავრეს საწარმოს — საავტომობილო ქარხანას, საფუძველი ჩაეყარა 1945 წლის აპრილში. საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან ერთად, გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკის ღირსებისა და სახელის საქმედ. ქართველებთან ერთად, მას აშენებდნენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა მოძმე ხალხების წარმომადგენლები. შრომისმოყვარე ადამიანებმა მოკლე ვადაში სახე უცვალეს მაღლაკის ხრიოკ ველებს. იქ, სადაც წინათ მხოლოდ ქარი დანავარდობდა, ქარხნის კორპუსები აღიმართა. ქარხნის მშენებლობასთან ერთად იქმნებოდა ავტომშენებელთა დასახლება. იმის გამო, რომ მშენებლობა ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით მიმდინარეობდა, საჭირო შეიქმნა მუშებისათვის მთლიანად ახალი საცხოვრებელი ბინების აგება, წყლითა და ელექტროენერგიით ქარხნის მომარაგების უზრუნველყოფა და მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტა[1]. ასე აღმოცენდა ქუთაისის სრულიად ახალი სამრეწველო უბანი — ავტომშენებელთა დაბა.

ავტოქარხნის აგებასთან ერთად მიმდინარეობდა მანქანათმშენებელი ქარხნის „მაღაროელის" მშენებლობა (დაიწყო 1944 წლის აგვისტოში). ქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია, წყალსატუმბები, 1946 წლის დეკემბერში გამოუშვა.

1947 წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავი — ახალი წარმატებების წელი იყო ქუთაისისათვის. ამოქმედდა საავტომობილო და მანქანათმშენებელი ქარხნების მთელი რიგი ახალი საამქროები, ტყავის დამამუშავებელი მექანიზირებული ქარხანა, საპენიაფო და ბამ-

[1] ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ. 154.

ბეულის საქსოვი ფაბრიკები, დამთავრების პროცესში იყო პურის საცხობი მექანიზირებული ქარხანა. ქალაქის მრეწველობამ 1947 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 113,1%-ით შეასრულა.

დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქის კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციისათვის. ქუთაისი, როგორც ცნობილია, გაშენებულია საარქიტექტურო პრინციპების დაცვის გარეშე, ამიტომ ქალაქის სახის შეცვლა, მისი რეკონსტრუქცია დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. მიუხედავად ამისა, ფართოდ გაიშალა რეკონსტრუქციის სამუშაოები. პირველ რიგში სახე იცვალა ქალაქის ცენტრალურმა ნაწილმა, დაიწყო ახალი ქუჩების გაყვანა და გაზონების გაშენება. სულ ამ სამუშაოებზე, 1947 წელს, დაიხარჯა 381,58 ათასი მანეთი (ფულის ახალი კურსით). ქალაქის ბიუჯეტიდან მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე დაიხარჯა 2.965,53 ათასი მანეთი, რაც ხარჯების საერთო მოცულობის 74,7%-ს შეადგენდა[1].

1948 წელს საავტომობილო ქარხანამ დაიწყო ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გამოშვება, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ფარცხანაყანებ-ქუთაისის წყალსადენის პირველი რიგის მშენებლობა. 1948 წლისათვის ქალაქის მრეწველობის პროდუქციის ოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. თუ 1940 წელს გამოშვებული იქნა 83.503 ათასი მანეთის პროდუქცია, 1948 წ. მან 130.627 ათასი მანეთი შეადგინა, (1926—1927 წლების უცვლელი ფასებით). ე. ი. პროდუქციის გამოშვებამ ომამდელ დონეს 56,4%-ით გადააჭარბა[2].

1949 წლის 11 სექტემბერს ქუთაისში დაიწყო სატროლეიბუსო მოძრაობა, რამაც ძირფესვიანად გარდაქმნა შიდასაქალაქო ტრანსპორტის საქმე. თავდაპირველად სატროლეიბუსო ხაზმა დააკავშირა რკინიგზის სადგური ქუთაისი პირველი გამარჯვების მოედანთან. ამავე დღეს ქალაქში მუშაობა დაიწ-

---

1 გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი", 1948, № 63.

2 საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1949, 155.

ყო აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანა „პობედის“ მარკის ტაქსებმა.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ქუთაისელმა მშრომელებმა 4 წელსა და 7 თვეში შეასრულეს. ეს იყო დიდი გამარჯვება. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ფართოდ გაიშალა ჩვენს ქვეყანაში მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა რამდენჯერმე მოიპოვეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, რიონჰესის, აბრეშუმის კომბინატის, ლითოფონის ქარხნის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

თავდადებულად შრომობდნენ ქუთაისელი ახალგაზრდებიც. ახალ მშენებლობებზე მომუშავეთა დიდ უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენდნენ. საქალაქო კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეფობა აიღო საავტომობილო, მანქანათმშენებელი და სხვა ქარხნების მშენებლობებზე. ეწყობოდა ახალგაზრდობის მასიური შაბათობები, იქმნებოდა დამკვრელთა და მოწინავეთა ბრიგადები. მეოთხე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებიდან აღსანიშნავია ტექნიკური კადრების მომზადება მრეწველობის ისეთი დარგისათვის, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. მოკლე ვადაში აღიზარდა ინჟინერ-ტექნიკოსთა და სხვა სპეციალისტთა მთელი არმია, რომელიც დღეს წარმატებით მოღვაწეობს ჩვენს ქალაქში.

მეოთხე ხუთწლედში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ჩატარდა ფულის რეფორმა (1947 წ.), გაუქმდა სასურსათო ბარათების სისტემა, მოხდა ფართო მოხმარების საგნებზე ფასების მნიშვნელოვანი დაკლება, გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და ა. შ.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ პარტიამ შეიმუშავა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომელიც განიხილა და დაამტკიცა საკ. კპ (ბ) მე-19 კრებულობამ 1952 წლის ოქტომბერში.

მეხუთე ხუთწლედის პირველ წელს ქუთაისელმა მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, უდიდესი გამარჯვე-



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა.

ბა მოიპოვეს მრეწველობის განვითარების საქმეში—ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გამოუშვა პირველი ავტომანქანა.

1951 წლის 18 აგვისტოს ჩვენი ქალაქი საზეიმოდ მოირთო. ჩამოვიდნენ სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან. საავტომობილო ქარხანაში ჩატარდა დიდი მიტინგი. პირველი სატვირთო ავტომობილი კონვეიერიდან ჩამოიყვანა ამკრები საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელმა, კომკავშირელმა ბორის ვაშაკიძემ. ეს იყო ისტორიული მომენტი ქალაქის ცხოვრებაში — დაიბადა პირველი ქართული ავტომობილი.

ქართული ავტომობილის შექმნისა და ავტომშენებელთა კადრების აღზრდის საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით გამოცდილ სპეციალისტებს: გ. კაკაბაძეს, გრ. ჩუბინიძეს, ვ. დავიდოვს, ვ. გაგარინს, ა. კრიგერს და სხვ.

ომისშემდგომ პერიოდში მდინარე რიონზე, ქუთაისის მახლობლად, დაიწყო მეორე ჰიდროელექტროსადგურის — გუმათჰესის მშენებლობა.

გუმათჰესის მშენებელთა ძირითად ძალას ახალგაზრდები შეადგენდნენ. ახალგაზრდა მეარმატურეთა, მებეტონეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სხვათა ერმირულმა შრომამ უზრუნველყო ელექტროსადგურის მშენებლობის განსაზღვრულ ვადებში დამთავრება.

მეხუთე ხუთწლედში ქუთაისის სამრეწველო ობიექტებს შეემატა მინისტარის (პირველი პროდუქცია გამოუშვა 1954 წელს) და ლუდის ქარხნები (ამოქმედდა 1955 წელს). 1956 წლის იანვარში მწყობრში ჩადგა პურის ქარხანა № 2. ექსპლოატაციაში გადაეცა ტროლეიბუსების ახალი მარშრუტი (1953 წ.). დამთავრდა ქუთაისის თეატრის ახალი შენობის აგება (1955 წ.) და სხვ.

1952 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებები მოხდა. შეიქმნა ქუთაისისა და თბილისის ოლქები. რესპუბლიკის საოლქო დაყოფა 1953 წელს გაუქმდა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები შეჯამა საქართველოს კომპარტიის მე-17 ყრილობამ, რომელიც 1956 წლის იანვარში შეიკრიბა.

1956 წლის თებერვალში ჩატარდა სკკპ მე-20 ყრილობა.

რომელიც უდიდესი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის ხალხების ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი (1956—1960 წწ.) გეგმის დირექტივები.

მეექვსე ხუთწლედი ახალი წარმატებებით აღინიშნა ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. 1956 წლის აპრილში ამოქმედდა გუმათის ორსაფეხურიანი ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი (ჰესი № 2), ხოლო 1958 წლის დეკემბერში — მეორე რიგი (ჰესი № 1). 1956 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა რძის ქარხანა და ავეჯის ახალი ფაბრიკა. განხორციელდა ქალაქის პირველი წყალსადენის რეკონსტრუქცია, დამთავრდა ცენტრალური სტადიონის პირველი რიგის (1957 წ.) და გზაგამტარის მშენებლობა (1958 წ.).

თავისი წვლილი შეიტანეს ქუთაისის მშრომელებმა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში. ქუთაისიდან წასულმა ახალგაზრდა პატრიოტებმა ღირსეულად შეასრულეს პარტიის დავალება — აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყამირზე უხვი მოსავლის აღებაში.

მაგალითად, 1956 წელს. ქუთაისელი ახალგაზრდების დახმარებით, ვედენსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ მოსავალი აიღო 14,5 ათას ჰექტარზე და სახელმწიფოს მილიონ ფუთზე მეტი პური ჩააბარა.

მარტო 1956—1957 წლებში 63 ქუთაისელი ახალგაზრდა დაჯილდოვდა მედლით — „ყამირი მიწების ათვისებისათვის", 35 — „ყამირელის ნიშნით"; ახალგაზრდების დიდ ჯგუფს გადაეცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კუსტანაის ოლქის ალკკ საოლქო კომიტეტის სიგელები და სხვა საჩუქრები.

მატერიალური წარმოების ზრდამ შესაძლებელი გახადა პარტიასა და მთავრობას განეხორციელებია მთელი რიგი ღონისძიებანი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. მუშებსა და მოსამსახურეებს გაუდიდდათ ხელფასი, მნიშვნელოვნად გაიზარდა პენსიები მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო, ხელფასის დაუკლებლად შემცირდა სამუშაო კვირა,. ვაჩაღდა მასობრივი საბინაო მშენებლობა.

საბჭოთა მშრომელების გმირული შრომით და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის მთავარი შედეგია. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელობა, ცხადყო, რომ ყოველმხრივი სოციალური პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების სოციალისტური განვითარების გზით, რომ სოციალიზმს ხალხებისათვის მოაქვს სოციალური და ეროვნული განთავისუფლება, ნამდვილი დემოკრატია. სოციალიზმმა ძირეულად გარდაქმნა საზოგადოებრივი წარმოების მიზანი, ჩაუნერგა მშრომელებს ხვალინდელი დღის რწმენა.

სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა ადამიანების ყველა თაობამ მოახმარა თავისი შრომა, სიმამაცე, გონება. ქუთაისელი მშრომელები ყოველთვის იყვნენ ასეთ ადამიანთა რიგებში.

სოციალისტური მშენებლობის პროცესში განხორციელდა ლენინური პროგრამა ეროვნულ საკითხში, დამკვიდრდა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობა.

ქუთაისი ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქია. ამის საილუსტრაციოდ გვინდა მოკლედ შევჩერდეთ იმ თანამეგობრობაზე, რომელიც 1949 წლიდან დამყარდა ამიერკავკასიის სამი მოძმე ქალაქის — ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის მშრომელთა შორის.

შეჯიბრების ინიციატორები ფეიქრები იყვნენ. შემდეგ მასში ჩაებნენ სხვა საწარმოების მუშები, მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების მუშაკები. სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო დააახლოვა ამ ქალაქების მშრომელები. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილებას და უცვლიან დელეგაციებს, აწვდიან ინფორმაციებს საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ და ა. შ. კარგ ტრადიციად იქცა ქუთაისის, ლენინაკანისა და კიროვაბადის პე-

დაგოგიური ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიების ჩატარება.

1950 წლის 25 აგვისტოს ქუთაისში ჩატარდა პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკთა თათბირი კიროვაბადის და ლენინაკანის მშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ეს თათბირი გადაიქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამი ქალაქის მშრომელთა თანამეგობრობის და ძმური კავშირის მკაფიო დემონსტრაციად. თათბირზე სიტყვით გამოსულმა ლენინაკანის, კიროვობადისა და ქუთაისის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გააცნეს სამ ქალქს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები.

გაზეთები „ქუთაისი", „ბანვორი" და „კიროვაბადის მუშა" სისტემატურად ბეჭდავდნენ მასალებს, და ზოგჯერ მთელ გვერდებსაც, შეჯიბრებაში მონაწილე ქალაქების შესახებ. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან არა მარტო საწარმოთა კოლექტივები, არამედ ცალკეული მშრომელებიც. ქუთაისის მრავალი ფეიქარი, მკერავი და რკინიგზელი პირად შეგობრულ კავშირშია კიროვაბადელ და ლენინაკანელ კოლეგებთან.

1964 წლის ზაფხულში ქუთაისში, ლენინაკანში და კიროვაბადში ზეიმით აღნიშნეს სოციალისტური შეჯიბრების 15 წლისთავი. ქუთაისის მშრომელთა დელეგაცია ეწვია ლენინაკანსა და კიროვაბადს. ამავე წლის 14 ივნისს სომეხი და აზერბაიჯანელი სტუმრები ქუთაისში ჩამოვიდნენ.

15 ივნისს ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაზე აღინიშნა, რომ ის ურთიერთობა, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრდა სამი ქალქის მშრომელებს შორის ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინური მეგობრობის სიდიადეს. ამ მეგობრობამ დიდად შეუწყო ხელი აღნიშნული ქალაქების მძლავრ ინდუსტრიულ მაჯისცემას, მათ შემდგომ წინსვლას და წარმატებებს. სომეხმა და აზერბაიჯანელმა სტუმრებმა ქუთაისის მშრომელებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. ლენინაკანსა და კიროვაბადში ქალაქის ქუჩებს მიაკუთვნეს ქუთაისის სახელი, ხოლო ქუთაისში — ლენინაკანისა და კიროვობადის სახელები. „ჩვენ გვახარებს ქუთაისელ-



ვ. ი. ლენინის ძეგლი

თა დიდი წარმატებები, რაც ქალაქის მშრომელებმა საკუთარი ოფლით მოიპოვეს, — განაცხადა აზერბაიჯანის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, — ჩვენ გვახარებს ძველი ახალი მაგისტრალური ქუჩები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, უდიდესი საწარმოები, რომლებიც მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურებიან, ჩვენ ვამაყობთ, რომ ქუთათური ავტომობილები მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი მშობლიური ქალაქის ახალ მშენებლობებზე. ჩვენ გვიყვარს ქართველები, გვიყვარს ქუთაისლები, რომლებიც უდიდეს სითბოს იჩენენ მოძმე ქალაქების მშრომელებისადმი"[1].

§ 2. ქუთაისი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში

სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულმა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და სამეურნეო ხასიათის ღონისძიებებმა კიდევ უფრო განამტკიცეს საბ-

[1] გაზ. „ქუთაისი", 1964, № 119.

ჭოთა საზოგადოებრივი წყობილება. სოციალიზმის გამარჯვებამ შექმნა ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი წინამძღვრები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასასვლელად.

„კაცობრიობას სამუდამოდ ეხსომება სოციალიზმის პირველადმომჩენთა და პირველმშენებელთა ისტორიული გამარჯვებანი"[1].

1959 წლიდან ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ისტორიულ პერიოდში შეეიდა. დაიწყო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ჯერ კიდევ 1958 წელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა — შეიქმნა კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადები. მსოფლიო-ისტორიული წარმატებები იქნა მოპოვებული საბჭოთა ტექნიკის განვითარების დარგში და მრავალი სხვ.

1959 წლის იანვარში სკკპ რიგგარეშე 21-ე ყრილობამ მოიწონა და დამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი (1959—1965 წწ.) გეგმის საკონტროლო ციფრები. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა,—ასეთი იყო შვიდწლიანი გეგმის მთავარი ეკონომიური ამოცანა.

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად საქართველოს მშრომელთა შემდგომი დარაზმვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის მე-20 ყრილობას (1960 წლის იანვარი).

1961 წლის ოქტომბერში სკკპ 22-ე ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითადი მიმართულებანი: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირება, ახალი ადამიანის აღზრდა. ყრილობამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა ახალი დიდი ამოცანები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში.

---

[1] დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, 1967, 35.

ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავდადებით იბრძვის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცებისათვის. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მშრომელთა ცხოვრება აღსავსეა ბევრი სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენითაც. ასე, მაგალითად, ამ პერიოდში ჩატარდა: ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში (1958 წლის მარტი), თბილისის 1500 წლის იუბილე (1958 წლის ოქტომბერი), საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი (1961 წლის მაისი) და სხვ.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად ქუთაისელი მშრომელებიც თავდადებით შრომობენ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. ისინი აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ, ყველა საერთო-ეროვნულ ღონისძიებაში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ქუთაისის მშრომელთა ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს. პლენუმის გადაწყვეტილებები ახალი ეტაპია საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ქართველი ხალხის თავდადებული მონაწილეობის საქვეყნო აღიარება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეორედ დაჯილდოება ლენინის ორდენით.

1966 წლის იანვარში, სკკპ 23-ე ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნა ქუთაისის 27-ე საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა ქუთაისის მშრომელთა მიერ შვიდწლედში მოპოვებული წარმატებანი. აღინიშნა, რომ ქალაქის მრეწველობამ შვიდწლიანი გეგმა ვადამდე ორი თვით ადრე დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, 1958 წელთან შედარებით, 78%-ით, ხოლო შრომის ნაყოფიერება

43,3 პროცენტით გაიზარდა. შვიდწლედში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხამ 58757 ათასი მანეთი შეადგინა. 1965 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1958 წელთან შედარებით 47,7 პროცენტით გაიზარდა.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1966 წლის მარტში მოწვეულ საქართველოს კომუნისტური პარტიის 23-ე ყრილობას. ყრილობამ შეაჯამა შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები და აღნიშნა, რომ რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი ამოცანა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა რესპუბლიკის მშრომელთა დიდი ჯგუფი. მათ შორის ბევრი ქუთაისის მკვიდრია. ამათგან, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ — ა. ი. გამყრელიძეს (აბრეშუმის კომბინატის მქსოველი) და ი. გ. ხაზარაძეს (საავტომობილო ქარხნის გამმართველი).

ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ: შ. ს. კობახიძე (საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი), ნ. რ. ბენიძე (№ 4 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი), ო. ა. ბიბილეიშვილი (ქუთაისის № 4 საერთო—სამშენებლო ტრესტის მმართველი), ბ. კ. გაბადაძე (მაუდის ფაბრიკის ბრიგადირი), გ. ბ. კობალაძე (საავტომობილო ქარხნის დირექტორი), გ. მ. კუტივაძე (აბრეშუმკომბინატის ოსტატის თანაშემწე), ბ. ი. რობაქიძე (ქუთაისის კავშირგაბმულობის კვანძის მონტიორი), გ. ე. უგულავა (ლითოფონის ქარხნის მექანიკოსი), გ. ი. ფხაკაძე (ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი), ზ. ბ. შალამბერიძე (აბრეშუმკომბინატის მხვეველი), ე. გ. ჯიმშელეიშვილი (აბრეშუმკომბინატის მქსოველი) და ი. გ. ჯღამაძე (საავტომობილო ქარხნის ზეინკალი).

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილ-

დოვდა 35 მშრომელი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 62, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 54, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 71. სულ 236 კაცი. ამ სახელოვანი ადამიანებით სამართლიანად ამაყობს ქუთაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ, 1967 წლის 7 ივლისს ფილარმონიის თეატრის შენობაში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულ ქუთაისელთა ჯგუფს.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23-ე ყრილობა (1966 წლის მარტი—აპრილი). ყრილობამ დაამტკიცა ახალი ხუთწლიანი (1966—1970 წწ.) გეგმის დირექტივები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

1967 წლის 5 მაისს ქუთაისში გაიხსნა საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის მეორე რესპუბლიკური შეკრება. ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში შეიკრიბა საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცის 700-მდე წარმომადგენელი, აგრეთვე სტუმრები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებიდან, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკებიდან, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებიდან.

შეკრებაზე მოხსენება — „საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის“ — გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. შეკრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშა სამუდამო შენახვისათვის გადაეცა—ქალაქ ქუთაისს, და აგრეთვე ქალაქის შემდეგ საწარმოებს: გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას, ელექტრომექანიკურ ქარხანას, ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ს. მ. კიროვის სახელობის № 4 სამკერვალო ფაბრიკასა და ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტს.

საიუბილეო წელს ქუთაისელი მშრომელები თავდადებით შრომობდნენ მშობლიური ქალაქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

ა) ქალაქის მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია და საგარეუბნო სოფლის მეურნეობა

უკანასკნელ პერიოდში ქუთაისმა უდიდესი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე მსხვილი მრეწველობის შექმნამ, სამრეწველო წარმოება სოციალისტური ქუთაისის მთავარ ფუნქციად, მისი სახის განმსაზღვრელ ფაქტორად აქცია. გაიზარდა ქუთაისის მოსახლეობა, გაფართოვდა ქალაქის ტერიტორია. მეტი გასაქანი მიეცა კულტურულ მშენებლობას. აღმავლობის გზით წავიდა მთელი საქალაქო მეურნეობა.

ქუთაისისა და მისი მიდამოების მდიდარი ბუნებრივი (ხელსაყრელი მდებარეობა, წიაღისეული სიმდიდრეები, მდიდარი ენერგეტიკული ბაზა, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება) და შრომითი (საჭირო რაოდენობის მუშახელი) რესურსები მთელი სისრულით იქნა გამოყენებული ქალაქის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

1960 წელს ქუთაისის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 138.1 მლნ მანეთი შეადგინა, რაც 1950 წელთან შედარებით 167%-ით მეტი იყო, ხოლო 1913 წელთან შედარებით — დაახლოებით 95—100-ჯერ მეტი[1].

---

[1] ქუთაისის ყველა სახის სამრეწველო საწარმოს საერთო პროდუქცია 1913 წელს, მიახლოებითი გამოანგარიშებით, 1926—1927 წლის უცვლელ ფასებში, 4,3 მლნ მანეთს უდრიდა (იხ. ჯაოშვილი, ქუთაისი, 138, 143—144).

1960 წელს ქუთაისის საწარმოებში 500-ზე მეტი სახის პროდუქცია დამზადდა.

ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო საგრძნობი გახდა მომდევნო წლებში. 1966 წლისათვის ქალაქის მრეწველობამ 165.140 ათასი მანეთის ღირებულების საერთო პროდუქცია გამოუშვა. ქუთაისში ამჟამად მომქმედი 46 სამრეწველო საწარმო 860 დასახელების პროდუქციას ამზადებს.

მკვეთრად გაიზარდა ქუთაისის როლი საქართველოს სამრეწველო წარმოებაში. მისი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად გადიდდა. ქუთაისი აწარმოებს რესპუბლიკის ელექტროენერგიის 10%-ს, აბრეშუმის ქსოვილების 65%-ს, შალის 18%-ს, საკონსერვო წარმოების 16%-ს და ა. შ.

მრეწველობა ქალაქის ეკონომიური ცხოვრებისა და მისი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. თუ ქუთაისში 1959 წლისათვის საზოგადოებრივ შრომაში 55,2 ათასი კაცი (ქალაქის მთელი მოსახლეობის 43%) იყო ჩაბმული, ამჟამად მათი რიცხვი 61,5 ათას კაცს აჭარბებს.

რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობაში თავისი საპატიო წილი შეაქვთ ქუთაისის სამრეწველო საწარმოებს (საავტომობილო, ელექტრომექანიკური, ლითოფონისა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნები, „ქუთბარიტი", აბრეშუმკომბინატი და სხვ.). ქუთაისური მარკის ათობით დასახელების პროდუქცია საზღვარგარეთის 20-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

ქუთაისის თანამედროვე მრეწველობაში წამყვანი როლი ელექტროენერგეტიკას და მანქანათმშენებლობას ეკუთვნის. ქუთაისის ელექტროენერგეტიკა დიდ როლს ასრულებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგომომარაგების საქმეში, ხოლო ქალაქის მანქანათმშენებლობას საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

ქუთაისის ელექტროენერგეტიკა ძირითადად მდ. რიონის ენერგიის გამოყენებაზეა დაფუძნებული. ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედებს ორი დიდი ჰიდროელექტროსადგური: რიონჰესი და გუმათჰესი.

პირველი ხუთწლედის პირმშოს — რ ი ო ნ ჰ ე ს ი ს დანადგა-



გუმათჰესი

რების სიმძლავრე 48 ათას კვტ-ს უდრის. თუ მისი ენერგიის ყოველწლიური გამომუშავება 1958 წელს 273,1 მლნ კვტ საათს შეადგენდა, 1966 წლისათვის მან 323,9 მლნ კვტ საათს მიაღწია.

გუმათის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ორსაფეხურიანია. მისი კაშხალის სიმაღლე 50 მეტრია. ამ მხრივ იგი დნეპრჰესის კაშხალს უტოლდება. გუმათჰესის ელენერგიის გამომუშავება 1959 — 1966 წლებში 286 მლნ კვტ საათიდან 344,5 მლნ კვტ საათამდე გაიზარდა[1].

რიონჰესის კასკადი №2-სა და გუმათჰესის კასკადი №10-ში გაერთიანებული სადგურები ჩართულია საქართველოს ენერგო სისტემაში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დაკავშირე-

[1] ელექტროენერგიის გამომუშავება განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა 1963 წელს. ამ წელს რიონჰესის კასკადი № 2-ის ელენერგიის წლიური გამომუშავება შეადგენდა 349,8 მლნ კვტ საათს, ხოლო გუმათჰესის კასკადი № 10-ის—428,8 მლნ კვტ საათს.

ბულია ჩრდილოეთის, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის ენერგო სისტემებთან, რაც დიდად უწყობს ხელს მოძმე რესპუბლიკებს შორის ელექტროენერგიის ეკონომიურ განაწილებას.

აღსანიშნავია, რომ მდ. რიონის ჰიდროელექტროსადგურები ძირითადად დაპროექტებული და აშენებულია ქართველი სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობით.

გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა, ქალაქის ენერგეტიკულ მრეწველობაში გარკვეულ როლს თამაშობს ქუთაისის თბოელექტროსადგური, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის ბაზაზე მუშაობს.

მანქანათმშენებლობა ქუთაისის ეკონომიკის ყველაზე ახალგაზრდა და წამყვანი დარგია. საკავშირო მნიშვნელობის ეს დარგი ქალაქში წარმოდგენილია საავტომობილო, ელექტრომექანიკური და მკირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნებით, აგრეთვე, ისეთი საწარმოებით, როგორიცაა ავტოსარემონტო და სარემონტო მექანიკური ქარხნები. მანქანათმშენებლობას საერთო პროდუქციის ოდენობის მხრივ, ქალაქის მრეწველობაში პირველი ადგილი უჭირავს (38,6%). აქ დასაქმებულია ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა მესამედზე მეტი.

გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა სოციალისტური საქართველოს სიამაყეა. თავისი მნიშვნელობით რესპუბლიკაში იგი მხოლოდ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ჩამოუვარდება.

როგორც ცნობილია, ავტომობილმშენებლობა რევოლუციამდელ რუსეთს არ გააჩნდა; იგი ახლაც მსოფლიოს აბსოლუტურად უმრავლეს ქვეყანაში, ჯერ კიდევ მხოლოდ ოცნებაა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა უშვებს სხვადასხვა მარკის სატვირთო ავტომანქანებს, ავტომობილების სათადარიგო ნაწილებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ 1958 წელს ქარხანას ერთი მანეთის პროდუქცია ერთი მანეთი და 14 კაპიკი უჯდებოდა, ხოლო 1966 წელს იგი 80 კაპიკამდე იქნა შემცირებული. ქარხანა საკმაოდ რენტაბელური გახდა. მაგალითად, თუ 1958 წელს ქარხანამ სახელმწიფოსაგან დოტაციის სახით 3 მილიონ მანეთზე მეტი მიიღო, 1966 წელს ავტო-

ქარხნელებმა სახელმწიფოს მილიონობით მანეთის მოგება მისცეს. ცხადია, ყოველივე ეს, ქარხნის მრავალათასიანი, შრომისმოყვარე კოლექტივის თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

1966 წლის დასასრულს ავტოქარხნელებმა ქარხნის კონვეიერიდან შეასიათასე ქართული ავტომობილის გამოსვლა იზეიმეს.

საქართველოს გარდა ქარხნის მიერ გამომუშავებული პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში. ავტომანქანების და, განსაკუთრებით, ავტოსათადარიგო ნაწილების ექსპორტირება ხდება საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, ბულგარეთი, მონღოლეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია, ბირმა, ავღანეთი, ცეილონი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ალჟირი, ტუნისი, სუდანი, ეთიოპია, სომალი და სხვ.

საავტომობილო ქარხანაში ერთმანეთის მხარდამხარ 37 ეროვნების წარმომადგენელი შრომობს; მათი დიდი უმრავლესობა (83%) ქართველებია. ამ სახელგანთქმული კოლექტივის უდიდეს ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს. მათ თავიანთი თავდადებული შრომით სახელი გაუთქვეს მშობლიურ საწარმოს.

რესპუბლიკაში პირველად სწორედ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშებმა წამოაყენეს წინადადება საწარმოთა მიერ გაწეული ეკონომიისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებულ დანაზოგთა ხარჯზე, შეექმნათ შვიდწლედის ფონდი. ამ წინადადებას ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასი. შვიდწლედის ფონდი დღითიდღე იზრდებოდა. ამ შესანიშნავი წამოწყებიდან ოთხი წელიც არ იყო გასული, რომ შვიდწლედის ფონდში 45 მილიონი მანეთი დაგროვდა. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა პატრიოტულ მოძრაობას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობამ[1].

---

[1] საქართველოს ისტორია, 1966, 323.

განსაკუთრებით დიდია რაციონალიზატორთა წვლილი საავტომობილო ქარხნის საწარმოო სიმძლავრის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. 1966 წლისათვის ქარხნის 987 რაციონალიზატორის მიერ შემოტანილი წინადადებებიდან 744 წარმოებაში დაინერგა, რის შედეგადაც ეკონომიურმა ეფექტიანობამ 493,3 ათასი მანეთი შეადგინა.

ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროში სოციალისტური შრომის ჟმირის, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის, იოსებ ხაზარაძის წინადადებით დამონტაჟდა ჯაჭვური კონვეიერი, რომელიც უზრუნველყოფს დეტალების ტრანსპორტირებას გამრეცხი მანქანის გავლით, კბილანმჭრელი უბნიდან საკონტროლო უბნამდე. ქარხნის რაციონალიზატორთა შორის, დანერგილი წინადადებების მაღალი ეკონომიური ეფექტიანობით, ი. ხაზარაძის გარდა, გამოირჩევიან: ლენინის ორდენოსანი, სოციალიზმ-სატვიფრო საამქროს ზეინკალი ი. ჯღამაძე, მთავარი კონვეიერის მძღოლ-გამომცდელი ბ. ვაშაკიძე, შასის საამქროს გამმართველები დ. გუგავა და გ. რუსია, ძრავების საამქროს მუშა ო. შენგელია, მთავარი მეტალურგის მოადგილე ა. წიქორიძე, თერმული საამქროს უფროსი შ. ჭოხონელიძე და მრავალი სხვ.

ქარხანაში ფართოდაა გაშლილი მოძრაობა კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელის მოპოვებისათვის. სულ საწარმოში 1.619 კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშაობს. დღითი დღე იზრდება ამ სამაგალითო სახელის მოპოვებისათვის მებრძოლთა რიცხვი.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივს წარმატებების მოპოვებაში დიდად შეუწყო ხელი ურალის საავტომობილო და თბილისის ელმავალმშენებელ ქარხნებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამ. ამჟამად ქუთაისის ყველაზე მსხვილმა საწარმომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბრიანსკის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი.

ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სამსახურში დგას კულტურის სახლი. აქ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, დრამატული კოლექტივი, სა-

სელე და საესტრადო ორკესტრები. ქარხნის თვითმოქმედ კოლექტივი 500-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქარხნის სპორტული კლუბი-- „კოლხიდა". აქ, მარტო 1966 წელს 12 სპორტის ოსტატი, 7 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 42 პირველთანრიგო-სანი მომზადდა. ქარხნის სახელით, ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში ვამოდის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი „ტორპედო".

ქუთაისის ავტოქარხნელთა მრავალათასიან კოლექტივს თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მანქანათმშენებლობის მსხვილი საწარმოა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა, რომელიც ექსპლოატაციაში 1946 წელს გაუშვეს. ქარხანა 1959 წლამდე ძირითადად ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. 1959 წლიდან იგი ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის განსაკუთრებით რთულ, უნიკალურ ელექტრომანქანების გამოშვებაზე გადავიდა. ამჟამად თავისი მნიშვნელობით ქალაქის ეს მეორე საწარმო უშვებს მსხვილ ელექტრომანქანებს, ცენტრიდანულ ტუმბოებს, საშახტე ელმავლებს, საჰაერო-საბაგირო გზის ვაგონეტებსა და ელექტროტვირთმზიდებს.

1964—1966 წლების განმავლობაში ქარხანამ აითვისა ჩასაყვინთი ელექტროცენტრიდანული წყალსატუმბი მანქანების 3 ტიპი, რომლებიც სსრ კავშირში პირველად ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში დამზადდა.

ქარხნის საერთო პროდუქცია უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1958 წელს ქარხანამ 4.663 ათასი მანეთის ღირებულების საერთო პროდუქცია გამოუშვა, 1966 წელს მან 13.348 ათასი მანეთი შეადგინა.

ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქცია ძირითადად სსრ კავშირის რესპუბლიკებსა და ქალაქებში იგზავნება, განსაზღვრული ნაწილი კი საზღვარგარეთაც მიდის.

ქარხნის მიერ დამზადებულმა არტეზიულმა ტუმბოებმა დიდი გამოყენება ჰპოვეს ვოლგა-დონის სანაოსნო არხის, კუიბიშევისა და ვოლგოგრადის ჰიდროელექტროსადგურებისა და „ატომრო „როსიას" მშენებლობებზე. ქუთაისური

მარკის არტეზიულ ტუმბოებს ფართოდ იყენებენ. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე. ქარხანამ კუბის რესპუბლიკის მთავრობის დაკვეთით დიზელ-ძრავიანი არტეზიული ტუმბოები დაამზადა. ამ მანქანების ადგილზე დამონტაჟებისა და ექსპლოატაციის საქმეში ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით, ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. ლ. კვიცარიძე შორეულ კუბაში მიავლინეს. იგი იქ, ექვსი თვის განმავლობაში, კუბელ მეგობრებს დაუღალავად უზიარებდა თავის გამოცდილებას.[1]

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეს: შექმნილია რაციონალიზატორთა 6 ბრიგადა, მათ შორის ორი (ბელმძღვანელები—ვ. ცომაია და ა. მომოტი) კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს ატარებს. სულ ქარხანაში კომუნისტური შრომის 28 ბრიგადაა.

ქარხნის წარმატებებში საკუთარი წვლილი შეაქვთ როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს. მათ შორის აღსანიშნავია — ხარატი ბ. ხაბურძანია, დურგალი შ. იობიძე, ლითონჩამომსხმელი ლ. ჭანკვეტაძე, ზეინკალი გ. ხარებავა, ინჟინერ-მეტალურგი ა. წიქორიძე, ყოფილი მჭედელი ს. გელენიძე, ბრიგადის ბელმძღვანელები: ა. ყანჩელი, ვ. ბილისეიშვილი, ვ. ლევიძე, ო. სირაძე, თერმისტი ლ. გეგუჩაძე, ხარატი ვ. ანტონოვი და მრავალი სხვ.

დიდი ხნის მანძილზე ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული მოსკოვის მანქანათმშენებელ ქარხანა „ბორეცთან". 1966 წლიდან მან სოცშეჯიბრში ენგურჰესის მშენებელთა კოლექტივი გამოიწვია.

1967 წლის 1-ლი იანვრისათვის ქარხანაში ირიცხებოდა 1.734 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის 75%-ს ქართველები შეადგენენ (ქართველთა ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალია ინჟინერ-სპეციალისტთა შორის—93—94%). მიმდინარე ხუთწლედში ელექტრომექანიკური ქარხნის წარმოების მოცულობა 2-ჯერ და კიდევ მეტად გაიზრდება.

ქუთაისის მ ც ი რ ე გ ა ბ ა რ ი ტ ი ა ნ ი ტ რ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა 1959 წელს შეიქნა საავტომობილო ქარხ-

[1] გაზ. კომუნისტი, 1967, № 1.

ნის ბაზაზე. 1961 წლიდან იგი დამოუკიდებელი საწარმო გახდა. ქარხანამ საკუთარი წარმოების პირველი პროდუქცია 1960 წელს გამოუშვა. ქარხნის საერთო პროდუქცია 1966 წელს 2.469 ათას მანეთს შეადგენდა. ამჟამად აქ მუშაობს 515 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი, რომელთა 80%-ს ახალგაზრდობა შეადგენს.

სატრაქტორო ქარხნის პროდუქციას მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ. ქუთაისელთა მიერ შექმნილ მცირეგაბარიტიან ტრაქტორს — „რიონს" ჩვენი სამშობლოს ისეთ შორეულ კუთხეებშიაც კი შეხვდებით, როგორიცაა მურმანსკი, სახალინი, კურილიის კუნძულები და სხვ.

დღითი-დღე იზრდება ქალაქის, ეს ერთ-ერთი, ყველაზე ახალგაზრდა საწარმო. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ქუთაისში იარსებებს მძლავრი სატრაქტორო ქარხანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებული სამი მთავარი საწარმოს გარდა, ქალაქის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებს ეკუთვნიან აგრეთვე ავტოსარემონტო ქარხანა (112 მუშა-მოსამსახურით), რომელიც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ექვემდებარება და სარემონტო მექანიკური ქარხანა (104 მუშა-მოსამსახურით), რომელიც 1963 წლიდან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის №4 საერთო-სამშენებლო ტრესტს ეკუთვნის.

უკანასკნელ წლებში ქუთაისში ფართოდ განვითარდა ქიმიური მრეწველობის ცალკეული დარგები.

ქიმიური და სამთო-ქიმიური მრეწველობით ქუთაისს საქართველოში, რუსთავის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია. ქიმიური და სამთო-ქიმიური მრეწველობა ქუთაისსა და მის მიდამოებში წარმოდგენილია ლითოფონისა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნებით, ბარიტისა და გუმბრინის მაღაროებითა და საფქვავი ქარხნებით. ქალაქში არსებობს აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის წვრილი ქიმიური წარმოება.

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი ქიმიური საწარმო, ექსპლოატაციაში 1939

წელს შევიდა. ლითოფონის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ნედლეულია ბარიტი. ქუთაისის ლითოფონის ქარხანა თავისი პროდუქციით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა საბჭოთა კავშირში. მეორე, ასეთივე საწარმო ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ლენინგრადში არის.

ქარხნის ძირითადი პროდუქციაა ლითოფონი, შაბიამანი, ზეთოვანი საღებავები. შაბიამნის ძირითადი მომხმარებელია საქართველოს მეევნახეობის რაიონები, ხოლო ლითოფონი და ზეთოვანი საღებავები ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიქვთ.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ქიმიური მრეწველობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამასთან დაკავშირებით, 1958 წლიდან დაიწყო ქუთაისის ლითოფონის ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები, რომელიც ამჟამადაც გრძელდება.

ლითოფონის ქარხანაში გაფართოვდა ძველი და აიგო ახალი საამქროები. 1967 წლის მაისიდან ექსპლოატაციაში გავიდა მიკროდაფქვილი ბარიტის საამქრო. ჯერჯერობით, პროდუქციის მიხედვით, აღნიშნული საამქრო ერთად-ერთია ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკის უდიდეს ქიმიურ საწარმოში მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი სიახლე დაინერგა. ქარხნის საამქროებმა დიდი ცვლილებები განიცადეს. ბევრი შრომატევადი სამუშაო მექანიზებულ იქნა. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარეს ინჟინერ-ტექნოლოგებმა: ს. სადუნიშვილმა, პ. მარგველაშვილმა, ვ. მუმლაძემ, ბ. კალაძემ, გ. ანასტასიადმა, ი. ბრეგაძემ, ვ. ქუთათელაძემ, ს. სებუამ, ე. სანაძემ, ა. ოყრეშიძემ, ე. ხეჩინაშვილმა, ნ. კიკაჩეიშვილმა, ინჟინერ-მექანიკოსმა ი. ბეჟუაშვილმა, საკონსტრუქტორო-ბიუროს უფროსმა ვ. ლომთაძემ და მრავალმა სხვამ[1].

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ლენინგრადის ვოროვსკის სახელობის ლითოფონის ქარხანასთან, რასაც ორივე საწარმოს კოლექტივისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

---

[1] გაზ. „ქუთაისი", 1967, № 163.

ქუთაისში 1935 წლიდან მოქმედებდა ადგილობრივი მრეწველობის ქიმიური ქარხანა. 1964 წელს მის ბაზაზე შეიქმნა ახალი საწარმო — რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა. იგი საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა. ქარხნის ძირითადი პროდუქცია (რეზინის ტექნიკური ნაკეთობანი, ჰიდროსამუხრუჭო სითხე და პიგმენტური მშრალი საღებავები) იგზავნება ქუთაისის, გორკისა და მინსკის საავტომობილო ქარხნებში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მოსკოვში, ტაშკენტში, ვოლგოგრადში, კრასნოდარში, ვორონეჟში, ასტრახანში, აგრეთვე საზღვარგარეთ — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრებაში ადრე ჩაბმული იყო თბილისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივთან, ხოლო 1967 წელს — კრასნოდარის ანალოგიურ საწარმოსთან. ამჟამად ქარხანაში 152 მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე მუშაობს. 1966 წელს ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანამ 1.289 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა დედასამშობლოს. ახალ ხუთწლედში ამ საწარმოს ზრდის დიდი პერსპექტივებია დასახული.

წვრილი ქიმიური წარმოება გააჩნიათ აგრეთვე ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის ზოგ საწარმოსა და საზოგადოებრივ (მაგ. — უსინათლოთა) ორგანიზაციას.

ქუთაისსა და მის მიდამოებში განლაგებულია „ქუთბარიტისა“ და გუმბრინის მაღაროთა სამმართველოების სამთო-ქიმიური საწარმოები: ბარიტისა და გუმბრინის მაღაროები და საფქვავი ქარხნები. ისინი ჩვენი ქვეყნის ქიმიურ და ნავთობის მრეწველობას მეტად მნიშვნელოვან ნედლეულს აწვდიან. „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთაც. იგი იგზავნება ავღანეთში, სირიაში, იემენში.

ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობა ქუთაისში წარმოდგენილია ავეჯის ფაბრიკითა და ხის დამმუშავებელი კომბინატით, აგრეთვე ხე-ტყის სახერხი წვრილი სარეწაოებით.

ქუთაისის ავეჯის ფაბრიკა ექსპლოატაციაში 1956 წელს შევიდა. ამჟამად ფაბრიკა აწარმოებს: მრგვალ და ოთხ-

კუთხა გასაძლელ მაგიდებს, ორკარიან გარდერობებს, რადიომიმღებისა და ტელევიზორის მაგიდებს, სერვანდებს, დივან-საწოლებს, რბილ ტახტებს, სავარძლებს და სხვ.

ფაბრიკის პროდუქცია — გამძლე და ლამაზი ავეჯი, ძირითადად საქართველოს დასავლეთი რაიონების მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაა განკუთვნილი. 1966 წელს ავეჯის ფაბრიკამ 3.049 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვა. ამჟამად ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 630 კაცს შეადგენს.

ხის დამუშავებელი კომბინატი ექვემდებარება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტს. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება ქუთაისის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მშენებლობებზე. ქარხანაში ამჟამად 144 მუშა-მოსამსახურე მუშაობს.

საშენ მასალათა მრეწველობა მთლიანად ქუთაისისა და მისი მიდამოების აგებულობრივი ნედლეულის ბაზაზეა დამყარებული. აქ არსებული საშენი მასალების საწარმოთა ერთი ნაწილი საშენ მასალათა კომბინატშია გაერთიანებული.

ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გოჭოურაში, თავმოყრილია აგურის პატარა ქარხნები. აქ 1960 წელს, 26 მილიონამდე ცალი საუკეთესო ხარისხის აგური იქნა დამზადებული. აქვე მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდება კრამიტიც.

კირის ქარხნები განლაგებულია ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა (ჭახათა) და სოფელ მოწამეთაში. ეს საწარმოები ყოველწლიურად ათეული ათასობით ტონა კირს აწვდიან ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს რაიონების მშენებლობებსა და სოფლის მეურნეობას.

საშენ მასალათა წარმოების კერები მდებარეობენ აგრეთვე ქალაქის აღმოსავლეთით, ეკლარასა და გოდოგანში. აქ წარმოებს მოსაპირკეთებელი ქვის მოპოვება. ეკლარის ქვას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქუთაისისათვის, როგორც მარნეულის ბაზალტსა და ბოლნისის ტუფს — თბილისისათვის. ამ მასალითაა მოპირკეთებული ბევრი შესანიშნავი შენობა თბილისში (კავშირგაბმულობის სახლი, სპორტის სასახლე), წყალ-

ტუბოში. სოჭში და სხვ. აღსანიშნავია, რომ გოდოგნის ქვისგანაა გაკეთებული რუსთაველის ძეგლი თბილისში.

ქუთაისის საშენ-მასალათა მრეწველობა დიდი რაოდენობით ამზადებს აგრეთვე მარმარილოს, გრანიტს, ღორღს, სილას და სხვ. ქალაქის მსხვილი საწარმოა ქვის დამმუშავებელი ქარხანა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში, ქუთაისის საშენ მასალათა მრეწველობას შეემატა კიდევ ერთი მძლავრი საწარმო — ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხანა. მას რესპუბლიკის ამ სისტემის საწარმოებს შორის თავისი აღჭურვილობითა და სიმძლავრით პირველი ადგილი უკავია.

ქუთაისში მინისტარის წარმოებას საფუძველი 30-იან წლებში ჩაეყარა. 1933 წლიდან ქალაქში მოქმედებდა სააფთიაქო ტარის დამამზადებელი მინის ქარხანა, რომელიც ამჟამად, 1954 წელს ექსპლოატაციაში გაშვებული, მინისტარის მსხვილი ქარხნის ერთ-ერთ საამქროს წარმოადგენს. ქუთაისის მინისტარის ქარხანა საქართველოსა და ამიერკავკასიის საკონსერვო მრეწველობას მინის ქილებით ამარაგებს. იგი ამზადებს აგრეთვე სააფთიაქო ჭურჭელს და სხვა დანიშნულების ნაწარმს.

1960 წელს ქარხანაში გაიხსნა ბროლის საამქრო, რომელიც ერთადერთია საქართველოში. აქ ბროლის ქართველი ოსტატები (საამქროს მხატვარ-გრავიორი, უმაღლესი თანრიგის ოსტატი ჯემალ ლომთაძე და სხვ.) 25 სახის ნაწარმს ამზადებენ. ქუთაისურმა ბროლმა დიდად გაითქვა სახელი არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

1966 წელს ქარხნის საერთო პროდუქციამ 6.825 ათასი მანეთი შეადგინა. ამავე წელს საწარმომ ჩვენს ქვეყანას 112.570 ათასი ცალი ნახევარლიტრიანი მინის ქილა მისცა. მინისტარის ქარხანაში ამჟამად 932 მუშა-მოსამსახურე მუშაობს, რომელთა შორის 763 ქართველია.

ქუთაისის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსუბუქ მრეწველობას. იგი აერთიანებს აბრეშუმის, შალის, ბამბეულის ქსოვილების, მზა ტანსაცმლის,

ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლისა და საგალანტერიო საწარმოებს. მსუბუქ მრეწველობაზე ქალაქის სამრეწველო პროდუქციის მეხუთედზე მეტი (22,7%) და მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით მესამედი მოდის.

მსუბუქი მრეწველობის ყველაზე მსხვილი საწარმოა ა ბ რ ე შ უ მ ი ს კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი. იგი 1935 წელს შეიქმნა. ქუთაისის აბრეშუმკომბინატი ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. ამჟამად კომბინატი აერთიანებს — ძაფსაღებ, საქსოვ და საჩეჩ-სართავ წარმოებას. კომბინატი აბრეშუმის პარკით ძირითადად იმერეთის რაიონებიდან მარაგდება. აბრეშუმკომბინატი უშვებს 15—20 სახეობის ხელოვნური და ნატურალური აბრეშუმის ქსოვილს, ხამი აბრეშუმის ძაფს და ნატურალური აბრეშუმის ნართს. ხამი ქსოვილები იგზავნება თბილისის, მოსკოვისა და რიგის საფეიქრო საწარმოებში; ხამი აბრეშუმის ძაფი და ნართი ძირითადად ადგილზე გამოიყენება, ხოლო ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ იგზავნება.

კომბინატში უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებები ტარდება ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. 1966 წელს აბრეშუმკომბინატმა 14.305 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა. დღეისათვის აქ 15 კომუნისტური შრომის ბრიგადაა (ხელმძღვანელები — გ. ბურჯანაძე, რ. ხვედელიძე, შ. გრძელიძე, გ. ჩხიკვაძე, ლ. სანიკიანი, ვ. რამიშვილი და სხვ.). აბრეშუმკომბინატში მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა გამყრელიძე. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 4 ათასს კაცს აღწევს (მათ შორის 3.1 ათასი ქართველია). აბრეშუმკომბინატი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სომხეთისა და აზერბაიჯანის საფეიქრო კომბინატებთან.

ვ. ი. ლენინის სახელობის მ ა უ დ ი ს ფ ა ბ რ ი კ ა (ამოქმედდა 1924 წელს), როგორც ცნობილია, სოციალისტური საქართველოს უძველესი საწარმოა. ამჟამად მისი ძირითადი ნაწარმია ჟაკარტული საბნები და სამაუდე ქსოვილი. თუ 1924—1925 სამეურნეო წელს ფაბრიკამ 24.652 მეტრი შალის ქსოვილი გამოუშვა, 1966 წელს მისმა პროდუქციამ 730 ათასი მეტრი შეადგინა. მაუდის ფაბრიკა ნედლეულით მარაგდება

როგორც საქართველოდან, ისე ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან. ფაბრიკის მზა პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ მოიხმარება, ნაწილი კი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში იგზავნება. სულ ფაბრიკაში 617 მუშა-მოსამსახურე ითვლება; მათ შორის 142 კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელს ატარებს. მშობლიური საწარმოს წინსვლის საქმეს თავდადებით ემსახურებიან კომუნისტური შრომის უბნები, ცვლები და ბრიგადები (ხელმძღვანელები: შ. ღიბრაძე, ი. ფიჩხაძე, დ. იოსელიანი, ნ. ქლიბაძე, ვ. ბიბიჩაძე, ა. სინაურიძე, გ. ხვედელიძე, ა. ჯანელიძე, გ. ტაბლიაშვილი და სხვ). ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული კიროვაბადის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის მაუდის ფაბრიკასთან.

გარდა აბრეშუმისა და შალის ქსოვილებისა, ქუთაისში მზადდება აგრეთვე ბამბის ქსოვილი, რომელსაც ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა უშვებს. იგი ქალაქის ახალგაზრდა საწარმოა (ამოქმედდა 1960 წელს). ფაბრიკამ 1966 წელს 700 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ბამბისა და შალის მრავალფეროვან ტრიკოტაჟის ნაწარმს ამზადებს ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა. საწარმოში ამჟამად კომუნისტური შრომის ორი ბრიგადაა (ხელმძღვანელები ც. ხობუა და ფ. დიდიძე). ფაბრიკა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ლენინაკანის ტრიკოტაჟის ფაბრიკასთან. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 601 კაცს შეადგენს.

ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის, თავისი მნიშვნელობით, მეორე ადგილი უკავია ს. მ. კიროვის სახელობის №4 სამკერვალო ფაბრიკას (შეიქმნა 1926 წ.). ამჟამად ფაბრიკა სპეციალიზებულია შალისა და ბამბის შარვლებისა და საწვიმარი ლაბადების გამოშვებაზე. მისი პროდუქცია იგზავნება საქართველოს ყველა კუთხეში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ფაბრიკის მიერ უკანასკნელ წლებში გამოშვებული სამკერვალო ნაწარმი დიდი მოწონებით სარგებლობს მომხმარებელთა შორის. სამკერვალო ფაბრიკაში რაციონალიზატორ-გამომგონებელთა წინადადებების დანერგვის კარგი ტრადიციაა დამკვიდრე-

ბული. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ფაბრიკაში კარგი მუშაობით გამოირჩევიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ა. ზაქარაშვილი, მ. ჭოლაძე, თ. ჩოგოვაძე, ა. სტურუა და სხვები ხელმძღვანელობენ.

ფაბრიკის მიერ 1966 წელს გამოშვებული საერთო პროდუქციის ღირებულება 2.378 ათას მანეთს შეადგენდა. საწარმოს სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისა და პირველი ადგილის დაკავებისათვის, 1966 წელს საკავშირო გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია მიენიჭა. ამჟამად № 4 სამკერვალო ფაბრიკაში 12 ეროვნების 1.837 კაცი მუშაობს, რომელთა შორის 1.722 ქართველია.

დღითიდღე იზრდება ქალაქის № 8 სამკერვალო ფაბრიკა (დაარსდა 1959 წელს). 1963 წლიდან ფაბრიკა სპეციალიზებულია ბამბის, აბრეშუმისა და ლავსანის ქსოვილებისაგან მამაკაცების, ჭაბუკებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზედა პერანგების გამოშვებაზე. 1966 წელს ფაბრიკამ 827 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვა. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თბილისის № 3 სამკერვალო ფაბრკასთან. ფაბრიკა სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო-საფინანსო და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებს. თავიანთი თავდადებული შრომით გამოირჩევიან კომუნისტური შრომის სახელის მატარებელი ბრიგადები და ცვლები (ხელმძღვანელები: ლ. სულაბერიძე, ი. ჩიხლაძე, შ. ნაცვლიშვილი, ე. დეკანოსიძე, ს. ენდელაძე, ლ. ჯანაშია, მ. ქავზინაძე და სხვ.). ფაბრიკაში ამჟამად 787 მუშა-მოსამსახურეა, რომელთა 97%-ს ქართველები შეადგენენ.

ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი ქალაქის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა (შეიქმნა 1931 წელს). 1966 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა კომბინატის ახალი, კეთილმოწყობილი შენობა. კომბინატი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და გაუმჯობესებული ხარისხის ფეხსაცმელსა და საპირე ტყავს ამზადებს. საწარმოს სიმძლავრე წელიწადში 3 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს შეადგენს. ამჟამად კომბინატი 1.555 ათას წყვილ სხვადასხვა ასორტიმენ-

ტის ფეხსაცმელსა და 30 მილიონ კვ დმ რბილ ტყავს უშვებს. საწარმოს მოწინავე ადამიანებიდან გამოირჩევიან: ნ. გაგუა, შ. ნუცუბიძე, პ. ლოსაბერიძე, ს. აგაფონოვა და სხვ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ს გ ა დ ა-მ მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ი ფ ა ბ რ ი კ ა (ექსპლოატაციაში შეევიდა 1965 წელს; 1966 წელს 968 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა; ამჟამად ფაბრიკაში 170 მუშა-მოსამსახურეა) და ს ა გ ა ლ ა ნ ტ ე რ ი ო ფ ა ბ რ ი კ ა 366 მუშა-მოსამსახურით[1]. ფართო მოხმარების საგნებს აწარმოებენ აგრეთვე ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და სხვა ორგანიზაციებიც.

კ ვ ე ბ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს საწარმოებს, მათში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და გამოშვებული პროდუქციის ღირებულების ოდენობით (12,6%), ქალაქის მრეწველობაში, მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის შემდეგ, მესამე ადგილი უჭირავთ.

ქალაქის კვების მრეწველობაში პირველ ადგილზე დგას ს ა კ ო ნ ს ე რ ვ ო ქ ა რ ხ ა ნ ა (საექსპლოატაციოდ გადაეცა 1933 წელს), რომელიც უდიდესია რესპუბლიკის ამ სახის საწარმოთა შორის. ქარხნის ძირითად სანედლეულო ბაზას ქვემო იმერეთის მეხილეობა და მებოსტნეობა წარმოადგენს. 1960 წელს ქარხანამ 25.614 ათასი პირობითი ქილა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი გამოუშვა. საკონსერვო ქარხნის მაღალხარისხოვანი პროდუქცია დიდი რაოდენობით იგზავნება სსრ კავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთის რაიონების სამრეწველო ცენტრებში.

საკონსერვო ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ოდესელ, ერევნელ, ბათუმელ და გორელ თანამოსაქმეებთან. ქარხნის კოლექტივის თავდადებული მუშაობის შედეგად, 1966 წელს, აღნიშნული საწარმო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია მიანიჭეს. ამ გამარჯვებაში

---

[1] ორივე ეს ფაბრიკა ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო კომბინატს ეკუთვნის.

დიდი წვლილი შეიტანეს ქარხნის მოწინავე ადამიანებმა: ნ. ძიძიგურმა, ა. კაზარეზოვამ, ო. სანებლიძემ, მ. ჯელიამ, რ. ტყეშელაშვილმა, გ. დვალმა და სხვ. ამჟამად საკონსერვო ქარხანაში დაახლოებით 750 მუშა-მოსამსახურეა.

ქუთაისის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — ღ ვ ი ნ ი ს ქ ა რ ხ ნ ი ს (არსებობს 1924 წლიდან) პროდუქციას ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ქუთაისის მარკის ღვინოებსა და ყურძნის წვენს არაერთხელ მოუპოვებიათ პირველი ადგილი. 1960 წელს ქარხანამ 307 ათასი დეკალიტრი ქართული ღვინო გამოუშვა. 1966 წელს ამ საწარმოს მიერ გამომუშავებულმა საერთო პროდუქციამ 13.026 ათასი მანეთი შეადგინა.

კვების მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა პ უ რ კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი (ამოქმედდა 1933 წელს). იგი ამჟამად, ძირითადად, უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი, სადაც თითქმის ყველა საწარმოო პროცესი მექანიზებულია. სხვადასხვა სახის გამომცხვარი პურის გარდა, კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი სახეებია: ფუნთუშეული, ბლითების ნაწარმი და სხვ. ამჟამად კომბინატი მოსახლეობას ყოველდღიურად 100 ტონამდე პურს აწვდის. 1966 წელს კომბინატის მიერ გამოშვებულმა საერთო პროდუქციამ 6,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. კომბინატში ამჟამად კომუნისტური შრომის 6 ბრიგადაა (ხელმძღვანელები: ნ. ლომინაძე, ნ. ჯიქია, მ. თევდორაძე, თ. ჩიქოვანი და სხვ.). პურკომბინატის საწარმოებში სულ 550 კაცი მუშაობს.

კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა 1932 წელს ქუთაისის სასაკლაოს ბაზაზე შექმნილი ხ ო რ ც კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი. აქ ძროხის, ღორისა და თხის ხორცის გარდა, მზადდება სხვადასხვა სახის ძეხვეული, ხორცის ნახევარფაბრიკატები, ქონი, ნედლი ტყავი და ა. შ. 1959 წლამდე კომბინატი ქუთაისის გარდა პროდუქციას აწვდიდა წყალტუბოს, ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონულ ცენტრებს. 1966 წელს ხორცკომბინატის საერთო პროდუქცია 2,4 მილიონ მანეთს აღემატებოდა, ხოლო კომბინატის საწარმოო სიმძლავრემ 150 ტონას მიაღწია. კომბინატის კოლექტივი ამჟამად 160 კაცისაგან შედგება.

ქუთაისის ს ა კ ო ნ დ ი ტ რ ო ფ ა ბ რ ი კ ა (საფუძველი

ჩაეყარა 1934 წელს) ცნობილია თავისი ნაწარმით. (სხვადასხვა სახის კარამელი, ირისი, ნამცხვარი, ტკბილღვეზელა და სხვა). ფაბრიკის პროდუქცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კი იგზავნება. 1966 წელს საწარმოს მიერ გამოშვებულ იქნა 2 მილიონ მანეთზე მეტი საერთო პროდუქცია. ამჟამად ფაბრიკაში 118 მუშა-მოსამსახურე ითვლება. ახლო მომავალში ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა ახალ, კეთილმოწყობილ შენობას მიიღებს.

რ ძ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა (ამოქმედდა 1944 წელს) ქუთაისის მოსახლეობას რძის სხვადასხვა პროდუქტებით (რძე, ყველი, ერბო, ნაყინი), ხელოვნური ყინულით და სხვა პროდუქციით ამარაგებს. 1956 წელს ექსპლოატაციაში შევიდა რძის ქარხნის ახალი შენობა, რამაც ქარხნის საწარმოო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაზარდა. ქარხნის წარმადობა ცელაში 15 ტონა რძის გადამუშავებამდე იქნა აყვანილი. საღი რძით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, რძის დამზადების ზონაში (სიმონეთი, ორპირი, წულუკიძე, ვარციხე), მოეწყო რძის მიმღები და გამფილტრავ-გამაცივებელი სადგურები. რძის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1967 წლის დასაწყისისათვის 66 კაცს შეადგენდა. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ქარხნის გენერალური რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც გადამუშავებული რძის ოდენობა ცელაში 15-დან 50 ტონამდე გაიზრდება.

ლ უ დ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა ქალაქის კვების მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა (ექსპლოატაციაში გადაეცა 1954 წელს). იგი ახალი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი საწარმოა. 1960 წელს ლუდის წლიურმა გამოშვებამ 614 ათასი დეკალიტრი შეადგინა. ლუდის ქარხანა უშვებს ოთხი მარკის ლუდს, აგრეთვე ბურახს. ქარხანაში მასიური გამოშვებისათვის უკვე აითვისა ახალი მარკის ლუდი — „ქუთაისური". ლუდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ლითონის მილები მინის მილებით შეცვალეს. ეს ტექნიკური სიახლე საქართველოს ლუდის ქარხნებს შორის პირველად აქ დაინერგა. ქუთაისის ლუდის ქარხანა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თბილისის, ბათუმისა და ცხინვალის

ლუდის ქარხნებთან. 1966 წელს ქარხანაში 147 მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა.

ქუთაისის ხილეული წყლების ქარხანაში სხვადასხვა სახის ხილის წყლები და სიროფები მზადდება. უკანასკნელ პერიოდში ქარხნის კოლექტივმა აითვისა ახალი სახის ასორტიმენტის სასმელები: „დაფნა“, „ტყემალი“ და „საბაეშვო“. 1964—1965 წლებში ჩატარდა ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები. ქუთაისის ხილეული წყლების ქარხანაში ამჟამად 73 მუშა-მოსამსახურე მუშაობს. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ქალაქში აშენდეს 800 ათასი დეკალიტრი სიმძლავრის უალკოჰოლო სასმელების ახალი ქარხანა.

კვების მრეწველობის ხაზით ქუთაისში არსებობს აგრეთვე მთელი რიგი წვრილი საწარმოები, მაგრამ მათზე აქ ალარ შევჩერდებით.

პოლიგრაფიული მრეწველობა ქალაქში წარმოდგენილია ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბით. ქალაქის ყოფილი სტამბა, სადაც საქალაქო გაზეთები იბეჭდება, ამჟამად № 5 სტამბის ერთ-ერთ საამქროს წარმოადგენს. საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის ეს ერთ-ერთი მსხვილი საწარმო 1955—1960 წლებში აიგო (ექსპლოატაციაში შევიდა 1961 წლის 9 მაისიდან). ახალი სტამბის პირველი წიგნი იყო გალაკტიონის „ასი ლექსი“. ამას ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. 1914 წელს, სწორედ ქუთაისში, დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი, რომლითაც პოეტი პოეზიის ვრცელ სარბიელზე გამოვიდა.

სტამბა აღჭურვილია უახლესი დანადგარებით. დღიდან დაარსებისა სტამბამ 287 დასახელების 4.913 ათასი ეგზემპლარი წიგნი დაბეჭდა[1]. სტამბაში 310 კაცი მუშაობს.

ქუთაისის სამრეწველო წარმოებაში დიდი ადგილი უჭირავს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (შეიქმნა 1963 წელს), სამრეწველო კომბინატს (ჩამოყალიბდა 1966 წელს), კომუნალური მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის სხვა საწარმოებსა და მათ დაქვემ-

[1] აქ არ შედის 1967 წლის მონაცემები.



ლენინის პროსპექტის დასაწყისი

დებარებაში მყოფ ობიექტებს: აგრეთვე უსინათლოთა, ყრუ-მუნჯთა და ა. შ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი 6 საწარმო შედის. ესენია: ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკა (518 მუშა-მოსამსახურით), საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, აბანო-საპარიკმახეროების ტრესტი, სასაფლაოთა მეურნეობა, ქალაქის სათბობის განყოფილება და ლომბარდი.

ქალაქის მშრომელებს ამჟამად საყოფაცხოვრებო მომსახურების 275 საწარმო, ატელიე, სალონი, საამქრო და სახელოსნო 120-მდე სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს. თუ 1963 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით გაწეულ სამუშაოთა ღირებულება 1.483 ათას მანეთს უდრიდა, 1966 წელს ამ თანხამ 2.086 ათასი მანეთი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების ოდენობაც. მიმდინარე ხუთწლედში საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისში შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია. ქალაქში ყველაზე მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციაა. ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტი. იგი შეიქმნა 1955 წელს, ყოფილი ქუთმშენისა და № 11 სამშენებლო ტრესტის გაერთიანების ბაზაზე. № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტი და მასში გაერთიანებული სამმართველოები, ქუთაისის გარდა დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების მშენებლობებს ემსახურებიან. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ტრესტმა 136 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა; აქედან დაახლოებით ნახევარი ქალაქის ობიექტებზე მოდის. ამ ხნის განმავლობაში ტრესტმა ექსპლოატაციაში გადასცა 286 ათასი კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი, რაც თითქმის ერთი საშუალო სიდიდის ქალაქის საცხოვრებელ ფართს შეადგენს. 1967 წლის დასაწყისისათვის ტრესტში შემავალ სამმართველოებსა და საწარმოებში 2,4 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა; აქედან ქართველთა რიცხვი 2,1 ათას კაცს აღემატებოდა.

ქალაქის მშენებლობას ემსახურება აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო (ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურით) სამმართველოები და სხვა უწყებრივი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები, № 4 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა (441 მუშა-მოსამსახურით) და სარემონტო მექანიკური ქარხნები, მექანიზაციის სამმართველო (243 მუშა-მოსამსახურით), № 4 ხის დამმუშავებელი კომბინატი, საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი საწარმო—მსხვილპანელიანი სახლმშენებელი კომბინატი[1] და სხვ.

დასახელებულ საწარმოებში ორი ათასზე მეტი კაცი მუშაობს. აღსანიშნავია, რომ სართულშუა გადახურვისათვის, რკინა-ბეტონის ღრუტანიანი ფენილები რესპუბლიკაში პირველად ქუთაისში იქნა გამოყენებული.

[1] სახლმშენებელი კომბინატი, სარემონტო მექანიკური ქარხანა, ხის დამმუშავებელი კომბინატი № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტს ექვემდებარებიან.

ქალაქის მშენებლობის სწრაფი ზრდა ასაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სულ უფრო მეტ რაოდენობას მოითხოვს. ამჟამად მიმდინარეობს ახალი მძლავრი რკინა-ბეტონის ქარხნის მშენებლობა, რომელიც წლიურად 100 ათას კუბურ მეტრ რკინა-ბეტონის ნაკეთობებს დაამზადებს.

ქალაქის მსხვილი, საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა „საქჰიდროენერგომშენის" ქუთაისის საწარმოო კომბინატი, რომელშიც 283 მუშა-მოსამსახურე მუშაობს. იგი ამჟამად, ძირითადად, ენგურჰესის მშენებლობას ემსახურება.

ქუთაისის საწარმოებში უდიდესი ყურადღება ექცევა ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდებას, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების გაუმჯობესებას, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეკონომიას, მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივას, იმ დარგების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს.

ქუთაისის ეკონომიკის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულების ახალი სისტემის თანმიმდევრულ განხორციელებას — ეკონომიურ რეფორმას, რომლის არსიც ის არის, რომ გააძლიეროს ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების როლი, სრულყოს სახელმწიფო დაგეგმვა, გააფართოვოს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ყოველი ღონისძიებით დანერგოს და სრულყოს სამეურნეო ანგარიში.

ახალ პირობებში უფრო რაციონალურად არის შეხამებული საზოგადოების, კოლექტივისა და ცალკეული მშრომელის ინტერესები, იზრდება მუშაკთა დაინტერესება მთელი საწარმოო რესურსების რაც შეიძლება სრული გამოყენებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. ეკონომიურ რეფორმას მოსდევს ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის, წარმოების მართვაში მათი როლის შემდგომი ამაღლება. იგი ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას.

• • •

როგორც ცნობილია, ქუთაისს გარს არტყია ქვემო იმერეთის მეტად ნაყოფიერი და მჭიდროდ დასახლებული სოფლები, რომლებიც ამჟამად წყალტუბოს, თერჯოლისა და ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში შედიან. ადრე, 1958 წლამდე, ეს სოფლები ქუთაისის ადმინისტრაციულ რაიონს ეკუთვნოდნენ. ისინი ქუთაისისათვის (აგრეთვე კურორტ წყალტუბოსათვის) ერთგვარად ს ა გ ა რ ე უ ბ ნ ო ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს როლსაც ასრულებენ. მათი მეშვეობით ქალაქის მსუბუქი და განსაკუთრებით, კვების მრეწველობის საწარმოები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სოფლის მეურნეობის ნედლეულით (აბრეშუმის პარკი, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი), ხოლო ქუთაისის მოსახლეობა რეგულარულად მარაგდება ნაკლებად ტრანსპორტაბელური და მალფუჭადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (ბოსტნეული, კარტოფილი, ხილ-კენკროვნები, რძე, ხორცი, კვერცხი და სხვ.).

ქუთაისის საგარეუბნო ზონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგებია: მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეხილეობა, მეევნახეობა, მეჩაიეობა, სარძეო მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა, აგრეთვე მეღორეობა; დამხმარე ხასიათს ატარებენ: ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის წარმოება, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. მთელ საქართველოშია ცნობილი ამ ზონის საადრეო მებოსტნეობა, რომელიც ტიპიურ საგარეუბნო ხასიათს ატარებს.

ინდუსტრიული ქუთაისი, თავის მხრივ, უდიდეს დახმარებას უწევს მის ირგვლივ მდებარე სოფლის რაიონებს.

ქალაქში ბევრია ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავისი საქმიანობით უშუალოდ სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. ისინი სოფლის მეურნეობას აწვდიან ავტომანქანებს, ტრაქტორებს, სათადარიგო ნაწილებს, შაბიამანს, მინერალურ სასუქებს, თესლს, მცენარეთა ნერგებს, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მოწყობილობებს. ქუთაისის სამშენებლო ორგანიზაციები სოფლად აწარ-



რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი

მოებენ საბინაო, საგზაო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობებს, ელექტროგადამცემი ხაზების, მდინარეთა ნაპირების გამაგრებისა და საირიგაციო სამუშაოებს. გარდა ამისა, ქალაქის ზოგი საწარმო საქმიან შეფობას უწევს ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

დასავლეთ საქართველოს მებოსტნეობა-მეხილეობის განვითარებაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქუთაისის მებოსტნეობა-მეხილეობის საცდელ-სასელექციო სადგური. მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში, ასევე დიდ როლს ასრულებენ ქალაქში არსებული მეაბრეშუმეობის ზონალური სადგური და საგრენაჟო ქარხანა.

ქარსაცავი ზოლების გაშენებისათვის დიდ ზრუნვას იჩენს ქუთაისის სატყეო მეურნეობა. უკანასკნელ წლებში ქალაქის ირგვლივ მწვანე ზონის შექმნის მიზნით, ჩატარებულია უდიდესი სამუშაოები. სულ ქუთაისის პერიფერიებში, 560 ჰექტარ ფართობზე, დარგული და შენარჩუნებულია მილიო-

ნამდე ძირი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარე. ქუთაისის სანახების ნაწილმა უკვე გატყიანება იწყო.

ბ) კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რევოლუციამდელ ქუთაისში შეტად დაბალ დონეზე იდგა საქალაქო მეურნეობა. ქალაქს არ გააჩნდა წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, თანამედროვე საქალაქო ტრანსპორტი, მოკირწყლული ქუჩები, კარგი ხიდები. კეთილმოუწყობელ ქალაქში მწვავედ იგრძნობოდა საბინაო ფონდის ნაკლებობა.

თანამედროვე ქუთაისის საქალაქო მეურნეობა თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ქალაქის კომუნალურ მეურნეობაზე ზრუნვა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გაძლიერდა. თუ 1940 წელს ქალაქის კომუნალურ მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებანი 3,8 მლნ მანეთს შეადგენდა, 1960 წელს მან 29,2 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1959 წელს ქუთაისის კომუნალურ მეურნეობაში ჩაბმული იყო 2,3 ათასი კაცი, რაც ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა მთელი რაოდენობის 4,2%-ს შეადგენდა.

უკანასკნელ პერიოდში, მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქალაქის ტერიტორია; მისმა ფართობმა, როგორც აღვნიშნეთ, 60 კვ. კმ-ს მიაღწია. ქალაქი ქუთაისი თავისი ტერიტორიით ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან ბევრად აღემატება ვატიკანს, მონაკოს და თითქმის სან-მარინოს უტოლდება.

ქალაქის მდ. რიონის მარჯვენამხარეთი თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით, მრეწველობითა და ტრანსპორტით მნიშვნელოვნად აღემატება მარცხენამხარეთს, რომელიც, ძირითადად, წინანდებურად ინარჩუნებს ქალაქის ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხასიათს.

ძირითადი ფუნქციების მიხედვით, აგრეთვე ბუნებრივი

პირობების, მდებარეობისა და გარეგნული სახის მხედველობაში მიღებით, თანამედროვე ქუთაისში გამოიყოფა 5 შემდეგი შიდა რაიონი: ქალაქის ცენტრი, ჩრდილოეთ-დასავლეთი გორაკ-ბორცვიანი უბნები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მთაგორიანი უბნები, სამხრეთ-აღმოსავლეთი სამრეწველო-სატრანსპორტო რაიონი და სამხრეთ-დასავლეთი სამრეწველო-სატრანსპორტო რაიონი[1].

1961 წელს ქუთაისის განაშენიანებულ ნაწილს ქალაქის მთელი მიწების 65,3% ეჭირა. ამავე წელს ქუთაისში იყო 620 ქუჩა და შესახვევი; მათი საერთო სიგრძე 247,7 კმ-ს უდრიდა. ქუთაისში მდინარე რიონზე ამჟამად არსებული 5 ხიდიდან სამი (ჯაჭვის, წითელი და თეთრი ხიდები) მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. ლენინის სახელობის ხიდი ექსპლოატაციაში გადაეცა 1942 წელს, ხოლო რუსთაველის სახელობის ხიდი — 1966 წელს. 1967 წლის ივლისში მდინარე რიონზე ახალი, სათვალავით მეექვსე, ხიდის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. იგი ჭავჭავაძის პროსპექტს წერეთლის ქუჩასთან დააკავშირებს. ხიდის სიგრძე 1500 მეტრამდე იქნება. ქუთაისში ამჟამად რამდენიმე მკვიდრად ნაგები (ავტოქარხნის, წერეთლისა და სხვა ქუჩებზე) გზაგამტარი ხიდი მოქმედებს. მათ შორის აღსანიშნავია, გზაგამტარი გორის ქუჩაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმის ღირსშესანიშნავ დღეებში გადაეცა საექსპლოატაციოდ. ქალაქის ეს დიდებული ნაგებობა, 330 მეტრის სიგრძისა და 19 მეტრის სიგანის გზაგამტარი—გეგმით გათვალისწინებული ოთხი წლის ნაცვლად, შვიდ თვეში დამთავრდა. გზაგამტარი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელს ატარებს.

მკვეთრად იმატა ქალაქის საბინაო ფონდმა. თუ 1961 წელს ქალაქში საცხოვრებელი ფართი 938,6 ათას კვ. მეტრს შეადგენდა, ამჟამად ქუთაისში 1.624,4 ათასი კვ. მ. საცხოვრებელი ფართობია; თუ 1955 წელს ქუთაისში მხოლოდ ორი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი იდგა, ახლა მრავალსართულიან სახლებს (მათ შორის რვასართულიანებსაც) ქალაქის

[1] ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ., 282.



გზაგამტარი გორის ქუჩაზე

თითქმის ყველა უბანში შეხვდებით. უახლოეს პერიოდში 12—16 სართულიანი სახლებიც აიგება.

1964 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კოოპერაციულ ბინათმშენებლობას. ამ ხაზით მარტო 1965 წელს 11 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი იქნა გადაცემული საექსპლოატაციოდ. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქალაქში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა 220 სახლი, 231.855 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის კოოპერაციულ ბინათმშენებლობაზე მოდის 19.500 კვ. მ. ფართობი. 1966 წელს ქალაქის მშრომელებმა სულ 24.627 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი მიიღეს.

თანამედროვე ქუთაისის განაშენიანების ერთ-ერთ აოსებით ნაკლად კვლავ რჩება ის გარემოება, რომ ქალაქს თითქმის (გარდა ლესელიძის ქუჩის დასაწყისისა) არა აქვს სანაპირო ქუჩები.

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის განვითარების გენერა-

ლური გეგმის საფუძველიანი დამუშავება-კორექტირება. ძირეულად იცვლება ქალაქის დაგეგმარების პრინციპები. განზრახულია, არსებული კოლორიტისა და სახის შენარჩუნებით, აშენდეს საესებით თანამედროვე ტიპის ქალაქი. პირველ რიგში. მოკლე ვადაში უნდა დამთავრდეს რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურული ანსამბლის მშენებლობა. უახლოეს წლებში იგი გადაიქცევა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ ცენტრალურ მაგისტრალად. სწორედ ამ მაგისტრალის დასაწყისშია „ირმის რქის“ ხეების მეტად ლამაზი ხეივანი და რუსთაველის სახელობის ხიდი — ქალაქის მშვენება.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქალაქის წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი. დიდად განვითარდა ქალაქის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმე. ქუთაისის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1959 წლიდან საცხოვრებელ სახლებში თხევადი გაზის მოხმარების დაწყებას. 1967 წლის დასაწყისში ქუთაისში გაზიფიცირებული იყო 11 ათასამდე ბინა და 321 კომუნალური ობიექტი. მიმდინარე ხუთწლედში ქუთაისში გათვალისწინებულია ბუნებრივი გაზის შემოყვანა. ამჟამად მიმდინარეობს თბილისი—კასპი—ქუთაისი—წყალტუბოს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები. უკანასკნელ პერიოდში გაიყვანეს ფართო მოასფალტებული ქუჩები, მოეწყო მოედნები, შეიქმნა ახალი სკვერები, ბაღები და პარკები. აშენდა ახალი კომფორტაბელური სასტუმრო „თბილისი“. ფართო მასშტაბით განვითარდა საცხოვრებელი სახლების (მათ შორის — კოოპერაციული ბინების), ახალი კვარტალებისა და უბნების, საქალაქო მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

უდიდესი ყურადღება ექცევა საქალაქო ტრანსპორტის ძირითად სახეობათა განვითარებას. ქუთაისის შიდა საქალაქო ტრანსპორტის საფუძველს წარმოადგენს საქალაქო ელექტროტრანსპორტის ისეთი გავრცელებული სახე, როგორიცაა სატროლეიბუსო ტრანსპორტი. ამჟამად ქალაქში 5 სატროლეიბუსო მარშრუტი მოქმედებს. თუ 1949 წელს



გორის ქუჩის დასაწყისი ღამით

სატროლეიბუსო ხაზის ერთმაგი სიგრძე 7,3 კმ-ს შეადგენდა, ხოლო ხაზზე სულ 4 ტროლეიბუსი მუშაობდა, ახლა ტროლეიბუსების მარშრუტთა ერთმაგი ტრასის სიგრძემ 50,9 კმ-ს, ხოლო ტროლეიბუსების ვაგონების რიცხვმა 56-ს მიაღწია. მარტო 1966 წელს მათ 22,5 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს. მალე მწყობრში ჩადგება მეექვსე სატროლეიბუსო მარშრუტი.

ქუთაისის საქალაქო ტრანსპორტში დიდი როლი ეკუთვნის აგრეთვე ავტობუსებს, მსუბუქ და სატვირთო ტაქსომოტორებსა და სხვ.

ქუთაისში 1961 წლიდან მოქმედებს სამგზავრო-საბაგირო გზა, რომელიც წულუკიძის სახელობის სკვერს ბესიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან აკავშირებს.

ამჟამად ქუთაისში არსებობს 2 კომფორტაბელური სასტუმრო—„ქუთაისი" და „თბილისი". ქალაქში მოქმედებს 5

აბანო-შხაპი. დღითიდღე იზრდება ქუთაისის მწვანე სამოსელი. მწვანე ნარგავების (დეკორაციული მცენარეულობა, ხეხილი) გაშენებისათვის აქ კარგი კლიმატური პირობები არსებობს. ქალაქის ფარგლებში შემოდის მუხნარის ტყის მშვენიერი მასივი. ამ ტყეში გაჭრილი, ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელი გზა ერთ-ერთი ულამაზესია საქართველოში. ქუთაისის მწვანე მასივებიდან გამოირჩევა აგრეთვე ქალაქის მთავარი ბაღი (ძველი „ბულვარი"), კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების პარკი, ჭომის ბაღი, აეტოქარხნის ქუჩაზე ახლახან გაშენებული 1,5 კილომეტრი სიგრძის „ქალაქის ბულვარი" და სხვ. 1966 წლის 22 მაისს ქალაქში ჩატარდა ყვავილების დღესასწაული, რომელიც სიმღერის, ცეკვისა და სილამაზის დიდ სახალხო ზეიმად იქცა.

ახლო მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურება, უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდება საქართველოს მეორე ქალაქი.

* * *

დიდი ცვლილებები განიცადა ქუთაისის საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ მ ა. თანამედროვე ქუთაისი თავისი მოხერხებული მდებარეობის გამო სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო მაგისტრალების მნიშვნელოვანი კვანძია.

ქალაქი სადგურ რიონითა და ბროწეულათი უკავშირდება ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალს, სადგურ ქუთაისი პირველით—ტყიბულს, ხოლო სადგურ ქუთაისი მეორეთი — წყალტუბო-გუმბრას. ყველა ჩამოთვლილი სარკინიგზო ხაზი ელექტროფიცირებულია.

1960 წელს ქუთაისის რკინიგზის სამივე სადგურმა ერთ მილიონამდე მგზავრი გადაიყვანა. ამ მხრივ პირველ ადგილზე სადგური ქუთაისი I დგას.

ქუთაისის რკინიგზის სადგურებიდან ტვირთბრუნვის მიხედვით პირველ ადგილზეა სადგური ქუთაისი II. მასზე მოდის მთელი ტვირთბრუნვის ორი მესამედი. 1960 წლისათვის ქალაქის რკინიგზის სადგურთა ტვირთბრუნვა 1,7 მილიონ

ტონაზე მეტს უდრიდა. ქუთაისის სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესების მიზნით, განზრახულია უახლოეს პერიოდში ამიერკავკასიის მაგისტრალზე, ბროწეულას მიდამოებში, აიგოს რკინიგზის ახალი, თანამედროვე სამგზავრო სადგური.

ქუთაისში უმთავრესად შემოაქვთ: ქვანახშირი, საშენი მასალები, ხე-ტყე, შავი ლითონები, ნავთობპროდუქტები, მანქანა-მოწყობილობები, მარცვლეული, სამრეწველო საქონელი, ქიმიური ნედლეული, სურსათი და სხვ. ხოლო გააქვთ: საშენი მასალების ზოგი სახეობა, სატვირთო ავტომანქანები, სათადარიგო ნაწილები, ელექტრომექანიკური მოწყობილობა, მინისტარა, შავი ლითონების ჯართი, ლითოფონი, ქალცედონი, ბარიტი, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ფეხსაცმელი, შეკერილი ტანსაცმელი, ავეჯი, ღვინო, კონსერვები, ხილი და ბოსტნეული, საკონდიტრო ნაწარმი და სხვა სახის საქონელი.

სარკინიგზო ტრანსპორტის შემდეგ, ქუთაისის მომსახურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. ქალაქი ამ სახის ტრანსპორტით ფართოდაა დაკავშირებული საქართველოს მთელ რიგ რაიონებთან და ქალაქებთან. ქუთაისზე გადის საკავშირო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი. ეს გზა განსაკუთრებით დიდი მოძრაობით გამოირჩევა. ქუთაისიდან ყოველი მიმართულებით ცხრა, შედარებით კეთილმოწყობილი, საავტომობილო გზატკეცილი მიემართება. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილი.

ქალაქს საავტომობილო ტრანსპორტით ძირითადად მომსახურებას უწევს ქუთაისის № 3 ავტოტრესტი. იგი 1961 წელს შეიქმნა. № 3 ავტოტრესტს გარდა, ქალაქს საავტომობილო ტრანსპორტით ემსახურება აგრეთვე ქუთაისის ავტოკოლონა 2657 „ს", ქუთაისის ტაქსომოტორის ავტოსატრანსპორტო კანტორა[1] და სხვ.

ავტოტრესტის საავტომობილო პარკი ყველა ტიპის 3 ათასამდე ავტომობილისაგან შედგება. მათ შორისაა 1.100-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, 243 სამგზავრო ავტობუსი, 259 მსუბუქი ტაქსომოტორი და სხვა სახის ავტომანქანა. აქედან ქალაქში ყოველდღიურად, შიდა საქალაქო და საგარეუბნო

[1] ამჟამად ეს უკანასკნელნი № 3 ავტოტრესტს ექვემდებარებიან.

მარშრუტებზე სამუშაოდ 42 სამგზავრო ავტობუსი და 230 მსუბუქი ტაქსომოტორი გადის. 1966 წელს ტაქსომოტორის ავტოსატრანსპორტო კანტორის ტაქსებმა 4 მილიონზე მეტი, ხოლო ავტოკოლონა 2657 „ს"-ში შემავალმა ავტობუსებმა 20 მილიონამდე მგზავრი გადაიყვანეს; ამავე წელს № 3 ავტოტრესტში შემავალი, ქალაქში განლაგებულ ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა მიერ გადაიზიდა 5 მილიონამდე ტონა ტვირთი.

ქუთაისისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტს. ქალაქი საჰაერო ტრასებით (მათ ნაწილს ემსახურებიან საჰაერო ლაინერები: ტუ—104, ტუ—124 და ილ—14) დაკავშირებულია მოსკოვთან, ლენინგრადთან, კიევთან, ოდესასთან, კრასნოდართან, როსტოვთან, დონეცკთან, დნეპროპეტროვსკთან, ტაშკენტთან, ადლერთან და სხვ. განსაკუთრებული ინტენსიობით გამოირჩევა ქუთაის-თბილისის საჰაერო გზა, რომელიც რეგულარულად მოქმედებს, აგრეთვე საჰაერო გზები სოხუმისა და ბათუმის მიმართულებით. გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივ საჰაერო მარშრუტებს: ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ჩიხარეშის, მესტიის, შოვის, ზუგდიდის, საჩხერისა და სხვა მიმართულებით. მარტო 1966 წელს ქუთაისის აეროპორტმა 145 ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანა. თვითმფრინავი ტუ-104 მოსკოვამდე მანძილს 2 საათსა და 10 წუთში ფარავს. ამჟამად მიმდინარეობს ახალი, თანამედროვე აეროპორტის მშენებლობა.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქუთაისის კავშირგაბმულობის ქსელი. ქალაქის კავშირგაბმულობის კვანძი ერთ-ერთი მსხვილი ობიექტია რესპუბლიკაში. აქ თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს მრავალი სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზი. 1961 წლიდან ექსპლოატაციაში შევიდა ახალი ტექნიკით აღჭურვილი ქუთაისის ავტომატური ტელეფონის სადგური (ატს), რომელმაც ძველი („ცბ") სისტემის ტელეფონის სადგური შეცვალა. თუ 1925 წელს ქალაქის ტელეფონის სადგურის ტევადობა 200 ნომრით განისაზღვრებოდა, ამჟამად იგი 4000 შეადგენს; აქედან მოქალაქეთა პირად სარგებლობაშია 2.852 სატელეფონო ნომერი. მოსახლეობის სატე-



ჭავჭავაძის პროსპექტი

ლეფონო კავშირის გაუმჯობესების საქმეს ემსახურება ქალაქის ტერიტორიაზე დადგმული 22 ტელეფონ-ავტომატი (ტაქსოფონი). ქუთაისი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურით უკავშირდება რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სამრეწველო და კულტურულ ცენტრს, აგრეთვე საზღვარგარეთის სახელმწიფოებსაც. ამჟამად ჭავჭავაძის პროსპექტზე მიმდინარეობს ახალი ატს-ის მშენებლობა, რომელიც 10 000 აბონენტს მოემსახურება.

სატელეფონო ქსელის განვითარებასთან ერთად, ქუთაისში გაიზარდა აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა რიცხვი. ქუთაისელთა ცხოვრებაში საპატიო ადგილი უჭირავს რადიო და სატელევიზიო გადაცემებს. ქალაქში მოქმედებს ადგილობრივი რადიო კვანძი და სატელევიზიო სარეტრანსლიაციო სადგური.

დღითიდღე იზრდება და ფართოვდება ინდუსტრიული ქალაქის ეკონომიური ურთიერთობა და კავშირი გარე სამ-

ყაროსთან. ასეთი კავშირის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ქუთაისის მრავალფეროვანი ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირება და ქალაქის შემდგომი განვითარების პერსპექტივები[1].

* * *

ქუთაისი სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრია. ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფ ზრდას, მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებას თან მოჰყვა საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გადიდება. ქუთაისში შეიქმნა სამრეწველო და სასურსათო საქონლით სავაჭრო ქსელის მომარაგების მსხვილი ბაზები. ამჟამად ქალაქის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 700-ზე მეტი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ობიექტი.

ქუთაისის სავაჭრო დაწესებულებები. ქალაქის მოსახლეობას გარდა, ემსახურებიან აგრეთვე მეზობელი რაიონების მცხოვრებლებსა და წყალტუბოში ჩამოსულ დამსვენებლებს. ქუთაისის მოსახლეობას სავაჭრო მომსახურებას უწევს 23-მდე ორგანიზაცია. ამ სავაჭრო ორგანიზაციებიდან მთავარი ადგილი საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებაზე დაქვემდებარებულ სამ მსხვილ სავაჭრო ორგანიზაციას — მრეწვაჭრობას, კვებვაჭრობას და სასადილოების ტრესტს უკავია. მათზე (საკოლმეურნეო ვაჭრობის გარდა) ქალაქის მთელი საქონელბრუნვის დაახლოებით სამი მეოთხედი ნაწილი მოდის.

აღნიშნული ორგანიზაციები 1967 წლის 1-ლი იანვრისათვის 295 საცალო ვაჭრობისა და 196 საზოგადოებრივი კვების საწარმოს აერთიანებდნენ. ამჟამად ქალაქში 113 სამრეწველო და 182 სასურსათო მაღაზიაა.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სავაჭრო ქსელის მუშაობა; გაიხსნა ბევრი კეთილმოწყობილი სავაჭრო საწარმო („მრეწვაჭრობის" უნივერმაღი, „ბავ-

[1] იხ. ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი, 236. აღნიშნული პარაგრაფის დაწერის დროს ჩვენ ვისარგებლეთ დასახელებულ მონოგრაფიაში მოტანილი ზოგი სხვა ფაქტობრივი მასალითაც.

შვთა სამყარო“ და სხვ.), დაინერგა სავაჭრო მომსახურების ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები, უფრო სრულყოფილი გახდა სავაჭრო რეკლამა, დიდი ყურადღება დაეთმო სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციას, გაიხსნა სპეციალიზებული და თვითმომსახურების მაღაზიები, სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს წინასწარი დაკვეთით საქონლის ბინაზე მიტანით ვაჭრობის პრაქტიკა და სხვ. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მომხმარებელთა მომსახურება.

1966 წელს სასურსათო და არასასურსათო საცალო საქონელბრუნვა ქალაქში 71.352.000 მანეთს შეადგენდა; აქედან ქუთაისვაჭრობაზე 59.939 ათასი მანეთის საქონელბრუნვა მოდიოდა.

ქუთაისის სასადილოების ტრესტი აერთიანებს მოსახლეობის საზოგადოებრივი კვების 196 ობიექტს, 8220 დასაჯდომი ადგილით. სასადილოების ტრესტის სისტემაში 1.380 კაცი მუშაობს. 1966 წლისათვის სასადილოების ტრესტის საქონელბრუნვამ 8.214.000 მანეთს მიაღწია. საზკვების 105 საწარმო თვითმომსახურებით მუშაობაზეა გადაყვანილი. მკვეთრად ამაღლდა დამზადებული კერძების ხარისხი და მომხმარებელთა მომსახურების კულტურა.

ქალაქში სპეციალიზებულ სავაჭრო ორგანიზაციებს წარმოადგენენ: სოიუზპეჩატის, საქწიგნისა და სააფთიაქო სამმართველოს ქუთაისის განყოფილებები.

ქალაქის მოსახლეობის მომსახურებაში გარკვეული ადგილი უჭირავს სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელს.

ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრებზე დიდი რაოდენობით შემოაქვთ მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია., ასეთი ბაზარი ქალაქში ოთხია. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცენტრალური (ე. წ. „მწვანე“) ბაზარი, რომლის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს.

ქუთაისში ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით, მტკიცდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საქონელმომარაგების ორგანიზაცია, ინტენსიურად იზრდება მაღაზიების ქსელი, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობა.

* * *

ქუთაისის ინდუსტრიულმა განვითარებამ განაპირობა მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის, ქალაქის მთელი მოსახლეობის მკვეთრი ზრდა.

1917 წლის მონაცემებით, ქუთაისში 42 ათასი კაცი ცხოვრობდა; 1939 წლის აღწერით მისი რიცხვი 77.515-ს, ხოლო 1959 წელს—128.203 სულს შეადგენდა. წინასწარი გამოანგარიშებით, 1967 წლის დასაწყისისათვის ქუთაისში 160 ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა.

1959 წლის აღწერით ქუთაისს, მოსახლეობის რაოდენობით, საქართველოს ქალაქთა შორის—მეორე, ამიერკავკასიაში — მეოთხე, კავკასიაში — მერვე და საბჭოთა კავშირში — 118-ე ადგილი ეჭირა. ამჟამად ქუთაისი, თავისი მოსახლეობით, აღემატება ევროპის ისეთ ჯუჯა სახელმწიფოებს, როგორიცაა: ვატიკანი, ანდორა, სან-მარინო, ლიხტენშტეინი და მონაკო. იგი თავისი მოსახლეობით რამდენადმე უახლოვდება ისლანდიის რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვს. ქუთაისი ამ მხრივ ჭარბობს მსოფლიოს ისეთ სახელმწიფოთა დედაქალაქებს, როგორიცაა: ლა-ვალეტა (მალტა), ქ. ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), ბონი (გფრ) და ტირანა (ალბანეთი)—ევროპიდან; ნიკოზია (კვიპროსი), სანა (იემენი), ელ-კუვეიტი (კუვეიტი), ვიენტიანი (ლაოსი) და კატმანდუ (ნეპალი)—აზიიდან; კანბერა (ავსტრალია), ველინგტონი (ახალი ზელანდია) და სხვ. აფრიკიდან იგი აღემატება ამ კონტინენტის 22 სახელმწიფოს დედაქალაქს.

1959 წლის აღწერით ქუთაისზე მოდიოდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 3,17% და რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის 7,57%. ქალაქის მოსახლეობის 75,4%-ს ქართველები შეადგენდნენ. უკანასკნელ პერიოდში, ქუთაისის ისტორიაში პირველად, ქალაქის მოსახლეობის მექანიკურ მატებას, უკვე ბუნებრივი მატება ჭარბობს, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

1959 წლის 15 იანვრისათვის საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული იყო 55.189 კაცი, რაც ქალაქის მთელი მოსახლეობის 43%-ს შეადგენდა. 1967 წლის დასაწყისისათვის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა 61,5 ათას კაცს გადააჭარბა.

მათგან ნახევარზე მეტი ჩაბმული იყო მრეწველობასა და მშენებლობაში. აღსანიშნავია, რომ ასეთ თანაფარდობას სხვა ქართული ქალაქების მაგალითზე ვერ ვხვდებით.

სოციალისტური წარმოების გადიდებამ მტკიცე ბაზა შექმნა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქალაქის მოსახლეობის ზრდას თან მოჰყვა საბავშვო ბაგებისა და ბაღების, სკოლებისა და ტექნიკუმების, ბიბლიოთეკებისა და კინო-თეატრების, ჯანმრთელობის დაცვისა და ·ფიზკულტურულ-სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა ქსელის გაფართოება. მკვეთრად გაიზარდა კომუნალური და საბინაო მშენებლობა. განხორციელდა ღონისძიებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად იზრდება როგორც მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, ასევე მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

სოციალისტური სახელმწიფო დიდძალ სახსრებს ხარჯავს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; აქ, პირველ რიგში, გვინდა დავასახელოთ დახმარება სოციალური დაზღვევის, ავადმყოფთა უფასო მკურნალობის, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე დახმარების, უფასო სწავლების, სტიპენდიებისა და სხვათა სახით. სისტემატურად იზრდება სახელმწიფოს მიერ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის გაღებული სახსრები.

სკკპ 23-ე ყრილობის დირექტივებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის თანახმად, უკვე დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს მუშა-მოსამსახურეთა გეგმაზომიერი გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე.

საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ აღმავლობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. 1967 წლის პირველი იანვრის

მდგომარეობით, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება მომსახურებას უწევს 16.524 პენსიონერს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედას. აღრიცხვაზე მყოფ პენსიონერთა შორის 1.216 სამამულო ომის ინვალიდია. განუწყვეტლივ იზრდება როგორც პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა რიცხვი, ასევე მათზე გაცემული პენსიებისა და დახმარების ოდენობა. სულ მათზე 1966 წელს გაცემულია 5.025 ათასი მანეთი. 1963 წელს მოხუცთათვის გაიხსნა სანატორიუმის ტიპის სახლი და სხვ.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გადიდდა მათი საშუალო-წლიური ხელფასი.

მშრომელთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად იმატა შემნახველ სალაროებში ანაბრების რაოდენობამ. ამჟამად ქუთაისის მოსახლეობას მომსახურებას უწევს ერთი ცენტრალური და 27 ძირეული შემნახველი სალარო. თუ 1957 წელს ქალაქის შემნახველ სალაროებში ანაბრების საერთო თანხა 8.761,4 ათას მანეთს შეადგენდა, 1967 წლის 1-ლი იანვრისათვის მან 23.638,5 ათას მანეთს მიაღწია. ამ პერიოდისათვის ქალაქში 37.939 მეანაბრე ითვლებოდა.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ზრდის მაჩვენებელია ისიც, რომ წლითი-წლობით დიდდება მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის საქონლის მიყიდვა. 1966 წელს, წინა წელთან შედარებით, მშრომელებს 5.495 ათას მანეთზე მეტი სასურსათო და სამრეწველო საქონელი მიეყიდა, რაც მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის გადიდებაზე მეტყველებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ანხორციელებს სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კურსს. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელთა სულ უფრო მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

მოქმედებაშია საპროგრამო ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. „კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება“ — ნათქვამია პარტიის პროგრამაში.

ქუთაისელი მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, სარგებლობენ ყველა ამ სიკეთით.

თავი მეექვსე

ქუთაისის კულტურული ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების წლებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ გრანდიოზულ სოციალურ გარდაქმნათა ბაზაზე განხორციელდა კულტურული რევოლუცია. კულტურული ჩამორჩენილობის, კვალიფიციური კადრებისა და სახსრების მწვავე ნაკლებობის ძნელ პირობებში შეიქმნა სახალხო განათლების ახალი სისტემა, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობის საყოველთაო წიგნიერება, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფი აღმავლობა. შეიქმნა ახალი, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისის კულტურულმა ცხოვრებამ ახალი შინაარსი მოიპოვა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად არნახულ სიმაღლეზე იქნა აყვანილი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე. გაიხსნა უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი. მრავალფეროვანი გახდა ლიტერატურული და თეატრალურ-მუსიკალური ცხოვრება, განვითარდა სპორტი. შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. საბჭოთა ხელისუფლების გარშემო სახალხო განათლების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დარაზმვის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ქუთაისის ინტელიგენციის აქტივმა, რომელიც 1927 წელს ჩამოყალიბდა საზოგადოების სახით. ინტელიგენციის აქტივის ინიციატივით

და ხელმძღვანელობით ქუთაისში ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომლებმაც ხელი შეუწყეს სოციალისტური კულტურის დამკვიდრებასა და მის შემდგომ განმტკიცებას.

§ 1. სახალხო განათლება. საფეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები

განათლება ჩვენს ქვეყანაში სახალხო გახდა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. რევოლუციამდე მშრომელთა მასების სურვილს, შეეძინათ ცოდნა და დაუფლებოდნენ მეცნიერების საფუძვლებს, წინ ეღობებოდა სოციალური უთანასწორობა და ეკონომიური სიდუხჭირე. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა უვიცობისა და უცოდინარობის წყვდიადში ჰყოლოდა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

უაღრესად მძიმე იყო ის მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მიიღო წარსულისაგან. რევოლუციის შემდეგ სახალხო განათლება სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო უბნად, კულტურული რევოლუციის საფუძვლად იქნა გამოცხადებული.

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე სახალხო განათლების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. 1921 წლის 25 მარტს ქუთაისის რევკომმა დაადგინა ქალაქში არსებული ყველა სკოლა დაქვემდებარებოდა სახალხო განათლების განყოფილებას, გაუქმებულიყო სწავლის ქირა, მოსწავლეებს უფასოდ მიეღოთ სახელმძღვანელოები და ცხელი საუზმე. ამ დადგენილების საფუძველზე სახალხო განათლების განყოფილებამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „მეცადინეობა სასწავლებლებში დაწყებულია 17 მარტიდან. წინადადება ეძლევათ მოწაფეებს შეუდგნენ თავიანთ საქმეს, მშობლებმა კი თავის პასუხისმგებლობის ქვეშ ხელი შეუწყონ ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას"[1]. ამგვარად, მეწშეეიკების განდევნიდან ერ-

---

[1] ს ცა ქ, ფ. 305, ს. 101, ფ. I.

თი კვირის შემდეგ, ქუთაისის სასწავლებლებში სწავლა განახლებულ იქნა. მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო დაუნდობელი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტრის — წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, საქართველოს რევკომმა, 1921 წლის 24 ივლისს, მიიღო დეკრეტი „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ მოსახლეობაში". ამ დეკრეტის საფუძველზე, 1921 წლის 19 ივლისს, ქუთაისის რევკომმა შექმნა საგანგებო კომისია სამი კაცის შემადგენლობით (გ. მეფარიშვილი, დ. მახარაშვილი, ი. ნინიკაშვილი), რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისათვის მაზრაში. 1921 წლის მაისში ქუთაისის რევკომის დადგენილებით გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ორთვიანი სკოლები[1], სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ანგარიშს, იმართებოდა საუბრები საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და სხვათა შესახებ, ეწყობოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ლექციები. სწავლება ასეთ სკოლებში უფასო იყო, მსმენელებს უფასოდ ეძლეოდათ სასწავლო ნივთებიც. სწავლა სავალდებულო იყო წერა-კითხვის უცოდინართათვის[2].

1921 წლის 17 ივლისს კლასიკური გიმნაზიის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მუშურ-გლეხური უნივერსიტეტი[3].

რევკომის არსებობის პერიოდში ქუთაისში გაიხსნა წერა-კითხვის შემსწავლელი 75 სკოლა, ორი საბავშვო სახლი, ოცამდე სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

1920—1921 სასწავლო წელს სწავლების შინაარსში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. 1923—1924 სასწავლო წლიდან ქუთაისის სკოლებში შემოღებული იქნა სწავლების ახალი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა სასწავლო პროცესის დაკავშირებას შრომასთან[4]. შეიქმნა ახალი ტიპის ზოგად-

[1] ა. კინწურაშვილი, „პირველი ღონისძიებანი ქუთაისში სახალხო განათლების დარგში", სტალინელი, 1962, № 175.

[2] ს ცა ქ, ფ. 305, ს. 101, ფ. 6.

[3] იხ. გაზ. „მუშა და გლეხი", 1921, № 21.

[4] ა. კინწურაშვილი, დასახ. სტატია.

საგანმანათლებლო სკოლა, რომელსაც „სოციალური აღზრდის მთლიანი სკოლა“ ეწოდა. ასეთ სკოლაში სწავლობდნენ 8—15 წლის ასაკის ბავშვები.

შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება. იკრძალებოდა ყოველგვარი რელიგიური რიტუალის შესრულება. სკოლიდან განდევნეს სასულიერო წოდების წარმომადგენლები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარ ამოცანად გადაიქცა ახალგაზრდობაში მტკიცე კომუნისტური რწმენისა და მაღალი მორალური თვისებების აღზრდა[1].

სახალხო განათლების დარგში რევოლუციურ-სოციალური რეფორმების გატარება მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. არ არსებობდა სათანადო მატერიალური ბაზა, არ იყვნენ ახალი ამოცანების შესაფერისად მომზადებული კადრები.

სწავლა-აღზრდის საბჭოთა სისტემის შემოღებას ქუთაისის სკოლებში ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი მტრულად შეხვდა. პედაგოგთა გარკვეული ჯგუფი საბოტაჟს უცხადებდა საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს სახალხო განათლების დარგში, აცდენდა გაკვეთილებს, მოსწავლეებში ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას და სხვ. ქუთაისის პედაგოგიური საზოგადოების ჯანსაღი, პროგრესული ნაწილი, რომელსაც გულწრფელად ახარებდა ჩვენი პარტიის ესოდენ დიდი ყურადღება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმისადმი, იმთავითვე მხარში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებას და აქტიურად იბრძოდა ახალი სკოლის შექმნისათვის.

უანგაროდ იღწოდნენ საბჭოური სკოლის განმტკიცებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ცნობილი ქუთაისელი პედაგოგები: ს. ხუნდაძე, ი. ფანცხავა, ვლ. ნაცვლიშვილი (ლ. ბზვანელი), ს. ყიფიანი, თ. ჭუმბურიძე, მ. ვარდოსანიძე, ნ. მეფისაშვილი, ნ. ქუთათელაძე, გ. წერეთელი, პ. წულუკიძე, ი. წულეისკირი, ნ. მისაბიშვილი და სხვ.

დიდი ეკონომიური სიძნელეების მიუხედავად, ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მას-

---

[1] უ. ობოლაძე, „სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში“, თბ., 1961, 58.

წავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი შრომისა და ამაგის დაფასებას.

დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით, 1923 წ. ქუთაისში დაარსდა პედაგოგიური ტექნიკუმი, ამავე წელს გაიხსნა მასწავლებელთა სახლი.

1924 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება (წერკუმსი)[1].

ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა მშენებლობამ ტექნიკურად მომზადებული კადრები მოითხოვა. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განეითარდა საშუალო სპეციალური და პროფესიული განათლება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისში დაარსებულ იქნა: ინდუსტრიული, რკინიგზის, სატრანსპორტო, აგრონომიული, კოოპერაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მეაბრეშუმეობის ტექნიკუმები, რკინიგზის სამშენებლო სასწავლებელი. გაიხსნა საქარხნო-საფაბრიკო სკოლები და მუშათა ფაკულტეტები (მუშფაკები). 1930 წლისათვის ქუთაისში არსებობდა აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში შემსელელთა მოსამზადებელი კურსები[2].

1921—1930 წლებში მთლიანად იქნა განხორციელებული დემოკრატიული, დედაენაზე დაფუძნებული, ერთიანი საერო სკოლის შექმნის ამოცანა. გადაიჭრა სკოლის გაეროვნების პრობლემაც. ეს გამოიხატა არა მარტო სწავლების მშობლიურ ენაზე შემოღებაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ახალი სკოლა კომუნისტური აღზრდის ზოგადკაცობრიულ ამოცანებს უნარიანად ახამებდა ეროვნულ თავისებურებებთან. ამ მხრივ, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეს. ქართული სკოლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაში თავისი საპატიო წვლილი შეიტანეს ქუთაისელმა პედაგოგებმა. მათ მოამზადეს და ქუთაისში სხვადასხვა დროს გამოსცეს შემდეგი სახელმძღვანელოები: თ. ბეგიაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორია", ს. გორგაძე „ჩვენი ძველი მწერლობა", ს. ხუნდაძე „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები", ს. ოცხელი და პ. წულუკიძე „არითმეტიკულ

[1] გაზ. „მუშა და გლეხი", 1923, № 20.
[2] გაზ. „ლენინის გზით", 1930, № 12.

ამოცანათა კრებული", კ. კანდელაკი „გეომეტრიის სახელმძღვანელო მე-2 საფეხურის შრომის სკოლებისათვის", ს. ოცხელი „ელემენტარული ალგებრა", ს. ოცხელი და ა. ნიჟარაძე, „დაწყებითი ფიზიკა" და მრავალი სხვ. სახელმძღვანელოების აქ წარმოდგენილი არასრული სია ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქუთაისელი პედაგოგების ნაყოფიერ თეორიულ-პრაქტიკულ მუშაობაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

1923 წელს ქუთაისის სამაზრო განათლების განყოფილება სცემდა ყოველკვირეულ პედაგოგიურ ჟურნალს „განათლების მოამბე", რომელიც ვრცლად აშუქებდა სასკოლო საქმის მდგომარეობას ქუთაისის მაზრაში. 1933—1934 წლებში გამოდიოდა „ქუთაისის განათლების განყოფილების ბიულეტენი".

1921—1930 წლებში შეიქმნა ყველა პირობა დაწყებითი განათლების სავალდებულო და საყოველთაო წესით განხორციელებისათვის.

ამ პერიოდში სახალხო განათლების წინაშე სამი ამოცანა იდგა: საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ცხოვრებაში გატარება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სკოლების პოლიტექნიზაცია. საბჭოთა სკოლის განვითარების ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებას „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ", რომელმაც მტკიცე მეთოდოლოგიური ბაზა შეუქმნა სახალხო განათლებას ჩვენში. განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა, გაიზარდა სასკოლო შენობების ფართობი, აიგო ახალი სკოლები, მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, სახელოსნოები. თუ 1920 წელს ქუთაისის 22 სკოლაში 6300 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი 310-ს აღწევდა, 1940 წლისათვის ქუთაისის 27 სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი 13000-ს შეადგენდა, მასწავლებელთა რაოდენობა კი 700-მდე გაიზარდა[1]. 1931—1940 წლებში მთლიანად იქნა

---

[1] ქუთაისი და მისი რაიონის მეურნეობა დინამიკაში, 1932, 19; „ქუთაისი — 1921—1941", 1941, 69.

ლიკვიდირებული წერა-კითხვის უცოდინარობა. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ქუთაისელ პედაგოგთა თავდადებულ შრომას ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ჩვენს ქალაქში კარგად ცნობილ მასწავლებლებს: ლაზარე ხმალაძეს, ნიკო ნუცუბიძეს, დომენტი ოყრეშიძეს, მიხეილ ჩინჩალაძეს, პლატონ წულუკიძეს და ვლადიმერ ნაცვლიშვილს მიეკუთვნათ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

სახალხო განათლების ახალი მძლავრი აღმავლობა დაიწყო დიდი სამამულო ომის შემდეგ. 1957 წელს ქუთაისში იყო 30 სკოლა 16494 მოსწავლით, მუშა-ახალგაზრდობის 6 სკოლა 1949 მოსწავლით და 7 ტექნიკუმი. განხორციელდა საყოველთაო შვიდწლიან სწავლებაზე გადასვლა და დაიწყო საყოველთაო-საშუალო განათლების შემოღება. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე ქალაქის 7 რვაწლიანი სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად. სწრაფად გაიზარდა ბავშვთა ბაგეებისა და ბაღების ქსელი. 1957 წელს ქუთაისში იყო 30 ბავშვთა ბაგა და ბაღი 2053 ბავშვით, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე მთელ რესპუბლიკაში 1922 წელს.

ამჟამად ქალაქში 47 სკოლაა 28,2 ათასი მოსწავლით[1]. მათ სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 1655 პედაგოგი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აიგო 10 ახალი სკოლა 20 952 კვ. მ. ფართობით; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 14 სასკოლო შენობას; აიგო აგრეთვე საბავშვო ბაღის 13 და ბაგა-ბაღის 4 შენობა, გაიხსნა 8 საბავშვო ბაღი და 4 ბაგა-ბაღი.

ქალაქის ყველა სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. მათი წიგნადი ფონდი 207.304 ეგზემპლარს შეადგენს. გარდა ამისა, მოსწავლეების განკარგულებაშია სათანადო ხელსაწყოებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები, კინო და სპორტული დარბაზები. ყველა პირობაა შექმნილი, რათა ახალგაზრდობა ღრმად ეუფლებოდეს მეცნიერების საფუძვლებს და იძენდეს შრომით ჩვევებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საყოველთაო სწავლების კანონის ცხოვრე-

---

[1] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической Революции, Тб., 1967, 248.

ბაში გატარების საქმეს, რასაც დიდად შეუწყო ხელი სკოლა-ინტერნატების და გახანგრძლივებული დღის რეჟიმის ჯგუფების გახსნამ. ქალაქის ორ სკოლა-ინტერნატში 760 აღსაზრდელი სწავლობს, ხოლო გახანგრძლივებული დღის 40 ჯგუფში გაერთიანებულია 1200 მოსწავლე. საღამოსა და დაუსწრებელ რვა საშუალო სკოლაში წარმოებისაგან მოუწყვეტლად განათლებას იღებს 2646 მოსწავლე. 1957—1967 წწ. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა ქალაქში 10 946-ით გაიზარდა. მარტო ეს ციფრი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ ზრუნვას იჩენს მშობლიური პარტია და მთავრობა სახალხო განათლების განვითარებაზე.

სკოლის გარეშე მუშაობის დარგში ქალაქის ცენტრალური დაწესებულებაა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელიც 4000-მდე მოსწავლეს აერთიანებს. სასახლესთან ჩამოყალიბებულია მხატვრული აღზრდის, ნორჩ-ტექნიკოსთა, მხარეთმცოდნეობის, სპორტის და სხვა განყოფილებები.

ხალისითა და დიდი ინტერესით მუშაობენ ქუთაისელი მოსწავლეები ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებში.

ნაყოფიერად მუშაობს მასწავლებელთა სახლი. მასთან 1962 წელს ჩამოყალიბდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელიც 1966 წელს მოზარდ-მაყურებელთა სახალხო თეატრად გადაკეთდა.

ქუთაისში არსებობს კულტურული-საგანმანათლებლო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს ბიბლიოთეკების, კლუბებისა და კულტურის სახლებისათვის.

კარგად არის ქუთაისში დაყენებული მრეწველობისათვის მუშათა კადრების მომზადების საქმე. ამ დიდმნიშვნელოვან უბანს ემსახურება პროფტექნიკური სასწავლებელთა დიდი ქსელი. მათ შორის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს № 37 სასწავლებელს, რომელიც შეიქმნა 1933 წელს აბრეშუმის კომბინატის ბაზაზე. სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა მუშაობს აბრეშუმის კომბინატში და მოწინავეთა რიგებში დგას.

№ 4 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც 1941 წლიდან არსებობს, ამზადებს: ხარატებს, მღარავებს, შემკეთე-

ბელ ზეინკლებს, მხაზველ-კონსტრუქტორებს, თერმისტებს და სხვ. სასწავლებელს აქვს პირველხარისხოვანი კაბინეტ-ლაბორატორიები და საწარმოო სწავლების საამქროები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი კონსტრუქციის ლითონმჭრელი ჩარხ-დანადგარებით.

1957—1958 სასწავლო წელს ელექტრომექანიკური ქარხნის ბაზაზე გაიხსნა № 3 პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ელექტრო, რადიო და კავშირგაბმულობის დარგის 18 სხვადასხვა სახის სპეციალისტებს ამზადებს. დღემდე მან ჩვენი ქალაქის მრეწველობას მისცა 1400-ზე მეტი მაღალკვალიფიციური მუშა.

ქუთაისის მეორე სამშენებლო ტრესტთან არსებულ № 21 პროფტექნიკურ სასწავლებელში (ჩამოყალიბდა 1960 წელს) მოსწავლეები ეუფლებიან კალატოზის, დურგლის, ხუროს, მლესავის, შემდუღებლის, მეარმატურის და სხვა სპეციალობებს. სასწავლებლის კურსდამთავრებულები ძირითადად ქუთაისის სამშენებლო ობიექტებზე მუშაობენ.

ქუთაისში რამდენიმე ტექნიკური — საშუალო სპეციალური სასწავლებელი არსებობს. კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი, რომელიც 1946 წელს ჩამოყალიბდა მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა მოემზადებინა კადრები საავტომობილო ქარხნისათვის. ამჟამად ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტებს შემდეგი განხრით: ავტომშენებლობა, ლითონის ჭრით დამუშავება, საიარაღო წარმოება, საჭედ-საატვიფრო წარმოება და სხვ. ქუთაისის ავტომექანიკურმა ტექნიკუმმა თავისი არსებობის მანძილზე გამოუშვა 3000-მდე საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი, რომელთა უმრავლესობა მუშაობს ქუთაისის საავტომობილო, სატრაქტორო და ელექტრომექანიკურ ქარხნებში.

1946 წელს მიიღო მოსწავლეთა პირველი ნაკადი ქუთაისის სამთო ტექნიკუმმაც. დღიდან დაარსებისა ტექნიკუმმა აღზარდა სხვადასხვა სპეციალობის 3360 სამთო ტექნიკოსი. ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხისა და ჭიათურის მაღაროებში საშუალო-ტექნიკური თანამდებობის მქონე პირთა 75—80%-ს ქუთაისის ტექნიკუმის კურსდამთავრებულები შეადგენენ.

ภาพที่ 10 ตลาดเทศบาลเมืองเชียงใหม่ ปีพ.ศ. 2500

1945 წელს ქუთაისში დაარსდა სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი, რომელიც აერთიანებს: ხე-ტყის დამზადების, ავეჯის წარმოების, საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის, საგეგმო-ეკონომიურ და სხვა სპეციალობებს.

ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმი 1928 წელს დაარსდა და დღემდე რესპუბლიკას 4212 საშუალო სამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტი მოუმზადა.

ქუთაისის ტექნიკუმებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმი. იგი გაიხსნა 1961 წელს და ამზადებს სამრეწველო და სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეებს და ვაჭრობის დარგის ბუღალტრებს.

1933 წლის თებერვალში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო და ქუთაისში დაარსდა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც სულ მალე მოწინავე პედაგოგიური კადრების ღირსეული სამკვედლო, ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა.

ინსტიტუტის არსებობის პირველ წლებში აქ მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ბერიტაშვილი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ალ. ჯანელიძე, ვ. თუფფარია, გ. ძოწენიძე, ა. ბოჭორიშვილი, გ. ჯიბლაძე, ვ. კოტეტიშვილი, პ. ქომეთიანი, გ. საბაშვილი, ივ. კაჭარავა, ნ. კეცხოველი, ალ. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. ნამორაძე, ნ. დუბროვსკი, ს. ქაქაბაძე, კ. ბაქრაძე, ი. ცინცაძე, მ. გოგიბერიძე, ალ. ფრანგიშვილი, გ. თავზიშვილი, მ. ზანდუკელი, ს. დანელია, გ. ხავთასი, ლ. გოკიელი, მ. მირიანაშვილი, მ. ბექაია, ალ. წერეთელი, ლ. მარუაშვილი, ვ. კოკოჩაშვილი, ა. ხარაძე, ი. მოსეშვილი, გ. ჯაკობია, ლ. მელიქსეთბეგი, ი. გვერდწითელი და მრავალი სხვა.

1933 წლის თებერვალში ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ოთხი განყოფილების მარტო პირველ და მეორე კურსებზე 700 სტუდენტი ირიცხებოდა. ხოლო 1941 წელს, ინსტიტუტის სტაციონარული განყოფილების

შვიდი ფაკულტეტის ყველა კურსზე — 2024 კაცი სწავლობდა[1].

1934 წელს ინსტიტუტში დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ჩამოყალიბდა. 1935 წლის ივლისში პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო კურსდამთავრებულთა (სულ 173 ახალგაზრდა პედაგოგის) პირველი გამოშვება, რომელიც სათანადო ზეიმით იქნა აღნიშნული.

1936 წელს, პედინსტიტუტის შექმნიდან სამი წლის თავზე აკად. კ. კეკელიძე წერდა: „მხოლოდ სამი წლის ისტორია აქვს ამ ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, ის უკვე იმდენად მომაგრდა, რომ... თამამად შეიძლება ჩვენში ის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტად ჩაითვალოს"[2].

1939 წლიდან დაიწყო ინსტიტუტის „შრომების" კრებულის გამოცემა, რამაც დიდი როლი შეასრულა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ადრე ინსტიტუტთან არსებობდა ასპირანტურა, რომელიც, 1958 წლამდე, 57 ასპირანტმა დაამთავრა. ინსტიტუტთან არსებობდა სტამბა, სადაც სამეცნიერო ნაშრომები და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალები იბეჭდებოდა.

1938 წლიდან ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. 1949 წელს ჩამოყალიბდა ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. მისი ინიციატივით, იმავე წელს, ქუთაისში ჩატარდა საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სამასწავლებლო სასწავლებლების სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. ამის შემდეგ ასეთი კონფერენციების მოწყობა ტრადიციად იქცა. ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების წარგზავნილებიც.

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მრა-

---

[1] ლ. ჭელიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 25 წლისთავზე, ქუთ. პედინსტ. შრ. ტ. 18, 1958, 011—012; სცაქ, ფ. 149, ს. 339, ფ. 30.

[2] გაზ. „სტალინელი", 1936, № 44.

ვალრიცხოვანი და შრომისმოყვარე კოლექტივი მხურვალე მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნისათვის, მშობლიური ქალაქისათვის ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში.

1960 წელს ინსტიტუტში საღამოს სწავლების განყოფილება შეიქმნა. ამჟამად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დღის, საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე სულ ირიცხება 3400 სტუდენტი (აქედან დღის განყოფილებაზე — 960). სტუდენტთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 167 ლექტორ-მასწავლებელი, რომელთა შორის 7 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 49 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატი. ამავე კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ინსტიტუტის 18 კათედრა, 37 კაბინეტ-ლაბორატორია, ზოოლოგიური მუზეუმი, ბიოლოგიური სადგური (8 ჰექტარი ფართობით), სამკითხველო დარბაზი, სასწავლო სახელოსნო, სპორტული დარბაზები და მოედნები. სტუდენტთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებელი, სასაღილო და სხვ.

ინსტიტუტში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სტუდენტთა ცეკვის, სიმღერის, საესტრადო ორკესტრისა და დრამატული კოლექტივები. 1958 წლიდან ინსტიტუტში არსებობს საზოგადოება „ქარიშხალას" სპორტული კლუბი. ინსტიტუტთან მუშაობს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები.

ინსტიტუტის სამეცნიერო-ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავია რესპუბლიკაში. მისი წიგნადი ფონდი ამჟამად 337 468 ეგზემპლარს შეადგენს. ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალურ გამოცემათა მდიდარი ფონდი.

ინსტიტუტში ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა გაჩაღებული. 1939 წლიდან დღემდე გამოცემულია სამეცნიერო შრომების 30 ტომი, სადაც 600-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა დაიბეჭდა. გარდა ამისა, ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა მრავალი ნაშრომი, სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურა გამოვიდა ცალკე წიგნად. 1958 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 25 წლისთავი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მეცნიერული კადრების აღზრდისა და დახელოვნების საქმეში. ამჟამად პედაგოგიური ინსტიტუტი მთლიანად საკუთარი მეცნიერული კადრებით არის დაკომპლექტებული. ინსტიტუტში აღიზარდა მეცნიერების საფუძვლების ღრმა ცოდნით შეიარაღებული და პედაგოგიური მუშაობისათვის სათანადოდ მომზადებული 16,5 ათასზე მეტი სპეციალისტი. ისინი თავდადებით მუშაობენ საქართველოს ყველა კუთხეში.

ყოველწლიურად იზრდება და ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულება ხდება ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ქუთაისის ფაკულტეტი. ფაკულტეტმა ასობით მშენებელი, მექანიკოსი, ქიმიკოსი, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა დარგების სპეციალისტი მიაწოდა სახალხო მეურნეობას. ამჟამად აქ ლექტორ-მასწავლებელთა 60 პროცენტს ადგილობრივი კადრები შეადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში უმაღლესი ტექნიკური განათლების განვითარების ფართო პერსპექტივები არსებობს.

როგორც ცნობილია, 1952 წელს ქუთაისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1959 წლის ზაფხულში იგი გადატანილ იქნა ქ. სოხუმში. ამის შემდეგ ქუთაისში მოქმედებდა ამ ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ქუთაისის განყოფილება, მაგრამ ისიც, უკანასკნელ დროს, გაუქმებულ იქნა. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში.

პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი, რომელიც 1953 წელს ჩამოყალიბდა. იგი მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს 28 რაიონს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ფილიალში კვალიფიკაცია აიმაღლა 14 265 სპეციალისტმა. ფილიალს მჭიდრო კავშირი აქვს უმაღლეს სასწავლებლებთან, სკოლებთან, პრაქტიკოს მასწავლებლებთან. დანერგილია ცალკეულ პრობლემატურ თემებზე

სემინარების, კურსსემინარებისა და სხვა ღონისძიებათა სისტემატური ჩატარება.

1956 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო (სკბ), რომელიც სსრ კავშირის ხელსაწყოთა მშენებლობის და ავტომატიზაციის სამინისტროს ემორჩილება. სკბ-მ, თავისი არსებობის მანძილზე, შექმნა და დაამუშავა 130 ხელსაწყო, აქედან სახელმწიფო და საუწყებათაშორისო გამოცდა გაიარა 61 ხელსაწყომ. სერიულად იქნა გამოშვებული სხვადასხვა დასახელების 51 ხელსაწყო, რომლებიც დაინერგა სახალხო მეურნეობაში. სკბ-ს მიერ შემუშავებული ხელსაწყოების საერთო ეკონომიური ეფექტიანობა 1845,6 ათას მანეთს შეადგენს. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია: ჩაის ნახევარფაბრიკატების, პურის ფქვილის და გაურეცხავი მატყლის ტენმზომები, ძეხვის ფარშში მეტალური მინარევების აღმომჩენი ხელსაწყო. სკბ-ს თანამშრომლებს გამოგონებათათვის მიღებული აქვთ 24 საავტორო მოწმობა.

სკბ-ში დამუშავებული და შექმნილი ხელსაწყოებიდან 40 გატანილი იყო რესპუბლიკურ და საკავშირო, ხოლო 9—მსოფლიო გამოფენაზე. საკავშირო სახალხო მეურნეობის ძიღწევათა გამოფენის ჯილდოები დაიმსახურეს: ჩაის ნახევარფაბრიკატების, თამბაქოს, ტყავის, აბრეშუმის ნედლეულის, ფქვილის ტენმზომებმა და ჩაის ზედაპირული სინესტის განმსაზღვრელმა ხელსაწყოებმა. გამოფენაზე მედლები დაიმსახურეს ნ. გეეტაძემ, ა. იაკობაშვილმა, ვ. დიდიძემ, თ. ჯავახაძემ. ასევე მაღალი შეფასება ხვდა წილად 1960—1966 წლებში უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინდონეზიასა და კუბაში საერთაშორისო გამოფენებზე თამბაქოს, ჩაის, ფქვილისა და აბრეშუმის ნედლეულის ტენმზომებს.

სკბ-ს მეცნიერ-მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომები ცნობილია არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

1959 წელს გაიხსნა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი—„საქქალაქმშენსახპროექტის“ ქუთაისის ფილიალი, რომელიც ემსახურება დასავლეთ საქართველოს (აჭარისა და აფხაზეთის ასსრ გარდა) ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში სამოქალაქო მშენებლობის საქმეს.

ამჟამად ფილიალი ემსახურება დასავლეთ საქართველოს 24 რაიონს და 4 ქალაქს, ქუთაისის ჩათვლით.

ფილიალში დამუშავებული პროექტებით აგებულია და იგეგმა საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები და სხვ.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებს ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგური, რომელიც 1930 წლიდან არსებობს. საცდელი სადგურის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ შექმნილია რამდენიმე გაუმჯობესებული მანქანა, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს სახალხო მეურნეობაში. ასეთებია: ჰიბრიდული გრენის დასამზადებელი საჭირო თაროები (ნ. თევზაძე), პარკის სქესად დამყოფი მანქანა (ა. უგრეხელიძე), პარკის სახვეწი აპარატი (გრ. ნემსაძე) და სხვ. კ. მარჯანიშვილმა და ჯ. დოლიძემ გამოიყვანეს თუთის ხის ახალი ჯიშები „ქუთათური მეორე“ და „ქუთათური მესამე“.

საცდელ სადგურთან არსებობს თუთის აბრეშუმიხვევიას მდიდარი ცოცხალი კოლექცია, რომელშიაც წარმოდგენილია ასზე მეტი როგორც ადგილობრივი, ასევე მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოტანილი სახეობა.

დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებს ქუთაისის მებოსტნეობის სასელექციო სადგური, რომელიც 1938 წელს ჩამოყალიბდა. 1956 წლიდან სადგური საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სისტემაში შედის.

მრავალი წლის მუშაობის შედეგად, საცდელი სადგურის მეცნიერ-თანამშრომელთა და სელექციონერთა მიერ გაუმჯობესებული და დარაიონებულია რესპუბლიკაში საკონსერვო მრეწველობისათვის გამოსაყენებელი ტყემლის, ბადრიჯნის, პამიდორის, მწარე წიწაკის, ნივრის და ა. შ. საუკეთესო ჯიშები. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, საცდელი სადგურის მეცნიერ-თანამშრომლები ნაყოფიერ თეორიულ მუშაობასაც ეწევიან.

1961 წლიდან ქუთაისში არსებობს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილია-

ლი, რომელსაც აქვს ბოსტნეულის კონსერვის ტექნოლოგიის და ტექნო-ქიმიური განყოფილებანი, აგრეთვე მიკრობიოლოგიური ლაბორატორია.

§ 2. ლიტერატურა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში ფართოდ იყო წარმოდგენილი ანტირეალისტური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური იდეების მატარებელი ლიტერატურული დაჯგუფებანი. ამავე დროს ვითარდებოდა და მტკიცდებოდა პროლეტარული მწერლობა, რომელსაც მხარს უმაგრებდა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები. ამ პერიოდში ქუთაისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სხვადასხვა თაობისა და ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენლები: დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, დომენტი თომაშვილი, იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე), შალვა კარმელი (გოგიაშვილი), დავით მესხი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, თეოფილე ხუსკივაძე და სხვ.

ქუთაისში, ამ ხანებში, განსაკუთრებით ძლიერი იყო სიმბოლისტური მიმართულების „ცისფერი ყანწების" ტრადიციები. ირაკლი აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქუთაისი წარმოადგენდა ქართული დეკადენტური ახალგაზრდობის მონმარტსა და ლათინურ კვარტალს. აქ შეიქმნა ცისფერყანწელთა ჯგუფი, რომელმაც 1916 წელს გამოცა ჟურნალი „ცისფერი ყანწები". ქუთაისში გამოდიოდა თავდაპირველად ცისფერყანწელთა ორგანო „მეოცნებე ნიამორები". ამ ჯგუფში შედიოდნენ შემდეგში სახელმოხვეჭილი საბჭოთა პოეტები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი და სხვ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, მხარს უჭერდნენ რა პროლეტარულ მწერლობას, ამავე დროს ცდილობდნენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალები ჩაეყენებინათ ხალხის, სოციალისტური მშენებლობის სამსახურში, ეს იყო ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი. ქართ-

ველი მწერლები და პოეტები თანდათანობით თავისუფლდებოდნენ დეკადენტურ-სიმბოლისტური შეხედულებებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია იდეოლოგიური ბრძოლა სხვადასხვა დაჯგუფებებსა და მიმდინარეობებს შორის. 1922 წ. 6 მაისს ქუთაისში გაიხსნა მწერალთა სახლი. ამავე წელს გამოიცა ჟურნალები: „უქიმერიონი“ და „პოეზიის დღე“. მათში თანამშრომლობდნენ ძირითადად დეკადენტთა ჯგუფის წარმომადგენლები: ჯ. ჯორჯიკია, შ. ჩარკვიანი, ი. ჯორჯაძე, ტ. გრანელი, დ. ჩიანელი, დ. ცაგარელი და სხვ. ძველი თაობიდან: ნ. ლორთქიფანიძე, ს. ბუნდაძე, თ. ხუსკივაძე და სხვ.

1923 წლის 15 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება. სულ მეტად იზრდებოდა მწერალთა დაინტერესება ოქტომბრის რევოლუციის თემით. 23 ნოემბერს გ. მდივანმა მწერალთა სახლში გააკეთა მოხსენება თემაზე „ოქტომბრის რევოლუცია და თეატრი“, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია. იმავე წელს ქუთაისის მწერალთა კავშირმა გამოსცა ჟურნალი „კოლხეთი“, რომელშიაც ძირითადად დეკადენტი მწერლების შემოქმედება იყო წარმოდგენილი. კრიტიკული წერილებიდან აღსანიშნავია ვ. წერეთლის სტატია „ძველი და ახალი“, რომელშიაც მოცემული იყო სიმბოლისტების იდეური მრწამსის შეფასება. თბილისელთა მსგავსად, ქუთაისელმა ფუტურისტებმაც გამოსცეს მანიფესტი, რომელიც რუს და დასავლეთ ევროპის ფუტურისტთა შეხედულებების კომპილაციას წარმოადგენდა. მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლებში გზას იკაფავდა პროლეტარული მწერლობა.

პროლეტარულ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პირველი ორგანო იყო ჟურნალი „დინამიტი“ (1924 წ.), შემდეგ წლებში გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა ჟურნალები: „ოქტომბრის ზვირთი“, „რიონი“, „პროლეტარული მწერლობა“ და „წითელი აფრა“. გამოიცა აგრეთვე ჟურნალი „უშბა“ და ლიტერატურული ალმანახი „გრდემლი“.

ამ ჟურნალების ფურცლებზე გამოიქედა პროლეტარული მწერლობის ის ფრთა, რომელმაც გადაჭრით დააყენა საკითხი

სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის შესახებ. ამავე ჟურნალების ფურცლებზე მოხდა. სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელთა იდეოლოგიური ევოლუცია, რამაც ისინი საბჭოთა სინამდვილემდე მიიყვანა. ერთდროულ ლიტერატურულ გაზეთში „10 წელი", რომელიც 1931 წლის 25 თებერვალს გამოსცა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილებებმა, ჯაჯუ ჯორჯიკია ასე მიმართავდა თავის თანამოკალმეებს: „ამხანაგო მწერლებო! ჩვენი ვალია ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში, ყოველი ჩვენი სიტყვა უნდა იყოს მიმართული ჯერ არგაგონილ მშენებლობის განმტკიცებისაკენ.

კლასიური მტრის წინააღმდეგ მიმართული შეტევის პერიოდში მწერლის დუმილი აშკარა მტრობას ამტკიცებს.

დროა, როგორც არასდროს, ჩვენც ჩავებათ მშენებლობის საერთო ფერხულში და ჩვენც ჩვენი აგური მივიტანოთ ახალი ქვეყნის ასაშენებლად".

ამ ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნებული მასალები გვარწმუნებენ, რომ ქუთაისელ მწერალთა საუკეთესო ნაწილი უკვე ცდილობდა საბჭოთა პოზიციებზე დადგომას და მხატვრულ სახეებში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მომხდარი დიდი სოციალურ-ეკონომიური ძვრების ასახვას. ქუთაისელი მწერლები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მონაწილეობდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხელმძღვანელობდნენ მუშათა ლიტერატურულ წრეებს, სწავლობდნენ სოციალისტურ სინამდვილეს, თავიანთ ნაწარმოებებში უმღეროდნენ ვ. ი. ლენინს, შრომის დამკვრელებს, კოლმეურნეებს და ა. შ. 1930 წლის მაისში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების ინიციატივით ქუთაისის ოლქში ჩატარდა პროლეტარულ მწერალთა კულტურული ლაშქრობა. ლაშქრობის დროს მწერლები ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდიოდნენ მხატვრული ლიტერატურის კითხვით, მოხსენებებით ხელოვნების საკითხებზე, აყალიბებდნენ ლიტერა-

ტურულ წრეებს და სხვ. მწერალთა ბრიგადები მიბმაგრებული იყვნენ ჩვენი ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებზეც.

პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ხელმძღვანელობას და ამ ასოციაციის ქუთაისის განყოფილებას ჰქონდათ შეცდომებიც. მაგალითად, მათ გამოაცხადეს გაწვევა მწერლობაში. ყოველ მუშას, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა, შეეძლო განცხადებით მიემართა მწერლობაში მიღების შესახებ; წარმოების მსგავსად, შემოიღეს დამკვრელობა ლიტერატურაში. მოეწყო მწერალთა რიგების წმენდა და სხვ. 1931 წლის 18 ივნისს ქუთაისში გამოვიდა ერთდროული გაზეთი „მწერლობის დამკვრელი", რომელშიც საყურადღებო მასალებთან ერთად, მოთავსებული იყო მწერლობაში გაწვეული მუშების მხატვრულად უსუსური ნაწარმოებები.

ეს შეცდომები გამოსწორებულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებით — სალიტერატურო-საგ-ხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. გაუქმდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და მწერლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, გაერთიანდნენ საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირად.

ამ დადგენილების შესაბამისად, ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილება, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო დია ჩიანელი. განყოფილება 1932—1934 წლებში სცემდა ლიტერატურულ გაზეთს „საბჭოთა მწერალი", ხოლო 1934—1935 წლებში გაზეთ—„სიტყვა და საქმეს". ამ ორგანოების გარშემო იყვნენ დარაზმულნი ქუთაისში მომუშავე როგორც ძველი თაობის მწერლები, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდები. მათ შემოქმედების ნიმუშებს ხშირად უთმობდა ადგილს აგრეთვე საქალაქო გაზეთი „მუშა და კოლმეურნე". 30-იან წლებში ქუთაისში მოღვაწეობდნენ: დ. ჩიანელი, დ. თომაშვილი, ე. ფურცხვანიძე, მ. ასათიანი, ვ. დარასელი, ლ. ბზვანელი, პ. ბახტურიძე, გ. სამხარაძე, კ. თავბერიძე, ბ. კეშელავა, ი. ხოშტარია, ს. თევანიძე (ფხაკაძე), დ. კვირკელია, მ. ალავიძე, ს. ისიანი, ს. ახვლედიანი, შ. ჩარკვიანი, გ. ჯიბლაძე, კ. მეძველია, ა. სინაური, შ. ქურიძე, რ. თავდიდიშვილი, ნ. აგიაშვილი, ვ. რუხაძე,

ბ. პატარიძე. ვლ. გუგუშვილი, ვ. ლალიაშვილი და სხვ. 40-იან წლებში მათ შეემატნენ: ა. გურჯიძე, ვ. გვეტაძე, გრ. იმედაძე, რ. ბეროძე, ო. მამფორია და სხვ. ქუთაისია ლადო ასათიანის ლიტერატურული სამშობლო, აქ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. ლადო აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1933 წელს ქუთაისელმა მწერლებმა გამოსცეს ალმანახი „რიონჰესი ლექსებში", რომელშიაც ისინი უმღეროდნენ საქართველოს ამ ერთ-ერთ მძლავრ ჰიდროელექტროსადგურს, მის მშენებლებს და მოწინავე ადამიანებს. ამავე წლის 16 მაისს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ინიციატივით თეატრში მოეწყო მ. ჯავახიშვილის ცნობილი რომანის „არსენა მარაბდელის" საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: დ. ჩიანელმა, ტ. ტაბიძემ, გ. ახვლედიანმა, გ. სამხარაძემ და სხვ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილი.

სამამულო ომის დღეებში ქუთაისის მწერალთა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ.

კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება დიდი სამამულო ომის შემდეგ. მწერლობაში მოვიდა ახალი ნაკადი, რომელიც მხარში ამოუდგა უფროსი თაობის წარმომადგენლებს.

უკანასკნელ წლებში გამოვიდა ა. სინაურის, გ. სამხარაძის, ა. გურჯიძის, დ. ახობაძის, რ. ბეროძის, ლ. ნუცუბიძის, ზ. კუხიანიძის, დ. ხუროძის, მ. კაკიტელაშვილის, შ. ტოგონიძის, შ. ნიჟარაძის, გ. კაპანაძის ახალი ლექსების წიგნები, დ. კვიცარიძის, ლ. სანიკიძის, ს. ფხაკაძის მოთხრობების კრებულები, კ. მეძველიას, მ. ალავიძის, ს. არველაძის კრიტიკული ნარკვევები და სხვ. ქუთაისისა და საქართველოს სხვა თეატრების სცენებზე წარმატებით იდგმება ლ. სანიკიძის პიესები: „ქუთათურები", „მედეა", „გაიუს გრაკხი", „ნერონი", ქუთაისის თეატრში სხვადასხვა დროს იდგმებოდა დ. კვიცარიძის პიესები „თოვლიან ღამეს", „მამის კვალზე" და „გამბრჯობა ჩემო ქალაქო".

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის

განყოფილება ყოველწლიურად სცემს მხატვრულ-ლიტერატურულ კრებულს „რიონს“, აწყობს ლიტერატურულ-მასობრივ ღონისძიებებს, ახალი წიგნების განხილვას, დამწყებ პოეტთა დაუბეჭდავი ლექსების კითხვას, დისპუტებს, შეხვედრებს მკითხველებთან.

1966 წლის შემოდგომაზე ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 600 წლისთავი.

ფართოდ აღნიშნა შოთა რუსთაველის იუბილე ქალაქმა ქუთაისმაც. აქ ზეიმმა საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში მოეწყო რუსთაველისადმი მიძღვნილი სტენდები, გამოვიდა სპეციალური კედლის გაზეთები, ჩატარდა დილა-საღამოები, დამზადდა საიუბილეო ალბომები და ა. შ. ქალაქის მწერალთა კლუბთან შეიქმნა „რუსთაველის ლექტორიუმი“, სადაც ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი ქართველი რუსთველოლოგები.

ქალაქის მოედნები, ქუჩები, სახლები, ყვავილებით და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი სურათებით დამშვენდა. ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში ჩატარდა დიდი საიუბილეო საღამო, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და გელათში მოეწყო გამოფენები, გამოვიდა გაზეთი „რუსთაველი“.

დიდი სახალხო ზეიმი ჩატარდა გელათში. ქუთაისიდან გელათისაკენ მიმავალ გზაზე გაიხსნა „შოთას წყარო“.

რუსთაველის დღეებში ქუთაისს ეწვია საქართველოში იუბილეზე ჩამოსულ საპატიო სტუმართა ერთი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ: ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, ავსტრიელი პოეტი, რუსთაველის პოემის მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი, პოლონელი მხატვარი ტერეზა იაკუშოვსკა, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი იულის ასფალგი, მიუნსტერის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგი კარლ ჰორს შმიდტი, იენის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გერტ-

რუდა პეჩი და სხვ. სტუმრები გაეცვნენ ქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს და ფაბრიკა-ქარხნებს.

ასრულდა პოეტის სიტყვები, — „მიღწვიან მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები".

§ 8. თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ქართულ თეატრს განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა, უჩვენა გზა მაღალ იდეურობისა და ჭეშმარიტი ხალხურობისაკენ. თეატრი, რომელიც წინათ ცალკეული პატრიოტი მამულიშვილების და საქველმოქმედო საზოგადოებათა ანაბარა იყო მიტოვებული, მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებად იქცა აღიარებული. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავის გარშემო შემოიკრიბეს ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები და ყოველგვარი პირობები შეუქმნეს მათ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ქუთაისში თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს.

1921 წლის მარტში, ქუთაისის რევკომის დავალებით შ. დადიანს წინადადება მიეცა განეახლებინა დასის მუშაობა, დახმარებოდა წითელარმიელთა დრამატულ წრეს[1]. რევკომმა შესძლო გამოენახა სათანადო სახსრები სანახევროდ დანგრეული თეატრის შენობის შესაკეთებლად და მსახიობთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. განათლების განყოფილებასთან დაარსდა ხელოვნების ქვეგანყოფილება.

1921 წლის 7 აპრილს ქუთაისის დასმა მუშაობა განაახლა. წარმოადგინეს დ. ერისთავის პოპულარული პიესა „სამშობლო". ამავე დროს, იყო ცდები ქუთაისში სატირული თეატრის დაარსებისა. 1921 წლის 5 ივნისს გაზეთმა „მუშა და გლეხმა" მოათავსა ცნობა ასეთი თეატრის დაარსების შესახებ.

[1] შ. დადიანი, „რაც გამახსენდა", თბ., 1959, 202—203.

1922 წლის 25 ნოემბერს დიდმა ქართველმა რეჟისორ. კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში დადგა ესპანელ მწერლის ლოპე დე-ვეგას ცნობილი პიესა „ცხვრის წყარო“, რომელსაც ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად. ეს დღე აღიარებულია ქართული საბჭოთა თეატრის დაბადების დღედ. ამ სპექტაკლის წარმატებამ ცხადყო, რომ ქართული თეატრის დემოკრატიული და პროგრესული ტრადიციები არის ის მკვიდრი საფუძველი, რომელზედაც უნდა აიგოს საბჭოთა თეატრის შენობა.

1923 წლის სეზონში ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ თეატრს შეუქმნა მტკიცე მატერიალური ბაზა და ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ გადაჭრით გაუმჯობესებულიყო სპექტაკლების დადგმის როგორც იდეურ-მხატვრული, ასევე ტექნიკური დონე. დრამატული დასის რეჟისორ-ხელმძღვანელად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი მსახიობი იუზა ზარდალიშვილი. დასში სამუშაოდ მოიწვიეს საქართველოში სახელმოხვეჭილი მსახიობები: ელ. ჩერქეზიშვილი, ვალ. გუნია, ს. ყალაბეგიშვილი, ვ. გამყრელიძე, ე. სიბილა, თ. ღვინიაშვილი, თ. ჩარკვიანი, ე. აფხაიძე, ო. ღოღობერიძე, ნ. მაჭავარიანი, ა. მურუსიძე, მ. სარაული, ვ. ჩხიკვაძე, შ. ჯაფარიძე, გ. კოსტავა და სხვ. თეატრის რეპერტუარში შედიოდა პიესები: შექსპირის „ჰამლეტი“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, სუვორინის „მედეა“, შ. დადიანის „მღვიმეში“. ს. შანშიაშვილის „ლატავრა“ და სხვ.

1924 წლის მაისში ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრი კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით. თეატრმა ქუთაისის მაყურებლებს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები: ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყარო“, დ. სინგის „გმირი“, ე. ტოლერის „კაცი მასა“ და ხ. ბენავენტის „ინტერესთა თამაში“. ეს იყო რუსთაველის თეატრის მიერ სამი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ერთგვარი ანგარიში მომთხოვნი, მაღალი თეატრალური გემოვნების მქონე ქუთაისელ მაყურებელთა წინაშე.

1925—1926 წლის სეზონში ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დასის შედგენა და რეჟისორობა მიანდო რესპუბლიკის სა-

ხალხო არტისტს ალ. იმედაშვილს. ამ სეზონში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა შექსპირის „მაკბეტის“ დადგმა.

1926 წლის ოქტომბერში სამაზრო აღმასკომმა ხელშეკრულება დადო რ. ბარველთან დასის ხელმძღვანელობის შესახებ. რეჟისორად მოწვეულ იქნა შ. მანაგაძე. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა დაედგა ქუთაისელი მწერლის დია ჩიანელის პიესა „ბეთქილი“. პიესის დადგმამ დიდი ხარჯები მოითხოვა, მაგრამ სამაზრო აღმასკომის დახმარებით, რომელიც გულწრფელად იყო დაინტერესებული თეატრის წარმატებებით, ეს დაბრკოლება დაძლეულ იქნა[1].

1926—1927 წლის სეზონში ქუთაისის თეატრში 6 ახალი სპექტაკლი დაიდგა: „კონტრაბანდისტები“, „წარღვნა“, „ჯაყოს ხიზნები“ (ნ. გოძიაშვილის დადგმები), „იმერიდა“, „ზურაბ თეგაური“ და „ახალი ადამიანი“ (შ. მანაგაძის დადგმები)[2].

მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური სეზონები ყოველწლიურად შეუფერხებლად ტარდებოდა (აქ ჩამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები და სხვ.), მაინც იგრძნობოდა, რომ აუცილებელი იყო ქუთაისში მუდმივი თეატრის შექმნა. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო ყოველწლიურად ეძებნა რეჟისორი, დასის ხელმძღვანელი და ცალკეული მსახიობებიც კი. ამის გამო, სამაზრო აღმასკომმა 1927 წლის დასაწყისში თხოვნით მიმართა რეჟისორ სანდრო ახმეტელს დახმარება გაეწია ქუთაისისათვის მუდმივი თეატრის შექმნის საქმეში[3]. ს. ახმეტელმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მან ვერ შესძლო თავისი პირობა შეესრულებინა.

1927—1928 წლის თეატრალურ სეზონს ქუთაისში ხელმძღვანელობდა მ. ქორელი. ამ სეზონში პირველად დაიდგა ქუთაისის სცენაზე გ. ლავრენიევის პიესა „რღვევა“. რეპერტუარში შედიოდა აგრეთვე პიესები „წმ. ლორგენის დღესას-

---

[1] ს. ცა ქ. ფ. 296, აღწ. I, ს. 324, ფ. 86.
[2] ი ქ ვ ე. ფ. 189.
[3] ი ქ ვ ე. ს. 864, ფ. 41.

წაული", „ქარიშხალი შორის", „პროტესტი", „მგლები" გარეტი" და სხვ.

1928—1929 და 1929—1930 წლების თეატრალურ სე' ში ქუთაისში ჩამოვიდა თეატრი, რომელსაც სათავეში ე: დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. იოსებ გრიშაშვილი წერ. და: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქუთაისს რაღაც მიმზიდ ველი ძალა ახასიათებს. ჩვენი ძველი აქტიორები იქ, იმ თეატ-რალურ ბუდეში უფრო კარგად მუშაობდნენ. „ურიელ აკოს-ტას" გავიხსენებ: განა ლადო მესხიშვილმა პირველად ეს პიესა ქუთაისში არ განასახიერა? განა კოტე მარჯანიშვილმა იგივე „ურიელ აკოსტა" ქუთაისში არ შექმნა და იქიდან არ ჩამოიტანა თბილისში, რომ თეატრალური მაყურებლები გაეგიჟებინა"?[1].

ამ „თეატრალურ ბუდეში", კოტე მარჯანიშვილთან ერ-თად, ჩამოვდინენ ქალები: ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე დო-ნაური, სოფიო ვაჩნაძე, მერი დავითაშვილი, ცეცილია წუწუ-ნავა, თამარ ჭავჭავაძე და სხვ. ვაჟები: შაქრო გომელაური, ალექსანდრე იმედაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, სერგო ზაქარიაძე, კაკო კვანტალიანი, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხე-იძე, გრიგოლ კოსტავა და სხვ. ქუთაისში დასს შეემატა: იუზა ზარდალიშვილი, შალვა ხონელი, ანდრო მურუსიძე, ვარლამ ჩხიკვაძე, შალვა ჯაფარიძე და კაპიტონ აბესაძე.

მხატვრებად მოიწვიეს პეტრე ოცხელი, ელენე ახვლედია-ნი, ლადო გუდიაშვილი, პროფ. შარლემანი, აკადემიკოსი ლან-სერე და დავით კაკაბაძე.

რეჟისორებად მუშაობდნენ: დოდო ანთაძე, გრიგოლ სუ-ლიაშვილი და ვახტანგ აბაშიძე; სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდა კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი, დირიჟორობ-და — ალ. გველესიანი, ხოლო ქორეგორაფიულ საქმეს განა-გებდა დავით მაჭავარიანი.

ეს თეატრი დაამშვენებდა ევროპის რომელიც. გნებავთ პირველხარისხოვან ქალაქს.

თეატრის რეპერტუარში შედიოდა: ე. ტოლერის „ჰოპლა,

---

[1] ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები", თბ., 1957, 435.

ჩვენ ვცხოვრობთ!", ბ. შოუს „წმინდა ქალწული", კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" და კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს".

ქუთაისის თეატრალური საზოგადოება, და არა მარტო ქუთაისის, მოუთმენლად მოელოდა სეზონის გახსნას.

სეზონი გაიხსნა პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცხოვრობთ!"

სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. დამსწრე საზოგადოებამ იგონებს დ. ანთაძე, — „ერთხმად აღიარა, რომ თეატრი სწორ გზაზე დგას, რომ ეს არის ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების ახალი ეტაპი"[1].

გარდა ამ პიესისა, 1928—1929 წლის სეზონში დაიდგა: ბ. შოუს „წმინდა ქალწული", გუცკოვის „ურიელ აკოსტა", შ. დადიანის „კაკალ გულში", კ. კალაძის „როგორ", პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს" და სხვ. აღდგენილ იქნა ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყარო".

ეს სეზონი დამთავრდა თბილისში წარმატებით ჩატარებული გასტროლებით.

1929—1930 წლის სეზონი გაიხსნა დია ჩიანელის პიესით „ბაილი". შემდეგ დაიდგა დ. შენგელაიას „თეთრები", ა. ქუთათელის „შუალამემ გადაიარა", გ. ბუხნიკაშვილის „კი, მაგრამ", კ. კალაძის „ხატიჯე", შელის „ბეატრიჩე ჩენჩი" და სხვ.

სეზონის დამთავრების შემდეგ კ. მარჯანიშვილმა თავისი დასი საგასტროლოდ წაიყვანა ხარკოვსა და მოსკოვში. პირველად ჩვენი თეატრის ისტორიაში, ქართული დასი უნდა შეხვედროდა არაქართველ მაყურებლებს.

საყოველთაოდ ცნობილია ამ გასტროლების ბრწყინვალე შედეგები: უკრაინისა და რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ აღიარა, რომ კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი თეატრი თავისი შემოქმედებითი წონით თამამად უდგას გვერდში რუსეთისა და მსოფლიოს წამყვან თეატრებს. ეს იყო ქართული თეატრალური ხელოვნების დიდი ტრიუმფი.

1930 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

---

[1] დ. ანთაძე. „დღეები ახლო წარსულისა", თბ., 1965, ტ. 2, 11—13.

კ. მარჯანიშვილის დასი თბილისში გადაიყვანეს, ხოლო ქუთაისის თეატრის რეჟისორად დაინიშნა მ. ქორელი.

1931—1932 წლებში ქუთაისში სამუშაოდ ჩამოვიდა კ. მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა ერთი ნაწილი. ამ დროს სარეჟისორო კოლეგიაში შედიოდნენ გ. სულიაშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ა. მიქელაძე, და სხვ. დასი შედგებოდა შემდეგი მსახიობებისაგან: კ. კვანტალიანი, გ. კოსტავა, ს. ზაქარიაძე, მ. დავითაშვილი, ჭ. ბეგალიშვილი, ს. ეაჩნაძე, თ. ჩარკვიანი, ა. გომელაური, მედ. ქორელი, ნ. ილურიძე, შ. ქორელი, კ. გოგიაშვილი და სხვ. წარმატებით განხორციელდა დადგმები: „გულადი ჯარისკაცი შვეიკი", „გუტა", „უნდა დავიპყროთ" და სხვ.

1933—1934 წლის სეზონში ქუთაისის თეატრის რეჟისორად მოიწვიეს ამერიკიდან ახლადდაბრუნებული ვასო ყუშიტაშვილი. მის მიერ განხორციელებულ დადგმებს შორის აღსანიშნავია ბ. ჟონსონის პიესა „ვოლპონე".

1929—35 წლებში ქუთაისში არსებობდა მუშა-ახალგაზრდობის თეატრი („ტრამი"), რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ალ. მიქელაძე, ვ. მურღულია, შ. მანაგაძე და სხვ. თეატრს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდობა. იდგმებოდა ლეონიძის „დღეები დნებიან", მიკიტენკოს „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები" და სხვ.

1935—38 წლებში ქუთაისი თეატრის გარეშე დარჩა. ლადო მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძის თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქს ასეთი მდგომარეობის დიდხანს მოთმენა არ შეეძლო. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. 1938 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით ქუთაისში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქართული თეატრი, რაც ამ პერიოდის ქალაქის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

დაიწყო ახალი პერიოდი ქუთაისის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში. შეიქმნა მუდმივი დასი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დოდო ანთაძე. ქუთაისის თეატრმა დ. ანთაძის ხელმძღვანელობით იმუშავა 15

წელი, შედარებით ხანმოკლე მანძილზე გამოიმუშავა საკუთარი შემოქმედებითი პროფილი, შექმნა რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების საკუთარი სკოლა და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი საუკეთესო პირველხარისხოვანი თეატრების გვერდით[1].

განახლებული თეატრის დასში შედიოდნენ: ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ც. ამირეჯიბი, თ. კიკნაძე, თ. ღვინიაშვილი, ან. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, კ. აბესაძე, ნ. წინამძღვარი, მ. სვანიძე, ს. ვაჩნაძე, გ. კოკელაძე, შ. ქარცივაძე და სხვ. ახალგაზრდებიდან: ვ. მეგრელიშვილი, იპ. ხვიჩია, ვ. კინწურაშვილი, გ. კოკელაძე, მ. გელაშვილი, მ. ფხაკაძე, გ. ნაცვლიშვილი, ვალ. გვენცაძე, შ. პირველი, ალ. ქელბაქიანი, თ. პოკროვსკაია, ალ. ქელბაბიანი, ალ. კალანდარიშვილი, არ. მოწონელიძე, ალ. ჩიქვინიძე, ტარიელ საყვარელიძე და სხვ.

რეჟისორად მუშაობდა გრ. სულიაშვილი; მოწვეულ იქნა აგრეთვე ახალგაზრდა რეჟისორი ს. ოყრეშიძე. თეატრის მუდმივი კომპოზიტორი იყო თ. ვახვახიშვილი. სპექტაკლებს მხატვრულად აფორმებდნენ დ. კაკაბაძე, კ. სანაძე, ს. ნადარეიშვილი, ი. გამრეკელი, ვ. ცომაია და სხვ.

1938—1941 წლებში ქუთაისის თეატრმა დადგა ნახუცრიშვილის და გამრეკელის „ლადო კეცხოველი", პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება" და „ყვარყვარე თუთაბერი", უ. შექსპირის „ოტელო" და „მეფე ლირი", მ. გორკის „მტრები", შ. დადიანის „გუშინდელნი" და „ნაპერწკლიდან", ს. შანშიაშვილის „გიორგი საakაძე", ა. ცაგარელის „რაც გინახავს ველარ ნახავ", ს. კლდიაშვილის „უკანასკნელი რაინდი" და სხვ. ამ რეპერტუარმა მკვეთრად მოხაზა ქუთაისის თეატრის შემოქმედებით გზა. იგი მიემართებოდა ისტორიულ-რევოლუციური დრამატურგიიდან თანამედროვეობის გმსახველი პიესებისაკენ და, იმავე დროს, სცდიდა თავს კლასიკური დრამატურგიის ნიმუშების სცენიურ განსახიერებაში, რომელიც უდავოდ უწყობდა ხელს თეატრის მხატვრულ ზრდას. ამ სპექტაკლების დიდ უმრავლესობას დამსახურებული წარმატება

[1] ბ. ჭელენტი, „ქუთაისის თეატრი", გაზ. „კომუნისტი", 1946, 28 იანვარი.

ხვდა წილად, ხოლო „ოტელომ“ და „მეფე ლირმა“ საკავშირო თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. „ოტელოს“ შესახებ რეცენზია გამოაქვეყნა ინგლისურმა ჟურნალმა, რომელშიაც მაღალი შეფასება ეძლეოდა ალ. იმედაშვილის ოტელოსა და ი. ზარდალიშვილის — იაგოს. ეს ორი სპექტაკლი შევიდა ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები. ალ. იმედაშვილის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული მეფე ლირი ამ დიდი მსახიობის გენიის სიმღერა აღმოჩნდა.

1940 წლის ზაფხულში საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ქუთაისის თეატრის არსებობის 60 წლისთავი (თეატრის დაარსების თარიღად აღებულ იქნა მუდმივი პროფესიული დასის ჩამოყალიბება — 1880 წელი). ჩატარდა დიდი საიუბილეო საღამო. გამოიცა ცალკე კრებული სახელწოდებით „ქუთაისის თეატრი 1880—1940“. გამოვიდა აგრეთვე ექვსგვერდიანი ერთდროული გაზეთი „ქუთაისის თეატრი“. იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქუთაისის თეატრს მიეკუთვნა ლადო მესხიშვილის სახელი.

დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობა შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ქუთაისის თეატრის შემოქმედებით ზრდას. 1941 წლის ივნისში თბილისში დაიწყო ქუთაისის თეატრის გასტროლები. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო: უ. შექსპირის „მეფე ლირი“, მ. გორკის „მტრები“, შ. დადიანის „გუშინდელნი“ და ძმ. ტურის „დაწუნებული საქმრო“.

გასტროლები წარმატებით დაიწყო, მაგრამ გამოცხადდა ომი და თეატრის კოლექტივიც დაუყოვნებლივ ქუთაისში დაბრუნდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ქუთაისის თეატრმა სამამულო ომის წლებში. რეპერტუარში წამყვანი ადგილი დაიკავა გმირულ-პატრიოტულ და სამამულო ომის თემაზე დაწერილმა პიესებმა, როგორიცაა ვ. დარასელის „კიკვიძე“, გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ და „პარტიზანები“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“, ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, კაცის „ოლე-

კო დუნდიჩი", სიმონოვის „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", „მელოდე დაებრუნდები" და „რუსი ხალხი", ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", ს. შანშიაშვილის გასცენირებული „ხევისბერი გოჩა" და სხვ.

ომისშემდგომი პერიოდი ქუთაისის თეატრის აღმავლობის წლები იყო. თეატრში მოვიდნენ ახალი რეჟისორები გიორგი იოსელიანი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ოთარ ანდრონიკაშვილი და სხვ. დაიდგა მრავალი საყურადღებო სპექტაკლი: კ. გუტკოვის „ურიელ აკოსტა", ფ. შილერის „ყაჩაღები" და „ვერაგობა და სიყვარული", ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი", გ. ერისთავის „გაყრა", ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა", შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" და სხვ. აი, სწორედ ამ სპექტაკლებმა დაიმსახურეს დიდი მოწონება თბილისის მაყურებლებში 1950 წლის გასტროლების დროს. ამ გასტროლებმა ცხადყო, რომ ქუთაისის თეატრი წარმატებით აგრძელებდა მესხიშვილისა და ბარჯანიშვილის თეატრალური სკოლების საუკეთესო ტრადიციებს.

1953 წელს თეატრის ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა. დოდო ანთაძე ქუთაისიდან თბილისში გადავიდა. თეატრის ხელმძღვანელობა დაევალა რეჟისორ ვ. ყუშიტაშვილს. შემდეგ წლებში ჩვენს თეატრში მუშაობდნენ რეჟისორები: ნ. გოძიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე და სხვ.

1955 წელს თეატრი გადავიდა ახალ შენობაში, რომელიც თეატრალური ტექნიკის ყველა თანამედროვე საშუალებებით არის აღჭურვილი.

1958 წლიდან ქუთაისის თეატრს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აკაკი ვასაძე. მისი ხელმძღვანელობით მრავალი საინტერესო დადგმა განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია: კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი", უ. შექსპირის „ოტელო", ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი", ჟან პოლ სარტრის „ედმონდ კინი", შ. დადიანის „გუშინდელნი", ლ. სანიკიძის „ნერონი", „მედეა", ს. შანშიაშვილის „ანზორი" (ახმეტელის დადგმის აღდგენა) და სხვ. დაიდგა აგრეთვე პ. კაკა-



ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრი

ბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“, ნ. ვირტას „თვალუწვდენელი სივრცეები“, დ. ფსათასის „სულელნახევარი“ და სხვ. უკანასკნელ წლებში ქუთაისის თეატრში რამდენიმე საინტერესო დადგმა განახორციელა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილმა, ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა თამაზ მესხმა.

1960 წელს ქუთაისის თეატრმა წარმატებით ჩაატარა გასტროლები თბილისში. დედაქალაქის მაყურებლებმა ნახეს ქუთაისელთა საუკეთესო დადგმები.

ჩვენი თეატრის შემოქმედებითი ზრდისა და წინსვლის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მსახიობთა დიდ ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ საპატიო წოდებები. მათ შორის იპოლიტე ხვიჩიას (ამჟამად მუშაობს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში), შალვა ხონელს, შოთა პირველს, გრიგოლ ხაჟალიას და ვახტანგ მეგრელიშვილს—საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. უკანასკნელ წლებში თეატრში მო-

ვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც მსახიობთა უფროს თაობასთან ერთად, ღირსეულად აგრძელებს ქუთაისის თეატრის სახელოვან ტრადიციებს.

ნორჩი მაყურებლების საყვარელი ადგილია თოჯინების სახელმწიფო თეატრი. ორი ათეული წელია პატარები თეატრის თეჯირიდან უსმენენ მეტყველ თოჯინებს. ბავშვების აღტაცებას იწვევს კ. ლევანიძის „ნატვრის თვალი", ზ. კუხიანიძის „შარახანო", ედმონდო დე ამიჩის „მარკოს" მიხედვით რ. თოდუას მიერ ინსცენირებული ლანდების სპექტაკლი „დედა", ბ. ნარეკლიშვილის „ჰერეკლეს გმირობა", უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან", დ. ხუროძის „ოქროს ხელები", კ. მაჭარაძის „დათუნიას სამართალი" და სხვ. ქუთაისის თოჯინების და ლანდების თეატრის ნიჭიერი და საინტერესო მხატვრული კოლექტივი მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ჩვენი ბავშვების მორალური და ეათეტიკური აღზრდის დარგში.

* * *

ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებას წარმართავს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სკოლა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებად იქნა გამოცხადებული. სკოლასთან გაიხსნა მუსიკალური სასწავლებელი.

ქუთაისის მუსიკალურმა სასწავლებელმა დასავლეთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შეასრულა არა მარტო პირველხარისხოვანი სამუსიკო სასწავლებლის როლი, არამედ კონსერვატორიისა და ნაწილობრივ საოპერო თეატრის ფუნქციებიც. პირველად საქართველოში აქ, ამ სასწავლებლის ინიციატივით, ჩაეყარა საფუძველი საგუნდო ოლიმპიადებს, რაც შემდეგში ჩვენი კულტურული ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა. ქუთაისელ მშრომელებს ახლაც კარგად ახსოვთ კ. მაღრაძის, ბართ. კუხიანიძის და სხვ. მომღერალთა გუნდების გამოსვლები ფართო აუდიტორიის წინაშე.

სასწავლებელი ყოველწლიურად აწვდიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მომზადებულ კადრებს, მართავდა ღია და დახურულ კონცერტებს. განსაკუთრებული ყუ-

რადღება ეთმობოდა ვოკალურ ხელოვნებას. 1921—1930 წწ. დაიდგა ნაწყვეტები ოპერებიდან: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ი. რუბინშტეინის „დემონი“, პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, მ. გლინკას „რუსლან და ლიუდმილა“ და სხვ. საბავშვო ოპერები: „წითელქუდა“ და „ბრძოლა“. ეს უკანასკნელი დადგა კოტე მარჯანიშვილმა. სწორედ ამ პერიოდში აღიზარდნენ აქ სახელგანთქმული ქართველი მუსიკოსები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: ნ. ცომაია, ეკ. სოხაძე, ვ. ხმალაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ვლ. ხამაშურიძე, შ. ციცილიაძე, კომპოზიტორი მ. დავითაშვილი, დოც. ჩერქეზიშვილი, გ. სვანიძე და სხვ.

ქუთაისის მუსიკალური სკოლა-სასწავლებელი დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. ქუთაისის ინტელიგენციის აქტივის და სასწავლებლის დირექციის ინიციატივით 1927 წლის 15 და 16 მაისს ქუთაისში მოეწყო ქართულ ხალხურ მომღერალთა გუნდების პირველი ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალთა საუკეთესო კოლექტივები. კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ია კარგარეთელი, ივ. ფალიაშვილი და სხვ. გადაღებულ იქნა შეჯიბრება-კონკურსის კინოფილმი, ხოლო საუკეთესო სიმღერები ჩაიწერა ფირზე.

ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის გასტროლები 1930 წელს. მეორედ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი ქუთაისს 1956 წლის სექტემბერში ესტუმრა, ხოლო მესამედ 1960 წ. თეატრმა ქუთაისელ მაყურებლებს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები.

დიდი მუშაობა გასწია მუსიკალურმა სკოლა-სასწავლებელმა სამამულო ომის პერიოდში. დაჭრილი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის გაიმართა 710-ზე მეტი საშეფო კონცერტი. დაიდგა საბავშვო ოპერა „მგელი და შვიდი ციკანი“. ამავე დროს, სასწავლებლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა წარმოადგინეს ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ მონტაჟი.

კონცერტებიდან შემოსული თანხა გადაეცა თვითმფრინავის ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად[1].

1948 წელს სასწავლებელთან შეიქმნა საოპერო კლასი, რომელმაც მოკლე ხანში დიდ წარმატებებს მიაღწია. საოპერო კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით დაიდგა მ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი“, ე. ოდრანის სამმოქმედებიანი მუსიკალური კომედია „ნატვრის თვალი“, ზ. ფალიაშვილის „დაისი“ და სხვ., ხოლო რესპუბლიკურ ფესტივალზე საოპერო კლასმა აჩვენა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

1953 წლიდან ქუთაისის მუსიკალურ სკოლას თავისი ფილიალები აქვს: წყალტუბოში, მაიაკოვსკში, ელექტრომექანიკურ და საავტომობილო ქარხნებში. ელექტრომექანიკური ქარხნის ფილიალი გადაკეთდა მუსიკალურ სკოლად.

ამ უკანასკნელ ხანებში, ქუთაისში გაიმართა სვიატოსლავ რიხტერის, ჟაკ ტიბოსა და მარგარიტა ლონგეს სახელობის პრემიის ლაურიატის მ. გოგლიძის, მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორების ა. გოლდენვეიზერის და ჰენრიხ ნეიჰაუზის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის პ. ამირანაშვილის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ბათუ კრავეიშვილის და სხვ. კონცერტები.

ამჟამად, ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმეს ემსახურება მუსიკალური ტექნიკუმი და სამი მუსიკალური სკოლა. გარდა ამისა, ცალკეულ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებულია მუსიკალური წრეები, რომლებსაც კვალიფიციური პედაგოგები ხელმძღვანელობენ. თუ ომამდე მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში 450 მოსწავლე სწავლობდა, ამჟამად მარტო № 1 მუსიკალურ სკოლაში 872 მოსწავლე ირიცხება.

1963 წელს ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობამ კარგი საჩუქარი მიიღო — გაიხსნა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი.

ქუთაისელ მხატვართა ორგანიზებული ცხოვრება 1957 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, როდესაც ჩამოყალიბდა საქარ-

---

[1] გ. მეფისაშვილი და ი. ხაზარაძე, „ქუთაისის მუსიკალური სკოლა“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 12, 44.

თველოს სსრ მხატვართა კავშირის ადგილობრივი განყოფილება. ამჟამად იგი ოცამდე შემოქმედს აერთიანებს.

1959 წლის თებერვალში, ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის ფოიეში მოეწყო დიდი სამხატვრო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ორასზე მეტი ნამუშევარი. გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს იყო ქუთაისელ მხატვართა პირველი შეხვედრა ფართო საზოგადოებრიობასთან.

1961 წლის 20 მაისს ქუთაისელმა მხატვრებმა და მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — გაიხსნა სურათების სახელმწიფო გალერეა, სადაც მოწყობილ იქნა ქალაქში მომუშავე მხატვრების პირველი სტაციონარული გამოფენა. მოკლე დროში სურათების გალერეია გადაიქცა სახვითი ხელოვნების მასებში პროპაგანდის მნიშვნელოვან კერად. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქუთაისელმა მშრომელებმა დაათვალიერეს ნიკო ფიროსმანიშვილის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის, უჩა ჯაფარიძის, პეტრე ოცხელის, სერგო ქობულაძის, ოსკარ შმერლინგის და სხვათა ნამუშევრების გამოფენა, დასავლეთ ევროპის გრაფიკის ნიმუშები და მოკავშირე რესპუბლიკების მხატვართა ნამუშევრები.

1966 წლის ოქტომბერში გელათის ძეგლ-მუზეუმში გაიხსნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობდა მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თითქმის ყველა წევრი.

ქუთაისელი მხატვრები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, მოქანდაკე ვ. მიზანდარის ნამუშევრები: „დედა", „მდნობელი", „უღელქვეშ" და სხვები არაერთხელ ყოფილა ექსპონირებული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

ქალაქში აღმართულია ქუთაისელი მოქანდაკეების ვ. ლ. მიზანდარისა და გ. ე. ნიკოლაძის მიერ შექმნილი ჭაბუკი ვლადიმერ მაიაკოვსკის და სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის ბრინჯაოს ძეგლები.

მხატვართა კადრების მომზადების საქმეში დიდ როლს ასრულებს სამხატვრო სკოლა, რომელიც 1955 წელს გაიხსნა. ქუთაისის მოწინავე საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეეცადა ამ საკითხის გადაჭრას. ქუთაისში მომუშავე მხატვრები: გ. მესხი, ნ. კანდელაკი, დ. წერეთელი, ი. პატარიძე, ი. პაეესკი, ვ. კროტკოვი, ი. ჭეიშვილი დაუღალავად ზრუნავდნენ სამხატვრო სასწავლებლის დაარსებისათვის, მაგრამ ამ ზრუნვას მაშინ ნაყოფი არ გამოუღია.

ამჟამად ქუთაისში არსებობს ოთხწლიანი სამხატვრო სკოლა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

§ 4. პრესა. კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებანი

საბჭოთა პრესის ისტორია ქუთაისში 1921 წლის 3 აპრილით იწყება. ამ დღეს გამოვიდა საქართველოს საგუბერნიო რევკომის და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ორგანოს გაზეთ „მუშა და გლეხის" პირველი ნომერი. გაზეთი „მუშა და გლეხი" საქ. კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გაზეთის „ქუთაისის" სახელოვანი წინაპარია[1].

გაზეთი თავის ფურცლებზე ფართოდ ასახავს ქუთაისის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს. მას ინტერესით კითხულობენ მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნე გლეხები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა. გაზეთში აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

გაზეთი „ქუთხისი" მემატიანეა იმ გმირული გზისა, რომელიც ქუთაისმა განვლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მასში ასახულია როგორ გადაიქცა ეკონომიუ-

---

[1] გაზეთს სხვადასხვა დროს ეწოდებოდა: „მუშა და გლეხი", „წითელი ვარსკვლავი", „ლენინის გზით", „მუშა და კოლმეურნე", „სტალინელი" და „ინდუსტრიული ქუთაის-".

რად დაქვეითებული საგუბერნიო ქალაქი რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად.

არსებობის პირველი დღეებიდანვე გაზეთმა თავისი იდეურობით, სიმართლით, მასებთან მჭიდრო კავშირით შესძლო დიდი როლი შეესრულებინა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი. იგი ეწეოდა პარტიისა და მთავრობის დეკრეტთა, განკარგულებათა და მოწოდებათა პოპულარიზაციას, რაზმავდა მშრომელებს მათი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

აგრძელებდა რა ბოლშევიკური პრესის ტრადიციებს, „ქუთაისი" დაუღალავად ქადაგებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებსა და ხალხთა შორის მეგობრობას.

გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. სისტემატურად უთმობდა მთელ გვერდებს ახალგაზრდობაში კომკავშირული მუშაობის შესახებ.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში გაზეთი აშუქებდა ქუთაისის მშრომელების ბრძოლას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. გაზეთის ინიციატივით ეწყობოდა მასიური შაბათობები რიონჰესის, ბროწეულა-გუმბრინის რკინიგზის და სხვ. ობიექტების მშენებლობებზე. აწყობდა სხვადასხვა კონკურსებს, რითაც ხელს უწყობდა საწარმოო-საფინანსო გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებას.

გაზეთის სატირული დამატებანი „წითელი ცოცხი" (1925 წ.) და „კრაზანა" (1930 წ.) დაუნდობლად იბრძოდნენ მახინჯი მოვლენების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ჩვენს საზოგადოებაში.

გაზეთს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან. მასში ბეჭდავდნენ თავიანთ ლექსებს, მოთხრობებს და კრიტიკულ ნარკვევებს ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები. მის ფურცლებზე დაიბადა

უნიკალური ქართველი პოეტი ლადო ასათიანი. აქვე გამოქვეყნდა პირველად გალაკტიონის „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო“.

დიდი გალაკტიონი წერდა: „გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ მწერლებისადმი იშვიათად გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება არ შეიძლება არ აღინიშნოს“[1].

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა საქალაქო გაზეთმა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში. ომის მძიმე წლებში გაზეთი დაუღალავად მოუწოდებდა მშრომელებს ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

რედაქციას ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ქართველ მეომრებთან, უგზავნიდა მათ გაზეთის ცალკეულ ნომრებს, ღებულობდა მათგან კორესპონდენციებს. გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოჩენას უდიდესი აღტაცებით ეგებებოდნენ ქუთაისელი მებრძოლები. „გულთან ვინახავ თქვენს გაზეთს, რომელიც მე დიდად მახარებს ამ მძიმე დღეებში“, — წერდა რედაქციას ოდესის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ერთ-ერთი მონაწილე.

1953 წლიდან გამოსვლა დაიწყო საქალაქო გაზეთმა „კუტაისსკაია პრავდამ“[2].

„კუტაისსკაია პრავდა“ არის ხალხთა შორის მეგობრობის დაუღალავი პროპაგანდისტი. გაზეთი ქუთაისის მოსახლეობას აცნობს ჩვენი ქალაქის მიღწევებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ათავსებს წერილებს საქართველოსა და ქუთაისის ისტორიული წარსულის შესახებ, საინტერესო მასალებს რევოლუციურ მოძრაობაზე, ვ. ი. ლენინზე და სხვ.

დიდი სიყვარულით სარგებლობენ მშრომელებში მრავალტირაჟიანი გაზეთები: ავტომშენებელთა „ლენინელი“ და აბრეშუმის კომბინატის „ფეიქარი“. ისინი სხარტად, მიმზიდველად მოგვითხრობენ საავტომობილო ქარხნის და აბრეშუმის კომბინატის კოლექტივების სასახელო საქმეებზე, მხარს უჭერენ ახალ შემოქმედებით აზრს, მკაცრად აკრიტიკებენ არსე-

---

[1] გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1946. № 68.

[2] ადრე ქუთაისში გამოდიოდა რუსული გაზეთი „პლამია“.

ბულ ნაკლოვანებებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებზე.

სხვადასხვა დროს ქუთაისში გამოდიოდა მთელი რიგი დარგობრივი და ერთდროული გაზეთები — „რკინიგზელი“. „რიონჰესის დამკვრელი“, „შრომა და კულტურა“, „შეტევა“, „ბრძოლა ხარისხისათვის“, „კომუნა“, „წვეულთა ხმა“, „წითელი ფეიქარი“ და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქუთაისში აღიზარდა ჟურნალისტთა და კორესპონდენტთა მთელი თაობა. 1958 წელს შეიქმნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, რომელშიაც გაერთიანებულია როგორც ქუთაისის, ასევე ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის 110-მდე ჟურნალისტი.

ქუთაისელი ჟურნალისტები მრავალი წიგნისა და გამოკვლევის ავტორები არიან, სწერენ საინტერესო სტატიებს საქალაქო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ქუთაისში არსებობს ფიზიოლოგთა, გეოგრაფთა, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის, ბუნების დაცვის და სხვ. რესპუბლიკურ საზოგადოებათა ადგილობრივი განყოფილებები.

1947 წლიდან ქუთაისში არსებობს საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაცია, რომელთანაც ამჟამად 13 სექციაა შექმნილი. ესენია — სკკპ ისტორიის, ეკონომიკის, ლიტერატურის და ხელოვნების, მედიცინის, ფიზიკა-მათემატიკის და სხვ. საზოგადოებასთან არსებობენ კულტურის, ფიზიკა-მათემატიკის, ლიტერატურის და ხელოვნების, მედიცინის და სხვა სახალხო უნივერსიტეტები.

ფართოდ შემოვიდა ქალაქის მშრომელთა ყოფაში რადიო და ტელევიზია. ახლა ძნელია ისეთი ოჯახის პოვნა, სადაც არ იყოს რადიომიმღები ან ტელევიზორი. 1963 წლიდან ქუთაისი ღებულობს ტელეგადაცემებს. მიმდინარე წლის სექტემბერში პირველად მოეწყო ტელეგადაცემა ქუთაისიდან. ეს ქუთაისის რადიოსა და ტელეხედვის მუშაკთა დიდი გამარჯვებაა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურების საქმე. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აიგო სამი კინოთეატრი. ამჟამად ქუთაისში არსებული ყველა კინოთეატრი (7 მუდმივმოქმედი და 3 საზაფხულო) 5000-მდე მაყურებელს იტევს. 1964—1967 წლებში ქალაქის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნა 642 დასახელების ახალი მხატვრული ფილმი.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა ქალაქის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დონე. ამის შესაბამისად, გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გარდაიქმნა და მრავალფეროვანი გახდა მათი მუშაობა.

სახე იცვალა ბ. გაბაშვილის (ბესიკის) სახელობის კულტურისა და დასვენების პარკმა. გაყვანილ იქნა პარკში ასასვლელი გზები, დაირგო მარადმწვანე მცენარეები, მოეწყო ორანჟერია, დამონტაჟდა ახალი ატრაქციონები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საზაფხულო თეატრს, კეთილმოწყობილი გახდა პარკის ტერიტორია. 1961 წელს აიგო საბაგირო გზა, რითაც პარკი ქალაქის ცენტრს (ალ. წულუკიძის სახელობის სკვერი) დაუკავშირდა. ბავშვების გართობის საყვარელ ადგილად გადაიქცა მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკი.

ნაყოფიერად მუშაობს ვ. აბაშიძის სახელობის ქალაქის კულტურის სახლი. კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, დრამატული წრე, საესტრადო ბრიგადა და სხვ. 1959 წელს კულტურის სახლთან შეიქმნა სახალხო ოპერის თეატრი, რომელმაც დადგა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი". ქუთაისის წარმოება-დაწესებულებათა უმრავლესობას საკუთარი კულტურის სახლები და კლუბები გააჩნიათ.

მასობრივი, თვითმოქმედი ხელოვნება ქუთაისის მშრომელთა კულტურული ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა. თვითმოქმედ კოლექტივებში მონაწილე ათასობით მშრომელი სრულყოფს თავის ნიჭსა და ესთეტიკურ გემოვნებას.

ამჟამად ქუთაისში 28 ბიბლიოთეკაა (სასკოლო ბიბლიოთეკების გამოკლებით), მათ შორის — 1 საჯარო (დაარსებული 1894 წ.), 20 საქალაქო და 7 საბავშვო. თუ 1904 წელს

საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 5220 წიგნს არ აღემატებოდა, 1967 წლის დასაწყისისათვის მან 351.640 ეგზემპლარს მიაღწია. საქალაქო ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა გახსნილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ისინი დაუღალავად ეწევიან წიგნის პროპაგანდას მშრომელთა ფართო მასებში. ატარებენ საინტერესო ღონისძიებებს და სხვ.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, კარგად არის ცნობილი ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. იგი (დაარსდა 1912 წელს) ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო და საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებაა. მუზეუმში თავმოყრილია მდიდარი და მრავალფეროვანი ფონდები — არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური კოლექციები, ჰედური ხელოვნების ძეგლები, ხელნაწერი წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, ფოტოსურათები, საბჭოთა პერიოდის ისტორიის ამსახველი მასალები და სხვ.

ხელნაწერთა ფონდში ინახება იოანე ქსიფილინოსის ხუთტომიანი აგიოგრაფიული კრებული, რომლის დედანს ბერძნულ ენაზე ჩვენამდე არ მოუღწევია, ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი ტექსტები (მეთერთმეტე საუკუნე), „ეეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ხელნაწერი წიგნები, საბა-სულხან ორბელიანის შრომების ორიგინალები, ვახტანგ VI სამართლის წიგნები, ი. ჭაეჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა ნაწარმოებების ავტოგრაფები და ა. შ. დიდი მეცნიერული ღირებულების შემცველია აგრეთვე ქართული ჰედური ხელოვნების ძეგლების ფონდი, რომელიც მოიცავს პერიოდს მე-5 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე. ბევრი მათგანი გამოცემულია ქართული ხელოვნების ისტორიის გამოჩენილ მკვლევართა მიერ (აკად. გ. ჩუბინაშვილი, აკად. შ. ამირანაშვილი, რ. შმერლინგი და სხვ.).

§ 5. ჯანმრთელობის დაცვა. ფიზიკური კულტურა და სპორტი

მენშევიკების განდევნის პირველი დღეებიდანვე საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნას, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს დ ა ც ვ ი ს მდგომარეობა ქუთაისში. 1921 წლის 13 მარტს რევკომთან ჩამოყალიბდა ჯანმრთელობის განყოფილება. ჩატარდა სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების აღრიცხვა. ნაციონალიზებულ იქნა ყველა აფთიაქი და საავადმყოფო. კერძო ბრუნვიდან ამოიღეს სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო ხელსაწყოები.

ქუთაისის მაზრაში მშრომელთათვის შემოღებულ იქნა უფასო სამედიცინო მომსახურება[1]. გაიხსნა 5 ამბულატორია, კბილის ცენტრალური სამკურნალო კაბინეტი, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და ორი საავადმყოფო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას.

1924 წელს დაარსდა საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტი. მან ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ქუთაისში მოეწყო სამალარიო სადგური ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიით. მარტო 1927—1928 წლებში სამალარიო სადგურში დახმარება მიიღო 4958 ავადმყოფმა. მოსახლეობაზე უფასოდ გაიცა 28 კგ-ზე მეტი ქინაქინა[2]. გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა სპეციალური სანიტარულ-ეპიდემიური რაზმი, რომელიც მეთვალყურეობას აწესებდა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე. მარტო 1925 წელს ყვავილას აცრა ჩაუტარდა 26.483 კაცს[3].

გაიხსნა ფიზიო-თერაპევტული სამკურნალო, პირველი დახმარების პუნქტები, სანიტარული განათლების სახლი და მუზეუმი, რძის გამომკვლევი პუნქტები, სადეზიფენქციო კამერა, ბავშვთა კონსულტაცია, მოწვეულ იქნა კვების სანიტარული ექიმი, ეპიდემიოლოგი და სხვ.

---

[1] ს ც ა ქ. ფ. 305, ს. 16, ფ. 42.

[2] იქვე, ფ. 296, აღწ. I, ს. 884, ფ. 365.

[3] გაზ. „წითელი ვარსკვლავი", 1925, № 40.

თუ ცარიზმის დროს ქუთაისის გუბერნიაში სამკურნალო საქმისათვის წლიურად ათასი მანეთიც კი არ იხარჯებოდა (და, ეს მაშინ, როდესაც პოლიციის შენახვა 30 341 მანეთი ჯდებოდა), 1940 წლისათვის მარტო ქალაქის ჯანმრთელობის ქსელის შესანახად 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა.

თუ წინათ მთელი ქუთაისის გუბერნიის სამკურნალო საქმეებს ერთი საგუბერნიო ექიმი და მისი „როტის ფერშალი" განაგებდა, ხოლო თვით გუბერნიაში მხოლოდ რამდენიმე ექიმი ეწეოდა კერძო პრაქტიკას, 1940 წელს მარტო ქალაქში 125 ექიმი იყო[1].

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში.

ამჟამად, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მხრივ, ქუთაისი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მოწინავე ქალაქების რიგში დგას. ყოველწლიურად ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი, მაღლდება ექიმთა კვალიფიკაცია, ინერგება მკურნალობის უახლესი მეთოდები, გამოყენებას პოულობს რთული ტექნიკური აპარატურა და ა. შ. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ადამიანმა ხანგრძლივად და ჯანმრთელად იცოცხლოს. ქუთაისში არსებობს სხვადასხვა პროფილის 72 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლებიც თავიანთ მუშაობაში წარმატებით იყენებენ თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებაში მოპოვებულ მიღწევებს.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქუთაისის სამკურნალო დაწესებულებებში საწოლთა რაოდენობა 1370-დან (1957 წ.) გაიზარდა 2075-მდე (1967 წ.), ექიმთა რაოდენობა 456-დან — 603-მდე, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა 1138-დან — 1587-მდე. 1966 წლის 1-ლი იანვრისათვის ქუთაისში ყოველ 1000 მცხოვრებზე 38,7 ექიმი, 101,0 საშუალო სამედიცინო პერსონალი და 131,5 საწოლი მოდიოდა[2].

---

[1] ს ც ა ქ, ფ. 179. ს. 245. ფ. 22—23.

[2] ЦСУ Грузинской ССР. Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической Революции, 1967, 309.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. 1964 წელს ჩამოყალიბდა რევმატოლოგიური და ენდოკრინოლოგიური ცენტრი. მიღწეულია სერიოზული წარმატებანი ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პრაქტიკულად ლიკვიდირებულია ისეთი ინფექციური დაავადებანი, როგორიცაა: პარტახტიანი ტიფი, პოლიომელიტი, მალარია.

1961 წელს ქუთაისის სამედიცინო დაწესებულებებს შეემატა ახალი საავადმყოფო, რომელიც 1963 წელს გადაქცეულა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოდ. მოკლე ხანში იგი გადაიქცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ სამკურნალო და საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებად. კლინიკური საავადმყოფო მეთოდურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს დასავლეთ საქართველოს 13 რაიონს. საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებასთან შექმნილია თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი. საავადმყოფოსთან არსებობს აგრეთვე რესპუბლიკური სანიტარული ავიაციის სადგურის ფილიალი, რომლის დანიშნულებაა სასწრაფო დახმარება გაუწიოს საავადმყოფოზე მომაგრებული რაიონების მოსახლეობას.

ქუთაისელმა ექიმებმა შეიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს მკურნალობის არაერთი ახალი, ეფექტური მეთოდი.

კლინიკური საავადმყოფოს მთელ კოლექტივს, მკურნალობისა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული მიღწევებისათვის, 1965 წელს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება.

ქუთაისელი ექიმები, პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად, ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწევიან. ქუთაისელი ექიმები აქტიურად მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ბაქოს, თბილისისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო-სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწყობილ სესიებსა და სიმპოზიუმებში. პროფესორების — ა. ბეთანელის, ვ. გიორგაძის, მედ. მეცნ. კანდიდატების — ს. ტურაბელიძის, ა. ცანავას, შ. ჩიკვაშვილის, შ. მარდახიაშვილის, ნ. ხეჩინაშ-

ვილის, ექიმების — ვლ. ბურჯანაძის, ა. ძოწენიძის, ა. გაბუნიას, ვ. გიორგაძისა და სხვათა შრომებსა და მკურნალობის მეთოდებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაღალ დონეზე დაყენებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის ერთიანი სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების ნაყოფიერი მუშაობა. ექიმთა საზოგადოება ქუთაისში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1892 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის დ. ა. ნაზარიშვილის ინიციატივით. სხვადასხვა დროს ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ საქართველოში კარგად ცნობილი ექიმები: ს. თოფურია, ს. ხეჩინაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, მ. ძნელაძე, ი. ჯინორიძე, გ. ნადირაძე, ო. ინანეიშვილი, მ. გოკიელი, ვ. ლორთქიფანიძე, მ. ბეთანელი, ნ. პოლუმორდინოვი, ევ. ლოსაბერიძე, ედ. როდზევიჩი, დ. ჩეჩელაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მინოვიჩი, ვლ. მდივანი და სხვ.

ქუთაისში პერიოდულად ეწყობა სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, იუბილეები, შეხვედრები მედიცინის დარგის გამოჩენილ მუშაკებთან და სხვ.

* * *

ქუთაისი ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი ტრადიციების მქონე ქალაქია. ისტორიული წყაროები ადასტურებენ აქ ცხენოსნობის, ცხენბურთის, ლელობურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის, ფარიკაობის, ჭადრაკისა და სხვათა ფართოდ გავრცელებას[1]. რევოლუციამდე სპორტი ქუთაისში გაბატონებული კლასების პრივილეგია იყო. მშრომელთა ფართო მასებისათვის იგი ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა მთავრობამ ფიზიკური კულტურა და სპორტი მნიშვნელოვან სახელმწიფოებ-

---

[1] იხ. ვ. აფრიდონიძე, მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში, ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. 17, 1957, 621—633; მისივე, ჩვენი ქალაქის სპორტული წარსულიდან, გაზ. „ქუთაისი", 1967, № 151 და სხვ.

რევ საქმედ გამოაცხადა, — ამიტომ მან საბჭოთა ხელისუფლების წლებში მასობრივი, სახალხო ხასიათი მიიღო.

1924 წელს საქართველოს კპ ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის ინიციატივით ჩამოყალიბდა ფიზკულტურის სამაზრო საბჭო, რომელსაც დაევალა სპორტის განვითარებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ამ პერიოდისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩაბმული იყო უკვე 2000-მდე ფიზკულტურელი, მაშინ როდესაც, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ქუთაისში მხოლოდ 20 ფიზკულტურული ჯგუფი და 240-მდე ფიზკულტურელი იყო.

ქუთაისს სხვადასხვა დროს ჰყავდა ფეხბურთის გუნდები: „მერცხალი", „ბაში-აჩუკი", „გურჯი", „ტრიუმფი" და სხვ. 1927 წლიდან ჩვენს ქალაქში ინერგება ფრენბურთი, 1928 წლიდან — სიმძიმეების აწევა, 1932 წლიდან—ალპინიზმი, 1933 წლიდან — კრივი და ა. შ.

ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საზოგადოება „დინამოს" სტადიონის გახსნა (1931 წლის სექტემბერი).

1936 წელს ჩამოყალიბდა ბავშვთა სპორტული სკოლა, ხოლო 1937 წელს განათლების განყოფილებასთან დაარსდა ფიზიკური აღზრდის ინსპექცია. ამავე წელს პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა ფიზკულტურის ფაკულტეტი. ამ ღონისძიებებმა უზრუნველყვეს ქუთაისში არსებული სპორტული კოლექტივების შევსება მაღალკვალიფიციური კადრებით.

ქუთაისის სპორტულ კოლექტივებში აღიზარდა არა ერთი სახელოვანი სპორტსმენი, რომლებსაც კარგად იცნობენ რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო მასშტაბითაც კი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქუთაისის ფრენბურთელთა გუნდმა 1928 წელს, საქართველოს პირველ სპარტაკიადაზე, რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისელ კალათბურთელთა წარმატებანი. მათ 1938 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე მესამე ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვეს, ხოლო 1939 წელს მეორე ჯგუფში—მესამე ადგილი. 1943—1944 წლებში ქუთაისელი კალათბურთელები ორჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ქუთაისში აღიზარდნენ ცნობილი

კალათბურთელები: ოთარ ქორქია, ძმები ალეკო და შოთა მესხები, სულიკო თორთლაძე, ოთარ სულაბერიძე, ჯუმბერ ნიჟარაძე და სხვ.

კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მასიურ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა დიდი სამამულო ომის შემდეგ. სწრაფად გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი და მათში ჩაბმულ ფიზკულტურელთა რაოდენობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა სპორტული გუნდებისა და სპორტსმენთა შედეგები. ქუთაისელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში. მათ შორის აღსანიშნავია მოჭიდაველები: ი. ბობოხიძე, ვ. გიგიაძე, გ. სინაურიძე; ტანმოვარჯიშენი: შ. ჩაჩხიანი, ა. ალფაიძე; მთამსვლელები: ა. ნემსწვერიძე, ლევან, ზურაბ და ავთანდილ ახვლედიანები, გ. ყალაბეგიშვილი, ვ. გაბელაშვილი; მოფარიკავენი: ა. შვანგირაძე, ჯ. მოსიძე, ლ. კოხრეიძე მოკრივე — ბ. ლომიძე და სხვ.

1953—1958 წლებში ქუთაისში არსებულ სპორტულ ბაზებს შეემატა ლითოფონის ქარხნისა და აბრეშუმის კომბინატის საცურაო აუზები, სატყეო და სამთო ტექნიკუმების სპორტდარბაზები, იპოდრომი, სასროლო სტენდი. 1957 წელს დამთავრდა ცენტრალური სტადიონის მშენებლობა, რომელიც 22 ათას მაყურებელს იტევს. 1955 წელს გაიხსნა კალათბურთის ცენტრალური მოედანი.

1958 წელს ქუთაისში არსებობდა 180 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც 32 000 ფიზკულტურელს აერთიანებდა.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ახალი, მძლავრი აღმავლობა იწყება 1959 წლიდან. სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში, სპორტული მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად, ქალაქს შეემატა ახალი სპორტული ბაზები.

ქუთაისში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ისეთი სახეები, როგორიცაა: ფეხბურთი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი და სხვ. ფართოდ დაინერგა ისეთი გამაჯანსაღებელი

ღონისძიებანი, როგორიცაა — ნადირობა, თევზაობა, ტურისტული ლაქშრობანი და სხვ.

1959 წელს ქალაქის ცხენოსანთა გუნდმა ისინდში საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. ამავე წელს საქართველოს სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვეს ქუთაისელმა მოკრივეებმაც. რესპუბლიკის სპორტულ ასპარეზზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მაღალტექნიკური მოკრივე ჯუმბერ კვანტალიანი. 1959—1961 წლებში რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ქუთაისელმა მოჭიდავეებმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქუთაისელ მთამსვლელთა მიღწევები. 1960 წელს ქუთაისელ მთამსვლელთა მიერ მოეწყო სასიმაღლო-სარეკორდო ექსპედიცია პამირზე (ხელმძღვანელი — სპორტის ოსტატი ლ. ახვლედიანი, წევრები: ზ. ახვლედიანი, გ. ყალაბეგიშვილი, კ. ჩოგოვაძე, თ. ნარჩემაშვილი, დ. გორგოძე, რ. კეპულაძე, ა. ლოსაბერიძე, ს. რუხაძე, ნ. რატიანი, გ. ახვლედიანი, ა. ახვლედიანი, ზ. ჩოგოვაძე და ლ. ელბაქიძე). აღნიშნული ღონისძიების შესრულებით ქუთაისელ მთამსვლელთა ჯუფმა სსრ კავშირში, ტრავერსების კლასში, პირველი ადგილი დაიკავა. ექსპედიციის 10 მონაწილე სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

ქუთაისში მასიურ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდომ აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი მასიურ-კომპლექსური ღონისძიებების — სპარტაკიადების (შიდასაკოლექტიო, საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო) სისტემატურად ჩატარებამ.

1960 წელს ქალაქის თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანასა და სასწავლებელში შექმნილი იყო ფიზკულტურული კოლექტივი. ამ მხრივ ქუთაისს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა სსრ კავშირში.

მასიურ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებით ქუთაისი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას სსრ

კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა გადაეცა.

1961 წლის ივნისში საქართველოს სპარტაკიადაზე ქუთაისის სპორტულმა დელეგაციამ, აჭარისა და აფხაზეთის ფიზკულტურულ კოლექტივებთან ერთად, II—III და IV ადგილები გაიყო, ხოლო ქუთაისის მოკრივეთა გუნდი (მწვრთნელი — ვ. მარქაროვი) საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო 1962 წელს ქუთაისის „ტორპედოს" (ადრე მას „ლოკომოტივი" ერქვა) ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მიერ სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველ ლიგაში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვება. უკვე მეექვსე სეზონია ქუთაისის „ტორპედო" ფეხბურთის უმაღლესი ლიგის სრულუფლებიანი წევრია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით, სსრ კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატების ისტორიაში ქუთაისის ოდენა ქალაქი ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

დიდ წარმატებებს მიაღწია აგრეთვე ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის ფეხბურთელთა გუნდმა „იმერეთმა", რომელმაც 1960 და 1962 წლებში საქართველოს ჩემპიონობა, ხოლო 1963 წელს საქართველოს თასიც მოიპოვა.

1962 — 1965 წლები ქუთაისელ სპორტსმენთა ახალი მიღწევებით აღინიშნა. ამ პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვეს ქალაქის კალათბურთელებმა, მოჭიდავეებმა, მშვილდოსნებმა, მოფარიკაველებმა, მოკრივეებმა, მსროლელებმა, მთამსვლელებმა, ფეხბურთელებმა. ამ დიდ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა სპორტსმენებმა: ზ. შეყრილაძემ, ზ. საკანდელიძემ, თ. ხითარიშვილმა, გ. გოშაძემ, ნ. მერკვილაძემ, რ. ურუშაძემ, მ. ხერგიანმა, ჯ. კახიანმა, ვ. გაბელაშვილმა, ჯ. გუგავამ, გ. წერედიანმა და სხვ.

აღნიშნულ წლებში ქუთაისელი სპორტსმენები ასევე წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეხვედრებშიც. 1962 წლის მარტში სსრ კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ირანს ეწვია. გუნდის შემადგენლობაში შედიოდა ქუთაისელი ზ. შეყრილაძეც. შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვე-

ბით დამთავრდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, მასპინძელთა თხოვნით, ზ. შეყრილაძემ მონაწილეობა მიიღო იმჟამად მიმდინარე ირანის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში. ზ. შეყრილაძემ კლასიკურ ჭიდაობაში ირანის 1962 წლის ჩემპიონობა მოიპოვა და მას ოქროს მედალი გადაეცა.

1965 წელი ქუთაისელ ალპინისტთა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. მათ, 1965 წლის აგვისტოში, ალ. ნემსწვერიძის ხელმძღვანელობით მოაწყვეს „აილამა-ბეზენგის" ტრავერსი კავკასიონზე. ტრავერსი 18 დღეს გაგრძელდა. აღებულ იქნა 24 მწვერვალი. ერთ-ერთ დაპყრობილ, უსახელო მწვერვალს „ქუთაისი" ეწოდა. ქუთაისელმა ალპინისტებმა ტრავერსების კლასში პირველი ადგილი დაიკავეს და ოქროს მედლები დაიმსახურეს.

ქუთაისელთათვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, აქ აღზრდილი ველოსიპედისტის, ომარ ფხაკაძის მიერ ესპანეთში, სან-სებასტიანის ტრეკზე, მსოფლიო ჩემპიონის მაღალი ტიტულის მოპოვება. ო. ფხაკაძეს საზღვარგარეთ „ველოსიპედის ვეფვხი" უწოდეს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1966 წლის 4 აგვისტოს მიიღეს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლამ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

სპორტული ქუთაისისათვის ნაყოფიერი გამოდგა 1966 წელი. ამ წელს ქუთაისის საქალაქო სპორტკავშირმა მეშვიდედ შეინარჩუნა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა. ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარეს, ცნობილ ქართველ მთამსვლელს, ლევან ახვლედიანს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა, ხოლო საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა ზაურ შეყრილაძემ.

1966 წლის სპორტულ სეზონში სულ ჩატარებულ იქნა 1000-ზე მეტი სპორტული ღონისძიება, რომელშიც 300 000-

ზე მეტმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

1966 წელს სპორტის სხვადასხვა სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები დაიმსახურეს მოჭიდავე ზაურ შეყრილაძემ, მძლეოსნებმა იური კოზელსკიმ და ჯულიეტა ჩუბინიძემ. საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა შტანგისტმა დიმიტრი შანიძემ. საბჭოთა ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებით გამოდიოდნენ ფეხბურთელები — ძმები გივი და ლევან ნოდიები. საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების გამო, მისმა პერსპექტიულმა თავდამსხმელმა გ. ნოდიამ ოქროს მედალი დაიმსახურა.

აღსანიშნავია ქართველ და იაპონელ მთამსვლელთა ერთობლივი ასვლები იაპონიასა და საქართველოში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ახვლედიანი.

1967 წლის დასაწყისში ქალაქში სსრ კავშირის 2 და რესპუბლიკის 17 ჩემპიონი იყო. 10 სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში იყო შეყვანილი.

საქართველოს მეოთხე, საიუბილეო (1967 წლის ივნისის) სპარტაკიადაზე დიდი წარმატებით გამოვიდა ქუთაისის სპორტული დელეგაცია. მან რესპუბლიკის სპარტაკიადების ისტორიაში პირველად, მეორე საპრიზო ადგილი (თბილისის შემდეგ) მოიპოვა. ქუთაისის გუნდმა გაუსწრო ისეთ ძლიერ სპორტულ კოლექტივებს, როგორიც აჭარისა და აფხაზეთის კოლექტივებია. სპარტაკიადაზე თავი ისახელეს: ვ. ახალაძემ, თ. სინტრაძემ, ს. ფარულავამ, თ. მერაბიშვილმა, ვ. ზარგველიანმა, დ. შანიძემ, გ. გობეჯიშვილმა და სხვ.

საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრი ქუთაისი, რესპუბლიკის მეორე სპორტულ ქალაქადაც გადაიქცა.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისში მხოლოდ ორი სპორტული დარბაზი არსებობდა, ახლა ქალაქში არის: ფეხბურთის ორი სტადიონი, სპორტთამაშების სტადიონი, ფეხბურთის 17, ფრენბურთის 58, კალათბურთის 76 და ჩოგბურთის 4 მოედანი, 2 ღია საცურაო აუზი.

წყალჯიმარდობის სადგური, 53 სპორტულ-ტანვარჯიშული დარბაზი, 10 კომპლექსური მოედანი. მიმდინარე ხუთწლედში აიგება ქალაქის სპორტის სასახლე, რომელიც 3 000 მაყურებელს დაიტევს.

ამჟამად ქუთაისში სპორტის 41 სახეა განვითარებული. 1967 წლის დასაწყისისათვის ფიზკულტურის 200-მდე კოლექტივში გაერთიანებული იყო 48.238 ფიზკულტურელი, გაცილებით მეტი, ვიდრე მთელს რევოლუციამდელ რუსეთში. ქუთაისელთა თითქმის მესამედი ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს. ქალაქში მუშაობს 4 სპორტული სკოლა. სადაც სამი ათასზე მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა ოსტატდება. ამჟამად ქუთაისში 173 სპორტის ოსტატია.

ქალაქში მოქმედებს ალპინისტური და საჭადრაკო კლუბები, ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი", ტურისტულ-საექსკურსიო ბაზა, ფიზკულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი და სხვ.

რამდენიმე სიტყვა ტ უ რ ი ზ მ ი ს ა და მშრომელთა დასვენების შესახებ.

ქალაქში მშრომელთა ექსკურსიებისა და ტურისტული მოგზაურობების საქმეს ემსახურება ქუთაისის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზა (ქუთაისში ტურისტული სახლი 1928 წლიდან არსებობს). უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ტურისტულმა ბაზამ 118.251 ტურისტი გაატარა, ხოლო ექსკურსიებითა და ტურისტული მოგზაურობებით მომსახურება გაუწია 614.631 ექსკურსანტს. მარტო 1966 წელს იგი 21.626 ტურისტს, და 125.739 ადგილობრივ მცხოვრებს მოემსახურა.

1962 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი", რომელმაც მოკლე ხანში დიდ წარმატებებს მიაღწია ქალაქში მასობრივი ტურიზმის განვითარების საქმეში. 1965 წლის მარტიდან 1966 წლის დეკემბრამდე ტურისტულ ლონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 24.250 კაცმა. „ოქროს ჩარდახი", ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დიდ ყურადღებას უთმობს გამოსასვლელ დღეებში მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზების საქმეს. ამ მიზნით კლუბს რესპუბლიკის, ქალაქისა და მისი მიდამოების მრავალი საექსკურსიო მარშრუტი აქვს დამუშა-



ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი"

ვებული ეწყობა ექსკურსიები მოძმე რესპუბლიკებში—მატარებლებით, ავტობუსებით, გემებითა და თვითმფრინავებით.

1965 წლის შედეგების მიხედვით, ქალაქად ტურიზმის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, „ოქროს ჩარდახს" საკავშირო პირველი ადგილი მიენიჭა და გადაეცა ტურიზმის საკავშირო საბჭოს სიგელი.

უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ქუთაისის ირგვლივ საკურორტო მშენებლობის საკითხს. ქუთაისის გარშემო, მართალია, ჯერჯერობით შექმნილი არ არის საგარეუბნო კურორტები, მაგრამ ქალაქის მახლობელი ტერიტორია ზაფხულობით ქუთაისელთა დასვენების ტრადიციულ ადგილად ითვლება.

საკურორტო-საგარაკო ადგილები ქუთაისს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრებიან. მათი უმეტესობა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს (მოწამეთა, გელათი, კურსები, ორპირი). თავისი ჯანსაღი ჰავითა და ლამაზი პეიზა-

ებით განთქმული ეს სოფლები ქუთაისელ მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილებია. თვით ქალაქის ფარგლებშიც არსებობს მშვენიერი დასასვენებელი ადგილები (მუხნარის ტყე, ჭომა და სხვ.).

როგორც ცნობილია, ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სათაფლიის განთქმული ნაკრძალი, რომელიც აერთიანებს უნიკალურ ბუნებრივ გამოქვაბულს, გადაშენებული გიგანტური ცხოველების — დინოზავრების ნაკვალევს და მშვენიერი ტყის მასივს. ბუნების ამ იშვიათი ძეგლების აღმოჩენა, შესწავლა და დაცვა დაკავშირებულია პეტრე ჭაბუკიანის სახელთან. ამჟამად სათაფლიის ნაკრძალი მშრომელთა დასვენების მნიშვნელოვანი კერაა.

დასახელებულ ადგილებში ყველა პირობა არსებობს პიონერთა ბანაკების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების მშენებლობისათვის, რაც ახლო მომავალში შესაძლებელს გახდის ქუთაისის გარშემო შეიქმნას საგარეუბნო კურორტებისა და აგარაკების ფართო ქსელი.

ქუთაისის მახლობლად მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო — საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა.

ქუთაისი და მისი მიდამოები მდიდარია მატერიალური კულტურის, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლებით; ქალაქში ბევრია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელებთან დაკავშირებული ღირსშესანიშნაობანი, ისტორიულ-რევოლუციური ადგილები და ისტორიული უბნები, რომლებიც ტურიზმის მნიშვნელოვან. ობიექტებს წარმოადგენენ.

* * *

ამრიგად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში იყო ის ისტორიული ნიშანსვეტი, რომელმაც ქუთაისის მშრომელებს, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივები გადაუშალა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად ქუთაისი ჩამორჩენილი საგუბერნიო ქალა-

ქიდან, მაღალი კულტურის მქონე მსხვილ სამრეწველო ცენტრად გადაიქცა.

როგორც დავინახეთ, ქუთაისელმა მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. ქუთაისელ მშრომელთა მთელ ამ მუშაობას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე ხელმძღვანელობდა და წარმართავდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია. ქუთაისელი კომუნისტები ყოველთვის გამოდიოდნენ წარმოების ნოვატორებად, პირველ წამომწყებებად საქალაქო ცხოვრების ყველა უბანზე. ისინი ენერგიულად ებრძოდნენ ნაკლოვანებებს, რაზმავდნენ წარმოების საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში ამჟამად 10,3 ათასზე მეტ კომუნისტს აერთიანებს, მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ქუთაისელ მშრომელთა თავდადებული ბრძოლის ავანგარდში დგას.

დღეს, ქუთაისელი მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, წარმატებით შრომობენ და იბრძვიან სამშობლოს ძლიერებისა და წინსვლისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის მწვერვალიდან, — ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — პარტია, საბჭოთა ხალხი თვალს ავლებენ განვლილ გზას, რათა კიდევ უფრო კარგად გადაწყვიტონ ახალი ამოცანები. ფართოვდება, მტკიცდება და იმარჯვებს რევოლუციური საქმე, რომელიც დაიწყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. სოციალიზმი ასეულ მილიონობით ადამიანთა დღევანდელი დღე და მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღეა“[1].

---

[1] დასახ. „თეზისები“, 5.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი

ქუთაისის ისტორიული წარსულიდან 5

თავი მეორე

ქუთაისის მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 47

§ 1 რევოლუციური მოძრაობა დასწყისი და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ქუთაისში . . 47

§ 2 ქუთაისი რუსეთის პირველი რევოლუციიდან ოქტომბრის რევოლუციამდე . . . 57

§ 3 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ქუთაისის მშრომელთა ბრძოლა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ქუთაისში 74

თავი მესამე

ქუთაისი სოციალიზმის მშენებლობის, გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში (1921—1941 წწ.) 88

§ 1 ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში . 88

§ 2 ქუთაისი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში . . 111

§ 3 ქუთაისი სოციალიზმის გამარჯვებისა და მისი შემდგომი განმტკიცების პერიოდში 132

თავი მეოთხე

ქუთაისი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941 — 1945 წწ.) 148

თავი მეხუთე

ქუთაისი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენის და განვითარების, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში (1945—1967 წწ.) . . 168

§ 1 ქუთაისი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენის, გახვითარებისა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გა-

მარჯვების პერიოდში . . 168
§ 2 ქუთაისი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში 177
ა) ქალაქის მრეწველობა, სამშენებლო ინდუსტრია და საგარეუბნო სოფლის მეურნეობა . . . 182
ბ) კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდა 207

თავი მეექვსე

ქუთაისის კულტურული ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების წლებში . 222
§ 1 სახალხო განათლება. სამეცნიერო-კულევითი დაწესებულებები 223
§ 2 ლიტერატურა . . . 238
§ 3 თეატრი, მუსიკა და სახვითი ხელოვნება . . 244
§ 4 პრესა. კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებანი . . 258
§ 5 ჯანმრთელობის დაცვა. ფიზიკური კულტურა და სპორტი 264

Вачридзе Петр Варламович
Габуния Гурам Григорьевич

Кутаиси в годы Советской власти

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1967

რედაქტორი უ. ბახტაძე
მხატვარი ნ. ლაფაჩი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორები: ნ. ფავლენიშვილი, ნ. გონაშვილი

გადაეცა წარმოებას 24/XI-67 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII-67.
ქაღალდის ზომა 84×108, ნაბეჭდი თაბახი 14,7, სააღ-საგამომც. თაბახი 13,24.
უე 12313. ტირაჟი 4000. შეკ. 12777.
ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

გ. ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ბრ., 11.
Типография № 5 им. Г. Табидзе,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.